ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 ნოემბრის №01-06/19
რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2022 წლის -- ნოემბერი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 29/09/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016331) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა

www.ajaraspg.ge

სამუშაო ჯგუფი

ზვიად ბურჭულაძე
ჯგუფის ხელმძღვანელი
(არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი)

გრიგოლ გარუჩავა
(არქიტექტორი)

მალხაზ ქათამაძე
(არქიტექტორი)

ნინო გამხოშვილი
(არქიტექტორი)

სერგო ჭყონია
GIS გეოინფორმაციული
სისტემის სპეციალისტი

ექსპერტები

დემოგრაფიისა და საზოგადოებრივი ჩართულობის დარგში
რუსლან ბარამიძე
(ისტორიის აკადემიური დოქტორი)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგში
ზურაბ მანველიძე
(სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი)

ტურიზმის დარგში
მალხაზ მალაყმაძე

ეკოლოგიის დარგში
გიორგი სალუქვაძე
(არქიტექტორი, არქიტექტურის დოქტორი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი)

სატრანსპორტო სისტემების დარგში
ნინო ჩხეიძე
(არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი)

პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ

ზაალ ბაჯელიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
ლევან ბოლქვაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი
ეკატერინე ბახტაძე ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი. ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი
ტატო გოგიჩაიშვილი ენერგეტიკოსი
რეზო დიასამიძე ბიოლოგიის დოქტორი. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს შავი ზღვის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
ზებურ დევაძე მშენებელ-ინჟინერი
ნინო ინაიშვილი ისტორიის აკადემიური დოქტორი
ნოდარ კონცელიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ბიომრავალფეროვნების სამსახურის უფროსი
ნოდარ კახიძე ისტორიის დოქტორი
დავით მაკარაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი
სულხან მამუჭაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის ნებართვების განყოფილების უფროსი
იზოლდა მაჭუტაძე ბათუმის შოთარუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორი
ნანული ნოდაიდელი დიალექტოლოგი
ციალა ნარაკიძე ფოლკლორისტი, დიალექტოლოგი
უჩა ოქროპირიძე ისტორიის აკადემიური დოქტორი
ტარიელ ტუსკია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიური სამსახურის უფროსი
მერაბ ფუტკარაძე გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი
გიზო ფარცხალაძე ბათუმისშოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი
შუშანა ფუტკარაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნუგზარ ძნელაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი (არქიტექტორი)
მერაბ ხიმშიაშვილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბათუმის სამმართველოს უფროსი
ოლეგ ჯიბაშვილი ისტორიის აკადემიური დოქტორი
საშა ხორავა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სარჩევი

შესავალი 6

0-1 „გეგმის" მიზნები და ამოცანები, ტერიტორიული საზღვრები, შემუშავების მეთოდოლოგია და ინფორმაციული უზრუნველყოფა 8

0-2 ძირითადი ტერმინების განმარტებები 10

0-3 აბრევიატურა 17

ქედის მუნიციპალიტეტის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული და სექტორული ნარკვევი

1-1 ქედის მუნიციპალიტეტის ისტორიული მიმოხილვა 20

1-2 ქედის მუნიციპალიტეტის ადგილი რეგიონსა და ქვეყნის განსახლების სისტემაში 25

1-2.1 ქედის მუნიციპალიტეტის ადგილი რეგიონულ კონტექსტში 25

1-2.2 ქედის მუნიციპალიტეტის ადგილი ქვეყნის განსახლების სისტემაში 27

1-3 ქედის მუნიციპალიტეტის მმართველობითი და ადმინისტრაციული სტრუქტურა 27

1-3.1 ქედის მუნიციპალიტეტის მმართველობითი სტრუქტურა 27

1-3.2 ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურა 28

1-4 ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები 30

1-4.1 გეოგრაფიული მდებარეობა 30

1-4.2 კლიმატი 30

1-4.3 რელიეფი და ლანდშაფტები 31

1-4.4 ჰიდროქსელი 31

1-4.4.1 ზედაპირული მტკნარი წყლები 31

1-4.4.2 მიწისქვეშა წყლები. 32

1-4.4.4 წყალსარგებლობა 34

1-4.5 ნიადაგები 35

1-4.6 მიწის რესურსები, მიწის ფონდის სტრუქტურა (ბალანსი) 36

1-4.7 სასარგებლო წიაღისეული 36

1-4.8 ტყის რესურსები 37

1-4.9 სტიქიურ - გეოლოგიური მოვლენები 39

1-4.10 ქედის მუნიციპალიტეტის ფლორა და ფაუნა 40

1-4.11 იქტიოფაუნა 48

1-5 მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები 49

1-5.1 დემოგრაფიული სტატისტიკა 49

1-5.2 დასაქმება 52

1-5.3 ეკომიგრაცია და დევნილები 52

1-6 განსახლების სისტემა და დასახლებათა ტიპოლოგია 53

1-6.1 განსახლების სისტემა 53

1-6.2 დასახლებათა ტიპოლოგია 54

1-7. საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა 58

1-7.1 ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 58

1-7.2 ჰიდროენერგეტიკა 60

1-7.3 ელექტრომომარაგება 61

1-7.4 წყალსადენ-კანალიზაციისა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურა 61

1-7.5 გაზმომარაგება 62

1-8 ეკონომიკა 62

1-9 სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება 65

1-10 მუნიციპალიტეტის საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი და ტურიზმი 76

1-10.1 საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი 76

1-10.2 ტურიზმი 77

1-11 კულტურა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა 86

1-11.1 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები 87

1-11.2 კულტურა 91

1-12 განათლება და მეცნიერება 93
1-12.1 სკოლამდელი აღზრდა 93
1-12.2 სრული ზოგადი განათლება 94
1-13 ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა 100
1-14 ინფორმაციული უზრუნველყოფა და SWOT ანალიზი 104
1-15 დასკვნები 112

ქედის მუნიციპალიტეტის ხედვა

2-1 ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის (დოკუმენტის) რაობა და შემადგენლობა 118
2-2 ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები 119
2-3 განვითარების შეზღუდვები 122
2-3.1 სახელმწიფო საზღვარი 123
2-3.2 ბუნებრივ-გეოგრაფიული 124
2-3.3 გარემოსდაცვითი შეზღუდვები 124
2-3.4 საკურორტო-სანიტარიული შეზღუდვები 126
2-3.5 ძეგლთადაცვითი 127
2-3.6 ინფრასტრუქტურული 128
2-3.7 სპეციალური 128
2-4 განსახლების სტრუქტურა და განვითარების ცენტრების იერარქია 130
2-4.1 განსახლების სტრუქტურა 130
2-4-2. განსახლების ''სამხრეთის ღერძის'' ფორმირება 130
2-4.3 საცხოვრისი და სოციალური ინფრასტრუქტურა 135
2-4.4 დასახლებათა ტიპოლოგია 136
2-4.5 განვითარების ცენტრებ 137
2-5 ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითად გეგმარებითი ღერძები 141
2-5.1 სივრცის კატეგორიები 142
2-5.2 ინფრასტრუქტურა 144
2-5.2.1 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პრინციპები და მიმართულებები 144
2-5.2.2 საინჟინრო ინფრასტრუქტურა 145
2-5.2.3 ენერგეტიკა 145
2-6 სოფლის მეურნეობა 146
2-7 გარემოს დაცვა და კულტურული მემკვიდრეობა 149
2-7.1 ბუნებრივი რესურსები 149
2-7.2 დაცული ტერიტორიები, ბიომრავალფეროვნება და ლანდშაფტები 149
2-7.3 ბუნებრივი კატასტროფების მართვა, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია 150
2-7.4 კულტურული მემკვიდრეობა 151
2-8 ტურიზმი 151
2-8.1 ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება 151
2-8.2 სტატუსის მინიჭება ან გაზრდა 155
2-9 დეტალური გეგმარებითი ერთეულობი 156

საზოგადოებრივი ჩართულობა

3-1 საზოგადოებრივი ჩართულობის სტრატეგია 162
3-1.1 სტრატეგია 162
3-1.2 ჩართულობის გეგმა ეტაპების მიხედვით: 163
3-1.3 დაინტერესებული სუბიექტების ანალიზი 165

სქემები

სქემა 0-1. ქედის მუნიციპალიტეტის გეგმა
სქემა 1-1. ბალტიის ზღვის, ხმელთაშუაზღვის და შავი ზღვის სტრატეგიები
სქემა 1-1. საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის E კატეგორიის სატრანსპორტო ქსელი.
სქემა 2–1 დამცავი ზონების სტრუქტურა

სქემა 2-2 საგზაო ინფრასტრუქტურის ინტენსივობა გზების რეაბილიტაციამდე 2006 წელი
სქემა 2-3 საგზაო ინფრასტრუქტურის ინტენსივობა გზების რეაბილიტაციის შემდეგ 2010 წელი

ცხრილები

ცხრილი 0-1. აჭარის ა.რ.- ს ქალაქებისა და დაბების მოსახლეობის საპროგნოზო მაჩვენებლები
ცხრილი 1-1. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.
ცხრილი 1-2. ქედის მუნიციპალიტეტის მინერალურ-რესურსული კომპლექსი
ცხრილი 1-3. ქედის მუნიციპალიტეტში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და მადანგამოვლინებები
ცხრილი 1-4. ქედის მუნიციპალიტეტში სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონები და რისკფაქტორიანი უბნები
ცხრილი 1-5. ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს სახეობების ნუსხა
ცხრილი 1-6. აჭარისწყლის აუზზე ჩატარებული თევზის ინვენტარიზაციის ცხრილი
ცხრილი 1-7. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 1989- 2002-2021 წწ.
ცხრილი 1-8. ქედის მოსახლეობის განაწილება სქესის, ქორწინების მდგომარეობისა და ასაკის მიხედვით 15 წლის და უფროსი ასაკისათვის ქვეყნის კონტექსტში
ცხრილი 1-9. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით
ცხრილი 1-9. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით
ცხრილი 1-10. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში
ცხრილი 1-11. გარდაცვლილთა რიცხოვნობა ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში
ცხრილი 1-12. ბუნებრივი მატება ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში
ცხრილი 1-13. რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვი ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში
ცხრილი 1-14. განქორწინებულთა რიცხვი ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში
ცხრილი 1-15. რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობა - სტატისტიკა რეგიონების მიხედვით (17.09.2015 წ. მდგომარეობით)
ცხრილი 1-16. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა
ცხრილი 1-17. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულთა დაყოფა მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით
ცხრილი 1-18. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისა და მათში შემავალი სოფლების მოსახლეობის რიცხოვნობა სქესის მიხედვით
ცხრილი 1-19. ქედის მუნიციპალიტეტის სარწყავი არხები
ცხრილი 1-20. ქედის მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლების ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯვის ტენდენცია
ცხრილი 1-21. ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ
ცხრილი 1-22. ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა და სამომავლო პოტენციალი
ცხრილი 1-23. ქედის მუნიციპალიტეტის მეცხოველეობისა და მეფრინველეობის შესახებ სასოფლო დასახლებებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ჭრილში
ცხრილი 1-24. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერული მეურნეობის რაოდენობა
ცხრილი 1-25. ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ
ცხრილი 1-26. ქედის მუნიციპალიტეტის საკურორტო ადგილების ნუსხა
ცხრილი 1-27. ქედის მუნიციპალიტეტის ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები
ცხრილი 1-28. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები
ცხრილი 1-30. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მონაცემები
ცხრილი 1-31. აჭარაში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა რეგიონულ ჭრილში 2014 წლის მონაცემების მიხედვით
ცხრილი 2-1. საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის მანძილები და გადაადგილების დრო

რუქები

სივრცითი კატეგორიები (არსებული მდგომარეობა)
განსახლება და მოსახლეობის სიმჭიდროვე
სარეკრეაციო,საკურორტო, ტურიზმისა და კულტურის ობიექტები და მათი დაცვის ზონები (არსებული მდგომარეობა)
საინჟინრო სატრანსპორტო კომუნიკაციები (არსებული მდგომარეობა)
წყალის რესურსები და წყალშემკრები ტერიტორიები
ნიადაგები, მოწყვლადი და დეპრესიული ტერიტორიები
სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიები
სოციალური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

გეგმარებითი შეზღუდვები, კონფლიქტები
სივრცითი კატეგორიები (ხედვა)
საინჟინრო სატრანსპორტო კომუნიკაციები (ხედვა)
სარეკრეაციო,საკურორტო, ტურიზმისა და კულტურის ობიექტები და მათი დაცვის ზონები (ხედვა)
დაბა ქედა
დანდალო
ზვარე
მახუნცეთ
მერისი
ოქტომბერი
პირველი მაისი
ცხმორისი
წონიარისი

შესავალი

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა (შემდგომ - „გეგმა“) შემუშავდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №86 განკარგულებით დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის“ გეგმარებითი დავალების საფუძველზე.

„გეგმარებითი დავალება“, თავის მხრივ, შედგენილია საქართველოს კანონის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ (შემდგომ - „კანონი“) მე-7, მე-9, მე-17 და 22-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებთან შეთანხმებისა და წინასწარ ჩატარებული კვლევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ რატიფიცირებული მრავალმხრივი თუ ორმხრივი საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და სივრცითი მოწყობის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის გათვალისწინებით.

2021 წლის კორექტირება ითვალისწინებს მოძველებული მონაცემების განახლებას და ახალად გამოვლენილი ქალაქთმშენებლობით გარემოებების ასახვას დოკუმენტში. ასევე აღნიშნული კორექტირებით „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითმოწყობის გეგმა, მოყვანილია 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული, საქართველოს კანონი - სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ამრიგად, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების საფუძველია:
- საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ (2005 წ.):
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 ტექნიკური რეგლამენტის - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულეირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების საფუძველზე:
- კანონმდებლობით დადგენილი წესით დაბა ქედის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის გეგმარებითი დავალება;
- ქალაქთმშენებლობით სფეროსთვის აუცილებელი და გასათვალისწინებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები, კონცეფტუალური და კვლევითი ხასიათის დოკუმენტაცია, ანალოგიური გეგმარებითი სამუშაოების გამოცდილება.
ზემოხსენებულის კონტექსტში, ხაზგასასმელია, რომ „გეგმის“ შემუშავებას ხელს უწყობს „აჭარის ა.რ სივრცითი მოწყობის სქემის“ არსებობა.
„გეგმის“ ორგანული ნაწილი უნდა გახდეს, ასევე, ის მსხვილმასშტაბური ნაციონალური, რეგიონული თუ ტრანსრეგიონული პოლიტიკები, პროექტები და პროგრამები (PPP), რომლებიც განხორციელდა, ხორციელდება ან იგეგმება ქედის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში.
„გეგმარებითი დავალება“ აყალიბებს „გეგმის“ ძირითად მიზანსა და ამოცანებს; განსაზღვრავს მის ტერიტორიულ ფარგლებს; აგრეთვე - ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და სხვა სისტემამაფორმირებელ პირობებს.
საქართველოს კანონის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ თანახმად ტექსტურ ფორმასთან ერთად, დადგენილ კარტოგრაფიულ სტანდარტებში შესრულდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის გრაფიკული ნაწილიც. ამავდროულად, „გეგმის“ მთლიანი მოცულობა შესრულდა ელექტრონულ ვერსიის ფორმატში, რაც უზრუნველყოფს მისი განუწყვეტელი კორექტირების შესაძლებლობას დროის რეალურ რეჟიმში.

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა არის შუალედური დონე ქვეყნის დაგეგმვისა და დასახლებათა დაგეგმვის დონეებს შორის, რომელიც ერთი მხრივ, აკონკრეტებს ქვეყნის დაგეგმვის მთავარ მიზნებს, მეორე მხრივ კი, მისი ამოცანაა ცალკეული რაიონების მიერ დაგეგმვის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების კოორდინირება ქვეყნის დაგეგმვის მიზნებთან.

ამგვარად, „გეგმა“ მოიაზრება ინტეგრირებულ დოკუმენტად, რომელიც აყალიბებს ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების ხედვასა და პოლიტიკას, აგრეთვე თავს უყრის, აჯერებს დარგობრივ (სექტორულ) გეგმებს, პროექტებს და უზრუნველჰყოფს მათს ჰარმონიზებას „გეგმის“ ფორმატში.

აღსანიშნავია, რომ „გეგმა“ არ უნდა განვიხილოთ როგორც „განვითარების“ ან თუნდაც „საინვესტიციო“ გეგმა. „გეგმის“ საშუალებით განისაზღვრება ტერიტორიის გამოყენების გარკვეული მიმართულებები (მაგალითად:

ბუნების დაცვა, დასახლებათა, კომუნიკაციების ან ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა). ამასთანავე, აღნიშნული დოკუმენტი ვერ ჩაანაცვლებს კონკრეტულ დარგობრივ პოლიტიკას. ანუ, „გეგმა“ არის მდგრადი განვითარების ერთგვარი სტრატეგიული პლატფორმა, სადაც ხდება სივრცით განვითარებაზე ზემოქმედების უნარის მქონე სექტორების შეთანხმება.

ზემოთ აღინიშნა, რომ „გეგმა" წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დოკუმენტს. სივრცითი მოწყობის რეტროსპექტივის თვალსაზრისით, საბჭოთა პერიოდში საქართველოს სსრ უზრუნველყოფილი იყო სივრცითი მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციით, რომლის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური დოქტრინა, გეგმიური ეკონომიკა, მიწაზე სახელმწიფო საკუთრება.

1976-1978 წლებში, საპროექტო ინსტიტუტ “საქქალაქმშენსახპროექტში” შემუშავდა „1991-2001 წლების პერიოდამდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განსახლების რეგიონული გეგმა“. (პროექტის მთავარი არქიტექტორი - ბ. გაბუნია). რეგიონული გეგმა წარმოადგენდა „სსრკ ტერიტორიაზე განსახლების გენერალური სქემის" განვითარება-დეტალიზებას; იგი უკავშირდებოდა საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების ძირითად მიმართულებებს და ტერიტორიულ განაწილებას.

იმდროინდელი ქალაქგეგმარებითი დოქტრინის შესაბამისად, განსახლების სისტემაში გამოიყო ე.წ. „დასახლებათა ჯგუფური სისტემები“ (დჯს) რომელთა შორის ბათუმის დჯს-ც იყო. მოსახლეობის მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით, ინიშნებოდა დჯს-ს ქვეცენტრები; აჭარაში ამგვარ ქვეცენტრად ქობულეთი და შუახევი მოიაზრებოდა. ბათუმის დჯს-ს ჩამოყალიბება 1991 წლისთვის უნდა დასრულებულიყო. რეგიონულ სქემაში მოყვანილი იყო აჭარის ა.რ.-ს ძირითადი დასახლებების მოსახლეობის საპროგნოზო რაოდენობა (იხ. ცხრილი 0-1).

ცხრილი 0-1. აჭარის ა.რ.- ს ქალაქებისა და დაბების მოსახლეობის საპროგნოზო მაჩვენებლები

დასახლება	მოსახლეობის რაოდენობა (ათასი კაცი)			
	1976 წ.	1991 წ.	2001 წ.	2021 წ.
ბათუმი	116,5	150,0	160,0	169,1
ქობულეთი	18,8	30,0	35,0	17,2
ქედა	0,5	3,5	5,0	1,3
ოჩხამური	4,8	5,0	6,0	3,7
ხელვაჩაური	3,7	8,0	10,0	-
ხულო	1,2	5,0	7,0	0,9
ჩაქვი	6,4	8,0	9,0	7,6
შუახევი	0,3	3,0	5,0	0,7

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების (1991 წ.) შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო, აჭარის ა.რ.-ს რაიონული დაგეგმარების დიდი ნაწილის განხორციელება ვერ მოხერხდა. ამასთან ერთად, რადიკალურად შეიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები; ქვეყნის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული პრინციპები შეცვალა საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელმა ძალებმა.

2004 წლის შემდეგ, აჭარის ა.რ. ქვეყნის განვითარების პოლიტიკის ცენტრში მოექცა. შესრულდა მთელი რიგი პროექტები და პროგრამები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა აჭარის რეგიონის თანამედროვე ხედვებზე ორიენტირებული მდგრადი განვითარება და ეფექტური მართვა. ჩატარდა მიწის კადასტრის სამუშაოები, გაუმჯობესდა საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, გაფართოვდა დაცული ტერიტორიების წრე და ნომენკლატურა, თვითმმართველი ქალაქი ბათუმი აღიჭურვა „ახალი თაობის“ ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით, ჩაისახა და ამოქმედდა უძრავი ქონების (მიწის ჩათვლით) ბაზარი, ახალ საფუძველზე ჩამოყალიბდა ტურისტული ინდუსტრია.

0-1 „გეგმის” მიზნები და ამოცანები, ტერიტორიული საზღვრები, შემუშავების მეთოდოლოგია და ინფორმაციული უზრუნველყოფა

„გეგმის“ მიზანი და ამოცანები

„გეგმის“ ძირითად მიზანს წამოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების სივრცით-ტერიტორიული და ფუნქცურ-გეგმარებითი წინაპირობების უზრუნველყოფა მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში; ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიისათვის სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტების დადგენა, მათ შორის:

- მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნა;
- მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური ზრდა;
- კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ტურიზმის განვითარება;

„გეგმის“ ძირითადი მიზნების თანხმლებ მიზნებს შეადგენს:

ძირითადი მიზნის მისაღწევად, „გეგმის“ შედგენისას სახელმძღვანელოდ იყო მიღებული სივრცითი წესრიგის საყოველთაოდ აღიარებული შემდეგი პრინციპები:

- ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული გააზრება განსახლების ერთიან ნაციონალურ სისტემაში;
- ქედის მუნიციპალიტეტის განხილვა რეგიონული ფუნქციურ-გეგმარებითი განვითარების კონტექსტში;
- ურბანიზაციის პროცესის მიზანდასახული მართვა;
- ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის, მისი დასახლებული და დაუსახლებელი ზონების ერთიან, გაწონასწორებულ სისტემად ჩამოყალიბება;
- ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული განვითარების ტერიტორიული გათანაბრების ტენდენციის ხელშეწყობა;
- ეკონომიკური განვითარების კერების (ზონების) სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით ჩამოყალიბების გეგმარებითი პირობების გათვალისწინება;
- საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების, ქედის მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა;
- ადამიანთა მრავალმხრივი ცხოველქმედობისათვის ჯანსაღი, კომფორტული, ესთეტიკური, უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა;
- ნიადაგის, ჰიდროქსელის საჰაერო აუზის, ფლორისა და ფაუნის მდგომარეობის გაუმჯობესება, დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება;
- ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კომპლექსური ქალაქთმშენებლობითი შეფასება და განვითარების შეზღუდვების დადგენა;
- საჯაროობა, სივრცით მოწყობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა და აპელაციის უფლება;

„გეგმის“ შედგენისას ასევე სახელმძღვანელოდ იყო მიღებული „გეგმარებითი დავალებით“ განსაზღვრული შემდეგი პრინციპები:

- დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს დასახლებათა ტერიტორიების განახლებასა და ინტენსიფიკაციას;
- უზრუნველყოფილ იქნეს ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების სტრუქტურასთან; მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დაცული იქნეს პარიტეტულობა კომუნიკაციების ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით;
- დასახლებათა განვითარება ორიენტირებულ იქნეს ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებაზე; სატრანსპორტო მომსახურების ეფექტიანობა გაიზარდოს ადეკვატური სატრანსპორტო არტერიებისა შექმნით; პრიორიტეტი მიენიჭოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას;
- უზრუნველყოფილ იქნეს დასახლებათა, მათ შორის საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრების გეგმარებითი სრულყოფა; მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს მუნიციპალიტეტის ფარგლებში ახალი აქტიურად განვითარებადი ბირთვის შესაძლო წარმოშობას, შემდგომში მნიშვნელოვან ცენტრად ჩამოყალიბების მიზნით;
- გაიზარდოს დაბა ქედის კონკურენტუნარიანობა ინვესტიციების მოზიდვისა და დასაქმების უზრუნველსაყოფად;
- სასოფლო დასახლებები განვითარდეს ინტენსიურად, ქალაქებთან და დაბებთან თანაბარუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე;

– შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემა; უზრუნველყოფილ იქნეს ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება და დაცვა;
– მაქსიმალურად შემსუბუქდეს ინფრასტრუქტურის გავლენა გარემოზე; ინფრასტრუქტურას ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი იმ ტერიტორიებისათვის, სადაც განთავსებულია;
– კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა განხილულ იქნეს, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი;
– შენარჩუნდეს და განვითარდეს სარეკრეაციო ტერიტორიები;
– უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა დარგობრივი გეგმების და დაგეგმვის სხვადასხვა იერარქიულ დონეებზე შესრულებული გეგმების თავსებადობა;
– სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს საჯაროობა;
– ტერიტორიის ჯეროვანი განვითარებისა და ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით, ხელი შეეწყოს სახელმწიფო და კერძო სუბიექტების ინტერესების ურთიერთშეთანხმებას.
–

„გეგმის“ ტერიტორიული საზღვრები

„გეგმა“ შემუშავდა ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. სქემა 0-1

კონკრეტული ტერიტორიული საზღვრების არსებობის მიუხედავად, „გეგმა“ ითვალისწინებს იმ ტრანსლოკალურ ფუნქციურ-გეგმარებით რეალიებს, რომლებიც არსებობს ან იგეგმება საქართველოს მეზობელ რეგიონებში.

სქემა 0-1. ქედის მუნიციპალიტეტის გეგმა



მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს „გეგმის“ შემუშავების პროცესში საჯაროობის უზრუნველყოფა.
ზემოხსენებული მეთოდოლოგიური პირობების გათვალისწინებით, წინამდებარე „გეგმა“ ეფუძნება ინფორმაციის მრავალფეროვან წყაროებს. ამ წყაროებს შეადგენს:
– მოქმედი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები;
– ადრე ჩატარებული ანალიზური დოკუმენტები;
– სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია;
– მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალები;
– სამეცნიერო კვლევები, ანგარიშები და პუბლიკაციები;
– საერთაშორისო პრაქტიკა;
– საპროექტო დოკუმენტაცია;
– ექსპერტთა შეფასებები, რეკომენდაციები, დასკვნები და ა.შ.

0-2 ძირითადი ტერმინების განმარტებები

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემის“, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტის, სტატუსიდან გამომდინარე, მასში გამოყენებულ სპეციალურ ტერმინებს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი დატვირთვა. ამის გამო, სპეციალური ტერმინები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმულირებითა და მნიშვნელობით. ცნება-ტერმინების ნომენკლატურა და/ან სამეცნიერო სფეროში აპრობირებულ ფართო დიაპაზონშია მოცემული, რაც ინტერდისციპლინური პლატფორმის შექმნას და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების საერთო კატეგორიებით აზროვნებასა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას ემსახურება. ქვემოთ მოყვანილია ძირითადი ტერმინები სექტორების (სფეროების) მიხედვით.

სივრცითი მოწყობა და ქალაქთმმშენებლობა.

1. **სივრცითი მოწყობა** – ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის კანონმდებლობის, ამ დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობის ერთობლიობით განსაზღვრული პირობები და პროცესები;

2. **ქალაქთმშენებლობა** – ქალაქგანვითარება (ურბანული განვითარება); დასახლებათა (მათ შორის, სასოფლო დასახლებათა) ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის კანონმდებლობის, ამ დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობის ერთობლიობით განსაზღვრული პირობები და პროცესები;

3. **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა** – საქმიანობა, რომელიც არეგულირებს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, მიწათ- სარგებლობის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეკრეაციის სივრცით-ტერიტორიული პირობების, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს;

4. **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის განმახორციელებლები** – დაგეგმვაზე უფლებამოსილი უწყებები, ფიზიკური და იურიდიული პირები;

5. **განსახლება** – მოსახლეობის, ეკონომიკური და სხვა სახის აქტივობის გადანაწილება ქვეყნის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონის, რაიონის, დასახლების ტერიტორიაზე;

6. **დასახლება** – განსახლების განსხვავებული ფორმების (ტიპების) საერთო სახელწოდება (ქალაქი, დაბა, ტერიტორიალური ერთეული, სოფელი);

7. **გეგმარებითი რეგიონი** – ისტორიულ-კულტურული ან/და ეკონომიკური ნიშნით გაერთიანებული, ან/და სპეციალური სივრცით-ტერიტორიული ამოცანების გადასაწყვეტად ფორმირებული რაიონების ტერიტორიების ერთობლიობა;

8. **ინფრასტრუქტურა** – საინჟინრო-ტექნიკური და სოციალური მომსახურების, ასევე საკომუნიკაციო ობიექტების, ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობა;

9. **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია** – ამ კანონით განსაზღვრული წესით შემუშავებული, შეთანხმებული და დამტკიცებული დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ტექსტურ და გრაფიკულ ინფორმაციას;

10. **მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა** – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს;

11. **სარეკრეაციო ტერიტორია** – საქართველოს დასახლებული ან/და დაუსახლებელი ტერიტორია, რომლის განვითარების ძირითადი პოტენციალია ტურიზმი და რეკრეაცია და რომელიც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ბუნებრივ და კულტურულ კომპლექსებს, ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა დასვენებისათვის, მათი რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;

12. **გეგმარებითი დავალება** – დაგეგმვაზე უფლებამოსილი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

13. არქეოლოგიური ობიექტი – 100 ან მეტი წლის წინ ნაწილობრივ ან სრულად განამარხებული ან წყალქვეშ მოქცეული ნაშთი, კულტურული ფენა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად ან რომელსაც ატყვია ადამიანის ზემოქმედების კვალი;

14. კულტურული მემკვიდრეობა:

მატერიალური – ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან;

არამატერიალური – ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათ-წესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, ურბანონიმიკა, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად;

15. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (ძეგლი):

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული უძრავი ან მოძრავი ნივთი), რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი;

კომპლექსური ძეგლი – ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულია და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი;

16. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა (დამცავი ზონა) – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში ამ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაა, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა დაიცვას არასასურველი ზეგავლენისაგან;

17. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;

18. კულტურული ფასეულობა – შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება;

19. უძრავი ძეგლის ტერიტორია – უძრავ ძეგლზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – უძრავი ძეგლის მიერ უშუალოდ დაკავებული ტერიტორია.

წყლის რესურსები, წიაღისეული

20. წყალსარგებლობა – წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის, ტევზჭერის ხანძრის ჩაქრობის და საავარიო სამაშველო სამუშაოების ჩატარების და სხვა მიზნებისთვის ტექნიკური საშუალებებით ან მატ გარეშე და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე ყლების ჩაშვება;

21. წყალმოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი;

22. წყალაღება – წყლის ზედაპირული ან მიწისქვეშა ობიექტებიდან წყლის გარკვეული რაოდენობის ამოღება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან უამისოდ;

23. წყალჩაშვება – სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სადრენაჟო, სანიაღვრე და სხვა წყლების ორგანიზებული ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში;

24. ტრანსსასაზღვრო წყლები – ნებისმიერი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, რომლებიც აღნიშნავენ, კვეთენ საზღვარს სახელმწიფოებს შორის, ან მიედინებია ასეთ საზღვრებზე

25. საქართველოს შიგა წყლები – ხმელეთის ზედაპირზე არსებული გაუმდინარე ან გამდინარე წყლები და მიწისქვეშა წყლები; შიდა წყლები მოიცავს მდინარეებსა და ტბებს, წყალსაცავებს, სხვა ბუნებრივ და ხელოვნურ ზედაპირულ წყალსატევებს, არხებს და ტბორების წყლებს, აგრეთვე მყინვარებსა და თოვლის მუდმივ საფარს და ჭაობებს;

26. მიწისქვეშა წყლები – დედამიწის ქერქის ზედა ნაწილის ქანებში თხევად, მყარ და აირად მდგომარეობაში არსებული წყალი, რომელიც გავრცელებულია ფხვიერ, ფორიან და ნაპრალოვან ქანებში, აგრეთვე, კარსტულ სიცარიელეებში;

27. საქართველოს ტერიტორიული წყლები – შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და რომელიც აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა;

28. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა – საზღვაო რაიონი, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან,რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანეც არ აღემატება 200 საზღვაო მილს;

29. საქართველოს კონტინენტური შელფი – ზღვის ფსკერი და წყალქვეშა რაიონის წიაღი, რომელიც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების მთელ მანძილზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზე, ან ვრცელდება არა უმეტეს 200 საზღვაო მილისა იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე;

30. კონტინენტური შელფის რესურსები – ზღვის ფსკერზე და მის წიაღში არსებული წიაღისეული და სხვა არაცოცხალი რესურსები,ზღვის ცხოველთა სამყაროს ის ობიექტები და სხვა ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც მათი სარეწაო მოპოვებისათვის განსაზღვრულ პერიოდში მიმაგრებულნი არიან ზღვის ფსკერზე ან წიაღში, ან შეუძლიათ გადაადგილდნენ მხოლოდ ზღვის ფსკერზე ან მის წიაღში;

31. წიაღი – მიწის ზედაპირის, ნიადაგის და წყალსატევების ფსკერის ქვეშ არსებული ან ხმელეთის ზედაპირზე გაშიშვლებული დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით ხელმისაწვდომია შესასწავლად და გამოსაყენებლად;

32. წიაღისეული – წიაღში არსებული ბუნებრივი ან ტექნოგენური წარმონაქმნები ან/და მათი ერთობლიობა;

33. სასარგებლო წიაღისეული – დაძიებული წიაღისეული, რომლის მოპოვება და გადამუშავება მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონეზეა შესაძლებელი, ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მისაღებია;

34. სასარგებლო წიაღისეულის საბადო – წიაღის გარკვეულ ფარგლებში ბუნებრივად ან ტექნოგენურად კონცენტრირებული სასარგებლო წიაღისეული;

35. სამთო მინაკუთვნი – წიაღით სარგებლობის ლიცენზიით სივრცობრივად განსაზღვრული წიაღის უბანი,რომლის ფარგლებშიც წიაღით მოსარგებლეს ეძლევა წიღაით სარგებლობის უფლება;

36. გეოლოგიური მინაკუთვნი – წიაღის უბანი, რომლის სარგებლობაში გადაცემა ხდება მხოლოდ წიაღის მარაგის შესწავლის მიზნით;

37. მდგრადი განვითარება – საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც გარემოს დაცვისა და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას-ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი;

38. მდგრადი განვითარების პრინციპები – პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებულ გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის, "21 - ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ 21-ის" და "ტყეების დაცვის,მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების" დასკვნით დოკუმენტებში.

გარემოს დაცვა

39. **გარემო** – ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილ (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

40. **ბუნებრივი გარემო** – გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს;

41. ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემო – გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ გარემოს, სახეცვლილ და შერეული ტიპის ეკოსისტემებს, ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

42. გარემოს დაცვა – ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ- სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას;

43. ბუნებრივი რესურსები – ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ბუნებრივი ელემენტები;

44. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვა – ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირება, აღრიცხვა, ლიცენზირება, ზედამხედველობა და კონტროლი;

45. გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემა – გარემოს დაბინძურების რეგულირების ისეთი სისტემა, რომელიც ეფუძნება დაბინძურების აკუმულირების უნარის მქონე გარემოს ძირითადი კომპონენტების - მიწის, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინტეგრირებულ (კომპლექსურ) კონტროლს;

46. საუკეთესო ტექნოლოგია – გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სუკეთესო, გამოყენებადი და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურია გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე შემცირების ან გარდაქმნის თვალსაზრისით; შესაძლოა არ იყოს ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მისი ათვისება, დანერგვა და გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით; შესაძლოა ეკონომიკურად არ განაპირობებდეს მნიშვნელოვნად მაღალი ღირებულების ხარჯზე ზღვრული გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების მიზანშეწონილობას, მაგრამ იგი, ამავე დროს, ეკონომიკური თვალსაზრისით ხელმისაწვდომია საქმიანობის სუბიექტისათვის;

47. საუკეთესო ტექნიკა – საუკეთესო ტექნოლოგია და მისი მართვის, ორგანიზაციის, ზედამხედველობის, კონტროლის მეთოდები და განხორციელების საშუალებები:

48. **ბიომრავალფეროვნება** – ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში;

49. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია – ეკოლოგიურად უსაფრთხო ნედლეულისაგან რესურსთდამზოგველი და საუკეთესო ტექნოლოგიითა და ტექნიკით წარმოებული პროდუქცია;

50. გარემოს დაცვის სამენეჯმენტო სისტემა – საქმიანობის ობიექტის მართვის სისტემისა და ბიზნეს-სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების საკითხებთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ, ობიექტების ფუნქციონირების ყველა ასპექტს (გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმის, გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ორგანიზაციისა და კადრების, გარემოს დაცვის ნორმების რეესტრის ჩათვლით).

დაცული ტერიტორიები

51. ანთროპოგენური ზემოქმედება – ადამიანის, საზოგადოების მხრიდან სასიცოცხლო გარემოზე გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი გარდამქმნელი შემოქმედება, რასაც უმეტესწილად მოსდევს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და ბუნებრივი რესურსების აღუდგენელი განადგურება;

52. აღკვეთილი - შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას – ჰაბიტატების /სახეობების მართვის ტერიტორია (Habitat /Species Managment Area);

53. ბიოგეოგრაფიული ერთეულები – ლანდშაფტის, ფლორისა და ფაუნის მიხედვით დარაიონების ერთეულები;

54. ბიომი - ბიოგეგრაფიული დარაიონების ერთეული;

55. ბუნების ძეგლი – შეესატყვისება ბუნების დაცვის სერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორიას – ბუნების ძეგლი. (Natural Monument);

56. დამახასიათებელი პეიზაჟი – სხვადასხვა რეგიონის ბუნებრივი და ისტორიული კულტურული ლანდშაფტების ტიპების ვიზუალური იერსახე.

57. დაცული ლანდშაფტი – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების V კატეგორიას - დაცული ლანდშაფტი (Protected Lahdscape);

58. დაცული ტერიტორია – ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შესანარჩუნებლად ანსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელი - ბიოსთფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის, დაკვირვების,ზრუნვისა და ფინანსური ხელშეწყობის სტატუსის მქონე დაცული ტერიტორიების ქსელები;

59. დაცული ტერიტორიების სისტემა – დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიებისაგან აგებული ქსელი, რომელიც ფუნქციონირებს და იმართება, როგორც ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების ერთიანი სისტემა;

60. ეროვნული პარკი – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას - ეროვნული პარკი (National Park);

61. ვიზიტორი – დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის პერსონალის გარდა ამ ტერიტორიაზე კანონით განსაზღვრული წესით დაშვებული პირი;

62. თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემო – მრავალფეროვანი, ხელუხლებელი და ნაკლებად სახეშეცვლილი ბუნებრივი გარემო და მისი მრავალსაუკუნოვანი ათვისების შედეგად ჩამოყალიბებული და

მასთან შერწყმული ისტორიულ-კულტურული გარემო, რომელიც გამოირჩევა ეკოლოგიური წონასწორობით, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით და რაციონელური სამეურნეო გამოყენებით;

63. ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტი – ანთროპოლოგიური წარმოშობის ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ან მისი რომელიმე პერიოდის მატერიალურად ამსახველი ლანდშაფტი, რომელიც გამოირჩევა ეთიკურ-ესთეტიკური და სხვა კულტულური ღირებულებით. მანიპულაციები - მეცნიერული კვლევისა და მოვლა-პატრონობის აქტიური ქმედება და საქმიანობა, კერძოდ, ბუნებრივი მასალის მოპოვება, ლაბორატორიებისა და საცდელი სადგურების მოწყობა, ცხოველთა სახელბების ინტროდუქცია, რეინტროდუქცია, ტრანსლოკაცია, სანიტარული და სხვა მოვლითი და აღდგენითი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები და სხვა;

64. მენეჯმენტის გეგმა – ტერიტორიის ფუნქციონალურ-გეგმარებითი ორგანიზაციისა და ეკონომიკური დაგეგმვის ინტეგრალური, განხორციელებად ღონისძიებებზე ორიენტირებული, დოკუმენტი;

65. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას - რესურსების მართვის დაცული ტერიტორია (Managed Resource Protected Area).

ტურიზმი და კურორტები

66. ტურიზმი – ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და/ან სხვა მიზნით.

78. ტურისტი – ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით მოგზაურობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, გაჯანსაღების, საქმიანი ან სხვა მიზნით, არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს ერთი წლის ვადით, და რომლის მოგზაურობაც არ ანაზღაურდება დროებითი ყოფნის ადგილის საფინანსო წყაროებიდან;

68. სამკურნალო ტურიზმი – კურორტების გამოყენება მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად;

69. ტურისტული რესურსები – ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსების და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს;

70. ბუნებრივი სამკურნალო (საკურორტო) რესურსები – მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები, სამკურნალოდ ვარგისი კარსტული მღვიმეები. ზღვა, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც გამოიყენება მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით.

71. საკურორტო ადგილი – ტერიტორია, რომელიც შეიცავს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს, ვარგისია მიზნობრივი ექსპლუატაციისათვის და არ აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობანი;

72. კურორტი – საკურორტო ადგილი, რომელზეც განლაგებულია სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულება, ნაგებობა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები;

73. კურორტზე არსებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტი – ობიექტი, სადაც დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურება, მკურნალობა და რეაბილიტაცია ხორციელდება უპირატესად ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების (კლიმატი, მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახი და სხვა) საშუალებით;

74. სანიტარიული დაცვის ზონა – საქართველოს კანონმდებლობით განსაკუთრებით დაცული ტერიტორია, რომელიც საჭიროებს დაცვას ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ნაადრევი გამოლევის, გაფუჭებისა და დაბინძურებისაგან;

75. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტი (დარგის სუბიექტი) –ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ტურისტულ და საკურორტო საქმიანობას;

76. ტურისტული საქმიანობა – ტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ ტურისტთა განთავსების, კვების, ტურ-ოპერატორული.ტრანსპორტირების, საექსკურსიო, გასაჯანსაღებელი, რეაბილიტაციის, სარეკლამო-საინფორმაციო, კულტურული, სპორტული, საყოფაცხოვრებო, გასართობი და ა.შ. მიზნით გაწეული მომსახურება, რომელიც მიმართულია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

77. საკურორტო საქმიანობა – ბუნებრივი სამკურნალო რესურსების, მათი სარგებლობისათვის აუცილებელი ნაგებობებისა და მოწყობილობების (ჭაბურღილი, ბიუვეტი, გალერეა, სააბაზანო, ტალახით სამკურნალო, პლაჟები, კლიმატური პავილიონი, აეროსოლარიუმი და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (სანატორიუმი, სასტუმრო, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, სპორტული და კულტურის ობიექტები და სხვა) გამოყენების ორგანიზება პროფილაქტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების მიზნით;

78. ტურისტული და საკურორტო ინდუსტრია – ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტებისა და ობიექტების ერთობლიობა;

79. ტურისტული პროდუქტი, ტურისტული მომსახურების პაკეტი (შემდგომში – პაკეტი) – ტურისტული მომსახურების ძირითად ფორმათა (კვება, ღამის თევა განთავსების სხვადასხვა საშუალებებში, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსიები, ტურისტული ღაშქრობები და ა.შ.) არანაკლებ ორი კომპონენტისაგან შემდგარი

კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რომლის ღირებულება შედის ტურისტული საგზურის ფასში;

80. ტურისტული საგზური (ვაუჩერი) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ტურისტის სტატუსს, მისთვის გასაწევი მომსახურების კატეგორიას და ამ კატეგორიით მომსახურების გარანტიას;

81. ტური – კონკრეტული ვადით, განსაზღვრული მიზნითა და მარშრუტით მოგზაურობა, რომელიც უზრუნველყოფილია ტურისტული პროდუქტით;

82. არაორგანიზებული ტურისტი – ტურისტი, რომელიც მოგზაურობს ინდივიდუალურად ხელშეკრულების, საგზურის, სამარშრუტო წიგნაკის გარეშე;

83. შიდა ტურიზმი – საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის გაწეული ტურისტული მომსახურება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის საზღვრებში;

84. ტუროპერატორი – იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის ფორმირებასა და რეალიზაციას;

85. ტურაგენტი – იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის რეალიზაციას;

86. ექსკურსია – ღირსშესანიშნავი ადგილის დათვალიერება, გასეირნება ან გამგზავრება შემეცნებითი, სპორტული ან დასვენების მიზნით;

87. ექსკურსანტი – ექსკურსიაში მონაწილე ფიზიკური პირი;

88. ექსკურსიამძღოლი – ექსკურსიის ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს ექსკურსანტებისათვის განსაზღვრულ მარშრუტზე არსებული ღირსშესანიშნავი ობიექტების ჩვენებას და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი ტურისტული სუბიექტის მიერ დამტკიცებული მეთოდური დოკუმენტაციის მიხედვით;

89. ტურისტული ლაშქრობა – დასვენების, მოგზაურობისა და გაჯანსაღების პროცესი, რომლის აუცილებელი კომპონენტებია კვება, ღამის თევა, ექსკურსია და აქტიური საშუალებებით (ფეხით, ცხენით, ველოსიპედით, თხილამურებით და ა.შ.) გადაადგილება;

90. ტურისტული მოგზაურობა – ტურიზმის ფორმა, რომლის აუცილებელი კომპონენტებია კვება, ღამის თევა და ექსკურსია.

ცხოველთა სამყარო

91. ცხოველთა სამყარო – ყველა სახის გარეული ცხოველების ერთობლიობა, რომლებიც მუდმივად ან დროებით ბინადრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში;

92. გარეული ცხოველები – ცხოველთა სამყაროს მიკუთვნებულ ცოცხალ ორგანიზმთა ყველა სისტემატიკური კატეგორია, მათში შემავალი სახეობები და პოპულაციები;

93. ეგზოტური ცხოველები – ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოყვანილი გარეული ცხოველები, რომლებიც ადგილობრივი პირობებისათვის (კლიმატი და სხვა) არ არიან დამახასიათებელი;

94. პოპულაცია – გარკვეულ ტერიტორიაზე მობინადრე ერთი სახეობის ინდივიდთა ერთობლიობა;

95. გარეულ ცხოველთა ჯგუფი – ერთი სახეობის ინდივიდთა ბუნებრივი გაერთიანება;

96. ტაქსონომიური ერთეული – მეტ-ნაკლები ხარისხით ურთიერთისაგან ნათესაურად განსხვავებულ გარეულ ცხოველთა დაქვემდებარებული სისტემატიკური ჯგუფი;

97. ცხოველთა სამყაროს (გარეულ ცხოველთა) საბინადრო გარემო (ჰაბიტატი) – ადგილი ან ადგილმდებარეობის ტიპი, სადაც ბუნებრივი თავისუფლების პირობებში იმყოფებიან გარეულ ცხოველთა ცალკეული ინდივიდები ან პოპულაციები;

98. ცხოველთა სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნება – ცხოველთა მრავალფეროვნება სახეობებს შორის, ერთი სახეობის ფარგლებში და ეკოლოგიურ სისტემებში;

99. ცხოველთა სამყაროს გენეტიკური რესურსები – ბიოლოგიური რესურსების ნაწილი, რომელიც შეიცავს ცხოველური წარმოშობის მემკვიდრეობის ფუნქციონალური ერთეულების მატარებელ გენეტიკურ მასალას;

100. ცხოველთა სამყაროს მდგრადობა – ცხოველთა სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნების არსებობა განუსაზღვრელი დროის განმავლობაში;

101. ცხოველთა სამყაროს მდგრადი გამოყენება – ცხოველთა სამყაროს ისეთი გამოყე- ნება, რომლის დროსაც განუსაზღვრელი დროის განმავლობაში უზრუნველყოფილია ცხოველთა სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება, მდგრადობა და კვლავწარმოების უნარი;

102. გადარჩენის სტაცია – ტერიტორია, სადაც გარეული ცხოველები თავს აფარებენ ექსტრემალური პირობების დროს;

103. ცხოველთა სამყაროს in-situ კონსერვაცია – გარეულ ცხოველთა სახეობების დაცვა ბუნებრივ პირობებში;

104. ცხოველთა სამყაროს ex-situ კონსერვაცია – გარეულ ცხოველთა სახეობების დაცვა ხელოვნურ პირობებში;

105. გენოფონდის რეზერვატი – ტერიტორია, სადაც ხელოვნურ პირობებში ხდება გარეულ ცხოველთა სახეობების შენარჩუნება და გამრავლება ბუნებაში მათი აღდგენის მიზნით;

106. ტრანსლოკაცია – კრებსითი შინაარსის ტერმინი, რომელიც მოიცავს რეინტროდუქციის, ინტროდუქციისა და რესტოკინგის ცნებებს;
107. ინტროდუქცია – ფაუნისთვის უცხო სახეობების შემოყვანა მათი ბუნებაში გაშვების მიზნით;
108. რეინტროდუქცია – გარეულ ცხოველთა სახეობების ბუნებაში აღდგენის ღონისძიება. გარეული ცხოველის შეყვანა მისი გავრცელების ისტორიულ არეალში, სადაც ამ სახეობის არც ერთი ინდივიდი აღარ არის შენარჩუნებული;

ვეტერინარია
109. ვეტერინარია (ვეტერინარული მედიცინა) - სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა, რომლის მიზანია ყველა სახის ცხოველის, ფრინველის, თევზის, ფუტკრის, წყალ-ხმელეთის ძუძუმწოვარი ცხოველების, ამფიბიების, ემბრიონების, ცხოველთა კვერცხუჯრედების, საინკუბაციო კვერცხის, განაყოფიერებული ქვირითის (შემდგომში - ცხოველები) სნეულებების პროფილაქტიკა და მათი მკურნალობა, ვეტერინარულ-სანიტარიული თვალსაზრისით სრულფასოვანი და კეთილსაიმედო მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და ცხოველებისა და ადამიანის საერთო სნეულებებისაგან მოსახლეობისა და ქვეყნის ტერიტორიის დაცვა;
110. **საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარული სამსახური** - იმ სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ერთიანი სისტემა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო საკონტროლო-საზედამხედველო საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში ატარებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ღონისძიებებს ცხოველთა მფლობელებისა და სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ყველა სახის ობიექტის მესაკუთრეების მიმართ, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა;
111. ეპიზოოტია - გადამდები სნეულებით ერთდროულად მრავალი ცხოველის დასენიანება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, დროის გარკვეულ მონაკვეთში;

სოფლის მეურნეობა
112. აღებული ფართობი - ნათესი ფართობის ის ნაწილი, რომლიდანაც საანგარიშო წელს აღებულ იქნა ამა თუ იმ ერთწლიანი კულტურის მოსავალი, უდრის ნათესი ფართობისა და იმ ფართობის სხვაობას, რომლიდანაც ამა თუ იმ მიზეზის გამო (ნათესის დაღუპვა, სახსრების უქონლობა და ა.შ.) მოსავალი არ იქნა აღებული;
113. დაუმუშავებელი მიწა - სახნავი მიწა, რომელიც წლის განმავლობაში ვერ იქნა დამუშავებული უსახსრობის, ამინდის არახელსაყრელი პირობების, სტიქიური უბედურების ან სხვა ხელისშემშლელი მიზეზების გამო;
114. ერთწლიანი კულტურა - სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის ზრდის სრული ციკლი ერთ წელზე ნაკლებ პერიოდს მოიცავს. წინამდებარე კრებულში ამავე კატეგორიას მიეკუთვნება დათესილი მრავალწლოვანი ბალახებიც (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი და სხვა). **კომპაქტური ნარგავები** - მრავალწლოვანი კულტურების ერთობლიობა, რომლებიც, ცალკე მდგომი ძირებისაგან განსხვავებით, საკმაოდ მჭიდროდ და რეგულარულადაა დარგული და რომელთათვისაც შეიძლება გარკვეული ფართობის მინიჭება;
115. მემცენარეობის პროდუქტების წარმოება - წლის განმავლობაში სახნავიდან და მრავალწლოვანი კულტურებისაგან მიღებული პროდუქცია;
116.მეურნეობა (სასოფლო მეურნეობა) - ეკონომიკური ერთეული, რომელიც ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, მიუხედავად მისი ზომისა, იურიდიული სტატუსისა, აქტივების მფლობელობის ფორმისა (საკუთარი თუ იჯარით აღებული) და წარმოების მიზნისა (რეალიზაცია თუ საკუთარი მოხმარება). კრებულში განიხილება ორი კატეგორიის მეურნეობა: ოჯახური მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო საწარმო;
117. მრავალწლოვანი კულტურა - სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში არ საჭიროებს ხელახლა დარგვას ან დათესვას მოსავლის მისაღებად. აქ შედის ხეხილი, კენკროვნები, ვაზი, ციტრუსები, ჩაი, სხვა მრავალწლოვანი კულტურები. არ შედის მრავალწლოვანი ბალახები;
118. მრავალწლოვანი ნარგავები - მიწა, რომელიც დაკავებულია მრავალწლოვანი კულტურების კომპაქტური ნარგავებით (ხეხილის ბაღებით, ვენახებით, კენკროვნებით, ჩაის ან ციტრუსის პლანტაციებით ან სხვა მრავალწლოვანი ნარგავებით). ამ კატეგორიაში არ შედის მრავალწლოვანი კულტურების სანერგეები;
119. ნათესი ფართობი - სახნავის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო წელს დათესილ იქნა ამა თუ იმ ერთწლიანი კულტურით;
120. ოჯახური მეურნეობა - მეურნეობა, რომელსაც უძღვება შინამეურნეობა. აქვე შედის მეურნეობები, რომლებსაც რამდენიმე შინამეურნეობა უძღვება მათ შორის დადებული არაფორმალური შეთანხმების საფუძველზე;
121. პირუტყვის სულადობა - ყველა სახისა და ასაკის პირუტყვის რაოდენობა დროის გარკვეული მომენტისათვის;
122. პროდუქტიულობა მეცხოველეობაში - ერთი ძროხისაგან, ერთი კვერცხმდებელი ფრინველისაგან, ერთი ცხვრისა და თხისაგან საშუალოდ წლის განმავლობაში მიღებული შესაბამისი პროდუქცია;
123. რძის წარმოება - ძროხებისაგან, ფურკამეჩებისაგან, დედა ცხვრებისა და თხებისაგან მოწველილი რძის სრული რაოდენობა. ხბოების, ზაქების, ბატკნების და ციკნების მიერ უშუალოდ მიშვებით გამოწოვილი რძე წარმოებაში არ ჩაითვლება;

124. სათიბი - მიწა, რომელზეც ბუნებრივად მოსული ბალახი გამოიყენება თივის დასამზადებლად. თუ ბალახი დათესილია მეურნის მიერ, ასეთი მიწა ითვლება საკვები კულტურებით დაკავებულ მიწად;
125. საკვები კულტურები - ერთწლიანი ან მრავალწლოვანი ბალახები, საკვები ძირხვენები, რომლებიც დათესილია სპეციალურად პირუტყვის საკვებად. აქვე შედის სიმინდიც, თუ იგი იწარმოება მხოლოდ პირუტყვის საკვები მწვანე მასის და არა მარცვლის მისაღებად. **სასოფლო–სამეურნეო საწარმო** - მეურნეობა, რომელსაც უძღვება "მეწარმეთა შესახებ" **საქართველოს** კანონის თანახმად შექმნილი მეწარმე სუბიექტი (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი). აქვე შედის მეურნეობები, რომლებსაც სხვა ტიპის სუბიექტი უძღვება, როგორიცაა ფონდი, კავშირი, სახელმწიფო დაწესებულება, საგანმანათლებლო დაწესებულება, რელიგიური ორგანიზაცია და სხვა;
126. საძოვარი - მიწა, რომელზეც ბუნებრივად მოსული ბალახი გამოიყენება პირუტყვის საძოვებლად. თუ ბალახი დათესილია მეურნის მიერ, ასეთი მიწა ითვლება საკვები კულტურებით დაკავებულ მიწად;
127. საშუალო მოსავლიანობა - მიღებული მოსავლისა და აღებული ფართობის შეფარდება. **სახნავი** - ღია გრუნტის მიწა, განკუთვნილი ერთწლიანი კულტურების (მრავალწლოვანი ბალახების ჩათვლით) მოსაყვანად, იმისდა მიუხედავად წლის განმავლობაში იგი დათესილ იქნა, სპეციალურად იქნა დასვენებული პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით, თუ ვერ იქნა დამუშავებული ხელისშემშლელი პირობების გამო;
128. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება - საანგარიშო წელს წარმოებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ღირებულება. პროდუქციის წარმოების ტემპების ცვლილების დასადგენად გამოიყენება შესადარ (მუდმივ) ფასებში გაანგარიშებული პროდუქციის მოცულობები;
129. შეთესილი კულტურა - ერთწლიანი კულტურა, დათესილი ძირითად კულტურასთან ერთად ისე, რომ შეუძლებელია მისთვის ნათესი ფართობის გამოყოფა;
130. შინამეურნეობა - ერთი ან რამდენიმე პირის ერთობლიობა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთად მოიხმარენ საკვებს ან სხვა პირველადი მოხმარების საქონელს და მთლიანად ან ნაწილობრივ აერთიანებენ თავიანთ შემოსავალს და ქონებას. არ არის სავალდებულო, რომ შინამეურნეობის წევრები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ;
131. ხორცის წარმოება - დაკვლით მიღებული პირუტყვისა და ფრინველის ხორცის მთლიანი წონა, წარმოებული როგორც ადგილობრივ სასოფლო მეურნეობებში, ასევე იმპორტირებული ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველისაგან.

0-3 აბრევიატურა

ADB – აზიის განვითარების ბანკი;
AEWA – შეთანხმება „აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ";
Black Sea JOP – შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთიანი ოპერაციული პროგრამა;
BSEC – Black Sea Economic Cooperation **–** შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია;
CBD – გაეროს „კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნების შესახებ";
CMS – კონვენცია „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ";
ENPI – ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი;
GIS (გის) - გეოინფორმაციული სისტემები;
GRL – საქართველოს ,,წითელი ნუსხა";
GTZ – გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება;
IUCN – ბუნების დაცვის საერთოშერისო კავშირი;
NDI – ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი;
NSDAP – ბიოლოგიური მრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
PPP – პოლიტიკა, პროგრამები, პროექტები;
Ramsar-ის კონვენცია – საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ;
SWOT – Strengths, Weaknesses, Opportunities, Threats - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები;
TRACECA – Transport Corridor Europe–Caucasus–Asia – ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი;
თიზ - თავისუფალი ინდუსტრიული ზონები
USAID – აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო
UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა
WWF – The World Wide Fund for Nature **–** ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი;
WB – World Bank - მსოფლიო ბანკი;

I



ქედის მუნიციპალიტეტის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული და სექტორული ნარკვევი

1-1 ქედის მუნიციპალიტეტის ისტორიული მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარისწყლის ხეობის ქვემო წელზე. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ქედა, რომელსაც მოიხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იგი მიუთითებს, რომ ქედა „არს მცირე ქალაქის მზგავსი დაბა, მოსახლენი არიან ვაჭარნი“.

შიდამთიანი აჭარა (აჭარისწყლის ხეობა), ტრადიციით, იყოფა ზედა (ცენტრით ჯერ დიდ აჭარაში, შემდგომ ხულოში) და ქვედა (ცენტრით ქედაში) აჭარად. საზღვარი სოფელ დანდალოსთან გადის. შუა საუკუნეებშიც, „აჭარა დანდალოს ზეითი“ მტბევარის სამწყსოს მიეკუთვნებოდა, ხოლო „დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა“. არსებული მოსაზრებით, აჭარისწყლის ხეობის ზემო და ქვემო „ხევებად“ დაყოფა ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში უნდა იღებდეს სათავეს. აღნიშნულ ვარაუდს მხარს უმაგრებს ტოპონიმ „ქედა“-ს ერთ-ერთი ეტიმოლოგიური ვერსია, რომლის მიხედვითაც იგი წარმოდგება ზედსართავი სახელიდან „ქუედა“ და შეესაბამება ამ რაიონის გეოგრაფიულ მდებარეობას აჭარისწყლის ხეობაში. მოტანილი ვერსიით, პუნქტი „ქედა“ შიდამთიანი აჭარის ქვემო ნაწილის უძველესი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

ქედის მუნიციპალიტეტში შემავალ გვერდით ხეობებს შორის უდიდესია მდინარე აკავრეთას (იგივე მერისის) ხეობა. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, ხეობაში შედის ორი ადმინისტრაციული ერთეული – ოქტომბრისა და მერისის. გავრცელებული ეტიმოლოგიური ვერსიით „მერისი“ ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან „მერე“. საბას განმარტებით, „მერე არს მდინარის კიდე, ჭალა“, ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მერე არის „წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილი“. მდინარის ნაპირის მნიშვნელობით ეს სიტყვა დღესაც გვხვდება აჭარულ დიალექტში.

წერილობითი წყაროები თუ არქეოლოგიური მონაპოვრები თვალნათლივ მიუთითებენ, რომ აჭარა, მასზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზებით უძველესი ეპოქებიდანვე იყო ჩაბმული იმ დიდ სავაჭრო ურთიერთობებში, რომლებიც მოიცავდა ბერძნულ სამყაროს, ახლო აღმოსავლეთს, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს, აგრეთვე, საქართველოს შიდა რაიონებს. უფრო მეტიც, აჭარისწყლის ხეობა, თავისი მთავარი საგზაო არტერიით იყო და არის დიდი აბრეშუმის გზის ტრანსკავკასიური მონაკვეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განშტოება. ცხადია, ეს გზა თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ანუ ქვემო აჭარის ტერიტორიასაც გაივლიდა ხოლმე და, როგორც დღეს, წარსულშიც მდინარე აჭარისწყლის გასწვრივ მიემართებოდა, განტოტებებით გვერდით ხეობებს უკავშირდებოდა, აქედან კი უფრო შორეულ კუთხეებსა თუ ქვეყნებს. ასე მაგალითად, უჩხითის გადასასვლელით, აგრეთვე კოლოტაურისა (ხოხნისწყლის) და მერისის ხეობებით უკავშირდებოდა მაჭახლის ხეობას. მერისის ხეობიდან გზები აგრეთვე გადადიოდა ერთის მხრივ შავშეთში, მეორეს მხრივ აჭარისწყლის მარცხენა შენაკად მარეთის ხეობაში. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ქობულეთში მოხვედრილი ქარავნებისათვის დიდად მოსახერხებელი იყო ხინოს გზით აჭარისწყლის ხეობაში (ქედაში) გადასვლა, საიდანაც გზა არტანუჯისაკენ და სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებისაკენ იხსნებოდა. სწორედ ამ დროს უნდა შეერჩიათ მოსახერხებელი გადასასვლელები და აეშენებინათ თაღოვანი ქვის ხიდები კობალაურში, ბოღრათში, ვარჯანაულში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), წონიარისში, პირველ მაისში, აგარაში (ქედის მუნიციპალიტეტი) და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახლანდელ დაბა ქედის ორივე ნაწილს, დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, აერთიანებდა აჭარისწყალზე გადებული ქვისთაღოვანი ხიდი სამი ბურჯით.

აჭარისწყლის ხეობა პალეოლითის ხანიდანვე ადამიანის განსახლების არეალს წარმოადგენს, რასაც აშკარად მოწმობს არქეოლოგიური მონაცემები. თუმცა, საკუთრივ ქედის მუ-ნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნიშვნელობით გამორჩეული აღმოჩენები შედარებით მოგვიანო პერიოდებისათვის გვაქვს.

ადრებრინჯაოს ხანის (ძვ.წ. IV ათასწლ.-ის II ნახ. – ძვ.წ III ათასწლ.-ის II ნახ.) მასალებს შორის აჭარაში განსაკუთრებით საყურადღებოა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლოტაურის მონაპოვარი. ჩვენამდე მოაღწია ორმა მთლიანად დაცულმა ჭურჭელმა, რომელთაც არ მოეძებნებათ ზუსტი ანალოგი. მათ აქვთ დახვეწილი პროპორციები, წვრილმარცვლოვანი კეცი და თხელი კედლები. ისინი დამზადებული უნდა იყოს ძვ.წ. IV ათასწლ.-ის II ნახ.-ის ადრეულ საფეხურზე. შიდამთიან აჭარაში აღმოჩენილ ზოგიერთ სხვა ექსპონატთან ერთად აღნიშნული სამეთუნეო ნაწარმი ადასტურებს, რომ აჭარისწყლის ხეობის ადრებრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სიახლოვეს ჰპოვებენ მტკვარარაქსის, ანატოლიისა და წინააზიის უძველეს ცივილიზაციებთან.

შუაბრინჯაოს ხანის (ძვ.წ III ათასწლ.-ის ბოლო – ძვ.წ. II ათასწლ.-ის I ნახ.) ბრინჯაოს ორფერდა ყუამილიანი ცული და ბართოხის ნატეხი აღმოჩნდა სოფელ მახუნცეთში. ცული მიჩნეულია ორფერდა ყუამილიანი ცულების ყველაზე განვითარებულ და დახვეწილ ნიმუშად. მნიშვნელოვანია ბართოხის ნატეხიც – ამგვარი თოხები ამ დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო იარაღების უძველეს ნიმუშადაა აღიარებული.

გვიანბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. II ათასწლ.-ის II ნახ.) ბრინჯაოს ცულების ე.წ. „განძი“ აღმოჩნდა სოფელ საღორეთში. ისინი მსგავსია აჭარისწყლის ხეობაში მოპოვებული სხვა იმდროინდელი ნიმუშებისა.

არსებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით დგინდება, რომ ბრინჯაოს ხანაში შიდამთიანი აჭარა (ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიითურთ) ბრწყინვალე კოლხური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს მეტალურგია ვითარდება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ადგილზევე მზადდება შრომისა და საბრძოლო იარაღები, რომლებიც გამოირჩევიან შესრულების მაღალი დონითა და მხატვრული გაფორმებით. მართლაც, ქედის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ბევრგან გვხდება ამ მიზნისათვის ვარგისი სპილენძის შემცველი მადნები (ვარაზა, ობოლო, ვერხნალი, ველიბერი, ვაიო). განსაკუთრებით გამოვყოფდით მერისის სპილენძისა და ტყვიის საბადოს. მისი მარაგი საკმაოდ დიდია და სამრეწველო მნიშვნელობაც გააჩნია. ამუშავებდნენ კიდეც სხვადასხვა პერიოდში. მაგ., თ. სახოკია მიუთითებს, რომ დაბა ქედაში 1897 წლისათვის არსებობდა სპეციალური საწყობი და სასწორი მერისიდან ჩამოტანილი სპილენძისათვის. ჩანს აგრეთვე, რომ ბრინჯაოს ხანაში დაწინაურებული ყოფილა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნადირობა და ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგიც.

ანტიკური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფელ კვაშტასთან აღმოჩენილი ნასახლარი. იგი ძვ.წ. V ს-ით თარიღდება. აქ მოპოვებულ მასალებში წამყვანი ადგილი თიხის ადგილობრივ ნაწარმს უკავია, არის იმპორტული (ბერძნული) კერამიკაც, მრავლადაა რკინისა და ბრინჯაოს ნაკეთობები, მძივები და სხვა.

ნასახლარი წარმოადგენდა საფორტოფიკაციო, სათვალთვალო პუნქტს, რომელიც კონტროლს უწევდა აჭარისწყლის ხეობის მოზრდილ მონაკვეთს. იგი შედიოდა ხეობის ერთიან საფორტიფიკაციო-თავდაცვით სისტემაში და იყო მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი. ამასთანავე, განათხარი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კვაშტა და მისი მსგავსი სამოსახლოები წარმოადგენდნენ ძლიერ ეკონომიკურ ერთეულებს, სადაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის უმთავრესი დარგები (მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა) და ხელოსნობა, განსაკუთრებით მეთუნეობა, მელითონეობა, საფეიქრო საქმე, მეთევზეობა და სხვა.

ანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების ხანაში ქვემო აჭარა (თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტი) აქტიური მონაწილე იყო რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ახ.წ.-ის I ს.-ში ქვემო აჭარა (აჭარის სხვა კუთხეებთან ერთად) ერთ-ერთი პირველი ეზიარა ქრისტეს სჯულს უშუალოდ ქრისტეს მოციქულებისაგან და მოექცა.

განვითარებული შუასაუკუნეები საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, მისი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური დაწინაურების პერიოდია. აყვავებას განიცდის ქვემო აჭარაც. ფართოდ არის გაშლილი სააღმშენებლო საქმიანობა (საფორტიფიკაციო კომპლექსები, ეკლესიები, საგზაო ნაგებობანი და ა.შ.), რისი კვალიც დღეისათვის მრავლად გვხვდება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

XI-XIII სს.-ში ქედა, ისევე როგორც აჭარა, აბუსერისძეთა ფეოდალური გვარის გამგებლობაშია, რომლებიც მეფეთა ერთგული მსახურები იყვნენ. XII-XIII სს.-ში ისინი ერისთავთერისთავებად იწოდებოდნენ. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ აჭარა ცილობის საგნად იქცა სამცხის ათაბაგებსა და გურიელებს შორის, XVI ს.-ს 60-იანი წლებიდან კი აქ ოსმალეთი იწყებს დამკვიდრებას. 1563 წელს, სულთნის ბრძანებით, აჭარისწყლის ხეობაში სანჯაყი დაარსდა. იგი შედიოდა ახალციხის საფაშოში და იყოფოდა ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიებად (რაიონებად). თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტი, ცხადია, წარმოადგენდა ქვემო აჭარის ნაჰიეს.

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ახალციხის საფაშო გაუქმდა (მისი დიდი ნაწილი ახალციხითურთ გადაეცა რუსეთს). ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი შიდამთიანი აჭარა ტრაპიზონის ვილაეთს (შედგებოდა ლაზისტანის, ტრაპიზონის, ჯანიკის, გიუ-მიშ-ხანეს სანჯაყებისაგან) შეუერთეს. 1870-იანი წლებისათვის, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, თანამედროვე ქედის ტერიტორია შედიოდა ლაზისტანის სანჯაყში (ცენტრით ბათუმში) და შეადგენდა ლაზისტანის საკაიმაკამოს ქვემო აჭარის (სუფლია-აჭარა) კაზას ცენტრით ქედაში.

ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ქედელებს არასდროს შეუწყვეტიათ. ისინი, სხვა თანამოძმეებთან ერთად, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას მრავალრიცხოვან ანტიოსმალურ აჯანყებებში. თავგანწირულად იცავდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებასაც. თუმცა, ოსმალურმა წესწყობილებამ თანდათან მაინც იწყო დამკვიდრება.

ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის 1872 წ. მოხსენებაში მითითებულია, რომ ქვემო აჭარის მოსახლეობა მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარია და რომ აქ საერთოდ არ არის სკოლა, ხოლო მოსახლეობა ხასიათდება მშფოთვარე ბუნებით. დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებითაც (1874 წ.), აქაურები, განსაკუთრებით კი საღორეთელები, გამოირ-ჩევიან მებრძოლი ხასიათით და ყველგან შეიარაღებული დადიან.

პალგრევისავე აღნიშვნით, ამ კუთხეში ბევრგან ფუნქციონირებდა იარაღის სახელოსნოები, სადაც აკეთებდნენ კარგი ხარისხისა და გემოვნებით მოჭედილ თოფებს, პისტოლეტებსა და ხანჯლებს. მისივე თქმით, აქაური მიწა ზემო აჭარულთან შედარებით უფრო ნაყოფიერია, მოდის ყურძენი და კომში, ხოლო ტყეში იზრდება დიდი ზომის სხვადასხვა ჯიშის ხეები, რომელთაგანაც გარკვეული კომერციული მნიშვნელობა მხოლოდ კაკალს გააჩნია.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებითაც ცხადად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის დამზადების ორი მთავარი ცენტრი არსებობდა – მაჭახლის ხეობა და ქვემო აჭარა. აქ დამზადებულ საბრძოლო იარაღს საბაზრო დანიშნულებაც ჰქონდა და რეგიონის გარეთაც სარგებლობდა მოწონებით. ქედაში არსებული იარაღის წარმოების ლოკალური ცენტრებიდან (ცხმორისი, საღორეთი, ახო) XIX ს-ის II ნახ.-ში განსაკუთრებით ცხმორისი გამოირჩეოდა, სადაც ამ დროისათვის 25 სამჭედლო არსებობდა.

ოსმალთა მფლობელობის დროს ქედაში, ისევე, როგორც მთლიანად აჭარაში, დაეცა სოფლის მეურნეობის მწარმოებლობის დონე, მთლიანად განადგურდა მევენახეობა და მეღორეობა, რომლებიც მანამდე კარგად განვითარებულ დარგებად ითვლებოდა.

1877-78 წწ.-ის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარა, ე.წ. „ოსმალოს საქართველოს“ დიდ ნაწილთან ერთად, რუსეთს გადაეცა. ამ მოვლენის უმთავრესი დადებითი მხარე ის იყო, რომ საქართველოს ნაწილებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა ერთბაშად ვერ შეეგუა რუსულ მმართველობას და ბევრი მათგანი სამშობლოდან ოსმალეთში გადაიხვეწა, მუჰაჯირად წავიდა (ამ მოვლენაში ბრალი მიუძღვის როგორც ოსმალურ, ისე რუსულ მხარეს). მუჰაჯიროობა შეეხო ქედის მხარესაც.

1878 წლის (20 დეკემბრის განკარგულება) რუსული ადმინისტრაციული დაყოფით თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შევიდა ბათუმის ოლქში და ქვემო აჭარის უბნის სტატუსით (ცენტრით ქედაში) გაერთიანდა აჭარის ოკრუგის შემადგენლობაში. შემდგომშიც, მიუხედავად ბათუმის ოლქთან დაკავშირებით მიმდინარე მსხვილი ადმინისტრაციული ცვლილებებისა, ქედის ტერიტორია ყოველთვის ფიგურირებდა როგორც ქვემო აჭარის უბანი, რომელსაც ხშირად ქედის მაზრასაც უწოდებდნენ.

მიუხედავად გარკვეული უარყოფითი მხარეებისა, უნდა ითქვას, რომ ოსმალურთან შედარებით, რუსული მმართველობის პერიოდში ბევრად უკეთესი პირობები შეიქმნა აჭარის, და მათ შორის ქედის უბნის, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ქვემო აჭარის ცხოვრება, ძირითადად, ქედის გარშემო ტრიალებდა.

„ქედა ქვედა-აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, ამასთან შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის ნაწარმოებისა. ყოველი აღებ-მიცემა ქვემო-აჭარლისა უმეტეს ნაწილად აქა სრულდება. რაც უნდა უბრალო რამ დასჭირდეს ქვემო-აჭარელს სასყიდლად, უეჭველად ქედის უნდა მოატანოს“ – მიუთითებდა 1897 წელს თედო სახოკია.

1903 წელს დაბა ქედაში, მდ. აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ქედის მაზრის მაშინდელი უფროსის, შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ვოიცეხის ძე ვოიჩეკის დიდი ზრუნვითა და ძალის-ხმევით, აგრეთვე ადგილობრივთა მონდომებით, დასრულდა სკოლის შენობა, რომელშიც იმავე წლის 7 ოქტომბერს საერო განათლების სამინისტრომ გახსნა ქედის მაზრაში პირველი „საერობო ნორმალური ორკლასიანი რუსული სასწავლებელი“. შემდგომში ქედელებმა ღირსეულად დააფასეს ნიკოლოზ ვოიჩეკის ღვაწლი.

1915-16 წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით შიდამთიან აჭარაში გაიხსნა 6 დაწყებითი ქართული სკოლა. მათ შორის იყო სოფელ აგარაში გახსნილი ერთკომპლექტიანი სკოლაც, პირველი ქართული სკოლა თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მასწავლებლად დაინიშნა ნიკიფორე გეგელია.

აღსანიშნავია, რომ ქედელი იყო აბდულ ეფენდი მიქელაძე, პირველი ქართველი მუსლიმი აჭარიდან, რომელიც გაზეთში დასაბეჭდად წერილებს წერდა. იგი 1853 წელს დაიბადა. ქართული წერა-კითხვა ზაქარია ჭიჭინაძისაგან ისწავლა. მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“, აგრეთვე სხვა პერიოდულ გამოცემებში. აბდულ მიქელაძე აქტიურად იბრძოდა ქართული წერა-კითხვის გავრცელებისათვის, რისთვისაც სამოცი წლის მოხუცი ციხეშიც კი ჩასვეს.
რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აჭარაში ერთი პერიოდი ჯერ თურქები, შემდეგ კი ინგლისელები ბატონობდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აქ მხოლოდ 1920 წლის 7 ივლისს დაამყარა თავისი იურისდიქცია. უნდა ითქვას, რომ ქართული ხელისუფლების აღდგენაში თავისი წვლილი შეიტანა ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ქედელების, აბსოლუტური უმრავლესობის პატრიოტულმა განწყობამ. თუმცა, დამოუკიდებლობის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა – საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა შეიერთა. 1921 წლის 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აჭარაშიც. იმავე წლის 16 ივლისის დეკრეტით კი შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

1921 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით აჭარაში ჩამოყალიბდა ხუთი მაზრა. აქედან ერთ-ერთი იყო ქვემო აჭარის მაზრა (იგივე ქედის), რომელიც მოიცავდა ახლანდელი ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. 1930 წელს მაზრები რაიონებით შეიცვალა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1962 წლამდე.

საბჭოთა პერიოდის საწყის ეტაპზე აჭარაში ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა გამოსვლებს. მათში ქედელებიც იღებდნენ მონაწილეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1929 წლის გამოსვლები, რომელშიც აქტიურად ჩაებნენ მერისელებიც. საერთოდ, ჩანს, რომ მერისელების მონაწილეობა სახალხო მღელვარებებში რაღაც თავისებურ ეფექტს იძლეოდა. სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება ფრთიანი ფრაზა – „დიდი მერისი ჩვენთანაა“.

საბჭოთა წყობილებას თავისი უარყოფითი მხარეები გააჩნდა, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ პერიოდში ქედის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ბევრად დაჩქარდა. გაყვანილ იქნა სატრანსპორტო გზები და საკომუნიკაციო საშუალებები. შეიქმნა განათლებისა და ჯანდაცვის ფართო ქსელი. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაინერგა რენტაბელური დარგები. ამაღლდა მოსახლეობის სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის დონე და სხვ.

1937 წლის შემოდგომაზე ექსპლუატაციაში შევიდა მდ. აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური „აწჰესი“, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. მისი საპროექტო სიმძლავრე 40 000 კილოვატია. მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს ნაკლები სიმძლავრით მუშაობს, აჭარის მასშტაბით მაინც უმთავრესი ობიექტია ელექტროენერგიის წარმოების თვალსაზრისით.

ქედის ისტორიაში აღნიშვნის ღირსია მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ფაქტი. 1943 წელს ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯელილ დაუთის ძე ბერიძე გამოეხმაურა სტალინის მოწოდებას და 50 000 მანეთი შეიტანა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ მშენებლობის ფონდში, რისთვისაც მიიღო სტალინის პირადი სამადლობელო წერილი, დათარიღებული 1943 წლის 18 აპრილით. 1983 წელს ჯელილ ბერიძემ საბჭოთა კავშირის მაშინდელ თავდაცვის მინისტრ დიმიტრი უსტინოვს გაუგზავნა სტალინის წერილის ასლი და თხოვნით მიმართა ნაომარი ტანკის გადმოცემის თაობაზე. ტანკი მართლაც გადმოაგზავნეს. იმავე წლის 9 მაისს მოხდა მემორიალის საზეიმო გახსნა.

1962-1963 წლებში, ხრუშოვის განკარგულებით, ჩატარდა საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციული სტრუქტურის რეორგანიზაცია. ამ კურსის შესაბამისად 1962 წლის 5-10 დეკემბერს აჭარაში შეიქმნა ორი გამსხვილებული რაიონი – ქობულეთისა (ქობულეთ-ხელვაჩაურის ბაზაზე) და შუახევის (ქედა-შუახევი-ხულოს ბაზაზე). მალე ხულოს რაიონი გამოყვეს, როგორც მაღალმთიანი და 25 დეკემბერს შუახევის რაიონულ ცენტრში ჩატარებული დამფუძნებელი კონფერენციის გადაწყვეტილებით შეერთდა მხოლოდ შუახევ-ქედის რაიონები. თუმცა ეს გაერთიანებაც მალევე დაიშალა და 1962 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შუახევი ხულოს რაიონს მიუერთეს. ერთვიანი პაუზის შემდეგ ქედის რაიონმა კვლავ გააგრძელა არსებობა, როგორც დამოუკიდებელმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა.

1966 წელს ქედას ოფიციალურად მიენიჭა დაბის სტატუსი.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებით სახელმწიფოს სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. თანდათან დაიწყო ძველი საზოგადოებრივ-პოლი-ტიკური სისტემის დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის პროცესი. 1991 წლის მარტში შეიცვალა რაიონული მმართველობის სტრუქტურები – გაუქმდა რაიონული საბჭოს აღმასკომი და მის ნაცვლად შემოღებული იქნა რაიონის

პრეფექტურა. ცოტა მოგვიანებით, 1991 წლის აგვისტოში, საქართველოში კომპარტიის საქმიანობაც აიკრძალა და გაუქმდა პარტიის ქედის რაიკომი. ამის შემდგომ რაიონის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

2006 წლიდან, თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, ქედის რაიონს ეწოდა ქედის მუნიციპალიტეტი.
ქედა ძირითადად მთიანი მუნიციპალიტეტია, სადაც მეურნეობის მთავარი დარგი სოფლის მეურნეობაა. იგი საკმაოდ მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, წყლის რესურსებითა და მინერალური წყაროებით.
შიდამთიან აჭარაში ქედა ყველაზე დაბალმთიანი მუნიციპალიტეტია. მას შუახევ-ხულოსთან შედარებით ნაკლებად საზაფხულო ალპური საძოვრები გააჩნია. შესაბამისად, აქ უფრო მეტად მიწათმოქმედება იყო წინა პლანზე წამოწეული.

მეურნეობის ტრადიციული დარგი იყო მემინდვრეობა. ფართოდ იყო გავრცელებული ტერასული მიწათმოქმედება. თესდნენ ხორბალს, ქერს, ფეტვსა და სხვა ხორბლეულს. XIX ს.-ის მეორე ნახევრიდან ფართო გავრცელება ჰპოვა სიმინდმა. იგი კარგად მოერგო ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებს და დიდად შეავიწროვა სხვა ხორბლეული კულტურები. XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მოსახლეობა ეცნობა კარტოფილს. სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ლობიო და სხვა ბახჩეული.

ტექნიკური კულტურებიდან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ფართო გავრცელება ჰპოვა მეთამბაქოეობამ, თუმცა თამბაქო აჭარაში XVII ს.-ში ჩანს შემოტანილი. ქედის მუნიციპალიტეტის მიკროკლიმატი ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ამ კულტურისათვის (აჭარის მასშტაბით თამბაქოს მოსავლის თითქმის ნახევარი ქედაზე მოდის) და საშუალებას იძლევა მოყვანილ იქნეს საუკეთესო ხარისხის „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო. ბოლო ხანებში მეთამბაქეობამ დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა და მეურნეობის დამხმარე დარგად გადაიქცა.

ქედაში ძველთაგანვე იყო განვითარებული მეხილეობა, რასაც მოწმობს სხვადასხვა ხეხილის, განსაკუთრებით ვაშლის, მსხლისა და ქლიავის ჯიშების სიმრავლე, აგრეთვე მეხილეობასთან დაკავშირებული ტრადიციებისა და ეთნოგრაფიული მასალების სიუხვე. ხილისაგან ამზადებდნენ ბეთმეზს, ჩირს, ტყლაპს, წოწოქასა და ა.შ. ფართოდ იყო გავრცელებული კაკალი. ფერდობებზე შეფენილი ხილისა და კაკლის ხეები ხელს უწყობდნენ ნიადაგის გამაგრებასა და მის დაცვას ეროზიისაგან. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა მეფუტკრეობასაც.

განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს მევენახეობის დარგი, რომლის განვითარებისათვის კარგ პირობებს ქმნის ქედის მიკროკლიმატი. შესაბამისად, ეს დარგი აქ უძველესი დროიდან არსებობს, რასაც მოწმობს ადგილობრივი ჯიშების სიუხვე და მეღვინეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა კლდეში ან მთლიან ლოდში ნაკვეთი მასიური საწნახლები. სოფელ მახუნცეთის ტერიტორიაზე ნაპოვნია კლდეში ნაკვეთი, ხოლო სოფელ აქუცაში (1977 წ.) – დიდ ქვის ლოდში ამოკვეთილი ძველთა-ძველი საწნახლები. ქედაში დღეს 40-მდე ჯიშის ვაზი ხარობს. მათი უმრავლესობა მუნიციპალიტეტის ზედა ზონაში – წონიარისში, ცხმორისში, დანდალოს, მერისისა და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულებშია თავმოყრილი. ქედის მიკროზონა ხელსაყრელია ისეთი ძვირფასი ჯიშების მოსაშენებლად, როგორიცაა ცოლიკაური და ჩხავერი, რომლებისგანაც ქედაში მაღალი ხარისხის ღვინოებს აყენებენ. ბოლო ხანებში აქ დაარსდა ე.წ. ღვინის სახლები, სადაც ვაზის იშვიათ ჯიშებსაც აშენებენ და ღვინის ტურებსაც მასპინძლობენ.

თავისთავად ცხადია, რომ ქედაში ძველთაგანვე მისდევდნენ მესაქონლეობასაც. ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქაური მესაქონლეობა თავისი მასშტაბებით შედარებით ჩამორჩებოდა ხულოსა და შუახევის შესაბამის მაჩვენებლებს. სამეურნეო ყოფაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხელოსნობასა და შინამრეწველობის ისეთ დარგებს, როგორიცაა: მჭედლობა, ხის და ქვის დამუშავება, ქსოვა, მე-თუნეობა, ტყავის დამუშავება, დაწნა, საპნის დამზადება ა.შ.

ქედის მუნიციპალიტეტში ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლებია საღორეთის, ცივასულას, გულების, ზენდიდის შუა საუკუნეების ციხეები. აღსანიშნავია დანდალოს, მიწის, მახუნცეთის, წონიარისის ასევე შუა საუკუნეების ქვის თაღოვანი ხიდები. ისინი ძირითადად ძველ სავაჭრო-საქარავნო გზებზეა განლაგებული და ურთიერთთან აერთებდა როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ გზებს. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია ცხმორისისა და ქედის ხიდებმა.

არსებობს სხვა ძეგლების ნაშთებიც. როგორც არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების შედეგებმა დაადასტურა, შიდამთიან აჭარაში, მათ შორის ქედაში, ვერ ნახავთ ვერცერთ სოფელს, სადაც XI-XIII საუკუნეების ან ცოტა მოგვიანო პერიოდის საეკლესიო ნაგებობის კვალი არ იყოს დაფიქსირებული, ზოგიერთ სოფელში კი რამდენიმეცაა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს 9 მეჩეთიც, რომლებიც აგებულია XIX ს.-სა და XX ს.-ის

დასაწყისში, ძირითადად, ლაზი ოსტატების მიერ (რესტავრირება გაუკეთდათ 1980-90-იან წწ.-ში), და გააჩნიათ გარკვეული ისტორიულ-კულტურული ღირებულება.

1-2 ქედის მუნიციპალიტეტის ადგილი რეგიონსა და ქვეყნის განსახლების სისტემაში

1-2.1 ქედის მუნიციპალიტეტის ადგილი რეგიონულ კონტექსტში

თანამედროვე ეპოქაში, ქედის მუნიციპალიტეტის ადგილი რეგიონსა და ქვეყნის განსახლების სისტემაში, დასახლებათა ტაქსონომეტრიულ სისტემაში, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარების პერსპექტივები, დაკავშირებულია საქართველოს ახლებურ გეოპოლიტიკურ გამოწვევებთან.

როგორც ცნობილია, ქედის მუნიციპალიტეტი როგორც აჭარის ა.რ. შემადგენელი ნაწილი წარმოადგენს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციას და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, თავისებურ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯვარედს, სადაც ისტორიულად გადიოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების ცივილიზაციური, გეოპოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, სავაჭრო და მრავალი სხვაგვარი ვექტორები. ახალმა საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ეს რეგიონი ჩააბა გლობალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში. მრავალი მოვლენა - ტრანსნაციონალური ინტერესები, ტრანზიტი, ტურიზმი და სხვა, რომელიც უცხო იყო საბჭოთა ქალაქებისთვის, დღეს გახდა დასახლებათა დინამიური განვითარების განმაპირობებელი.

დღეს ამ მუნიციპალიტეტს გარკვეული ეკონომიკური პოტენციალი და მნიშვნელობა გააჩნია, ამასთან, ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი სივრცე, მიზანმიმართული ურბანული პოლიტიკის გატარების შედეგად, შესაძლოა გახდეს ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი მუნიციპალიტეტი.

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი ნიშნებია:

1. ევროპისა და აზიის გზების გასაყარზე მდებარეობა;
2. აჭარაზე გამავალი ტრანსევრაზიის საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციების არსებობა;
3. ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

ამასთან, დღეს უკვე აშკარაა, რომ ცალკეული ქვეყნის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მეზობელ ქვეყნებთან პარტნიორული და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარების გზით. აქედან გამომდინარე, თანამედროვე გლობალიზაციის გამოწვევებზე მრავალი ქვეყანა პასუხობს რეგიონალიზაციის გზით, ანუ რეგიონული ეკონომიკური გაერთიანებების შექმნის გზით. საქართველოც, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, მსოფლიოში მიმდინარე რეალური ინტეგრაციული პროცესების მიღმა არ რჩება და დაინტერესებულია მრავალმხრივი თანამშრომლობით როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

რეგიონული თანამშრომლობის თვალსაჩინო ერთობას წარმოადგენს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC). მის მთავარ მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობა ყველა სტარტეგიული მიმართულებით. ამ მხრივ, შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამშრომლობა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის დარგში, რაც განპირობებულია აღნიშნულ სფეროებში მიმდინარე და დაგეგმილი გლობალური მნიშვნელობის პროექტების არსებობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთიანი ოპერაციული პროგრამა 2007-2013 (Black Sea CBC, Black Sea JOP), რომელიც ხორციელდება ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში და მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკურ და სოციალურ მხარდაჭერას, ასევე, თანამშრომლობის ხელშეწყობას ერთობლივი რეგიონული პროექტების განხორციელების საშუალებით. ევროკავშირის ამ ინიციატივამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას, ასევე მთლიანად შავი ზღვის რეგიონის ევროკავშირთან დაახლოებას და ახალი ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას. პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებათა შორისაა:

- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვა და ტრანსპორტი;

- თანამშრომლობა კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში;
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პარიზში, ევროპული რეგიონების ასამბლეის (AEP) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე შეკრებილმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ 2007 წლიდან, როდესაც ევროკავშირში ბულგარეთი და რუმინეთი გაწევრიანდნენ, შავი ზღვა ისეთივე „ევროპული" გახდა, როგორც ხმელთაშუა და ბალტიის ზღვები. ევროკავშირმა უნდა „გააფართოვოს" საკუთარი მოდელის გამოყენება და თავის პროგრამებში შავი ზღვაც უნდა ჩართოს იმისთვის, რომ რეგიონმა შესძლოს ეკოლოგიური სტანდარტების ამაღლების გზით სვლა.

ამგვარად, ევროკავშირი, რომელიც ცდილობს რეგიონში გრუნტის წყლების დაბინძურების პრობლემასთან გამკლავებას, შავიზღვისპირეთის ქვეყნებს წყლის რესურსებით მართვის ინტეგრირებულ მოდელს სთავაზობს. შავი ზღვის აკვატორიას მასზე გამავალი კომერციული, განსაკუთრებით კი სატრანსპორტო გემები აბინძურებენ. ამასთან, ენერგეტიკა ის საერთო ნიშნულია, რომელიც შავიზღვისპირეთის რეგიონში შეიძლება თანამშრომლობის მნიშვნელოვან სტიმულად იქცეს (იხ. სქემა 1-1).

სქემა 1-1. ბალტიის ზღვის, ხმელთაშუაზღვის და შავი ზღვის სტრატეგიები



კონფერენციაზე ექსპერტების მიერ შავი ზღვის პროგრამა შეფასებულ იქნა როგორც „ძალიან მნიშვნელოვანი". ამასთან, ხაზი გაესვა იმას, რომ რეგიონში ალიანსს არამხოლოდ დაფინანსების, არამედ დახმარების და გამოცდილების მოტანაც შეუძლია, რაც ასე სჭირდებათ ადგილობრივ სახელმწიფოებს დაბინძურებასთან ბრძოლისთვის. ამ კონტექსტში წარმატებული პროექტი „ბალტიის ზღვის სტრატეგია" და ევრო-რეგიონი „ბალტიის ზღვა" შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითად.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ასევე, გაიმართა არაერთი კონფერენცია და სემინარი, მათ შორის ქ. ბათუმშიც. ხოლო, 2011 წლის 19-23 ნოემბერს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „შავი ზღვის რეგიონში კოოპერაციის სტრატეგიები და პოლიტიკები". კონფერენცია მიზნად ისახავდა შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური კოოპერაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას, ტრანსრეგიონულ თანამშრომლობას, კულტურული ხიდის განვითარებას შავი ზღვის რეგიონსა და ევროკავშირს შორის, ასევე, ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთობლივი კვლევითი აქტივობისათვის აკადემიური ქსელის დაფუძნებას მომავალში ერთობლივი პროექტების იმპლემენტაციისათვის.

CBC პროგრამა უნიკალურ საშუალებას აძლევს მონაწილე ქვეყნებს, განავითარონ რეგიონალური თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფესიული ასოციაციების, მუნიციპალიტეტების, რეგიონალური წარმომადგენლობების დონეზე შავი ზღვის რეგიონში ევროპული თანამშრომლობის კონტექსტში.[1]

[1] http://www.blacksea-cbc.net/

სწორედ ამგვარი ინტეგრაციული რეგიონული პროცესების მონაწილეა ქედის მუნიციპალიტეტი, უწინარესად, ტურიზმის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და შრომითი მიგრაციის სფეროში.

1-2.2 ქედის მუნიციპალიტეტის ადგილი ქვეყნის განსახლების სისტემაში

აღსანიშნავია, რომ აჭარის სივრცითი განვითარების კონცეფციაში წარმოდგენილია რეგიონის არსებული განსახლების სისტემის გეგმარებითი სტრუქტურის საორიენტაციო ცვლილებები ეკონომიკური განვითარების ახლებური გამოწვევების შესაბამისად. კერძოდ, განსახლების ძველი ღერძების ტრანსფორმაცია და ახალი ღერძების შექმნის გარდუვალობა. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული რეგიონის სივრცითი მოწყობის წამყვანი იდეის - განსახლების ახალი - „სამხრეთის ღერძის“ (გოდერძი - ხულო - შუახევი - ქედა - ხელვაჩაური - ბათუმი) ფორმირება. განსახლების ცენტრალური და, არსებითად, ერთადერთი ღერძის პარალელური „დუბლიორი“– სამხრეთის ღერძის გაჭრა ხელს შეუწყობს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, ზემო აჭარის, ასევე, ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, „ურბანული ზრდის ფოკუსების“ გაჩენას, მოსახლეობის დასაქმებას; სამხრეთის მარშრუტის არჩევა დამატებითი არგუმენტი იქნებოდა ქართულ-სომხური პოლიტიკური ურთიერთობების ჰარმონიზაციის საქმეში. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო კონვენციის „იმ სახელმწიფოთა სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ, რომელთაც არა აქვთ გასასვლელი ზღვაზე“ თანახმად, სომხეთის ტვირთების გასვლას შავ ზღვაზე, უწინარესად, ბათუმზე, ხელშეწყობა უნდა ჰქონდეს, რაც საქართველოსაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოგებას მოუტანს. ასევე მნიშვნელოვანია მგზავრთნაკადების გადაადგილების გააქტიურება სომხეთიდან აჭარის შავიზღვისპირა ქალაქების მიმართულებით, რადგანაც ამ მარშრუტის არჩევის შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება მგზავრობის დრო სომხეთიდან შავი ზღვისპირეთის საკურორტო დასახლებებამდე. აქედან გამომდინარე, მოხდება აღნიშნული მარშრუტის გასწვრივ სხვადასხვა სახის სერვისეული მომსახურების გაჩენა, რაც გარკვეულ ურბანული სივრცის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა.

სამხრეთის მარშრუტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ბათუმი-ფოთის ეკოლოგიურად მოწყვლად მონაკვეთს აარიდებს ტრანზიტული, ბათუმის პორტისკენ და თურქეთისკენ მიმართული ტვირთების დიდ ნაწილს და, ასევე, განტვირთავს შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ზღვისპირეთის სატრანსპორტო საკომუნიკაციო ქსელს. სამხრეთის ვარიანტის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის აგრესიის შედეგად ფაქტობრივად გაწყდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალი. ქვეყანა შუაზე გახლეჩილი აღმოჩნდა. შავი ზღვის სანაპიროდან (და ბორჯომის ხეობიდანაც) დედაქალაქში მრავალრიცხოვანი ტურისტების დასაბრუნებლად გამოყენებულმა სამხრეთის მარშრუტმა - ზემო აჭარის, მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გავლით - გამოავლინა ამ მიმართულების სრული ინფრასტრუქტურული მოუმზადებლობა. რომელიც, უთუოდ, გავლენას იქონიებს თვით ქედის მუნიციპალიტეტისა და მთლიანად რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მოსახლეობის დასაქმებაზე და დასახლებათა საინჟინრო - ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. დადებით მხარეებთან ერთად, ამ ვარიანტის უარყოფით მხარეებად რჩება სეზონური ბუნებრივ-კლიმატური პირობები - მაღალმთიანეთი, ზამთარში თოვლიანობა, რაც პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ახდენს გავლენას.

1-3 ქედის მუნიციპალიტეტის მმართველობითი და ადმინისტრაციული სტრუქტურა

1-3.1 ქედის მუნიციპალიტეტის მმართველობითი სტრუქტურა

ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს. მისი ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ქედა. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია. საკრებულო არჩევითი ორგანოა, რომელიც შედგება 14 პროპორციული სისტემით და ყოველი ადმინისტრაციული ერთეულიდან არჩეული 7 მაჟორიტარი საკრებულოს წევრით. ქედის საკრებულოს წევრების რაოდენობა შეადგენს 21 წევრს. საკრებულოს თავმჯდომარე არის თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი. საკრებულოში, საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით შექმნილია ხუთი მუდმივმოქმედი კომისია:

1 საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;

2 საკრებულოს საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა კომისია;
3 საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია;
4 საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია;
5 საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისია.

ქედის მუნიციპალიტეტის მერია წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საქმიანობას თავისი სამსახურების საშუალებით. ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს 9 სამსახური:

- ადმინისტრაციულისამსახური;
- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- ეკონომიკური განვითარების სამსახური;
- ზედამხედველობის სამსახური;
- შიდა აუდიტის სამსახური;
- განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური;
- სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური,
- სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.

1-3.2 ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №30, 2014 წლის 21 ოქტომბერი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დღეის მდგომარეობით, ქედის მუნიციპალიტეტისშემადგენლობაშიშედის9ტერიტორიული ორგანო. 10 ადმინისტრაციული ერთეულისაგან, რომელშიც შედის 64 სოფელი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს დაბა ქედაში.
ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისა და მათში შემავალი სოფლების სია(იხ. ცხრილი 1-2)

ცხრილი 1-1.ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.

ქედის მუნიციპალიტეტი			
	ორივესქესი	მამაკაცი	ქალი
ქედის მუნიციპალიტეტი	**16,760**	**8,410**	**8,350**
დაბა ქედა	**1,510**	**730**	**780**
დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	**1,988**	**1,000**	**988**
არსენაული	89	48	41
აქუცა	262	133	129
გულები	235	122	113
ზენდიდი	297	145	152
კორომხეთი	160	84	76
ორცვა	232	126	106
ქედა	149	73	76
შევაბური	89	46	43
ცხემნა	156	68	88
ძენწმანი	197	93	104
ხუნკუდა	122	62	60
დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	**1,961**	**985**	**976**
დანდალო	347	173	174
ბალაძეები	116	60	56
გოგიაშვილები	194	96	98
მოსიაშვილები	169	84	85
ტაკიძეები	186	92	94
ხარაულა	639	327	312

ჯალაბაშვილები	310	153	157
დოლოგანის ადმინისტრაციული ერთეული	**781**	**408**	**373**
დოლოგანი	417	228	189
ჭალახმელა	162	79	83
ჭინკაძეები	202	101	101
ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	**1,346**	**676**	**670**
ზვარე	201	107	94
ვაიო	409	202	207
ზესოფელი	205	99	106
კვაშტა	279	146	133
სირაბიძეები	252	122	130
მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	**2,121**	**1,050**	**1,071**
ქვედამახუნცეთი	439	216	223
ზედაბზუბზუ	306	142	164
ზედამახუნცეთი	203	99	104
ზუნდაგა	299	141	158
ქვედაბზუბზუ	261	132	129
ქოსოფელი	72	35	37
მილისი	123	65	58
ნამლისევი	158	79	79
უჩხითი	260	141	119
მერისის ადმინისტრაციული ერთეული	**1,132**	**581**	**551**
მერისი	300	155	145
გარეტყე	89	47	42
გუნდაური	218	115	103
ინაშარიძეები	200	103	97
ნამონასტრევი	60	29	31
სილიბაური	117	57	60
სიხალიძეები	148	75	73
ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	**853**	**439**	**414**
ოქტომბერი	247	126	121
აგოთა	122	60	62
გოგინიძეები	95	48	47
კუჭულა	201	110	91
მეძიბნა	188	95	93
პირველიმაისისადმინისტრაციული ერთეული	**1,213**	**614**	**599**
პირველიმაისი	525	262	263
ზედააგარა	106	60	46
კოლოტაური	473	236	237
ქვედააგარა	109	56	53
ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	**2,605**	**1,318**	**1,287**
ცხმორისი	600	286	314
ახო	594	307	287
გეგელიძეები	428	217	211
გობრონეთი	251	126	125
კოკოტაური	545	282	263
ჩეტკიძეები	187	100	87

წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	1,250	609	641
წონიარისი	499	247	252
აბუქეთა	279	138	141
ვარჯანისი	185	84	101
კანტაური	76	35	41
საბადური	57	30	27
სასადილოყელი	0	0	0
ტიბეთა	154	75	79

1-4 ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები

1-4.1 გეოგრაფიული მდებარეობა

ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველ ერთეულს. ის მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 200-400 მეტრზე. ქედის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ქობულეთის, ხელვაჩაურის და შუახევის მუნიციპალიტეტები, სამხრეთ ნაწილში კი, შავშეთის ქედზე გადის საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 10 ადმინისტრაციული ერთეული და 64 სოფელი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს დაბა ქედაში.

მუნიციპალიტეტის ფართობია 45 200ჰა. ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რიცხოვნობა 16760 კაცია, აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1კმ^2-ზე 37,1 კაცია.

ქედის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ბარიერები (ოროგრაფიული, გეოლოგიური, კლიმატური) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ იმ გეოეკოლოგიური პროცესების ფორმირებაში, რაც უპირველეს ყოვლისა ეხება ჰავის, შემდგომ კი ჰიდროგრაფიული ქსელის, გეოდინამიური პროცესების, ნიადაგების, მცენარეულობის და ლანდშაფტების განვითარების თავისებურებებს. ისინი ასევე განსაზღვრავენ ტერიტორიის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ფორმებს და შესაბამისად - ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ ვითარებას.

1-4.2 კლიმატი

აჭარის ჰავა, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებულია რეგიონის გეოგრაფიული თავისებურებებით, ხასიათდება კარგად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით. ზღ.დ. 400-600 მ სიმაღლეზე (დაბა ქედამდე) წარმოდგენილია ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, შემოდგომა-ზამთრის ნალექების მაქსიმუმით; აჭარის ქვაბულში – საკმაოდ ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრით და შედარებით მშრალი ცხელი ზაფხულით; აჭარა-იმერეთის, შავშეთის და ლაზეთის ქედებზე (ტყიან სარტყელში, საშუალო მთებში) გაბატონებულია ნოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრით და თბილი ზაფხულით; ზედა (მაღალი) მთის სარტყელში, აჭარა-იმერეთის, არსიანის და შავშეთის ქედებზე, დომინირებს ნოტიო ჰავა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით; ზღ.დ. 2200 მეტრიდან, სუბალპური და ალპური სარტყლებისთვის დამახასიათებელია ნოტიო ჰავა ცივი ზამთრით და ხანმოკლე ზაფხულით; მდ. ქვაბლიანის ხეობის ზემო წელში წარმოდგენილია ზომიერად ნოტიოდან ზომიერად კონტინენტურზე გარდამავალი ჰავა ცივი თოვლიანი ზამთრით და მოკლე ზაფხულით; შიგა აჭარაში შეიმჩნევა სემიჰუმიდური ჰავის ელემენტები.

საშუალო წლიური ტემპერატურა 12,8^{0}C, იანვარში 3,4^{0}C, ივლისში 21,2^{0}C; აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურა – 15,1^{0}C; აბსოლიტური მაქსიმალური ტემპერატურა 42^{0}C. ნალექების წლიური რაოდენობა წელიწადში 1500მმ–ია. ზაფხული იცის გვალვიანი, ჭარბობს აღმოსავლეთისა და მთა–ხეობათა ქარები, თოვლიან დღეთა რიცხვი 16-30 დღეს აღწევს.

ჰავის ელემენტების განაწილება აჭარაში

სადგური	სიმაღლე, ზღ.დ.	t°C იანვარი	t°C ივლისი	min.t.	max.t.	10-ზე მეტი t ჯამი	ნალექები
ქობულეთი	7	4,8	22,4	-16	41	3991	2320
მწვანე კონცხი	94	6,5	21,8	-9	40	4238	2620
ბათუმი	5	7,1	22,8	-9	41	4305	2560
ხულო	923	0,9	18,6	-18	39	3113	1177
ქედა	256	3,1	21,3	-15	42	3880	1558
ჭარნალი	310	5,7	20,9	-10	43	4047	2665

1-4.3 რელიეფი და ლანდშაფტები

ქედის მუნიციპალიტეტი გეომორფოლოგიურად მრავლფეროვანი რეგიონია. მის რელიეფში შერწყმულია გორაკ-ბორცვები, ხეობები, მთები და სხვ.

ქედის მუნიციპალიტეტის ქვაბული შემოსაზღვრულია მესხეთის, შავშეთის და არსიანის ქედებისთხემური ნაწილებით. ქედას ქვემოთ იგი გადადის კოლხეთის გორაკ-ბორცვიან რელიეფში. ოროგრაფიულად იგი ჩაკეტილია ქვაბულისებრი მოყვანილობით, რაც ბუნებრივი პირობების განსხვავებულობას განაპირობებს (ყველაზე ნაკლებნალექიანია).

ჩრდილო-დასავლეთით ტერიტორიას ავსებს მესხეთის ქედის განშტოებანი. მათ შორის მთავარია ჩაქვის ქედი, რომელიც ქმნის წყალგამყოფს მდ. აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადებს, მდინარეებს ჩაქვისწყალსა და კინტრიშს შორის. მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში შემოჭრილია შავშეთის ქედის განშტოებები – ღომა წინაველა და მეძიბნა მილისი.

ფერდობების საკმაოდ ძლიერი დახრილობის გამო, აქ აქტიურად ვითარდება ეგზოგენური პროცესები. რელიეფის გარდაქმნაში ინტენსიურია ანთროპოგენული ფაქტორი. აჭარის ქვაბულის ოროჰიდროგრაფიულ კარკასს მდ. აჭარისწყლის შენაკადების ღრმა ხეობები და მკვეთრად გამოხატული წყალგამყოფები წარმოადგენენ. ეს უკანასკნელნი კი, ერთის მხრივ, მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე განვითარებულ შტოქედებს (რომელთაც სამხრეთ დასავლეთური მიმართულება აქვთ) და მეორეს მხრივ, შავშეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთური მიმართულების შტოქედებს ქმნიან. მდ. აჭარისწყლის ხეობა ძირითადად ემთხვევა სინკლინის ღერძს. ქვაბული აგებულია პალეოგენური წყებებით. ქვაბული ხასიათდება საშუალომთიანი ეროზიული რელიეფით. აბსოლუტური სიმაღლე ცვალებადობს 100-1000მ-დან ხეობის ფსკერი, 2000-2100 მ-მდე ქვაბულის კიდეებზე. ქვაბულში გამოიყოფა რამდენიმე ეროზიული საფეხური პედიმენტების სახით. ასეთ დამრეც პედიმენტზეა გაშენებული მთიანი აჭარის ქვაბულის ძირითადი სოფლები.

მუნიციპალიტეტის უმაღლესი ადგილი არის მთა ღომა, რომლის სიმაღლე 2441 მ–ია.

1-4.4 ჰიდროქსელი

1-4.4.1 ზედაპირული მტკნარი წყლები

ქედის მუნიციპალიტეტის შიგა წყლების ხასიათი განპირობებულია საკმაოდ რთული გეოლოგიური აგებულებითა და რელიეფისა და ჰავის თავისებურებით. გეოლოგიური აგებულება და რელიეფი გავლენას ახდენს ზედაპირული ჩამონადენის სიჩქარეზე, ხოლო ჰავა ჩამონადენის მოდულზე (ლწმ 1კმ2-დან). შიგა წყლებიდან აღსანიშნავია მდინარეები და მიწისქვეშა წყლები. შიგა წყლებიდან ქედის მუნიციპალიტეტში არ გვხდება წყალსაცავები, მუდმივი თოვლი და მყინვარები.

შიგა წყლებიდან მთავარია მდინარეები, რომლებიც მთის მდინარეების ტიპს მიეკუთვნება. აჭარა არც თუ ისე დიდი ტერიტორიისა და რელიეფის ზედაპირის ძლიერი დანაწევრების შედეგად მდინარეების სიგრძე მოკლეა და შესაბამისად აუზს დიდი ფართობი არ უკავია. გამონაკლისს წარმოადგენს მდინარე ჭოროხი, რომელიც სათავეს იღებს თურქეთის ტერიტორიაზე და გაედინება დიდ მანძილზე. აჭარის არცერთი მდინარე სათავეს არ იღებს მუდმივი თოვლისა და მყინვარების ტერიტორიიდან. ისინი ძირითადად იკვებება წვიმის, თოვლის ნადნობი

წყლით და მიწისქვეშა წყლებით. ამიტომ მათ ახასიათებთ გაზაფხულისა და შემოდგომის წყალდიდობა. მდინარეების უმეტესობა ხასიათდება დიდი ვარდნით, ჩქარი დინებით, ზოგიერთ მონაკვეთზე მდინარეები მიედინება ვიწრო და ღრმა ხეობებში და ქმნის კანიონისებურ ფორმას, ახასიათებთ ჭორომები და ჩანჩქერები. მდინარეები გარკვეულ მონაკვეთზე პერიოდულად ხან ერთ, ხან მეორე სანაპიროს უტევს, რის გამოც ზიანდება საავტომობილო გზები, ხიდები, ნათესები და საცხოვრებელი სახლები.

მუნიციპალიტეტის ფარგლებში მიედინება მდ. აჭარისწყალის დიდი ნაწილი (42კმ.), მისი მარცხენა შენაკადებია მდინარე აკავრეთა (მერისი), ხოხნისწყალი, მარჯვენა შენაკადები უფრო მცირეა, მ.შ. აღსანიშნავია აგარისწყალი და წონიარისი. მდინარეები შერეული საზრდოობისაა, წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირეობა – ზამთარში, ბევრია წყაროების გამოსასვლელები, რომელთაგანაც ზოგს სამკურნალო მნიშვნელობა აქვს, მ.შ. აღსანიშნავია ნამონასტრევის, მერისის, შევაბურის და კოკოტაური წყაროები.

მდინარე აჭარისწყალი სიგრძით და აუზის სიდიდით აჭარის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მდინარეა. მისი სათავე იწყება არსიანის ქედის დასავლეთით ფერდობზე, მწვანე ტბების მიდამოებში ზღვის დონიდან 2435 მ სიმაღლეზე. მიედინება ქვეყნის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, არსიანის ქედიდან. სოფ. აჭარისწყალთან შავი ზღვის შესართავიდან დაახლოებით 17კმ-ში და ზღვის დონიდან 30 მ-ის სიმაღლეზე, მარჯვენა მხრიდან, ერთვის მდინარე ჭოროხს. მდინარე აჭარისწყალი მიედინება 90 კმ მანძილზე, ხშირი ტყით შემოსილ ხეობაში, განსაკუთრებით ზოგიერთ მონაკვეთზე დიდ სიღრმეზე ჭრის კალაპოტს და გააჩნია კანიონისებური ხეობა. კანიონებიდან აღსანიშნავია შემდეგი: განახლების სოფ. თაგოსა და სოფ. განახლების შორის (ხულოს მუნიციპალიტეტი), ზამლეთის სოფ. ნაგაზაულისა და სოფ. ბუთურაულს შორის (შუახევის მინიციპალიტეტი), კლდისუბანის - სოფ. კდისუბანსა და სოფ. ახალდაბის მუხრან ტყეს შორის (შუახევის მუნიციპალიტეტი), გუნდაურის სოფელ კოკოტაურსა და სოფ. გუნდაურს შორის (ქედის მუნიციპალიტეტი) მახუნცეთის-,,აწჰესის“ მახლობლად (ქედის მუნიციპალიტეტი) და სხვა. მდინარე აჭარისწყლის ვარდნა 2397 მეტრია, ხოლო, საშუალო დახრილობა - 26.6%.

მდინარე აჭარისწყალის აუზის ფართობი 1540 კმ^2-ია და საშუალო სიმაღლე 1400 მეტრი. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 52.5 მ^3-ს შეადგენს, ჩამონადენის მოდული 34.0 ლ/წმ კვ.კმ-ზე, რომელიც ზემოდინებისკენ ქვაბულის მიდამოებში 31.5 ლ/წმ-მდე მცირდება, გააჩნია მრავალი დიდი და პატარა შენაკადები. მარცხენა მხრიდან გაცილებით მეტია შენაკადები და ამავე დროს ისინი უფრო გრძელი და უხვწყლიანია, ვიდრე მარჯვენა მხარის შენაკადები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ შავშეთის ქედის მდინარე აჭარისწყლისაგან შორსაა, უფრო მაღალია, ტყითაა დაფარული, თოვლის საფარი დიდხანს დევს და მოსახლეობით მეჩხრადაა დასახლებული, ვიდრე მარჯვენა სანაპიროს არსებული აჭარა-გურიის ქედი და მისი განშტოებანი. მარცხენა შენაკადებიდან აღსანიშნავია შემდეგი მდინარეები: **აკვარეთა** (სიგრძე 19 კმ), **ხოხნისწყალი** და სხვა სახელიანი და უსახელო ღელეები. მარჯვენა შენაკადებიდან მთვარია მდინარე წონიარისის წყალი, აგარისწყალი და სხვა მრავალი სახელიანი და უსახელო ღელეები.

1-4.4.2 მიწისქვეშა წყლები.

ქედის მუნიციპალიტეტი ისევე როგორც მთლიანად აჭარის ა.რ. მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, რაც განპირობებულია რეგიონის გეომორფოლოგიური და ჰიდროგრაფიული თავისებურებებით. გრუნტის წყლები მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ყველგან, როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთიან აჭარაში. მთიან აჭარაში უხვადაა მიწისქვეშა წყლები, რომლებიც წყაროების სახით გამოედინება.

საქართველოს ჰიდროლოგიური დარაიონების მიხედვით, აჭარა შედის აჭარა-იმერეთის ნაპრალურ წყალწნევიან სისტემაში. ქვეყნის მასშტაბით, ამ ჰიდროლოგიურ ოლქში მიწისქვეშა მტკნარი წყლების ბუნებრივი რესურსების 9%-ია კონცენტრირებული. როგორც სხვა რეგიონებშიც, ამ რესურსების ოდენობას დამტკიცებული საექსპლუატაციო მარაგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

აჭარა მდიდარია მინერალური წყაროებითაც. XX საუკუნის ბოლოსთვის დადგენილი იყო 40-ზე მეტი მინერალური წყარო; მინერალური და თერმული წყლების ფორმირება დაკავშირებულია ზედაპირული წყლების ღრმად ჩაჟონვასთან ტექნიკური რღვევის ზონებში. სიღრმეში ეს წყლები ცხელდება და მათი ნაწილი ხელშემწყობ გეოლოგიურ ზონებში ზედაპირზე ამოდის.

მინერალური და თერმული წყლების განსაკუთრებული კონცენტრაცია აღინიშნება მდ. აჭარისწყლის აუზში, დაბა ქედის მიდამოებში – 20 წყარო; მათი დიდი უმრავლესობა შესწავლილია მინერალიზაციისა და იონური შემადგენლობის თვალსაზრისით, 4 მათგანზე გაცემულია ჩამოსხმის ლიცენზია. აჭარის მინერალური წყლების

წყაროების ჩამონათვალი მოყვანილი ცხრილი 1-2-ში. ამჟამად სამრეწველო მასშტაბით ჩამოისხმევა მინერალური წყალი „კოკოტაური“, წყაროს დებეტი შეადგენს 10 ათას ლიტრს. „კოკოტაური“ – ნახშირმჟავა, კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმ შემცველი წყალია, მინერალიზებით 2,8 გ/ლ. გამოიყენება კუჭნაწლავის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის სამკურნალოდ.

ცხრილი 1-2. ქედის მუნიციპალიტეტის მინერალურ-რესურსული კომპლექსი

№	მინერალური წყაროს ადგილმდებარეობა	წყლის ტიპი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით	დებეტი (ლ/დღე-ღამეში)	ტემპერატურა C	pH	ქიმიური შემადგენლობა
1	2	3	4	5	6	7
1	კოკოტაური (ქედის რაიონი)	ჰიდროკარბონატულ-სულფატური კალციუმიან-მაგნიუმიანი	50000	10 C	6.6	$\frac{HCO_2 76 SO_4 22 C12}{CO_2 O_2 9_2}$ Ca50Mg26Na22
2	ნამონასტრევი (ქედის რაიონი)	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი	16000	12 C	6.7	$\frac{SO_4 46 HCO_2 40 C134}{CO_2 O_2 7_{28}}$ Ca50 Na28 Fe6 Mg8
3	ცხმორისი (ქედის რაიონი)	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი	60000	31 C	7.6	$\frac{C152 SO_4 40 C134}{H_2 S_{0,003} M_{1,8}}$ Na58Ca40
4	დუმბაძეების წყარო (ქედის რაიონი)	სულფატური-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული ნატრიუმიან-კალციუმიანი	200000	14 C	4.0	$\frac{SO_4 46 HCO_2 20 C114}{M_{1,34}}$ Ca42 Na30 Mg18
5	საქაჯია (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიანი	3000	13 C	6.5	$\frac{SO_4 46 HCO_2 20 C114}{CO_2 0,7 M_{2,4}}$ Ca72 Mg17Fe11
6	საინი (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიანი	30000	13.5 C	3.8	$\frac{SO_4 62 HCO_2 37}{M_{0,34}}$ Ca72 Mg18Fe11
7	ბაკანეთი (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული რკინიან-კალციუმიანი	5000	14.5 C	4.8	$\frac{SO_4 90 HCO_2 6 C13}{M_{0,4}}$ Fe52 Ca32 Mg8Na6
8	წისქვილის ღელე (ქედის რაიონი)		20000	11.5 C	4.6	$\frac{SO_4 92 HCO_2 8}{M_{0,4}}$ Fe62 Ca28 Mg6Na4
9	მერისის აბანო (ქედის რაიონი)		30000	12 C	4.6	$\frac{SO_4 93 HCO_2 7}{M_{0,4}}$ Fe64 Ca32 Mg14
10	დვალიძეების აბანო (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატული რკინიან-კალციუმიანი	70000	12 C	3.4	$\frac{SO_4 87 HCO_2 HC12}{M_{0,36}}$ Fe58 Ca36A12Na3
11	ჭიდლის ხევი (ქედის რაიონი)	სულფატურ-რკინიან-კალციუმიანი	6000	13 C	4.4	$\frac{SO_4 HC16}{M_{0,37}}$ Fe48 Ca42A18Na2
12	სარეცხელა	სულფატურ-	2000	13 C	4.4	$\frac{SO_4 91 HCO_2 7C12}{}$

	(ქედის რაიონი)	ჰიდროკარბონატულ ი რკინიან-კალციუმიანი				$M_{0,3}$---------- Fe62 Ca36Mg2
13	გუნდაურის წყარო (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატულ ი რკინიან-კალციუმიანი	**4000**	**14 C**	**4.5**	SO_4 92HCO_2 6C12 $M_{0,3}$ ---------- Fe58 Ca34Mg4A13
14	ასანიშვილების წყარო (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატულ ი კალციუმიან-ნატრიუმიანი	**50000**	**13 C**	**4.6**	SO_4 42HCO_2 6C12 $M_{0,3}$---------- Ca28Na18Mg6Fe10
15	ისტიარიშვილები ს წყარო (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატულ ი კალციუმიანი	**1200**	**13 C**	**4.4**	SO_4 67HCO_2 32 $Fe_{0,04}M_{0,3}$---------- Ca52A128
16	წყალბოკელა (ქედის რაიონი)	სულფატურ-ჰიდროკარბონატულ ი კალციუმიან-ნატრიუმიანი	**12000**	**11 C**	**6.0**	SO_4 95HCO_2 4CH $M_{0,3}$---------- Ca78Na19Mg6

მონაცემები ქედის მუნიციპალიტეტის მინერალურ-რესურსული კომპლექსის შესახებ იხ. თემატურ სქემაზე "წყლის რესურსები და წყლის შემკრები ტერიტორიები".

1-4.4.4 წყალსარგებლობა

ქედის მუნიციპალიტეტში ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ზომიერი რესურსია. მიწისქვეშა წყლის რესურსი მათთვის არ არის ცნობილი, ხოლო ზედაპირული წყლის რესურსია 2 200 000 მ3/წლ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მდინარეების ჰიდროლოგიური მონაცემები შეიცვალა; კერძოდ, გაიზარდა მდინარეების წლიური ხარჯი, ხარჯი წყალდიდობის დროს და წყალდიდობის სიხშირე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში მიედინება მდ. აჭარისწყალის დიდი ნაწილი (42 კმ), მისი მარცხენა შენაკადებია მდ. აკავრეთა (მერისი), ხოხნისწყალი, ხოლო მარჯვენა შენაკადებია აგარისწყალი და წონიარისი.

მუნიციპალიტეტში ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები ძირითადად გამოიყენება მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის და ირიგაციისათვის. ქედის მუნიციპალიტეტის წყლის რესურსები საკმარისი არ არის წყალზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ადმინისტრაციულ ერთეულში ყველა დასახლებას ცენტრალიზებული წყალმომარაგება არ აქვს. ზედაპირული წყლებიდან აღების შემთხვევაში წყალდიდობის დროს პრობლემები ექმნება წყალმიმღებ და წყალგამწმენდ ნაგებობას. წყლის მრიცხველები დასახლებებში დამონტაჟებული არ არის, ამ დასახლებებს საკანალიზაციო კოლექტორი არ აქვს.

ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 6, შედარებით დიდი ზომის წყლის გამწმენდი ნაგებობა, რომელთა საერთო საპროექტო სიმძლავრე 400 $მ^3$ - ს შეადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტს, ისევე როგორც მთლიანად აჭარას, დიდი ჰიდროენერგეტიკული რესურსები გააჩნია. აქ არსებულ მდინარეებსა და მათ შენაკადებზე შესაძლებელია მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების აშენება. მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების განკარგვა-მართვაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ორგანო შპს „ქედის წყალკანალი“.

აღსანიშნავია, რომ წყლის ძირითადი არტერიების დაბინძურდებას იწვევს მუნიციპალიტეტში მჭიდროდ დასახლებული პუნქტების, ფეკალური და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებული წყლები. მათი დადგენილი წესით გაწმენდა არ ხდება, ისინი გაუწმენდავად ჩაედინებიან მდინარეში და აბინძურებენ მას. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლეობის მხრიდან მდინარეთა კალაპოტებში მოწყობილი თვითნებური ნაგავსაყრელები.

.

.

სარწყავი და სამელიორაციო სისტემები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების დეპარტამენტი მომსახურებას უწევს ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტების სარწყავ და ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის დამშრობ სისტემებს. ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში კლიმატური ნიადაგის პირობები სხვადასხვაა. მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ნათესებზე მოქმედებს გვალვები, ხოლო დაბლობ მუნიციპალიტეტებში მოსული ჭარბი ნალექები ქმნიან ზედმეტ ტენიანობას. აქედან გამომდინარე, დეპარტამენტს მუშაობა უწევს ორი მიმართულებით, ერთის მხრივ, გვალვიანი მიწების მორწყვისა და მეორეს მხრივ ჭარბტენიანი მიწების დაშრობის მიმართულებით.

ავტონომიურ რესპუბლიკაში მორწყვის წყაროებად ძირითადად გამოყენებულია მდ. აჭარისწყლის შენაერთი მდინარეების, ღელეებისა და ჩამომდინარე რეგულირებით მიღებული წყლები, წყალმიმღები სათავე ნაგებობები ძირითადში არასაინჟინრო პრიმიტიული ნაგებობებია. სათავე ნაგებობები გაკეთებულია ქვაყრილებით, რომელიც წყალდიდობის პერიოდში ზიანდება და რწყვის სეზონის მიმდინარეობის დროს საჭირო ხდება სათავე ნაგებობების რიგ შემთხვევებში რამოდენიმეჯერ აღდგენა. სარწყავი ფართობები ძირითადად განლაგებულია მაღალმთიან რაიონებში, სადაც რწყვა მიმდინარეობს მიშვებითი მეთოდით.

ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 სარწყავი არხი, რომელთა საერთო სიგრძე 13,2 კმ, ხოლო მასზე ჩამოკიდებული ფართობი 277 ჰა:

1. ვაიო–კვაშტას სარწყავი არხი სიგრძით 2.1კმ. ჩამოკიდებული ფართობით 107 ჰა;
2. ცანაურას სარწყავი არხი სიგრძით 2.6კმ. ჩამოკიდებული ფართობით 23 ჰა;
3. ხარულას სარწყავი არხი სიგრძით 8.5კმ. ჩამოკიდებული ფართობით 147 ჰა.

1-4.5 ნიადაგები

ნიადაგის თვისებების მიხედვით აჭარის ტერიტორია ორ ზონად იყოფა: დაბალი სუბტროპიკული ტყის ზონა (0-50 მ ზღვის დონიდან) და შერეული სუბტროპიკული ტყის ზონა (50-500 მ ზღვის ზონიდან და ზემოთ). ქედის მუნიციპალიტეტი მიეკუთნება შერეულ სუბტროპიკულ ზონას, რომელიც უფრო ფოროვანი და გრანულარული სტრუქტურის მქონე წითელ-მიწიანი ნიადაგით ახასიათება, ასეთი პირობები ხელსაყრელია ხის სწრაფი ზრდისათვის; ამიტომ მოცემული ტერიტორია გამოიყენება ციტრუსის და ჩაის პლანტაციებისათვის.

ქედის მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია ქვედა და შუა სარტყლის ტყის ყომრალი ნიადაგები. მაღალმთიან ზონაში ტყის ზედასარტყლის უხეშჰუმუსიანი ყომრალი ნიადაგებია. ზემოთ მას ცვლის მთა-მდელოს ნიადაგები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია შემდეგი ნიადაგის ტიპები: ყვითელ-ყომრალი, ყომრალი და მთა-მდელოს ნიადაგები.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგები ხასითდება მკვდარი საფარის პრაქტიკული უქონლობით, კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი და ილუვიური ჰორიზონტებით, რკინით გამდიდრებით. გავრცელებულია ზღვის დონიდან 400-500 მ-დან 800-1000 მ-მდე.

ყომრალი ნიადაგები დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია ზღვის დონიდან 800(900)-1800(2000) მ-ის სიმაღლის ფარგლებში.

ყომრალი ნიადაგები უმეტესად ფერდობებზეა განვითარებული, დასავლეთ საქართველოს გეოლოგიურ შენებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ქვიშნარებსა და თიხაფიქლებს, მერგელებს, კონგლომერატებს და სხვა.

ყომრალი ნიადაგები იყოფა რამდენიმე ქვეტიპად: სუსტად არამაძღარი, მჟავე, გაეწერებული (ცრუგაეწერებული), რენძინო-ყომრალი.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება ყომრალი მჟავე და ყომრალი გაეწერებული ნიადაგები. ასევე, ტყის ყომრალი, ყომრალი-გაეწერებული, ნეშომპალა-კარბონატული, მთა-მდელოს, მთა ტყე-მდელოს ნიადაგები. ნიადაგები ძირითადად მწირია. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ნიადაგები არ განოყიერებულა ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქებით. ფერმერებს არ აქვთ შესაძლებლობა მიწის ანალიზის ჩატარებისათვის.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნიადაგები ბევრგან ჩამორეცხილი და ეროზირებულია, რომლის ჩაბრუნება სასოფლო-სამეურნეო პროცესში შეუძლებელია. გამოკვლევის მიზნით არ ხდება ნიადაგების ლაბორატორიული შემოწმება. ნიადაგების გამდიდრება ხდება მხოლოდ ნიტრატებით; არ ხდება კულტურების მონაცვლეობა და ეცემა საშუალო მოსავლიანობა.

1-4.6 მიწის რესურსები, მიწის ფონდის სტრუქტურა (ბალანსი)

ქედის მუნიციპალიტეტკს ტერიტორია მცირემიწიანია. ამის ძირითადი მიზეზია მუნიციპალიტეტის რელიეფი, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენს მთები და ციცაბო ფერდობები, რის გამოც ახალი მიწის ნაკვეთების ათვისება სირთულეებთანაა დაკავშირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ძირითადად, დაკავებულია ტყეებით (77%), ბუჩქნარებითა (5,3%) და ჯერჯერობთ აუთვისებელი (4%) ტერიტორიებით.

მუნიციპალიტეტი ასევე მოქცეულია მიწათმოქმედების რისკის ზონაში. მაღალია ეროზიული პროცესები. შესაბამისად აქტიურად მიმდინარეობს ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენების წარეცხვა.
ამას გარდა, მუნიციპალიტეტში ადგილი ჰქონდა სახნავ-სათესი მიწების დეგრადაციას.

1-4.7 სასარგებლო წიაღისეული

1878 წელს, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის გადაწყვეტილებით, ყოფილი ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი, აჭარის ჩათვლით, რუსეთის იმპერიას მიეკუთვნა, იწყება მისი რესურსების სამეურნეო პოტენციალის შესწავლა.

სადღეისოდ ქედის მუნიციპალიტეტში დაზვერილია როგორც მადნეული, ისე არამადნეული წიაღისეული. ქედის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზე და მადანგამოვლინებებზე უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული კვლევებით ქედის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია მერისი კვანძის სახელით ცნობილი მადანგამოვლინება, რომელიც აერთიანებს ხუთ მადნიან ველს, რომელთაგან 3 – ლოდნარის, ვაიო-სურნალის და ნამონასტრევის ველები მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტში. ამ კვანძებში, უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული კვლევებით, ოქროს შემცველია არამარტო მადნიანი ძარღვები და ზონები, არამედ მადანშემცველი ქანებიც, რაშიც ოქროს შემცველობა მნიშვნელოვნად აღემატება სამრეწველოს და აღწევს 10-70 გ/ტ). ქანები ასევე შეიცავს სელენს, ტელერს, კადმიუმს და სტრონციუმს აღსანიშნავია იშვიათი ელემენტების შემცველობაც: კალიუმი 700 გ/ტონაში, ვერცხლი100 გ/ტ, მოლიბენდი 0.1% და გალიუმი 30 გ/ტ. ამ მონაცემებით მერისის კვანძის საბადოები წარმოგვიდგებიან, როგორც კომპლექსურები, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათ სამრეწველო პერსპექტიულობას. გოგირდის კოლჩედანს[2] ფართო გავრცელება აქვს მერისის მადნიანი კვანძის საბადოებზე და მადანგამოვლინებებზე. ასევე მნიშვნელოვანია ალუნიტები[3], რომელთა გამოვლინება თანხვდება გოგირდის კოლჩედანის გავრცელების არეალს.

ქედის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სიენიტ[4]–დიორიტის[5] საბადოების შესწავლა (მდებარეობა: ნამონასტრევი).
ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულ მუნიციპალიტეტს საქართველოში სამადნო საქმიანობისთვის, მაგრამ იქ მიმდინარე სამუშაოები იშვიათი და არასისტემური ხასიათისაა, რაც ვერ იძლევა მისი პერსპექტიულობის სრულ სურათს.

ქედის მუნიციპალიტეტში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და მადანგამოვლინებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 1-3-ში

.

.

ცხრილი 1-3. ქედის მუნიციპალიტეტში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და მადანგამოვლინებები

[2] კოლჩედანი–საერთო მოძველებული დასახელება, რომელიც გამოიყენება ისეთ მინარალებთან მიმართებაში, რომლებიც შეიცავს გოგირდს, რკინას, კალას, მადანს და დარიშხანს.

[3] ალუნიტი–მინერალი, რომლისგანაც იღებენ შაბს, კალიუმის მარილებს; იყენებენ საფეიქრო, ტყავისა და ქაღალდის მრეწველობაში.

[4] სიღრმული მაგმური ქანი; საუკეთესო საშენი მასალაა (კარგად პრიალდება); იყენებენ შენობის ფასადების, ძეგლების მოსაპირკეთებლად;

[5] სიღრმიდან ამონთხეული ქანი; ძვირფასი საშენი მასალაა.

№	საბადოს დასახელება	მარაგები (მლნ. მ³)	შენიშვნები
			ქ ე დ ა
1	მერისის მადნიანი კვანძის ოქროს საბადოები:		
	ა) ობოლო-კანლი-კაია		შესასწავლია
	ბ) ვარაზა		შესასწავლია
	გ) წყალბოკელა		შესასწავლია
	დ) ვერხნალა		შესასწავლია
	ე) ველიბური		შესასწავლი
	ვ) ვაიო		შესასწავლი
2	მერისის სპილენძ-პოლიმეტალური საბადო	108,84	მარაგები დამტკიცებულია 1955-1970 წწ-ში
3	ზეკარა-ლაშეს ალუნიტების საბადო	2.3	პროგნოზული მარაგი
4	დოლოგნის ანდეზიტებისა და პორფირიტების საბადო	7,36	
5	ნამონასტრევის გრანიტ-დიორიტის საბადო	0,5	

1-4.8 ტყის რესურსები

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორია ტყიანობის მაღალი მაჩვენებლით და ტყეების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტყეებს უკავიათ მთლიანი ფართობის 65%. ეს მაჩვენებელი გამორჩეულად მაღალია მთლიანად საქართველოს (39,1%), მეზობელი თურქეთის (11%) და მთლიანად მსოფლიოს (27%) შესაბამის მაჩვენებლებთან.

ქედის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსების საკმაო რაოდენობისაა და ტყიანობის კოეფიციენტი 80%-ს აღემატება. უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ტყიანობის პროცენტი ძალზე მაღალია მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებელი ძალზე დაბალია.

ქედის სატყეო ადმინისტრაცია მდებარეობს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს შემადგენლობაში.

სატყეო ადმინისტრაციის ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული კინტრიშის ნაკრძალი და მტირალას ეროვნული პარკი. დასავლეთით ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის ტერიტორია. აღმოსავლეთით შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ტერიტორია. სამხრეთით თურქეთის სახელმწიფო და ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის ტერიტორია.

ქედის სატყეო ადმინისტრაციის ანგარანი მდებარეობს დაბა ქედაში. ქალაქ ბათუმიდან დაშორებულია 41 კილომეტრით.

სატყეო ადმინისტრაციის ტყის მასივები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 21 კილომეტრზეა გადაჭიმული, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 29 კილომეტრზე.

ს.ს.ი.პ. აჭარის სატყეო სააგენტოს ინფორმაციით ქედის მუნიციპალიტეტში ტყის ფონდი შეადგენს 37570 ჰექტარს, რომელიც დაყოფილია 3 სატყეო უბნად, 20 სამცველოდ და 158 კვარტლად, რომლებიც შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

1. მერისის სატყეო უბანი;
2. მახუნცეთის სატყეო უბანი;
3. ცხმორისის სატყეო უბანი.

მერისის სატყეოს საერთო ფართობი 14516 ჰექტარია. სატყეო დაყოფილია 7 სამცველოდ და მასში შემავალი 71 კვარტლად;
მახუცეთის სატყეოს ფართობია 10939 ჰექტარი. სატყეო დაყოფილია 7 სამცველოდ და მასში შემავალი 42 კვარტლად;

ცხმორისის სატყეოს საერთო ფართობი 12115 ჰექტარი. სატყეო დაყოფილია 6 სამცველოდ და მასში შემავალი 45 კვარტლად;

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სატყეო სამივების საზღვრები და ადგილმდებარეობა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია:

- სახელმწიფო ტყის ფონდი;
- სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი;

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ 2011 წლის 04 აგვისტოს #299 დადგენილებით არსებული მონაცემები მოითხოვს კორექტირებას, რის გამოც საჭირო გახდა ტყის ფონდის ახალი საზღვრების დადგენა და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ 2013 წლის 22 მაისს გამოცხადებულ ელექტრონული გამარტივებული ტენდერის საინჟინრო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 10 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული #01-38/62 ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენა/დაზუსტებისათვის საჭირო მასალების მიღება-ჩაბარება. წინამდებარე „გეგმის“ გრაფიკულ ნაწილში მოცემულია ქედის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ტყის ფონდის მონაცემები.

ამასთანავე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, კოლხური ტყეების ეკოსისტემების გრძელვადიანი დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს, რომელთა საერთო ფართობია 8733 ჰექტარია, საქართველოს კანონის „მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ“ მიხედვით მიენიჭა დაცული ტერიტორიის კატეგორიის – ეროვნული პარკის – სტატუსი და ეწოდა მაჭახელას ეროვნული პარკი.

ეროვნული პარკის ტერიტორიაში შედის ქედის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის დოლოგნის ტყის უბანი– სულ 135 ჰექტარი.

ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტყით დაფარული ფართობები მოიცავს ზღვის დონიდან 240-2100 მ სიმაღლეებს, ძირითადი ნაწილი კი წარმოდგენილია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი და შავშეთის ქედის ჩრდილოეთი ექსპოზიციის ფერდობებზე გაადგილებულ დიდ კომპაქტურ მასივებად და ემიჯნება სუბალპურ იალაღებს, რომლის უმაღლესი მწვერვალია მთა ღომა (2441 მ.ზ.დ.-დან)

მთა-გორიანი რელიეფი განსაზღვრავს მცენარეული საფარის ვერტიკალურ ზონალობას. მერქნიან სახეობათა შემადგენლობა, კორომთა წარმადობა ასევე იცვლება ექსპოზიციებისა და ფერდობთა დაქანების სიმკვეთრის მიხედვით.

აჭარის ტყის მასივები (როგორც წიწვოვანი, ასევე ფოთლოვანი კორომები), მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტში, დაავადებულია სხვადასხვა მავნებლებით: წაბლის ქერქის კიბო (Criphonectria parasitica), ნაძვის დიდი ლაფანჭამია (Dendroctonus micans), მბეჭდავი ქერქიჭამია (Ips typographus), კენწეროს ქერქიჭამია (Ips acuminatus), სიდამპლის გამომწვევი სოკოები-Phelinnus pini, Armillaria mellea (მანჭკვალა) და სხვა. დაავადებებს გააჩნიათ მრავალი კერა და გამოირჩევიან მაღალი ინტენსივობით.

ქედის მუნიციპალიტეტის ტყის ფონდში არსებული ტყის შემქმნელ მერქნიან სახეობებზე სხვადასხვა სახის მავნებელ–დაავადებებია გავრცელებული, აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე ყველაზე მეტად აღმოჩნდა წაბლის ხეების ხმობა, როგორც ჯგუფურ–კერობრივად, ასევე გაფანტული ხასიათისა.

გარემოსდაცვით კონტექსტში უნდა აღინიშნოს მინდორსაცავი (ქარდაცვითი) ტყის ზოლების მნიშვნელობა ნიადაგის შექმნისა და დაცვის, მისი ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლების, სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი და მყარი მოსავლიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ისინი, ასევე, დიდ როლს თამაშობენ ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან მათი დაცვისათვის გატარებულ ღონისძიებებში. მინდორსაცავი ტყის ზოლები იცავენ ნიადაგს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან, უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ტემპერატურაზე, ჰაერისა და ნიადაგის ტენიანობაზე, ქმნიან ოპტიმალურ მიკროკლიმატს და სხვა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, „გეგმის“ ფორმატში მიზანშეწონილია ტყის ზოლების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტის ცალკეულ საკრებულოებში. ტყის რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებია ტყის ჭრა, მათ შორის უკანონო. ამასთან, ტყეების აღდგენა-განაშენიანება პრაქტიკულად არ ხდება.

აღსანიშნავია, რომ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოში, შპს ,,გეოგრაფიკი“-მა სატყეო სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, წარმოადგინა აჭარის სახელმწიფო ტყის ფონდში მიმდინარე ტყის ინვენტარიზაციის (ტყეთმოწყობა)ქედის სატყეო ადმინისტრაციის ტყის მართვის გეგმის პროექტი. ტყეთმოწყობითი სამუშოები ხორციელდება რამდენიმე ეტაპად და დასრულდება 2016 წლის დეკემბერში. დოკუმენტში - „ქედის სატყეო ადმინისტრაციის ტყის მართვის გეგმის პროექტი“ დეტალურადაა მოცემული ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ტყის მასივების ეკოლოგიური მდგომარეობა, ტყის აღდგენითი, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

1-4.9 სტიქიურ - გეოლოგიური მოვლენები

აჭარა საქართველოს იმ რეგიონთა რიცხვს განეკუთვნება, სადაც ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ძალზედ გააქტიურებულია სტიქიური გეოლოგიური პროცესები (ეროზია,მეწყრულ-კლდეზვავური მოვლენები, ღვარცოფები, თოვლის ზვავები).

როგორც ცნობილია, სტიქიური მოვლენების გააქტიურებაში მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი: კლიმატური, გეოლოგიური და ანთროპოგენული, ანუ ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული მოვლენები. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი წარმოადგენენ გორაკ-ბორცვიან რელიეფს. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შუა ეოცენის ასაკის ვულკანოგენური ქანები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური ნალექებით, ხოლო მდინარეთა ხეობებში ალუვიური ნალექებით. ვულკანოგენური წარმონაქმნები უმეტეს შემთხვევაში ქიმიურად გამოფიტულია და ხასიათდება მკვეთრად დაქვეითებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობას ქმნის სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარებისათვის.

ამ პროცესების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ასევე რელიეფის მორფოლოგია. გრავიტაციული პროცესები (ჩამოქცევა, მეწყერი, ჩამოშლა) უმეტესად ვითარდება ციცაბო რელიეფის პირობებში, რომლის დახრის კუთხე 25%-ს აღემატება. ფერდობების მდგრადობისა და მეწყრული პროცესების განვითარების უმთავრესი კრიტერიუმი აღმოჩნდა ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება ჭარბი ატმოსფერული ნალექებით. ქანების გაწყლიანება მოხდა როგორც ზედაპირული წყლებით, ასევე გრუნტის წყლებით, რომელთა დონეები მნიშვნელოვნად შეივსო ჩანაჟონი წყლებით. ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება-გადამძიმებამ გამოიწვია ისედაც სუსტი სტატისტიკური წონასწორობის დარღვევა და გრავიტაციული პროცესების განვითარება.

აღსანიშნავია, რომ დაზიანებული ფართობების უმეტესობა გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს მეწყრული პროცესების აქტივიზაციაზე. სადრენაჟო არხები არ არის გაყვანილი სასოფლო გზების გასწვრივაც, რის გამოც წარმოქმნილი ღვარცოფული ნაკადები მიედინებიან უსისტემოდ და ხელს უწყობენ გეოლოგიური პროცესების აქტივიზაციას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიების უსისტემო ათვისებამ გამოიწვია მრავალსპექტრიანი ბუნებრივი ლანდშაფტის ძლიერი ანთროპოგენიზაცია, ხოლო გეოლოგიურ გარემოში დაიწყო შეუქცევადი რღვევა, ცვლილებები და სტიქიური პროცესების დიდი სიძლიერით წარმოქმნა-აქტივიზაცია, რის გამოც აჭარა საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების ხშირი განმეორებადობის ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ მოექცა. აქ ტექნოგენური წნეხის კოეფიციენტი 0,7-0,9-მდე ავიდა, ხოლო მოსახლეობის 70% გეოეკოლოგიური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

ხშირ შემთხვევაში აჭარაში შეუძლებელი ხდება გამიჯვნა და დადგენა იმისა, თუ რომელი პროცესია წარმოქმნილი ბუნებრივი ფაქტორებით და რომელი ანთროპოგენული ზემოქმედებით. ამ გარემოებას კიდევ უფრო ართულებს ის სიტუაცია, რომ უმეტესწილად ერთობლივი, მეწყრული და ღვარცოფული პროცესების წარმოქმნის მექანიზმი და ინტენსივობა გადაჯაჭვულია ერთმანეთზე და ურთიერთს განაპირობებენ. 80%-ზე მეტ შემთხვევაში ღვარცოფების ტრანსფორმაცია დაკავშირებულია მათ კერებში მეწყერული პროცესების გააქტიურებასთან.
საშიში ბუნებრივი პროცესების განვითარება, ბოლო პერიოდში, გამოწვეულია ასევე წარსულში ადამიანის მიერ პერსპექტივაში გაუთვალისწინებელი ინტენსიური შეტევით ბუნებაზე. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან

სახელმწიფომ და კერძო პირებმა მდინარეთა ხეობებიდან ინტენსიურად დაიწყეს ქვებისა და ხრეშის ამოღება საცხოვრებელი სახლების და სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის, აგრეთვე საძირკვლის და გზების მყარი გრუნტის შექმნისათვის. მოსახლეობის მაღალმა ბუნებრივმა მატებამ გამოიწვია დიდი, დახრილობის 25-40^0-იანი ფერდობების ათვისება საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების მოწყობისათვის. მთიან პირობებში ტყეების გაჩეხვამ მშენებლობისა და შეშისათვის დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკოსისტემაზე. აგრეთვე აღსანიშნავია აფეთქებით და მძიმეწონიანი ტრაქტორებით გზების გაყვანა სოფლებში და ალპურ საძოვრებზე, ალპური საძოვრების გადატვირთვა ჭარბი პირუტყვის ძოვებით და სხვა. ჭარბი დასახლების გამო, ხშირად ახალი მოსახლეობა დასახლებას იწყებს წინასწარ შესწავლილ სარისკო მეწყერულ უბნებზე, ადგილებზე, სადაც არის ღვარცოფისა და ზვავის საშიშროება. (იხ.ცხრილი 1-4)

ცხრილი 1-4. ქედის მუნიციპალიტეტში სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონები და რისკფაქტორიანი უბნები

სოფელი	გეოლოგიური პროცესი	საშიშროების ხარისხი	ობიექტები, რომლებიც შესაძლებელია მოექცნენ საშიშ ზონაში	საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები
ჯალაბაშვილები კოკოტაური დანდალო	მეწყერი, ღვარცოფი და ეროზიული მოვლენები	მაღალი	საცხოვრებელი სახლები, საავტომობილო გზები და სხვა დანიშნულების შემობა-ნაგებობები	ატმოსფერული ნალექების სიუხვე, ქანების არამდგრადობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ღვარცოფული და მეწყრული პროცესების ფორმირებისათვის
უჩხითი ქვედა ბზუბზუ ზედა ბზუბზ	მეწყერი, ღვარცოფი	საშუალო	საცხოვრებელი სახლები და საუბნო გზები	ტუფოგენური ნალექები წყლით გაჯერების შემთხვევაში ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს მეწყრული მოვლენების განვითარებისათვის

ქედის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად უხვ ნალექებს, თოვლის დნობასა და ამინდის გაუარესებას ხშირად მოჰყვება მეწყერული პროცესების გააქტიურება მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საოფელში. ამის შედეგად ძირითადად ზიანდება და იკეტება გარე სამყაროსთან საკომუნიკაციო გზები. ამგვარი პროცესები ძალზე მტკივნეულად აისახება სოფლების მოსახლეობის მდგომარეობაზე, რადგანაც აფერხებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, მოსახლეობა ვეღარ ახერხებს მიწების დამუშავებას, ზიანდება სათიბები, ზარალდება არამარტო სოფლის მოსახლეობა, არამედ ის მეწარმეები რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და ისინი, ვისაც მინი საკალმახე მეურნეობები გააჩნიათ.

1-4.10 ქედის მუნიციპალიტეტის ფლორა და ფაუნა

აჭარის ფლორისტული რაიონი გადაადგილებულია ხმელეთის ბიოლოგიური მრავალფეროვნებით მდიდარ რეგიონში კავკასიაში, რომელიც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (IUCN) შეიტანა მსოფლიოს იმ 34 "ცხელ წერტილთა" (Hotspots) ნუსხაში, რომლებიც ხასიათდება ყველაზე დიდი ბიოლოგიური მრავალფეროვნებითა და საფრთხეში მყოფი ხმელეთის ეკოსისტემების სიუხვით. ამავე დროს, გეოგრაფიული მდებარეობით ეს ტერიტორია შედის მსოფლიოში აღიარებულ 200 ეკორეგიონს შორის სახეობათა სიუხვის, ენდემიზმის მაჩვენებლის, ტაქსონომიური უნიკალურობის, წარმოშობის თავისებურებების და ჰაბიტატების იშვიათობის მიხედვით გამორჩეულ მცირე კავკასიონის სამხრეთ დასავლეთ კორიდორში. იგი ფიგურირებს ასევე მსოფლიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დონით უნიკალური და დაცვის საჭიროების თვალსაზრისით პრიორიტეტული 25 რეგიონის ნუსხაში – ტროპიკული ანდების, ბრაზილიის ატლანტიკური ტყეების, მადაგასკარის, ფილიპინების, ახალი ზელანდიის, ხმელთაშუა ზღვისპირეთის და სხვათა გვერდით. ამის გამოხატულებაა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ინიციატივაში "ევროპის ტყეების 100 ცხელი წერტილის შესახებ," ანუ დაუცავ ტყეთა 100 მონაკვეთის შესახებ, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ დაცვას, ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტი მიენიჭა აჭარის უნიკალურ ტყის ეკოსისტემებს.

ფიტოგეოგრაფიული დაყოფის თანამედროვე სქემის მიხედვით, ქედის ტერიტორია ფლორისტული კომპლექსების სახეობრივი შემადგენლობითა და ისტორიით, ფლორის სისტემატიკური სტრუქტურით, უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს, სუბ-ხმელთაშუაზღვისპირეთის ოლქის, კოლხეთის ანუ აღმოსავლეთ ევქსინის პროვინციის აჭარა-შავშეთის ოკრუგს განეკუთვნება და მის ფლორისტულ მრავალფეროვნებას საფუძვლად ედება მესამეული პერიოდის ხმელთაშუაზღვისპირეთის ფლორისტული ბირთვისაგან განვითარებული ავტოქტონური წარმოშობის ფლორა (გაგნიძე 1996, Гагнидзе 1974).

ვ. გულისაშვილის (Гулисашвили 1964) მიერ კავკასიის ტყეების ბუნებრივ ზონებად დარაიონების მიხედვით, აჭარა მიეკუთვნება დასავლეთ ამიერკავკასიის ბუნებრივ-ისტორიულ ოლქს. აქ ზღვის კლიმატი ტენიანი, თბილი და მდგრადია. ზღვის ჰავის გავლენით მიახლოებულია სუბტროპიკულ ჰავასთან. ნალექების სიუხვე და სხვა ხელსაყრელი ფაქტორები ქმნიან ტყემცენარეულობის წარმატებით ზრდა-განვითარების პირობებს. აქ შენარჩუნებულია მესამეული პერიოდის რელიქტური ფლორა, რომელიც ატარებს `კოლხური ფლორის~ სახელწოდებას. ოლქი ხასიათდება მერქნიან სახეობათა მრავალფეროვნებით, რელიქტურ მცენარეთა სიუხვითა და საკმაოდ მაღალი ენდემიზმით.

ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტყით დაფარული ფართობები მოიცავს ზღვის დონიდან 240-2100 მ სიმაღლეებს, ძირითადი ნაწილი კი წარმოდგენილია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი და შავშეთის ქედის ჩრდილოეთი ექსპოზიციის ფერდობებზე გაადგილებულ დიდ კომპაქტურ მასივებად და ემიჯნება სუბალპურ იალაღებს, რომლის უმაღლესი მწვერვალია მთა ღომა (2441 მ.ზ.დ.-დან)

მთა-გორიანი რელიეფი განსაზღვრავს მცენარეული საფარის ვერტიკალურ ზონალობას. Mმერქნიან სახეობათა შემადგენლობა, კორომთა წარმადობა ასევე იცვლება ექსპოზიციებისა და ფერდობთა დაქანების სიმკვეთრის მიხედვით.

ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცენარეულობის სარტყლიანობა კოლხური ტიპისაა და აქ ის წარმოდგენილია 3 საფეხურით.

1. **ტყის მცენარეულობა** 240-2441 **მ.-მდე ზ. დ. -დან**
1.1 შერეული კოლხური ტყე 135 მ-დან 400-500 მ- მდე ზ. დ. -დან
1.2 წაბლის ტყეები 500- დან 1000-1800მ მ-მდე ზ. დ. -დან
1.3 წიფლის ტყეები 1100-დან 1700 მ-მდე ზ. ზ. დ. -დან
1.4 შერეული წიწვოვან ფოთლოვანი ტყე 1800-2100 მ-მდე ზ. დ. -დან
2. **სუბალპური სარტყლის მცენარეულობა** 2000_2100მ-დან 2400 **მ.-მდე ზ. დ. -დან**
2.1 სუბალპური ტყეები 2000-დან 2250 მ-მდე ზ. ზ. დ. -დან
2.2 სუბალპური ბუჩქნარები-2100მ-დან_2350 მ_მდე ზ. D. -დან
2.3 სუბალპური მდელოები 2200მ.-დან 2400 მ.-მდე ზ. დ. -დან

1. ჰიგროფილური, თერმოფილული შერეული ფოთლოვანი ტყე ანუ შერეული სუბტროპიკული ტყეები წარმოდგენილია ძირითადად წაბლნარი, რცხილნარი, მურყნარი და წიფლნარი ფორმაციებით. ქვეტყე მდიდარია მარადმწვანე ბუჩქებით, ლიანებით. იგი ტყის მცენარეულობის პირველი საფეხურია. მისი ბუნებრივი ვერტიკალური საზღვრები მოიცავს მდ. აჭარისწყალის და მისი შენაკადების დაბლარ ხეობებს და ზ. დონიდან 100 მ-დან 400-500 მ-მდე ვრცელდება.

ბუნებრივი ტყის მცენარეულობა შედარებით სტრუქტურა დაურღვეველ მდგომარეობაში შემორჩენილია მხოლოდ მაღალი დაქანების ფერდობებზე. ფართობების ძირითადი ნაწილიათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით და ძლიერ ანთროპოგენურ გავლენას განიცდის.

შერეული კოლხური ტყისათვის ქედის მუნიციპალიტეტში უნდა აღინიშნოს ექსპოზიციურობა, კერძოდ მდ. აჭარისწყლის ხეობის მიმდებარე სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე ძირითადად კოლხურ ტყეში მუხები (Quercus hartwissiana, Q. dzhorochensis) სჭარბობენ. ჩრდილოეთის ექსპოზიცია კი წაბლის დომინანტობით გამოირჩევა.

აქვე შერეული კოლხური ტყის მერქნიანი მცენარეები წარმოდგენილია ფოთოლმცვენი და მარადმწვანე სახეობებით, რომლებიც ორ და სამ იარუსად არიან განლაგებული. პირველი, 14-20 მ. სიმაღლის, იარუსის ძირითადი ტყის შემქმნელი სახეობებია: აღმოსავლური წიფელი (Fagus orientalis), კავკასიური ცაცხვი

(თილია ცაუცასიცა), ჩვეულებრივი წაბლი (Tilia caucasica), მურყანი (Castanea sativa) და კავკასიური რცხილა Carpinus caucasica), მუხა (Quercus hartwissiana, Q. Dzorochensis), რომლებიც ქმნიან შერეული ცენოზების სხვადასხვა ვარიანტს: რცხილნარ-წიფლნარს, მუხნარ-რცხილნარს, რცხილნარ-წაბლნარს, წაბლნარ-წიფლნარს, რცხილნარ-წაბლნარ-წიფლნარს. ერთეულებად გვხვდებიან: თელა (Ulmus glabra), Taxus baccata) რომლებიც კიდევ უფრო ამდიდრებენ კოლხურ ტყეს სახეობრივი მრავალფეროვნებით მდიდარ ფოთლოვან ხეთა სახეობების პოლიდომინანტური დაჯგუფებების სახით.

მეორე იარუსი წარმოდგენილია 4-12 მ. სიმაღლის ხე-ბუჩქოვანი სახეობებით. კოლხური ელემენტებიდან აქ გვხვდება: ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana), ხეჭრელი (Frangula alnus), ძახველი (Viburnum opulus), (Sambucus nigra), კავკასიური ხურმა (Diospyros lotus), ლეღვი (Ficus carica), ბალამწარა (Cerasus avium), თუთა (Morus alba), მაჟალო (Malus orientalis) და სხვა.

მესამე იარუსი, 2-3 მ. სიმაღლის ქვეტყე, ძირითადად წარმოდგენილია მარადმწვანე ბუჩქებით: პონტოს შქერი (Rhododendron ponticum), წყავი (Laurocerasus officinalis), კოლხური ჭყორი (Ilex colchica), კოლხური ბზა (Buxus colchica), წყავმაზა (Phyllirea medwedewii). ფოთოლმცვენი სახეობებიდან ამ იარუსში გავრცელებული სახეობებია: იელი (Rhododendron luteum), ხემაგვარი მოცვი (Vaccinium arctostaphyllos), უფრო იშვიათად კიდობანა (Euonymus europae). ამ იარუსის ქვემოთ გვხვდებიან: მაჯაღვერი (Daphne pontica), ძმერხლი (Ruscus colchicus) და სხვა.

მარადმწვანე ბუჩქები ძირითადად გვხვდებიან ჩრდილოეთის ფერდობების ტყეებში, ფოთოლმცვენთათვის კი უფრო ტიპიურია სამხრეთის ფერდობები. ბზა გვხვდება მდინარეებისა და მათი შენაკადების გასწვრივ. შერეული კოლხური ტყისათვის დამახასიათებელია ლიანები, კოლხური სურო , ჩვეულებრივი სურო, ეკალღიჭი, კატაბარდა, რომლებიც თავისებურ იერსახეს ანიჭებენ ტყეს. ამათგან სურო ჩრდილის მოყვარულია და ძირითადად ტენიან პირველად ტყეებში გვხვდება, ეკალღიჭი კი შედარებით სინათლის მოყვარულია, არ ერიდება სიმშრალეს და შესაბამისად გავრცელებულია ძირითადად ტყისპირებსა და მეორად ტყეებში. ხშირია აგრეთვე, კატაბარდა (Clematis vitalba), სვია (Humulus lupulus), ღვედკეცი (Periploca graeca), ჯიქა (Lonicera caprifolium). ხეებზე ხშირია ეპიფიტები გვიმრების Polypodium serratum და Polypodium vulgare -ს სახით. ყალთაღებში და მეორად მეჩხერ ტყეებში ძლიერაა გავრცელებული მაყვლის სახეობები, განსაკუთრებით Rubus hirtusდა R. caucasicus.

კოლხური ტყის სხვადასხვა დაჯგუფებების ბალახოვანი საფარისათვის ჩვეულებრივია შემდეგი სახეობები: Dryopteris borreri, Polystichum aculeatum, P.woronowii, Festuca montana, Polygonatum multiflorum, Paris incompleta, Aristolochia pontica, Ranunculus ampelophyllus, Dentaria quinquifolia, Pachyphragma macrophylla, Sanicula europaea, Primula sibtorpii, Omphalodes cappadocica, Symphytum ibericum, Trachystemon orientale, Petasites albus, Cicerbita pontica.

მეორადი ბალახოვანი ცენოზებისათვის ჩვეულებრივია Chelidonium majus, Geum urbanum, Agrimonia eupatoria, Sambucus ebulus, Datura stramonium და სხვ. შედარებით მშრალ და განათებულ ფერდობებზე ხშირად გვხვდება Iris lasica, Helleborus caucasica, Pteridium tauricum.

აღნიშნული სახეობები ძირითად ფონს ქმნიან კოლხური ტყის ბალახოვანი საფარის მთლიან შემადგენლობაში; ცალკეულ შემთხვევებში კი შეიძლება უფრო მდიდარი ან პირიქით, ღარიბი სურათი გვქონდეს. მერქნიანთა და ბალახოვანთა ბრძოლაში მერქნიანები იმარჯვებენ. ტყის მცენარეულობის ამ საფეხურის დამახასიათებელი თავისებურებაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველადი ცენოზების დარღვევისას, რაც ძირითადად ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შედეგია, ხშირად ფართობის მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ ნაირბალახოვანი ცენოზები.

წაბლის ტყეები ძირითადად ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზეა გავრცელებული და კოლხური ტყის შემდეგი საფეხურია, რომელიც გვხვდება როგორც შერეული, ასევე წმინდა ცენოზების სახით. წაბლის ტყის სარტყელი გავრცელებულია ძირითადად ზ. D. 400-500 მ.-დან 1000-1100 (1200) მ.-მდე. ერთეული ეგზემპლარები გვხვდებიან ზ.დ 1700-1800 მ. სიმაღლეზეც. წაბლის ტყის სარტყელში წაბლის გარდა გვხვდებიან აგრეთვე: Fagus orientalis, Carpinus caucasicus, Alnus barbata, Tilia caucasica, Picea orientalis, Ulmus glabra. ქვეტყე

ძირითადად წარმოდგენილია ბუჩქებით: Rhododendron ponticum, Rhododendron ungernii, Rhododendron luteum, Laurocerasus officinalis, Vaccinium arctostaphyllos, Ilex colchica, Euonimus latifolia. ლიანებიდან ვხვდებით: Hedera colchica, Hedera helix, Smilax exelsa, Clematis vitalba, Humulus lupulus.

ბალახოვანი საფარით წაბლნარები ღარიბია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტყის ეს საფეხური მხოლოდ ტყეებით არ ამოიწურება. ამ ვერტიკალურ სარტყელში ვხვდებით აგრეთვე მეორად ბუჩქებსა და ბალახოვნების სხვადასხვა ცენოზებს, რომლებიც მრავალფეროვანი სახეობრივი შემადგენლობით ხასიათდებიან. მეორადი ცენოზები ვითარდება ტყისპირებზე, ვიწრო ხევებში მდინარეთა გასწვრივ და გაახოებულ ფერდობებზე. ხშირი გავრცელებით ხასიათდება Pteridium tauricum, რომელიც ქმნის ხშირ და მაღალბალახოვან იარუსს. ტყის ფანჯრებში გვხვდებიან: Matteuccia strutiopteris, Phyllitis scolopendrium, Polystichum lobatum, ისინი ქმნიან ხშირ შალდამებს, რომლებშიც სხვა ბალახოვნები იშვიათად მონაწილეობენ (მანველიძე, მემიაძე, გორგილაძე 2003 ა.).

ბალახოვნებიდან წაბლნარის ტყის სარტყელში გარდა ზემოთ აღნიშნული სახეობებისა გავრცელებულია: Phleum nodosum, Sedum oppositifolium, Saxifraga cymbalaria, Aruncus vulgaris, Geranium robertianum, Impatiens noli-tangere, Hypericum buplerioides, Epilobium lanceolatum, Heracleum sosnovskyi, Symphytum asperum, Galeobdolon luteum, Salvia glutinosa, Calamintha grandiflora, Stachys trapezuntea, Cicerbita pontica, Petasites albus, Mycelis myralis. რუებთან და დაჭაობებულ ადგილებში გავრცელებულია: Mentha longifolia, Veronica baccabunga, ხოლო ტყისპირებზე და ტენიან მდელოებზე ჩვეულებრივია მაღალი ბალახოვნები: Pyrethrum macrophyllum, Campanula lactiflora, Telekia speciosa და სხვ.

მუხის ტყის სარტყელი ძირითადად სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზეა გავრცელებული და კოლხური ტყის შემდეგი საფეხურია, რომელიც გვხვდება როგორც შერეული, ასევე წმინდა ცენოზების სახით. ტყის ეს სარტყელი გავრცელებულია ძირითადად ზ. დD. 250-300 მ.-დან 1000-1100 და ძირითადად წარმოდგენილია მუხების 2 სახეობით (Quercus hartwissiana, Q. dzhorochensis).

მუხის ტყის სარტყელში მუხის გარდა გვხვდებიან აგრეთვე: Pinus sosnowsky, Fagus orientalis, Carpinus caucasicus,Carpinus orientalis, Alnus barbata, Tilia caucasica, Picea orientalis, Ulmus glabra, ქვეტყე ძირითადად წარმოდგენილია ბუჩქებით: Cistus salvifolius, Juniperus rufescens, Rhododendron luteum, Rhododendron ponticum, Vaccinium arctostaphyllos, Ilex colchica, Euonimus latifolia. ლიანებიდან ვხვდებით: Hedera helix, Smilax exelsa, Clematis vitalba, Humulus lupulus.

ბალახოვნებით მუხნარი ტყე საკმაოდ მრავალფეროვანია და ძირითადად მარცვლოვნებით და სიმშრალის მოყვარული სახეობაბითაა წარმოდგენილი. კერძოდ: Festuca drimeja, Festuca Montana, Poa nemoralis, Calamagrostis arundinaceae და სხვა გვიმრებიდან Notholeana maranthae, Ceterach officinarum, Asplenium trichomanes, Asplenium septentrionale…

აქვე უნდა აღინიშნოს მუხის მესამე სახეობა პონტოს მუხა (Quercus pontica), რომელიც ქედის მუნიციპალიტეტში ქმნის კორომებს 1400-1700 მ.ზ.დ. სიმაღლის ფარგლებში.

წიფლის ტყის სარტყელი ზ. დ. 1000-1100მ.-დან 1100-დან 2000-2100 მ-მდე ზ.დ.დან გავრცელებული. თავის ვერტიკალურ საფეხურზე წიფლნარი (Fagus orientalis) წმინდა ტყის კორომებს ქმნის. მის ქვედა საზღვრებში წიფელთან ერთად გვხვდება: Castanea sativa, Carpinus caucasica, Tilia caucasica, ხოლო ზედა საზღვრებში კი აღმოსავლური ნაძვი (Picea orientalis) მცირეოდენი მონაწილეობით, ასევე კავკასიური სოჭი (Abies nordmanniana). წიფლნარებში ქვეტყე წარმოდგენილია ბუჩქებით: Rhododendron ponticum, Laurocerasus officinalis, Vaccinium arctostaphyllos, Rhododendron luteum, Viburnum lantana, Rubus caucasicus, რომელიც მრავალ ადგილას, განსაკუთრებით კი ტყის პირებსა და ტყის ფანჯრებში გაუვალ რაყებსა და ბარდნარს ქმნის. ლიანებიდან შედარებით ხშირად ვხვდებით კოლხურ სუროს (Hedera colchica).

ბალახოვნებით წიფლნარი არაა მდიდარი. Mხოლოდ აქა-იქ შეიძლება შეგვხვდნენ: Sanicula europae, Asperula odorata. მათი უმეტესობა მდინარეთა ნაპირებსა და ველობებზეა ძირითადად თავმოყრილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია წიფლნარების ზედა საზღვრების ველობები და ტყეკაფები 1600-1800 მ. სიმაღლეზე ზ. დ. აქ თავს

იყრიან როგორც ტყის, ასევე სუბალპური სარტყლის ელემენტები სწორედ აქ ვხვდებით მაღალბალახეულობას სახეობებით: Pyrethrum macrophyllum, Hypericum buplerioides, Senecio platyphylloides, Ranunculus ampelophyllus, Potentilla elatior, Lilium szowitsianum, Senecio propinquus, Cicerbita petiolata, Symphytum asperum, Paeonia macrophylla, Aruncus vulgaris, Heracleum sosnovskyi, Agrostis alba, Solidago virgaurea, Aconitum orientale, Prenanthes abietina, Petasites albus, Calamintha grandiflora.წიფლის სარტყელში ბალახეული საფარი მდიდარია ისეთ ადგილებში, სადაც შედარებით სუსტადაა განვითარებული წყავისა და შქერის ქვეტყე. ყველაზე მეტად აღინიშნება წივანა Festuca montana. გვიმრებიდან აღსანიშნავია: Mateuccia strutiopteris, Dryopteris oreopteris, D. Liliana, მნიშვნელოვანია ისლების მონაწილეობაც (ჩარეხ სყლვატიცა),ვხვდებით აგრეთვე: Digitalis ferruginea, Ranunculus grandiflorus, Senecio platyphilloides და სხვ.

შერეული წიწვოვან-ფოთლოვანი ტყე 1800-2100მ-მდე ზ. -დან. ტყის სარტყლის ბოლო საფეხურია, რომელიც წარმოდგენილია: წიფლით (Fagus orientalis), ნაძვით (Picea orientalis) და მცირე მონაწილეობით სოჭით (Abies nordmanniana). ქვეტყე წარმოდგენილია სახეობებით: Rhododendron ponticum, Ilex colchica, Vaccinium arctostaphylos და სხვ. ლიანებიდან ძირითადად გვხვდება კოლხური სურო (Hedera colchica).

ბალახოვნებიდან ამ სარტყელში გავრცელებული სახეობებია: Sanicula europae, Festuca montana, Asperula odorata, Veronica peduncularis, Prenanthes purpurea, Cirsium hypoleucum, Gentiana schistocalyx, Cicerbita cacaliifolia, Galium rotundifolium, Aruncus vulgaris, Pyrethrum macrophyllum, Oxalis acetosella, Polygonatum polyanthemum, Myosotis sylvatica, Saxifrsga cymbalaria, Senecio propinquus, Scrophylaria chrisantha და სხვ.

სუბალპური სარტყლის მცენარეულობა-ზღვის დონიდან 2000-2100მ-დან 2300-2400მ-მდე ვრცელდება. როგორც ა. ოლუხანოვი, მ. სახოკია და ა. ხარაძე (Долуханов, Сахокия, Харадзе, 1942), გ.ნახუცრიშვილი (1971; 2000; Nakhutsrishvili, 2003), ნ. ზაზანაშვილი, რ. გაგნიძე, გ. ნახუცრიშვილი (1995 წ, 2000 წ) აღნიშნავენ, სუბალპური სარტყელი ტყისა და ალპური სარტყლის მცენარეულობათა შორის ბრძოლის სარტყელია, რომელშიც ერთმანეთის გვერდით არსებობისათვის იბრძვიან ტყის, მდელოსა და ბუჩქნარების ტიპის ცენოზები. შესაბამისად სუბალპურ სარტყელში გამოირჩევა სამი ზოლი. ქვედა ზოლი, რომელშიც ტყის სარტყლის ელემენტები სჭარბობენ, შუა ზოლი ტიპიური სუბალპური სარტყლის ელემენტებით და ზედა ზოლი ალპური სარტყლის ელემენტების სიჭარბით. აკად. კეცხოველის (1960 წ) მიხედვით დასავლეთ საქართველოს სუბალპურ სარტყელში გამოირჩევა: სუბალპური ტყეები, სუბალპური ბუჩქნარები, სუბალპური მდელოები და სხვა უფრო ნაკლებად სპეციფიკური ტიპები.

სუბალპური ტყეები ვრცელდება ზ. დ. 2100-2350 მ. საზღვრებში და წარმოდგენილია შემდეგი ფორმაციებით: სუბალპური ტანბრეცილებით, სუბალპური მეჩხერი ტყითა და დეკიანით. ამ სარტყელში თავმოყრილია ძირითადად მესამეული მეზოფილური დენდროფლორის წარმომადგენლები; ტყის შემქმნელ ძირითად სახეობებთან, აღმოსავლურ წიფელთან (Fagus orientalis) და ლიტვინოვის არყთან (Betula litwinowii) ერთად მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ კავკასიის, საქართველოს, კოლხეთის და აჭარის ენდემები და რელიქტები: Betula medwedewii, Quercus pontica, Rhamnus imeretina, Viburnum orientale, Rhododendron ponticum, Ilex colchica, Laurocerasus officinalis, Ribes biebersteinii.

მერქნიანებიდან სუბალპური ტანბრეცილების ფორმირებაში მონაწილეობენ ასევე: Sorbus boissieri, S. subfusca, Acer trautvetteri უფრო იშვიათად Populus tremula. ბუჩქოვანი ქვეტყე საკმაოდ მეჩხერია, მაგრამ სახეობებით მდიდარია. მასში მონაწილეობენ: Rhododendron ponticum, Rh. caucasicum, Laurocerasus officinalis, Ilex colchica, Daphne alboviana, D. mezereum, Salix caprea, S. caucasica, Corylus avellana, Ribes alpinus, Sorbus colchica, S. graeca, Rubus caucasicus, R. hirtus, Vaccinium arctostaphyllos, V. myrtillus, Viburnum orientale, Lonicera caucassica, Juniperus sabina და სხვ. იშვიათად: Laurocerasus officinalis, Rhododendron ponticum, Rh. caucasica, Ilex colchica. ბალახოვნებიდან აღსანიშნავია: Polystichum lobatum, Phyllitis scolopendrium, Carex medwedewii, Luzula pseudosudetica, Muscari polyanthum, Myosotis amoena, Symphitum asprtum და სხვ.

სუბალპურ ბუჩქნარებს ქმნიან როგორც მარადმწვანე, ასევე ფოთოლმცვენი ბუჩქოვანი სახეობები: Rhododendron caucasicum, Rh. ponticum, Rh. smirnowii, Daphne alboviana, Laurocerasus officinalis, Ilex colchoca,

Vaccinium arctostaphylos, , Ruscus colchicus, Rhododendron luteum, Rosa boissieri, Salix caucasica, Rubus caucasicus, R. saxatilis, R. hirtus და სხვ. ბუჩქები ამ სარტყელში დაბალტანიანებია, სიმაღლით ერთ მეტრამდე. ზოგი მათგანი მიწაზეა გართხმული. ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიის ტყეები გამოირჩევა, როგორც აჭარა-შავშეთის მერქნიანი ენდემური სახეობების სმირნოვის შქერის (Rhododendron smirnowii), წყავმაზას (ზეთის ხე- Osmanthus decorus) და პონტოური მუხის (Quercus pontica) ძირითადი ადგილსამყოფლები, რომლებიც ბუნების ცოცხალ ძეგლებადაა მიჩნეული:

სმირნოვის შქერის (Rhododendron smirnowii) **ადგილსამყოფელი (ჰაბიტატები)**
მდებარეობა: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. მერისის საკრებულო, მდ. აკავრეთას და მდ. სათევზიას ხეობა, სოფ. ნამონასტრევის მიმდებარე ტყის მიდამოებიდან (ე.წ. `გვირაბი~) მთა კოსლითავის ჩათვლით. სიმაღლე ზღვის დონიდან: 1160-1720 მ. სტატუსის დასაბუთება: ბუნების ძეგლი, როგორც აჭარა-შავშეთის ლოკალური ენდემური სახეობის - სმირნოვის შქერის (Rhododendron smirnowii) ერთადერთი ადგილსამყოფელი საქართველოს მასშტაბით.

წყავმაზას (ზეთის ხე - Osmanthus decorus) **ადგილსამყოფელი**
მდებარეობა: მდ. აჭარისწყლის ხეობის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მომიჯნავე ფართობები, ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი მაისიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ აჭარისწყლამდე საავტომობილო გზის მონაკვეთი, ფრაგმენტებად. სიმაღლე ზღვის დონიდან: 90-200 მ. სტატუსის დასაბუთება: ბუნების ძეგლი, როგორც ტყე-კლდის კომპლექსებში კოლხეთის, კავკასიის, საქართველოს, აჭარის და აჭარა-ლაზეთის ენდემური სახეობებისა და ამავდროულად აჭარა-შავშეთის ლოკალური ენდემის - წყავმაზას (ზეთის ხე - Osmanthus decorus) ერთადერთი ადგილსამყოფელი საქართველოს მასშტაბით.

პონტოური მუხის (Quercus pontica) კორომი
მდებარეობა: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. მერისის საკრებულო, მდ. ა მდ. სათევზიას ხეობა, სოფ. ჭალათი, მთა კოსლითავის იალაღები). სიმაღლე ზღვის დონიდან: 1400-1750 მ.

სტატუსის დასაბუთება: ბუნების ძეგლი, როგორც საქართველოს წითელი ნუსხის და ამავდროულად უძველესი ხმელთაშუაზღვეთის სამყაროს, სუბხმელთაშუა-ზღვისპირეთის ოლქის, კოლხეთის ანუ აღმოსავლეთ ევქსინის პროვინციის აჭარა-შავშეთის არეს („ოკრუგის“) მრავალი ენდემური და რელიქტიური სახეობების ბუნებრივი ჰაბიტატი (რეზერვატი) და გამრავლების ადგილი. აქ თავმოყრილია აჭარა-ლაზეთის ენდემები: Rhododendron ungernii, R. smirnowii, კოლხეთის ენდემები: Ქუერცუს პონტიცა, ეტულა მედწედეწიი; საქართველოს ენდემები: Rubus woronowii, Paracynoglossum glochidatu;. კავკასიის ენდემები: Solidago virgaurea, Anthemis woronowii).

ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიის ტყის ეკოსისტემები გამოირჩევა ასევე, როგორც მრავალი ენდემური ბალახოვანი მცენარეთა სახეობების ძირითადი ადგილსამყოფლები: იორდასალამები (Paeonia macrophylla, Paeonia caucasica), კლდის კამა (Galanthus krasnovii), კრასნოვის თეთრყვავილა (Გალანტჰუს კრასნოვიი), კავკასიის თეთრყვავილა (Galanthus caucasica).

ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიის ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს ობიექტების სახეობების ნუსხა წარმოდგენილია ცხრილი 1-5- ში

ცხრილი 1-5. ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს სახეობების ნუსხა

№	სახეობების დასახელება		საქართველოს წითელი ნუსხით დაცული /2006/
	ქართული	ლათინური	
1	2	3	4
ძუძუმწოვრები			
1	გრძელკუდა კბილთეთრა	Crocidura gueldenstaedti (Pallas, 1811)	
2	რადეს ბიგა	Sorex raddei Satunin, 1895	
3	ვოლნუხინის ბიგა	Sorex volnuchini Ognev, 1922	
4	მცირე თხუნელა	Talpa levantis Thomas, 1906	
5	ჩვეულებრივი მეგვიანე	Eptesicus serotinus (Schreber, 1774)	

6	გიგანტური მეღამურა	Nyctalus lasiopterus (Schreber, 1780)	
7	წითური მეღამურა	Nyctalus noctula (Schreber, 1774)	
8	ჯუჯა ღამორი	Pipistrellus pipistrellus (Schreber, 1774)	
9	რუხი ყურა	Plecotus auritus (Linnaeus, 1758)	
10	კურდღელი	Lepus europaeus Pallas, 1778	
11	ჩვეულებრივი მემინდვრია	Microtus arvalis (Pallas, 1778)	
12	ბუჩქნარის მემინდვრია	Microtus majori Thomas, 1906	
13	სახლის თაგვი	Mus musculus Linnaeus, 1758	
14	რუხი ვირთაგვა	Rattus norvegicus (Berkenhout, 1769)	
15	შავი ვირთაგვა	Rattus rattus (Linnaeus, 1778)	
16	მცირეაზიური თაგვი	Sylvaemus mystacinus (Danford et Alston, 1877)	
17	ტყის ძილგუდა, ღნავი	Dryomys nitedula (Pallas, 1778)	
18	ჩვეულებრივი ძილგუდა	Glis glis (Linnaeus, 1766)	
19	ტურა	Canis aureus Linnaeus, 1758	
20	მელა	Vulpes vulpes (Linnaeus, 1758)	
21	დედოფალა	Mustela nivalis Linnaeus, 1766	
22	მაჩვი	Meles meles (Linnaeus, 1758)	
23	წავი	Lutra lutra (Linnaeus, 1758)	VU (B1(bI))
24	შველი	Capreolus carpeolus (Linnaeus, 1758)	
25	გარეული ღორი	Sus scrofa Linnaeus, 1758	
		ფრინველები	
26	წითელყელა მურტალა	Podiceps auritus (Linnaeus, 1758)	
27	ქარცი ყანჩა	Ardea purpurea Linnaeus, 1766	
28	ყვითელი ყანჩა	Ardeola ralloides (Scopoli, 1769)	
29	დიდი თეთრი ყანჩა	Egretta alba (Linnaeus, 1758)	
30	თეთრშუბლა იხვი	Anas penelope Linnaeus, 1758	
31	გარეული იხვი	Anas platyrhinchos Linnaeus, 1758	
32	რუხი იხვი	Anas strepera Linnaeus, 1758	
33	ქორცქვიტა	Accipiter brevipes (Severtzov, 1850)	VU(D1)
34	ქორი	Accipiter gentilis (Linnaeus, 1758)	
35	მიმინო	Accipiter nisus (Linnaeus, 1758)	
36	მყივანი არწივი	Aquila clanga Pallas, 1811	VU(IUCN)
37	ბექობის არწივი	Aquila heliaca Savigny, 1809	VU(IUCN)
38	ველის არწივი	Aquila nipalensis Hodgson, 1833	
39	მცირე არწივი	Aquila pomarina Brehm, 1831	
40	ჩვეულებრივი კაკაჩა	Buteo buteo (Linnaeus, 1758)	
41	ველის კაკაჩა	Buteo rufinus (Cretzschmar, 1826)	VU(D1)
42	ძერაბოტი	Circaetus gallicus (Gmelin, 1770)	
43	ჭაობის ბოლობეჭედა	Circus aeruginosus (Linnaeus, 1758)	
44	ჩია არწივი	Hieraaetus pennatus (Gmelin, 1788)	
45	ძერა	Milvus migrans (Boddaert, 1783)	
46	ფასკუნჯი	Neophron percnopterus (Linnaeus, 1758)	VU(D1)
47	ჩვეულებრივი ბოლოკარკაზი	Pernis apivorus (Linnaeus, 1758)	
48	ალალი	Falco columbarius Linnaeus, 1758	
49	შევარდენი	Falco peregrinus brookei Sharpe, 1873	
50	მარჯანი	Falco subbuteo Linnaeus, 1758	
51	თვალშავი	Falco vespertinus Linnaeus, 1766	EN(D1)
52	მწყერი	Coturnix coturnix (Linnaeus, 1758)	
53	გნოლი	Perdix perdix (Linnaeus, 1758)	

54	ტყის ქათამი	Scolopax rusticola Linnaeus, 1758	
55	გულიო, გვიძინი	Columba oenas Linnaeus, 1758	
56	ქედანი	Columba palumbus Linnaeus, 1758	
57	ჩვეულებრივი გუგული	Cuculus canorus Linnaeus, 1758	
58	ყურებიანი ბუ, ოლოლი	Asio otus (Linnaeus, 1758)	
59	წყრომი	Otus scops (Linnaeus, 1758)	
60	ჩვეულებრივი ტყის ბუ	Strix aluco Linnaeus, 1758	
61	ნამგალა	Apus apus (Linnaeus, 1758)	
62	ოფოფი	Upupa epops Linnaeus, 1758	
63	დიდი ჭრელი კოდალა	Dendrocopos major (Linnaeus, 1758)	
64	საშუალო კოდალა	Dendrocopos medius (Linnaeus, 1758)	
65	მცირე ჭრელი კოდალა	Dendrocopos minor (Linnaeus, 1758)	
66	შავი კოდალა	Dryocopus martius (Linnaeus, 1758)	
67	მაქცია	Jynx torquilla Linnaeus, 1758	
68	მწვანე კოდალა	Picus viridis Linnaeus, 1758	
69	თოხიტარა	Aegithalos caudatus (Linnaeus, 1758)	
70	მინდვრის ტოროლა	Alauda arvensis Linnaeus, 1758	
71	ტყის ტოროლა	Lullula arborea (Linnaeus, 1758)	
72	მოკლეთითა მგლინავა	Certhia brachydactila C.L. Brehm, 1820	
73	ჩვეულებრივი მგლინავა	Certhia familiaris Linnaeus, 1758	
74	ყორანი	Corvus corax Linnaeus, 1758	
75	რუხი ყვავი	Corvus cornix Linnaeus, 1758	
76	ჭილყვავი	Corvus frugilegus Linnaeus, 1758	
77	ჩხიკვი	Garrulus glandarius (Linnaeus, 1758)	
78	მთის გრატა	Emberiza cia Linnaeus, 1766	
79	მეკანაფია	Carduelis cannabina (Linnaeus, 1758)	
80	ჩიტბატონა	Carduelis carduelis (Linnaeus, 1758)	
81	მწვანულა	Carduelis chloris (Linnaeus, 1758)	
82	ჭივჭავი	Carduelis spinus (Linnaeus, 1758)	
83	კულუმბური	Coccothraustes coccothraustes (Linnaeus, 1758)	
84	სკვინჩა, ნიბილია	Fringilla coelebs Linnaeus, 1758	
85	სტვენია	Pyrrhula pyrrhula (Linnaeus, 1758)	
86	კლდის მერცხალი	Ptyonoprogne rupestris (Scopoli, 1769)	
87	ჩვეულებრივი ღაჟო	Lanius collurio Linnaeus, 1758	
88	ტყის მწყერჩიტა	Anthus trivialis (Linnaeus, 1758)	
89	წყალწყალა	Motacilla alba Linnaeus, 1758	
90	საყელოიანი მემატლია	Ficedula albicollis (Temminck, 1815)	
91	მცირე მემატლია	Ficedula parva (Bechstein, 1794)	
92	კავკასიური საყელოიანი მემატლია	Ficedula semitorquata (Homeyer, 1885)	
93	რუხი მემატლია	Muscicapa striata (Pallas, 1764)	
94	მოლაღური	Oriolus oriolus (Linnaeus, 1758)	
95	შავი წივწივა	Parus ater Linnaeus, 1758	
96	წიწკანა	Parus caeruleus Linnaeus, 1758	
97	დიდი წივწივა	Parus major Linnaeus, 1758	
98	ჩვეულებრივი სინეგოგა	Sitta europea Linnaeus, 1758	
99	შავთავა ცოცია	Sitta krueperi Pelzeln, 1863	
100	კავკასიური ყარანა	Phylloscopus lorenzii (Lorenz, 1887)	
101	ყვითელმუცელა ყარანა	Phylloscopus nitidus (Blyth, 1843)	
102	მწვანე ყარანა	Phylloscopus trochiloides (Sundevall,	

		1837)	
103	ყარანა-მეგაზაფხულე	Phylloscopus trochilus (Linnaeus, 1758)	
104	წითელთავა ნარჩიტა	Regulus ingicapillus (Temminck, 1820)	
105	ყვითელთავა ნარჩიტა	Regulus regulus (Linnaeus, 1758)	
106	შავთავა ასპუჭაკა	Sylvia atricapilla (Linnaeus, 1758)	
107	რუხი ასპუჭაკა	Sylvia communis Latham, 1787	
108	ჭვინტასპუჭაკა	Sylvia curruca (Linnaeus, 1758)	
109	მიმინოსებრი ასპუჭაკა	Sylvia nisoria (Bechstein, 1795)	
110	ჭინჭრაქა, ღობემძვრალა	Troglodytes troglodytes (Linnaeus, 1758)	
111	გულწითელა	Erithacus rubecula (Linnaeus, 1758)	
112	აღმოსავლური ბულბული	Luscinia luscinia (Linnaeus, 1758)	
113	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	Phoenicurus phoenicurus (Linnaeus, 1758)	
114	ჩიჩხინაკი	Turdus iliacus Linnaeus, 1766	
115	შავი შაშვი	Turdus merula Linnaeus, 1758	
116	წრიპა	Turdus philomelos C.L. Brehm, 1831	
117	ბოლოშავა	Turdus pilaris Linnaeus, 1758	
118	ჩხართვი	Turdus viscivorus Linnaeus, 1758	

1-4.11 იქტიოფაუნა

2013 წელს მდინარე აჭარისწყლის აუზზე ჩატარებული თევზის ინვენტარიზაციის დროს ფლორა და ფაუნაზე გამოვლინდა ექვსი ოჯახი და 16 სახეობის თევზი; ასევე, 16 სახეობა გამოვლინდა აკავრეთას მდინარეში, 12 ჩირუხისწყალზე, 11- მდ ჭვანისწყალზე, 9 ხალთაში და 8 გორჯომისწყალში (იხილეთ ცხრილი 1-ქვემოთ).აჭარისწყლის მდინარის აუზის მდინარეებში შემდეგი სახეობებია გავრცელებული: კოლხური ციმორი, ანატოლიური ხრამული, კოლხური წვერა, კოლხური ხრამული, კავკასიური ღორჯო, კოლხური ხრამულა, კარჩხალი, ანგორა ლოუჩი, და კალმახი. გვხვდება ასევე იშვიათი შავი ზღვის ორაგული და ევროპული გველთევზა.
მდინარე აჭარისწყლის იქთიოფაუნა გამოირჩევა მაღალი დონის ენდემური და ბიოლოგიური კონსერვაციული ღირებულებით. 16 სახეობაა აღმოჩენილი, ორი ენდემურია შავი ზღვის აუზისათვის, ექვსი-კოლხეთის, ორი - კოლხეთი - ანატოლიაში, ორი- ენდემურია კავკასიაში. სამი სახეობა შედის საქართველოს წითელი წიგნის ნუსხაში, ხოლო 6 სახეობა შედის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის(IUCN) წითელი წიგნის ნუსხაში.

მთისწინა და მთიან წელში იქთიოფაუნა შედარებით ღარიბია, თუმცა ეკოლოგიური და სამომავლო თევზსამეურნეო პოტენციალის თვალსაზრისით შეუდარებლად მნიშვნელოვანი.

ცხრილი 1-6. აჭარისწყლის აუზზე ჩატარებული თევზის ინვენტარიზაციის ცხრილი

№	სახეობების დასახელება		საქართველოს წითელი ნუსხით დაცული /2006/
	ქართული	ლათინური	
1	2	3	4
	თევზები		
119	ანგორული გოჭალა	Oxynoemacheilus angorae (Steindachner, 1897)	
120	კოლხური წვერა	Luciobarbus escherichii (Steindachner, 1897)	
121	კოლხური ხრამული	Capoeta sieboldii (Steindachner, 1864)	
122	მცირეაზიური ხრამული	Capoeta tinca (Heckel, 1843)	
123	-	Rhodeus colchicus Bogutskaya et Komlev, 2001	
124	ჩვეულებრივი კარჩხანა	Carassius carassius (Linnaeus, 1758)	
125	ციმორი	Gobio gobio (Linnaeus, 1758)	
126	ბათუმის შემაია	Alburnus derjugini Berg, 1923	
127	ჩვეულებრივი ქაშაპი	Leuciscus leuciscus (Linnaeus, 1758)	

128	კავკასიური ქაშაპი	Squalius cephalus (Linnaeus, 1758)	
129	ფრიტა	Alburnoides bipunctatus (Bloch, 1782)	
130	ვიმბა	Vimba vimba (Linnaeus, 1758)	
131	კოლხური ტობი	Chondrostoma colchicum Derjugin, 1899	
132	შავპირა ღორჯო	Neogobius melanostomus (Pallas, 1814)	
133	მდინარის ქორჭილა	Perca fluviatilis Linnaeus, 1758	
134	შავი ზღვის ორაგული	Salmo labrax Pallas, 1814	
135	კალმახი	Salmo trutta Linnaeus, 1758	VU (A1d)
		ამფიბიები, ქვეწარმავლები	
136	კავკასიური სალამანდრა	Mertensiella caucasica (Waga, 1876)	
137	კავკასიური გომბეშო	Bufo verrucosissimus (Pallas, 1814)	
138	ტბის ბაყაყი	Rana ridibunda Pallas, 1771	
139	კოლხური ბოხმეჭა	Anguis colchica (Nordmann, 1840)	
140	გველხოკერა	Pseudopus apodus (Pallas, 1775)	
141	საშუალო ხვლიკი	Lacerta media (Lantz et Cyren, 1920)	
142	ზოლებიანი ხვლიკი	Lacerta strigata Eichwald, 1831	
143	ქართული ხვლიკი	Darevskia rudis (Bedriaga, 1886)	
144	წითელმუცელა ხვლიკი	Darevskia parvula (Lantz et Cyrén, 1913)	
145	გველბრუცა	Typhlops vermicularis Merrem, 1820	
146	ჩვეულებრივი ანკარა	Natrix natrix (Linnaeus, 1758)	
147	წენგოსფერი მცურავი	Coluber najadum (Eichwald, 1831)	

1-5 მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები

1-5.1 დემოგრაფიული სტატისტიკა

ქედის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობა ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს 2014 წლის მდგომარეობით.

2014 წლის პირველი იანვრის მონაცემებით ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნებამ 16 760 კაცი შეადგინა. 1989 წლის მოსახლეობის საბჭოთა დროინდელმა ბოლო აღწერამ ქედის მუნიციპალიტეტში აღრიცხა 19 928 კაცი, ხოლო 2002 წლის პირველმა ეროვნულმა აღწერამ დააფიქსირა 20 144 კაცი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლამდე უკანასკნელად 2002 წელს ჩატარდა, ხოლო მას შემდეგ მოსახლეობის რიცხოვნების დადგენა შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების მიხედვით ხდებოდა, რასაც საერთო ჯამში უნდა მოეცა იდეალურთან მიახლოებული სურათის მიღების შესაძლებლობა, მაგრამ აღწერამ მოსახლეობის დრამატული კლების სურათი გვიჩვენა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, 2016 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობამ 16 760 კაცი შეადგინა, რაც წინა, 2002 წლის აღწერის შედეგთან (20 144 კაცი) შედარებით 16.7 პროცენტით (3384 კაცი) ნაკლებია. ამასთან, 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 1510 კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ - 15250 კაცი.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა 1989-2002-2021 წწ. მოცემულია ცხრილი 1-7-ში.

ცხრილი 1-7. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 1989- 2002-2021 წწ.

რეგიონი	1989	2002	2003	2004	2007	2008	2009	2010	2011	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ქედის მუნიციპალიტეტი	19. 9	20. 1	19. 9	19. 5	19. 8	19. 9	20	20,2	20.4	16.8	16,7	16,8	16,8	16,8	16,8	16,8	16,7

რაც შეეხება ოჯახების რაოდენობას, ბოლო მონაცემებით მუნიციპალიტეტში 3 995 ოჯახია. მოსახლეობის ეროვნების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: მოსახლეობის 99,7% ქართველია, 0,1% - რუსი, 0,1% - აფხაზი.
აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტი, როგორც მთლიანად აჭარის ა.რ. მჭიდროდ დასახლებული და მცირემიწიანი მუნიციპალიტეტია. 2014 წლის პირველი იანვრის მონაცემების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კმ^2-ზე შეადგენს 37,1 კაცს, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კვ.კმ) საკმაოდ ჩამოუვარდება.
2014 წლის მონაცემებით ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მხოლოდ 9% ცხოვრობს დაბის ტიპის დასახალებაში (1510 კაცი), ხოლო დანარჩენი 15250 კაცი ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობაა.
ბოლო მონაცემებით, სქესის მიხედვით, ქედის მუნიციპალიტეტში კაცები ჭარბობენ. ეს დისპროპორცია ძალზე მცირეა - 8410 კაცი და 8350 ქალი. (2016 წ.) (იხ. ცხრილი 1-).

ამასთან აღსანიშნავია, რომ 40 წლამდე მამაკაცთა პროცენტული წილი მეტია ამავე ასაკის ქალთა პროცენტულ წილზე, ხოლო 40 წლიდან მთლიან მოსახლეობაში ქალთა პროცენტული წილი საგრძნობლად იზრდება, რაც მეტყველებს ქალთა უფრო მაღალ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ასაკობრივ ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი 10-15 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე მოდის.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება სქესის, ქორწინების მდგომარეობისა და ასაკის მიხედვით 15 წლის და უფროსი ასაკისათვის ქვეყნის კონტექსტში მოყვანილია ცხრილი 1-8 -ში

ცხრილი 1-8. ქედის მოსახლეობის განაწილება სქესის, ქორწინების მდგომარეობისა და ასაკის მიხედვით 15 წლის და უფროსი ასაკისათვის ქვეყნის კონტექსტში

	ორივე სქესი	მათ შორის:				კაცი	მათ შორის:				ქალი	მათ შორის:			
		დაქორწინებული	არასოდეს ყოფილა დაქორწინებული	ქვრივი	განშორებული, განქორწინებული		დაქორწინებული	არასოდეს ყოფილა დაქორწინებული	ქვრივი	განშორებული, განქორწინებული		დაქორწინებული	არასოდეს ყოფილა დაქორწინებული	ქვრივი	განშორებული, განქორწინებული
საქართველო	3455591	2087980	882199	379580	103373	1591032	1028247	477552	56823	26921	1864559	1059733	404647	322757	76452
ქალაქი	1823192	1058104	497524	192292	73266	812911	525299	254280	26143	16012	1010281	542805	243244	166149	57254
სოფლი	1632399	1029876	384675	187288	30107	778121	512948	223272	30680	10909	854278	516928	161403	156608	19198
აჭარის ა.რ.	285667	177711	75065	25643	7012	134491	87791	40912	3998	1638	151176	89920	34153	21645	5374
ქალაქი	129893	77181	35205	12276	5033	58860	37876	18205	1625	1030	71033	39305	17000	10651	4003
სოფელი	155774	100530	39860	13367	1979	75631	49915	22707	2373	608	80143	50615	17153	10994	1371
ქ. ბათუმი	96015	56561	26124	9160	3992	43069	27678	13227	1227	827	52946	28883	12897	7933	3165
ქობულეთის რაიონი	67865	41300	18832	6508	1223	32784	20555	10833	1079+	317	35081	20745	7999	5429	906
ქალაქი	24199	14562	6478	2418	740	11197	7201	3540	318	138	13002	7361	2938	2100	602
სოფელი	43666	26738	12354	4090	483	21587	13354	7293	761	179	22079	13384	5061	3329	304
ხელვაჩაურის რაიონი	68040	42912	18720	5259	1147	32818	21247	10344	909	317	35222	21665	8376	4350	830
ქალაქი	7125	4492	1896	520	217	3408	2213	1087	58	50	3717	2279	809	462	167
სოფელი	60915	38420	16824	4739	930	29410	19034	9257	851	267	31505	19386	7567	3888	663
ქედის რაიონი	14925	9575	3945	1255	137	7286	4756	2244	234	43	7639	4819	1701	1021	94
ქალაქი	944	598	267	59	19	449	297	145	4	3	495	301	122	55	16

მოსახლეობის განსახლებისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის მონაცემები მოცემულია **"ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემის"** თემატურ რუქაზე **"განსახლება და მოსახლეობის სიმჭიდროვე".**

ცხრილი 1-9. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით

ათასი კაცი

ტერიტორია	სულ მოსახლეობა			საქალაქო დასახლება			სასოფლო დასახლება		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	334	162,9	171,0	184,8	88,2	96,6	149,2	74,7	74,4

ქედის მუნიციპალიტეტი	16,7	8,4	8,4	1,5	73	78	15,3	7,7	7,6

მოსახლეობის რაოდენობის ყოველწლიური მაჩვენებლის გაანგარიშებაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მონაცემები (განსხვავება შობადობასა და გარდაცვალებას შორის). ბუნებრივი მატების კოეფიციენტით ქედის მუნიციპალიტეტი დიდად არ ჩამორჩება სხვა მუნიციპალიტეტებს (იხ.ცხრილი 1-10, ცხრილი 1-11,ცხრილი 1-12).

ცხრილი 1-10. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში

	ტერიტორია	წელი								
		2000	2005	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ქედის მუნიციპალიტეტი	სულ	258	285	352	277	272	254	265	259	251
	ქალაქი	75	52	33	19	28	15	18	17	20
	სოფელი	183	233	319	258	244	239	247	242	231

ცხრილი 1-11. გარდაცვლილთა რიცხოვნობა ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში

წელი																				
2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
225	236	136	116	157	132	142	145	154	148	194	167	184	174	190	168	173	178	169	168	231

ცხრილი 1-12. ბუნებრივი მატება ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში

წელი																				
2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
40	18	84	72	69	76	61	67	81	112	109	54	65	75	75	123	119	102	73	55	-23

ბუნებრივი მატებისა და შობადობის მაჩვენებლის ზრდა უმთავრესად განპირობებულია მუნიციპალიტეტში ახალშექმნილი ოჯახების მატებით. ბოლო წლებში შეინიშნება ქორწინებათა რიცხვის ზრდის ტენდენცია. განქორწინების მაჩვენებელი კი მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოა და თითქმის ნულთან ახლოს ვარირებს. აღნიშნული მაჩვენებლით აჭარაში ყველაზე სტაბილურად დაბალი დინამიკა ქედის მუნიციპალიტეტს აქვს (იხ.ცხრილ 1-13, ცხრილი 1-14).

ცხრილი 1-13. რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვი ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში

წელი																				
2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
104	92	117	109	146	205	198	200	253	184	166	161	176	171	184	150	130	130	167	120	72

ცხრილი 1-14. განქორწინებულთა რიცხვი ქედის მუნიციპალიტეტის ჭრილში

წელი																				
2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
14	10	11	12	17	35	22	24	52	60	81	96	105	118	132	145	156	156	160	177	111

მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა შრომისუნარიანი მოსახლეობის ანალიზს. ქედის მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს საერთო რაოდენობის 61,8 %-ს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიხედვით ეს მაჩვენებელი კი 59,5%-ია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა უფრო ახალგაზრდაა: შრომისუნარიან ასაკზე უფროსია მოსახლეობის საერთო რაოდენობის 12,8%. ეს გამოხატულებას პოულობს საშუალო და მედიანური ასაკის მაჩვენებლებშიც: მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო ასაკი იყო 33,1 წელი, ხოლო მედიანური ასაკი - 28,8 წელია.

ქედის მუნიციპალიტეტში შესაბამისი ასაკის მოსახლეობა სრულად არის უზრუნველყოფილი პენსიით. რაც შეეხება ახალ მონაცემებს 2016 წელს პენსიონერთა რაოდენობა შეადგენს-2,899 კაცს.
სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა - 1,171
საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა -4,903.

1-5.2 დასაქმება

მიუხედავად შრომისუნარიანი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილისა (61,8%) ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დასაქმების დონე ძალიან დაბალია, მოსახლეობის უმრავლესობა თვითდასაქმებულია და თავს არ მიიჩნევს დასაქმებულად. მუნიციპალიტეტში ძირითად დამსაქმებლად გვევლინება საჯარო სექტორი (განათლების, ჯანდაცვის სექტორი, პოლიციის სამმართველო, მერია, საკრებულო და ა.შ.), რაც კერძო სექტორის დაბალ განვითარებაზე მეტყველებს. ამასთან ჩვეულებრივი მოვლენაა ის, რომ ზოგიერთი სოფლის ხუთსულიან ოჯახებში არავინ არ მუშაობს, ოჯახები არც სახელმწიფო დახმარებას იღებენ და შემოსავლის ძირითად წყაროს მხოლოდ ოჯახში პენსიონერთა პენსია წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში აღურიცხავია შრომითი მიგრანტების რაოდენობა. მოსახლეობის დაახლოებით 20% მიდის სამუშაოდ სხვადასხვა რეგიონებში, ძირითადად მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში. მიგრაციის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს დასაქმების პრობლემა და აქედან გამომდინარე, შემოსავლების მიღებისა თუ გაზრდის პერსპექტივის არ არსებობა. მაღალია პროფესიული ნიშნით მოსახლეობის დივერსიფიკაციის დონე, თუმცა კვალიფიკაციის დონე მიგრაციული პროცესების აქტიურობის პროპორციულად ეცემა. მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია იაფი სამუშაო ძალა გარკვეული კვალიფიკაციითა და გამოცდილებით. სამრეწველო წარმოება მუნიციპალიტეტში პრაქტიკულად არ არსებობს. ადეკვატურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებელია პერსონალის გადამზადების სისტემის ამოქმედება. ერთ-ერთ მტკივნეულ, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს კვალიფიციური კადრების დეფიციტი. მუნიციპალიტეტში დღეისათვის მოთხოვნადი პროფესიის მფლობელი სამუშაო ძალის საკმაო დეფიციტია (უცხო ენისა და ინფორმატიკის სპეციალისტები, აგრონომი, ინჟინერ-მექანიზატორი, ენტემოლოგი (მცენარეთა დაცვის სპეციალისტი), ნიადაგმცოდნე, სხვადასხვა განხრის ექიმები და სხვა). აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროფესიული სწავლება-გადამზადების ცენტრის შექმნა, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით ორიენტირებული იქნება დეფიციტური მუშა კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

1-5.3 ეკომიგრაცია და დევნილები

ბოლო რამდენიმე წელია აჭარაში ეკომიგრანტების რიცხვი იზრდება. მაღალმთიან რეგიონებში ზვავის, მიწისძვრისა და სხვა გეოლოგიური პრობლემების გამო ბევრი სახლი დაზიანებული და საცხოვრებლად უვარგისია. ამიტომ სოფლები მოსახლეობისაგან ნელ-ნელა იცლება. მთავრობა მათ თავშესაფარს სხვა რეგიონებში სთავაზობს. მოსახლეობის ნაწილი შემოთავაზებას თანხმდება, ნაწილი კი უარს აცხადებს საკარმიდამოს დატოვებაზე და კვლავ მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობს. სამწუხაროდ სახელმწიფოს დღემდე არ ქონდა ერთიანი სისტემატიზირებული მიდგომა ეკომიგრანტებთან დაკავშირებით. ეკომიგრაციის სფეროში ერთანი და კომპლექსური პოლიტიკის არარსებობა კი გამოიხატება შესაბამის სტურქტურებს შორის სათანადო კოორდინაციასა და ასევე, აღნიშნულ სტრუქტურებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილების მექანიზმების არსებობაში. ყოველივე ეს კი იწვევდა იმას, რომ ათასობით ეკომიგრანტი ოჯახი სამართლებრივი დაცვის გარეშე რჩებოდა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ქედაში ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს შეხვდა და აჭარის ა რ მთავრობის 2016 წლის 16 მარტის N-25 განკარგულებით დამტკიცებული ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესისა და ეკომიგრანტთა ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ მათთან ერთად განიხილა. ქედის მუნიციპალიტეტში ამჟამად სტიქიით დაზარალებული 78 პირველი და მეორე კატეგორიის ოჯახებია.[6]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით აჭარის ა.რ. 2014 წლის მდგომარეობით სულ ირიცხება 6416 დევნილი, საიდანაც მხოლოდ 3 ქედის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს. (იხ.ცხრილი 1-15)[7]

ცხრილი 1-15. რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობა - სტატისტიკა რეგიონების მიხედვით (17.09.2015 წ. მდგომარეობით)

მუნიციპალიტეტი	დევნილების რაოდ.	ოჯახების რაოდ.
ქედა	3	2
ხელვაჩაური	801	307
ქობულეთი	1650	579
ბათუმი	3962	1342

[6] წყარო: http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=345465&gid=3#.WBnI3S196M8

[7] წყარო: http://www.mra.gov.ge/geo/static/55

აჭარა ჯამი	6416	2230

1-6 განსახლების სისტემა და დასახლებათა ტიპოლოგია

1-6.1 განსახლების სისტემა

დღეს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ერთ ისტორიულ-კულტურულ კუთხედ მოიაზრებენ. მაგრამ, ასიოდე წლის წინ, ამ თვალსაზრისით, ხედვა უფრო დიფერენცირებული იყო. მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილი, საქართველოს სამხრეთის აღწერისას, ცალკე პროვინციებად ასახელებს ქობულეთს, კინტრიშს, ციხის-ძირს და საკუთრივ აჭარას (ფაქტობრივად, დღევანდელი ტერმინოლოგიით, ზემო აჭარას). დ. ბაქრაძე 1874 წელს აღნიშნავს: „დანდალო კიდევ საინტერესოა შემდეგით: მის ქვემოთ ყველა აჭარელი შეიარაღებული დადის, ზემოთ კი არა. აქედან იწყება უფრო მოხერხებული გზები, რომლებიც დამუშავებულია ზემო აჭარის ძლიერი და გავლენიანი მფლობელის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის განკარგულებით. დანდალო ახლა ქვედა აჭარისა და ზედა აჭარის საზღვარია. ალბათ, ძველადაც იგი მიჯნავდა აჭარის ორივე ნახევარს“. XIX საუკუნის მგზავრი აღწერს: „ხულიდან ახალციხეში მიდის შერიფ-ბეგის მიერ დამუშავებული გზა. იგი ჯერ ზემო აჭარის სოფლებზე გავლით უღელტეხილისკენ მიემართება, იქიდან კი ქვაბლიანის ხეობით. ამ გზით შეგიძლიათ მოხვდეთ ახალციხეში, საკმაოდ ადრე, მეორე დღეს. იგი ერთადერთი გზაა, რომლითაც აჭარლები ზამთარ-ზაფხულ უკავშირდებიან ახალციხის მაზრას“.

აჭარის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და დრამატული პერიპეტიებით აღსავსე ისტორია განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ამ რეგიონს ქვეყნის განსახლების სისტემაში. ისტორიულ წარსულში აჭარა იმდროინდელ ევროპულ (ბერძნულ-რომაულ) ცივილიზაციასთან საკონტაქტო ზონას წარმოადგენდა, რასაც კულტურული მემკვიდრეობის არაერთი ძეგლი მოწმობს. ამასთან აჭარის ტერიტორიაზე იმდროინდელი განსახლება გამოირჩეოდა მკაფიო თავისებურებებით – მცირერიცხოვანი საყრდენი სავაჭრო პუნქტები და საფორტიფიკაციო ნაგებობები ზღვისპირას იყო განლაგებული, დასახლებები კი ხეობებში იყო თავმოყრილი. გარე კავშირები, ძირითადად, ზღვის ნაოსნობის მეშვეობით ხორციელდებოდა; საქართველოს შიგა რეგიონებთან მიმოსვლა, ზღვის სანაპიროს გაუვალობის გამო, მდინარეების ხეობათა და მათი დამაკავშირებელი გზებით იყო შესაძლებელი. „ხოლო ქვაბლოვანისა და ბოცოს წყლის სათავიდან გარდავლენან გურიას და აჭარის გზანი, და ჯაყის წყლის სათავიდამ გარდავალს აჭარასა და შავშეთს გზანი“. „<...> ჩრდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან გზანი გურიას“. სწორედ ამ გზებზე იყო აგებული აჭარის ცნობილი ერთმალიანი თაღოვანი ხიდები. ბუნებრივია, აჭარის დასახლებებიც მდინარეების ხეობებში იყვნენ თავმოყრილნი: „ხოლო მოერთვიან ამ აჭარის მდინარეს, გურიის მთიდამ და აჭარასა და ლიგანის ხევის შორისის მთებიდამ, ხევნი, და მათ ზედა არიან დაბნები შენნი“.

განსახლების თვალსაზრისით ვითარება აჭარაში „დიდი თურქობის“ პერიოდში ასახავდა ამ რეგიონის უკიდურეს პერიფერიულ მდებარეობას ოთომანთა იმპერიის რუკაზე. მიყრუებული მთის სოფლები და მცირერიცხოვანი მოსახლეობა საპორტო დაბა ბათუმში – ასეთი იყო სურათი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. მდგომარეობა მკვეთრად იცვლება 1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, სხვა პროვინციებთან ერთად, აჭარის რუსეთის იმპერიაში შემოსვლის შემდეგ. ბათუმის განვითარების საფუძველს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის აგება და ბათუმის პორტისთვის საექსპორტო ფუნქციის დაკისრება წარმოადგენდა. აქ ახალი კლასის - ბურჟუაზიის ახლებური მოთხოვნები განსახლების სისტემაზეც მოქმედებს. ბათუმის შემოგარენში ჩნდება სააგარაკე დასახლებები - მწვანე კონცხიდან ვიდრე ქობულეთამდე; ინიშნება საგარეუბნო მატარებელი. ბათუმი სანაოსნო ხაზებით უკავშირდება რუსეთის იმპერიისა და ევროპის საზღვაო პორტებს. არსებობდა საკაბოტაჟო ნაოსნობაც – როგორც რუსეთის, ისე თურქეთის მიმართულებით, მაგრამ ყველა ეს ცვლილება გავლენას არ ახდენს აჭარის მთის ზონის განსახლების სისტემაზე. ამდენად, XX საუკუნის დასაწყისისთვის აჭარის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, ფაქტობრივად, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განსახლების ორი ქვესისტემა – საკმაოდ ურბანიზებული, თანამედროვეობისათვის ფეხაწყობილი ზღვისპირა დასახლებების ჯაჭვი და აჭარის მთიანეთში შუასაუკუნეების პერიოდიდან შემორჩენილი სოფლის დასახლებები.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ და ბოლშევიკური წყობის დამკვიდრებამ შეცვალა აჭარის დასახლებათა ბუნება. აჭარა, კერძოდ, ბათუმი, რომელიც თავის დროზე „პორტო-ფრანკოს“ სტატუსითაც სარგებლობდა და მსოფლიოსკენ გახსნილობის სიმბოლოც კი იყო, ჩიხურ, „დახურულ“ ქალაქად იქცა; მთის აჭარა კი, ფაქტობრივად, სანიმუშოდ დაცულ სასაზღვრო ზონად გარდაისახა. ამასთან ერთად, განვითარების დისპროპორცია აჭარის ზღვისპირა და მთის ზონებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. ამას ხელი შეუწყო აჭარისადმი „ცენტრის“ ინტერესის გაზრდამ, რაც გამოიხატებოდა როგორც საკურორტო-ტურისტული ობიექტების მშენებლობაში, საკავშირო უწყებების მონაწილეობის ჩათვლით, ისე საკავშირო ბაზარზე

ორიენტირებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნილებით (ჩაი, ციტრუსები და ა.შ.). ამ ფონზე მთის აჭარა მიყრუებულ, ფაქტობრივად, უფუნქციო ზონად რჩებოდა.

ბოლო პერიოდში სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა განსახლების სისტემის მდგრადობასა და მის მოქნილობას, რაც გულისხმობს დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, სავაჭრო, სატრანსპორტო, ეთნიკურ ინტეგრაციას განსახლების ერთიან ნაციონალურ სისტემაში. ამგვარი მოთხოვნა, თავის მხრივ, განსახლების ხაზოვანი ურბანული სისტემის ტრანსფორმაცია/ევოლუციას მოითხოვს „სავარცხლისებურისკენ“, რაც სანაპირო ზონის სიღრმისეულ ტურისტულ-რეკრეაციულ ათვისებას გულისხმობს. ამგვარი ევოლუცია ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდას და საკუთრივ ზღვისპირა ზოლზე რეკრეაციული დატვირთვის შერბილებას, პერიფერიულ მთიან დასახლებათა ინტეგრაციასა და ჩართულობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ქედის მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემა ძირითადად დისპერსიულ ხასიათს ატარებს. ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია ტყით. შესაბამისად, მოსახლეობა მკვეთრად არათანაბარი სიმჭიდროვითაა გადანაწილებული. დასახლებულ უბნებში სიმჭიდროვის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. რაც შეეხება ქედის მუნიციპალიტეტის სიღრმისეულ ტერიტორიებს, აქ დასახლებათა გეგმარებით კარკასს მდ. აჭარისწყლის შენაკადების ღრმა ხეობები და მკვეთრად გამოხატული წყალგამყოფები წარმოადგენს. დამრეც ფერდობებზეა (20%) გაშენებული მთიანი აჭარის ქვაბულის ძირითადი სოფლები. ეს განსახლების ვექტორი ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა ზომის სოფლებით, ძირითად საკომუნიკაციო ქსელებზე და ამ ქსელის განშტოებებზე აკინძული, მიმართული მუნიციპალიტეტის სიღრმეში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მდინარეთა ხეობების გასწვრივ.

დაბალი ტემპებით, მაგრამ შეუქცევადი ფორმით დაიწყება ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების ახალი ეტაპი. ამ მხრივ, უწინარესად, ყურადღებას იპყრობს მეგაპროექტი – საქართველოს განსახლების „სამხრეთის ღერძის“ ფორმირება – თავისი მასშტაბისა და მრავალმხრივი კონტექსტ(ებ)ის გამო საზოგადოების სრულ გაცნობიერებას საჭიროებს. საქმე ეხება ქვეყნის განსახლების, ანუ ურბანიზებული დერეფნის იმ ღერძს, რომელიც, გოდერძის უღელტეხილის გავლით, ერთმანეთს დააკავშირებს სამხრეთ საქართველოს რეგიონებსა და აჭარის ზღვისპირა ზონას. ისტორიულად, ეს მიმართულება უმოკლესი იყო საქართველოს შიდა და ზღვისპირა რეგიონების დასაკავშირებლად – ვახუშტი ბატონიშვილი ამ რეალობას აჭარის საზღვრების აღწერისას აღნიშნავს: „<...> აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორის, და გარდუალს მას ზედა გზა სამცხეს“.

განსახლების ამ მიმართულების განვითარების ურბანისტული კონცეფცია ემსახურება როგორც შიდასახელმწიფოებრივ ინტერესებს, ისე მეზობელი ქვეყნების სავაჭრო, ტურისტულ და კულტურულ კავშირებს შავი ზღვისპირეთთან.

1-6.2 დასახლებათა ტიპოლოგია

ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცით-ტერიტორიული განვითარების, ასევე მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიზნით მიზანშეწონილია დასახლებათა მორფოლოგიის დადგენა, რომლის საშუალებითაც დგინდება ერთის მხრივ, განსახლების მდგრადი და ინტეგრირებული კარკასის შექმნის შესაძლებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ირკვევა თუ რის საფუძველზეა შესაძლებელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული კონსტრუქციის შენება.

აღსანიშნავია, რომ დასახლებათა ტიპოლოგიასა და მათ განსხვავებულობაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და, რასაკვირველია, საბჭოური მემკვიდრეობა. ამ მხრივ ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია ტყით. შესაბამისად, მოსახლეობა მკვეთრად არათანაბარი სიმჭიდროვითაა გადანაწილებული. ქედის მუნიციპალიტეტში 3 ტიპის სასოფლო დასახლებაა - კოლხეთის დაბლობის მიმდებარე მთისწინეთის არეალი, რომელიც შედარებით დიდი სოფლებითაა წარმოდგენილი; მთისწინეთისა და გორაკ-ბორცვიანი არეალი უმეტესწილად საშუალო სიდიდის სოფლებით და საშუალო და მაღალმთიანი განსახლების არეალი პატარა სოფლებით.[8]

ამასთანავე, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ, ახლებური პოლიტიკური რეალიების პირობებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიათა მიმართ დამოკიდებულება მომხმარებლური ხასიათის იყო. მათი გამოყენება/ათვისება მიმდინარეობდა უსისტემოდ, ყოველგვარი სივრცითი განვითარების დოკუმენტაციისა და

[8] საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული განსახლების მოკლე დახასიათება. თეიმურაზ ჯაში, 2007.

სტრატეგიული ხედვების გარეშე. ამასთან, ქვეყანა ძალზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში არსებობდა და, თავის მხრივ, საინჟინრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაში ინვესტირებას ვერ უზრუნველყოფდა. აქედან გამომდინარე დასახლებათა განვითარება თვითდინებას იყო მიცემული, რაც გამოიხატა კიდეც განაშენიანების სივრცით-გეგმარებით გადაწყვეტასა და არქიტექტურულ-ესთეტიკურ გამომხატველობაში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოციალურ-კულტურული დანიშნულების ინფრასტრუქტურა სრულიად ამორტიზირებულია, ხოლო ის, რომელიც ფუნქციონირებს, თავისი არსით, მორალურად და ფიზიკურად მოძველებულია და არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. ქედის მუნიციპალიტეტში არსებობს 1 დაბის სტატუსის მქონე დასახლება - დაბა ქედა, თუმცა ის სოფლის ტიპის დასახლებას უფრო წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ მას ეწოდა "დაბა" არა იმიტომ რომ ის ამგვარი ტიპის დასახლებები იყო, არამედ იმიტომ, რომ საბჭოთა მმართველობის შესაბამისმა ორგანომ მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება.

დღეისათვის ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტიპოლოგია წარმოდგენილია ძირითადად ერთი დაბისა და სხვადასხვა ზომის სოფლების სახით. ქედის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფელი გაერთიანებულია ადმინისტრაციულ ერთეულებში. (იხ.ცხრილი 1-16, ცხრილი 1-17, ცხრილი 1-18).

ცხრილი 1-16. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

№	რეგიონი	მუნიციპალიტეტების რაოდენობა (შიგა საქალაქოს ჩათვლით)	ქალაქები		ქალაქის ტიპის დასახლებები (დაბა)	სოფლის (ადმინისტრაციული ერთეულის) საკრებულო	სოფლები
			სულ	მათ შორის განსაკუთრებული სტატუსის მქონე			
1	**ქედის მუნიციპალიტეტი**	1	-	-	1	10	64

ცხრილი 1-17. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულთა დაყოფა მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით

		სულ	მათ შორის მოსახლეობის რიცხვით:					
			201-500	501-1000	1001-2000	2001-3000	3001-5000	5000-ზე მეტი
ქედის მუნიციპალიტეტი	ადმინისტრაციული ერთეული სულ	10	-	2	6	2	-	-
	მოსახლეობა მათში	15,250	-	1,634	8,890	4,726	-	-

.

.

ცხრილი 1-18. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისა და მათში შემავალი სოფლების მოსახლეობის რიცხოვნობა სქესის მიხედვით

			(კაცი)
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
ქედის მუნიციპალიტეტი	**16,760**	**8,410**	**8,350**
დაბა ქედა	**1,510**	**730**	**780**
დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	**1,988**	**1,000**	**988**
არსენაული	89	48	41
აქუცა	262	133	129
გულები	235	122	113
ზენდიდი	297	145	152
კორომხეთი	160	84	76
ორცვა	232	126	106
ქედა	149	73	76
შევაბური	89	46	43

ცხემნა	156	68	88
ძენწმანი	197	93	104
ხუნკუდა	122	62	60
დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	**1,961**	**985**	**976**
დანდალო	347	173	174
ბალაძეები	116	60	56
გოგიაშვილები	194	96	98
მოსიაშვილები	169	84	85
ტაკიძეები	186	92	94
ხარაულა	639	327	312
ჯალაბაშვილები	310	153	157
დოლოგანის ადმინისტრაციული ერთეული	**781**	**408**	**373**
დოლოგანი	417	228	189
ჭალახმელა	162	79	83
ჭინკაძეები	202	101	101
ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული	**1,346**	**676**	**670**
ზვარე	201	107	94
ვაიო	409	202	207
ზესოფელი	205	99	106
კვაშტა	279	146	133
სირაბიძეები	252	122	130
მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	**2,121**	**1,050**	**1,071**
ქვედა მახუნცეთი	439	216	223
ზედა ბზუბზუ	306	142	164
ზედა მახუნცეთი	203	99	104
ზუნდაგა	299	141	158
ქვედა ბზუბზუ	261	132	129
ქოსოფელი	72	35	37
მილისი	123	65	58
ნამლისევი	158	79	79
უჩხითი	260	141	119
მერისის ადმინისტრაციული ერთეული	**1,132**	**581**	**551**
მერისი	300	155	145
გარეტყე	89	47	42
გუნდაური	218	115	103
ინაშარიძეები	200	103	97
ნამონასტრევი	60	29	31
სილიბაური	117	57	60
სიხალიძეები	148	75	73
ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	**853**	**439**	**414**
ოქტომბერი	247	126	121
აგოთა	122	60	62
გოგინიძეები	95	48	47
კუჭულა	201	110	91
მეძიბნა	188	95	93
პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	**1,213**	**614**	**599**
პირველი მაისი	525	262	263

ზედა აგარა	106	60	46
კოლოტაური	473	236	237
ქვედა აგარა	109	56	53
ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	**2,605**	**1,318**	**1,287**
ცხმორისი	600	286	314
ახო	594	307	287
გეგელიძეები	428	217	211
გობრონეთი	251	126	125
კოკოტაური	545	282	263
ჩეტკიძეები	187	100	87
წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	**1,250**	**609**	**641**
წონიარისი	499	247	252
აბუქეთა	279	138	141
ვარჯანისი	185	84	101
კანტაური	76	35	41
საბადური	57	30	27
სასადილოყელი	0	0	0
ტიბეთა	154	75	79

საქმე იმაშია, რომ ქედის მუნიციპალიტეტში არ არსებობს არც ერთი შედარებით დიდი დასახლება, რომელიც თავის თავზე აიღებდა მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების ზრდის ცენტრის ფუნქციას. სწორედ ურბანიზირებულ ქალაქებს აქვთ უნარი რეალურად მოახდინონ სივრცითი განვითრება, მოიზიდონ ყველანაირი რესურსები (ადამიანური, ფინანსური, ბუნებრივი) თავისი პერიფერიიდან; რესურსების კონცენტრაცია იძლევა საშუალებას თვით ცენტრების ცვლილებებისა, ამის შემდეგ ხდება განვითარების იმპულსების ტრანსლირება უკან პერიფერიულ ტერიტორიებზე. ეს მოდელი მუშაობს ყველა დონეზე მსხვილი აგლომერაციებიდან დაწყებული ვიდრე რეგიონულ თუ ადგილობრივ ცენტრებამდე და უჩვენებს თუ როგორ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქალაქები ტერიტორიების სივრცით-ფუნქციურ განვითარებაში.

აქედან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც აერთიანებენ რამოდენიმე სოფელს, მიუხედავად თავიანთი ადმინისტრაციული სტატუსისა, ვერ შეასრულებენ ამ ფუნქციებს. ზოგადად სივრცითი განვითარება შეუძლიათ მხოლოდ ქალაქებს, ურბანიზირებულობის გარკვეული ხარისხით და მოსახლეობაში ჩამოყალიბებული ქალაქური ცხოვრების წესითა და ქალაქური კულტურით.

აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებებსა და ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრს - ბათუმს შორის მანძილი შეადგენს 41 კმ. რაც გამართული ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნორმალური მომსახურების პირობებში რეალურად მისაღები მანძილია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სოციალურ-ეკონომიკური, თუ კულტურული კავშირები, განსაკუთრებით პერიფერიული დასახლებებიდან ხორციელდება ეპიზოდურად. გამონაკლისს წარმოადგენს ყოველდღიური კომპიუტერული მიგრაცია, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას, რადგანაც უმუშევრობის პრობლემა მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით მწვავედ დგას და ეს ეხება ძირითადად მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა მოსახლეობას.

აქ, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, მოსახლეობის ძირითად დამსაქმებლად გვევლინება საჯარო სექტორი (განათლების, ჯანდაცვის სექტორი, პოლიციის სამმართველო, მერია, საკრებულო და ა.შ.), რაც კერძო სექტორის დაბალ განვითარებაზე მეტყველებს.

დასაქმების დარგი, ასევე სოფლის მეურნეობა და ტურიზმია (სეზონური). მუნიციპალიტეტის ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფს მევენახეობა, მეფუტკრეობა, თევზის წარმოება.

ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებები „ღია სივრცის დასახლებებია“, რადგან ისინი სასოფლო სამეურნეო ტერიტორიებია, მოსახლეობა ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს, ჰყავს მსხვილფეხა პირუტყვი და ეწევიან მეურნეობას. ქედის მუნიციპალიტეტის პროდუქციის რეალიზაცია ძალზე უმნიშვნელოა, ამასთან, გასაღების ძირითადი ბაზარი ქალაქი ბათუმია.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, პირველ რიგში საჭიროა ქედის მუნიციპალიტეტისთვის ურბანული ცენტრის განვითარება, მიზანმიმართული, მწყობრი სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი პოლიტიკის გატარება, რომელიც გამოიწვევს მის ურბანულ ზრდასა და სივრცითი განვითარების ხარისხობრივ ცვლილებებს.

1-7. საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა

1-7.1 ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანზიტო დერეფნისათვის. ბოლო წლებში სამხრეთ კავკასიის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთნაკადების დინამიურ ზრდას.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ა.რ. საგზაო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს სატრანზიტო დერეფნის შემადგენელ ნაწილს, შესაბამისად, ადეკვატური სატრანზიტო ინფრასტრუქტურის არსებობას განსაკუთრებული როლი ენიჭება სატრანზიტო დერეფნის შემდგომი განვითარების კუთხით. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დამატებითი ტვირთების მოზიდვას საქართველოს მიმართულებით.

ამასთან, აჭარის ა.რ. დინამიური ტემპებით ვითარდება ტურიზმი, რაც ასევე, მოითხოვს გამართული ინფრასტრუქტურის არსებობას.

ზემოთაღნიშნული ფაქტორები უდაოდ გამოიწვევს აჭარის ა.რ. დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე, რაც რეგიონის სივრცით-გეგმარებით პროექციაზე აისახება.

XX საუკუნის დასაწყისში აჭარის ა.რ. სულ ორი გზატკეცილი არსებობდა - ბათუმი-ახალციხე, გოდერძის უღელტეხილის გავლით და ბათუმი-ქობულეთი. XX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარის ა.რ. გადის საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ავტომაგისტრალი (E-60-თან ერთად), რომელიც ქვეყნის დასავლეთ-აღმოსავლეთ, ბათუმი-ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი ნაწილს აერთიანებს და, ამავდროულად, წარმოადგენს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს. საქართველოს მთავრობის ინიციატივით და აზიის განვითარების ბანკის (ADB) ფინანსური მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა ქვეყნისათვის, კერძოდ, აჭარის რეგიონისათვის ძალზე მნიშვნელოვან პროექტს - ქალაქების ბათუმისა და ქობულეთის შემოვლითი, სატრანზიტო, გზის მშენებლობას. საავტომობილო გზა შემოუვლის მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებს, მივა თურქეთის საზღვრამდე, სადაც შეუერთდება თურქეთის ოთხზოლიან ჩქაროსნულ საავტომობილო გზას (იხ.სქემა 1-2)

ეს პროექტი მნიშვნელოვანია აჭარისთვის, როგორც ტურისტული რეგიონისათვის, ერთის მხრივ, ეკოლოგიისა და მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების თვალსაზრისით, და, მეორეს მხრივ, ქვეყნის სატრანზიტო დერეფნის გამტარუნარიანობის გაზრდისა და მომავალი განვითარებისათვის.

.

სქემა 1-2. საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის E კატეგორიის სატრანსპორტო ქსელი.



საავტომობილო გზები

ქედის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა აგებულია საავტომობილო გზების სისტემაზე; მილსადენები, ელექტროგადამცემი ხაზები და ბოჭკოვანი კაბელი ცალკე სისტემებს წარმოადგენს.

ძალზე მნიშვნელოვანია ქედის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა და მისი რეაბილიტაციის/მშენებლობის საჭიროება.
როგორც ცნობილია, ქედის მუნიციპალიტეტზე გადის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები.
შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზებიდან ქედის მუნიციპალიტეტში გადის „ანგისა–ახალციხის“ (გზის მონაკვეთის სიგრძე 40 კმ) და „ქედა–მერისი–სალიბაურის“ საავტომობილო გზა (გზის სიგრძე 15 კმ).
„ქედა–მერისი–სალიბაურის“ საავტომობილო გზის 1 კმ (7%) მონაკვეთი დაფარულია ბეტონის საფარით ხოლო 14 კმ (93%) მონაკვეთი ხრეშოვანი საფარით.
აჭარის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების („ანგისა–ახალციხე“ და „ქედა–მერისი–სალიბაური“) საერთო სიგრძე შეადგენს 132 კმ. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 55 კმ (საერთო სიგრძის 42%).
„ქედა–მერისი–სალიბაურის“ სავტომობილო გზაზე განთავსებულია 1 ხიდი საერთო სიგრძით 10 გ/მ.
საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება/მშენებლობის პროცესი ძალზედ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ კუთხით საინტერესოა ქედის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული პროექტების განხილვა-გაანალიზება.
ქედის მუნიციპალიტეტში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ცენტრამდე გზის რეაბილიტირება, მისი ასფალტის საფარით დაფარვა. ამჟამად მიმდინარეობს შიდა მუნიციპალური გზების, გაბიონების, ბეტონის კედლების, ხის ძელყორების და ხიდების რეაბილიტაცია. ამასთან, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 ხიდს და აშენდა 8 ახალი ხიდი.
ქედის მუნიციპალიტეტის ქედა-ოქტომბერი-გოგინიძეების საავტომობილო გზის მონაკვეთზე, სადაც ასფალტის საფარი აქამდე არასდროს ყოფილა, 2,500 მ. სიგრძეზე ამ დროისთვის ასფალტობეტონის საფარის მოეწყო. ასევე, პირველი მაისი-სამნიძეების მიმართულებით, საავტომობილო გზის 2 კილომეტრსა და 200 გრძივ მეტრზე და ცხმორისი-გეგელიძეების გზაზე კი 2 კმ. 760 მ. სიგრძეზე დასრულდა ასფალტობეტონის საფარის მოწყობა.

ქედაში, ცხემნა-ორცვას მიმართულებით ამჟამად ასფალტ-ბეტონით საფარის მოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს. ასფალტი 2500 მეტრზე დაიგება, რისთვისაც 656 ათასი ლარი დაიხარჯება. წელს ქედის მუნიციპალიტეტში სულ 15 920 მეტრი გზა მოასფალტდა.

ქედის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზა ქედა-ოქტომბერ-გოგინიძეების მონაკვეთზე მიმდინარეობს დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია, სამუშაოებს აწარმოებს შპს „ქედის საგზაო სამმართველო“.

ქედის მუნიციპალიტეტში მგზავრთა გადაყვანას უზრუნველყოფს მუნიციპალური ტრანსპორტი, რაც შეეხება შიდა სასოფლო მოძრაობას, მგზავრთა გადაყვანა გარკვეულწილად შეფერხებულია. ძირითადად მგზავრობის გრაფიკის არარსებობის, ან მისი სისტემატიური დარღვევის გამო. დღესდღეობით მუნიციპალიტეტში მოქმედებს 73 ერთეული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომლებიც უზრუნველყოფს მგზავრების გადყვანას სხვადასხვა მიმართულებით. მგზავრთა გადაყვანა არ ხდება შიდამუნიციპალური, მუნიციპალიტეტებს შორის და საერთაშორისო მიმართულებით.

კომუნიკაციის საშუალებები

თანამედროვე პირობებში, საზოგადოებრივი მოღვაწეობის მრავალი სფეროს განვითარება წარმოუდგენელია ინფორმაციული გაცვლისა და მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების გარეშე. ამ მხრივ ქედის მუნიციპალიტეტში ვითარება შემდეგია.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სარგებლობს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების შპს „მაგთიკომის“, შპს „ჯეოსელის“ და შპს "მობიტელის“ (იგივე ბილაინის) მომსახურებით.

ფიქსირებულ სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს შპს „სილქნეტი“2, რომლის სატელეფონო მომსახურება ვრცელდება მუნიციპალიტეტის მთლიან გეოგრაფიულ არეალზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობს შპს „მაგთიკომის“ – „მაგთიფიქსის“ ინტერნეტით.

1-7.2 ჰიდროენერგეტიკა

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის თანახმად, აჭარისათვის პრიორიტეტულია განახლებადი ენერგიისა და ალტერნატიული წყაროების უპირატესი გამოყენება და ენერგეტიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებულია „განახლებადი ენერგიის პოლიტიკა”. ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი მიზანია მდიდარი ჰიდრორესურსების მაქსიმალური გამოყენება და თერმული თაობის სრული ჩანაცვლება. ჰიდროელექტროსადგურების იდენტიფიცირება და სათანადო რანჟირება, გადაცემათა ახალი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობა; არსებულ და ახალ ელექტროსადგურებში გამომუშავებული მოჭარბებული ენერგიის ექსპორტი.

ენერგეტიკული თვალსაზრისით ქედის მუნიციპალიტეტში არსებული მდინარეებიდან აღსანიშნავია მდინარე აჭარისწყალი.

ქედის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს ს.ს. „ენერგო–პროჯორჯია“. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ელექტროენერგიის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი.

ს.ს. „ენერგო–პრო ჯორჯიას“ არსებული გეგმით, ინდივიდუალური გამრიცხველიანება დასრულდა 2013 წლის ბოლოს.

ქედის მუნიციპალიტეტს დიდი ჰიდროენერგეტიკული რესურსები გააჩნია. მუნიციპალიტეტში არსებულ მდინარეებსა და მათ შენაკადებზე შესაძლებელია მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურების აშენება.

მდინარე აჭარისწყალზე ხორციელდება ჰესების კასკადის პროექტი. პროექტი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ნაწილს, რომელიც მიმართულია ქვეყნის შიგნით ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ენერგეტიკული სექტორის მდგრადობისაკენ, ასევე ენერგოუსაფთხოების უზრუნველყოფისკენ ადგილობრივი რესურსების გამოყენების საშუალებით. გარდა ამისა,

საქართველო გეგმავს ელექტროენერგიის ექსპორტს. გამომუშავებული ელექტროენერგიის უმეტესი ნაწილი ექსპორტირებული იქნება თურქეთში. პროექტი შედგება სამი კასკადური სქემისაგან: შუახევი-175 მეგავატი, კორომხეთი-150 მეგავატი და ხერთვისი-65 მეგავატი. ეს მოგვცემს განახლებადი ელექტროენერგიის წლიურ საშუალო წარმოებას 500-სა და 1200 გვტ/სთ-ს შორის.

კორომხეთს, რომელიც მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტში მდ. აჭარისწყალზე, ექნება 150 მეგავატი დადგმული სიმძლავრე და შედგება ერთი დიდი კაშხლისა და ერთი რეზერვუარისგან, ერთი დაბალი კაშხლისაგან

მდ. ჭვანისწყალზე და ჯეგირისაგან მდ. აკავრეთაზე. პროექტში ასევე შესულია წყალსატარი გვირაბები კაშხლიდან ელსადგურამდე.

გარდა ამისა, მდ. აჭარისწყალზე, ბათუმთან 30 კმ-ში, ფუნქციონირებს „აწჰესი“, რომელიც სეზონური რეგულირების ჰიდროელექტროსადგურია. მისი დადგმული სიმძლავრე 16 მგვტ-ია. „აწჰესი“ ექსპლუატაციაში 1941 წელს შევიდა. ჰესი კერძო საკუთრებაში სს“ენერგო-პრო ჯორჯიას“ გადაეცა. სათაო ნაგებობები მდებარეობს ქედის რაიონის სოფ. პირველი მაისის ტერიტორიაზე, ხოლო ძალოვანი კვანძი სოფ. მახუნცეთში. ჰესის შენობა სამსართულიანია. პირველ სართულზე განლაგებულია ტურბინები გამომყვანი კამერებით, მეორეზე - დამხმარე სათავსოები, ხოლო მესამეზე - გენერატორების დარბაზი.

„ენერგო-პრო ჯორჯიამ“ აწჰესის ჰიდროაგრეგატის სრული განახლება დაასრულა. აჭარაში აწის ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროაგრეგატის სრული განახლება წარმატებით დასრულდა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომელთა შედეგად ჰესის დადგმული სიმძლავრე 16 მგვტ-დან 18,4 მგვტ-მდე გაიზარდა.

აწჰესზე განხორციელებული სამუშაოები მეტად მნიშვნელოვანია, რადგან განხორციელებულმა პროექტმა რეალურად გაზარდა ჰესის დადგმული სიმძლავრე და რაც მთავარია, წლიური საპროექტო გამომუშავება, რაც თავის მხრივ ენერგოქსელში დამატებითი სიმძლავრეების მიწოდებას უწყობს ხელს. დამატებით გამომუშავებული ელექტროენერგია კი ჩაანაცვლებს იმპორტირებული, ძვირადღირებული ელექტროენერგიის გარკვეულ ნაწილს.

1-7.3 ელექტრომომარაგება

ქედის მუნიციპალიტეტში ელექტროენერგიის განაწილების სისტემა და მისი მიწოდება ბოლო პერიოდებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია''. ამ ეტაპზე რეგიონი საკმარისი რაოდენობით იღებს ელექტროენერგიას და მიწოდების 24 საათიანი გრაფიკია, თუ არ ჩავთვლით ავარიულ გამორთვებს. მეორეს მხრივ, სისტემას მაინც ახასიათებს გარკვეული მერყეობა (მაგ. დაბალი ვოლტაჟი), რაც გამოწვეულია დისტრიბუციის სისტემაში არსებული დეფექტებით. ამჟამად, თითქმის მთელს რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

ელექტრული ქსელის დაცვის ზონას საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ წარმოადგენს მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში იმყოფება. განაპირა სადენებიდან დაშორებული უნდა იყოს შემდეგი მანძილით:

ა) 110 კვ - 20 მ.
ბ) 35 კვ - 15 მ.
გ) 1-20 კვ - 10 მ.

ამ ეტაპზე ქსელების ნაწილი და სატრანსფორმატორო სადგურები საჭიროებს რეაბილიტაციას.

1-7.4 წყალსადენ-კანალიზაციისა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურა

ქედის მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფილია მხოლოდ დაბა ქედის ტერიტორია. სოფლები არ არის უზრუნველყოფილი საკანალიზაციო სისტემით, მდინარეებზე არ გვხვდება გამწმენდი საშუალებები. რაც უარყოფითად მოქმედებს წყლის რესურსების ეკოლოგიურ სისუფთავეზე. ასევე მუნიციპალიტეტში გვხვდება უკანონო ნაგავსაყრელები, რომლის აღმოსაფხვრელადაც მუნიციპალიტეტი ატარებს სხვადასხვა სახის პერმანენტულ ღონისძიებებს.

ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 400 მ3 საპროექტო სიმძლავრის მქონე რეაბილიტაციას დაქვემდებარებული საკანალიზაციო წყლის გამწმენდი ნაგებობა.

რაც შეეხება სასმელი წყლის გამწმენდ ნაგებობებს მუნიციპალიტეტში მათი რაოდენობა თერთმეტია (მაგისტრალების შესაბამისად), რომელთა სიმძლავრეებიც განსხვავებულია. ბალანსზე არ არის აღრიცხული წყალსადენები და, აქედან გამომდინარე, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მართვა ძალზე გართულებულია. არარიცხულ წყალსადენებზე არ ხდება სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტეოროლოგიური დამუშავება და ხარისხის კონტროლი;

გამნელებულია წყლის მაგისტრალების სანიტარული მოვლა-პატრონობა მათი სიმრავლის გამო. ყველა სოფელს და უბანს გააჩნია სასმელი წყლის მიწოდების ავტონომიური ქსელები.

საირიგაციო სისტემა ძირითადად კუსტარულია და გარემო პირობების ცვლილებაზე ძლიერაა დამოკიდებული; ზოგიერთი სოფელი განიცდის სარწყავი არხების პრობლემას. სოფლები და ზოგ შემთხვევაში საკუთრივ ადმინისტრაციული ერთეულები, სარგებლობენ საკუთრი ავტონომიური სარწყავი არხებით;

ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 სარწყავი არხი, რომელთა საერთო სიგრძე 13,2 კმ, ხოლო მასზე ჩამოკიდებული ფართობი 277 ჰა. (იხ. ცხრილი 1-19)

ცხრილი 1-19. ქედის მუნიციპალიტეტის სარწყავი არხები

არხების და წაგებობების დასახელება	*ექს. შესვლის წელი*	*არხის სიგრძე (კმ)*	*ჩამოკიდებული ფართობი (ჰა)*
ვაიო–კვაშტას სარწყავი არხი	1954	2,1	107
ცანაურას სარწყავი არხი	1936	2,6	23
ხარულას სარწყავი არხი	1935	8,5	147
სულ		**13,2**	**277**

1-7.5 გაზმომარაგება

1018 წელს დასრულდა ქედის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი არირის ცენტრალური მილსადენის მშენებლობა . დღესდღეობით მიმდინარეობს შიდა დაქსელვის ინტენსიური სამუშაოები.

1-8 ეკონომიკა

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სპექტრი დიდწილადაა მიბმული სოფლის მეურნეობაზე. ეკონომიკის დანარჩენი დარგები (მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ტურიზმი) მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ პროფილში ნაკლებადაა გამოკვეთილი. თუმცა, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება მრეწველობა, რომლის განვითარების კონტურებიც სხვა მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ფონზე უკეთ იკითხება. დარგის გარკვეულ სეგმენტებში აქტიურობს რამდენიმე კომერციული საწარმო, რომლებიც ბაზარზე ფარდობითი უპირატესობით შედარებით სტაბილურად მოღვაწეობენ. მინერალური წყლების ბაზარზე ფირმა „კოკოტაური“ და თევზის რეწვის მიმართულებით შპს „აკავრეთა“. მათ ფინანსურ და რესურსულ წარმადობაზე ციფრობრივი მონაცემები არ მოგვეპოვება.

ხე-ტყის დამუშავების მიმართულებით მუნიციპალიტეტში მოქმედებს 150-მდე საამქრო, რომელთაგან უმრავლესობა არარეგისტრირებულია. საამქროების საკუთრებაში, ჩვეულებრივ მცირე კაპიტალია მობილიზებული და გამსხვილების რესურსი ნაკლები აქვთ. ანალოგიური მდგომარეობაა თევზის სატბორე მცირე მეურნეობების მიმართულებითაც. მინიმალური საგადასახადო წნეხის ქვეშ მოქცევაც მძიმედ აისახება მეურნეობების ფუნქციონირებაზე. თუმცა მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით უკვე რამდენიმე წელია საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებს საშუალო სიდიდის ბიზნესი მდინარე აკავრეთაზე, ამავე სახელწოდების კომპანიის სახით.

მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი მინერალური რესურსი გააჩნია, თუმცა რეალურად ბაზარზე სტაბილურად მოღვაწეობს მხოლოდ შპს „კოკოტაური“, რომელიც ამავე სახელწოდების მინერალურ წყალს აწარმოებს და მცირე მასშტაბით საექსპორტო ბაზრებზეც მონაწილეობს.

ეკონომიკური ანალიზი მიანიშნებს იმაზე, რომ ქედის მუნიციპალიტეტი დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ღრმად განიცდის სირთულეს კომერციალიზაციის პოტენციალის ზრდის თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პრაქტიკულად, წარმოდგენილი არ არის ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება. მესაქონლეობის პროდუქციის კომერციული მიზნებისათვის ადგილობრივი გადამუშავება არ ხდება. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ არც ქედის მომიჯნავე მუნიციპალიტეტებშიც არ არის მეორადი წარმოების სექტორი განვითარებული.

სოფლის მეურნეობის გამოკლებით, ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობა აჭარის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ძალიან მიზერულია და მცირედ რეალიზებული სამრეწველო პოტენციალით შემოიფარგლება.

ამ ფონზე საქართველოში არსებული საბანკო კრედიტების სიძვირისა და კაპიტალის ალტერნატიული ბაზრების პრაქტიკულად არარსებობის გამო, ასევე ქედის განსახლების, შრომითი ბაზრისა და ეკონომიკის პროფილის გათვალისწინებით, მრეწველობის, მშენებლობისა და ტურიზმის სექტორების ენდოგენური (ანუ მხოლოდ საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით) სწრაფი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

საჯარო ფინანსები. ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა და ანგარიშგება

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ნელა, მაგრამ სტაბილურად იზრდება. მიუხედავად ამისა, კვლავ ბევრი ხარვეზია დაშვებული შემოსავლების პროგნოზირების, საბიუჯეტო პრიორიტეტების ჩამოყალიბების, საბიუჯეტო ასიგნებათა ალოკაციის, ხარჯების ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესში. ამ დაუგეგმავი პრიორიტეტების ფონზე ბიუჯეტი არსებული მცირე თანხების პირობებშიც კი მრავალრიცხოვან ცვლილებებს განიცდის პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დიდწილადაა დამოკიდებული ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერზე, ამასთან, შემოსული თანხების ძირითადი ნაწილი მიზნობრივ ასიგნებას ექვემდებარება, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალურ ხელისუფლებას ჰქონდეს მყარი პრიორიტეტები თუ რა მიზნებისათვის უნდა განისაზღვროს გარკვეული მოცულობის თანხები რათა მიმდინარეობდეს მუნიციპალიტეტის დასახლებათა სათანადო დონეზე ფუნქციონირება.

სამწუხაროდ, საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი სუსტი წერტილი მაკროეკონომიკური პროგნოზირებაა; ბიუჯეტის შედგენის დროს გამოყენებული მაკროეკონომიკური პროგნოზების არასათანადო დონე შემდგომში ბიუჯეტის აუცილებელ ცვლილებებს იწვევს, რაც ბიზნეს გარემოს აუარესებს და თავად ბიუჯეტის შესრულებაში ქმნის სერიოზულ პრობლემებს. ცნობილია, რომ საქმიანი წრეებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტი გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს, შესაბამისად, არასწორად დაგეგმილი ბიუჯეტი არასწორ სიგნალებს იძლევა და ბიზნესის განვითარების წინასწარ გაკეთებული პროგნოზები სათუო ხდება.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში საბიუჯეტო პარამეტრების ცვლილებები ანგრევს ბიზნესის განვითარების ორიენტირებს, რადგან ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის განვითარების გეგმა ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზებს (მშპ-ს რეალური ზრდა და ინფლაცია), რაც, თავის მხრივ, ბიუჯეტის პარამეტრების საფუძველიცაა. ამდენად, ბიუჯეტი არის არა მხოლოდ უმთავრესი ფინანსური დოკუმენტი, არამედ ბიზნესისთვის ტენდენციების მაჩვენებელი და წლის განმავლობაში მისი ნებისმიერი ცვლილება აღნიშნული ორიენტირების ეფექტიანობას ამცირებს. ეს ყოველივე კი მუნიციპალიტეტში ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვან გაუარესებას იწვევს იმ ფონზეც კი როცა ბიზნესი, როგორც სექტორი პრაქტიკულად განუვითარებელია. იხ. ცხრილი 1-20

ცხრილი 1-20. ქედის მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლების ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯვის ტენდენცია

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
შემოსავლები	**12 355 951**	**16 628 455**	**17 829 565**
გადასახადები	7 127 711	9 198 100	11 422 565
გრანტები	4 991 643	6 962 883	6 000 000
სხვა შემოსავლები	236 597	467 472	407 000
ხარჯები	**6 705 226**	**8 996 498**	**10 910 775**
შრომის ანაზღაურება	3 049 173	3 331 263	4 063 780
საქონელი და მომსახურება	1 119 304	1 678 330	2 319 485
პროცენტი	17 344	18 000	10 400
სუბსიდიები	1 241 318	1 613 320	2 138 360
გრანტები	3 917		

სოციალური უზრუნველყოფა	556 663	914 585	983 400
სხვა ხარჯები	717 507	1 441 000	1 395 350
საოპერაციო სალდო	**5 650 725**	**7 631 957**	**6 918 790**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**4 795 617**	**8 338 280**	**8 021 800**
მთლიანი სალდო	**855 108**	**-709 323**	**- 1 103 010**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**828 318**	**-733 323**	**-1 130 010**
ვალდებულებების ცვლილება	**-26 790**	**-27 000**	**- 27 000**

ბიუჯეტი პრაქტიკულად მთლიანადაა დამოკიდებული გრანტებზე და გადასახდელებიდან მიღებული შემოსავლები მხოლოდ სიმბოლური ხასიათისაა.

ბიუჯეტის თითქმის 80%-ს ცენტრალური ბიუჯეტის გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს; ასევე მნიშვნელოვანი მოცულობისაა აჭარის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერები. როგორც ცხრილიდან ვხედავთ, გრანტის მოცულობა ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომელზედაც მუნიციპალიტეტია დამოკიდებული არასტაბილური დინამიკის მქონეა, რაც თვის მხრივ ართულებს ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესს და ეს კიდევ ერთი მიზეზია ბიუჯეტში ხშირი ცვლილებების განსახორციელებლად.

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
გრანტები	**4 991 643**	**6 962 883**	**6 000 000**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0	241 583	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერ	2 292 492	5 671 300	5 700 000
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1 600 000	300 000	300 000
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1 099 151	750 000	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1 099 151	750 000	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 099 151	750 000	0

რაც შეეხება მოსაკრებელს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის წლების მიხედვით შესაბამისად 100 830 შემდგომ 289 200 და 120 000 ათას ლარამდე იცვლება ბოლო წლების განმავლობაში.

შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში 49 414 ლარიდან 55 000 ლარამდე გაიზარდა.

ხარჯების დაახლოებით 40%-ს სახელფასო ფონდი წარმოადგენს. 4-5% - სოციალურ დახმარებას შეადგენს. 2015-2017 წლების ბიუჯეტებში არაფერია გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და სოფლების, საცხოვრებელი უბნების, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მისი ექსპლუატაციის ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

2016 წლის ბიუჯეტის მონაცემებით **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე** გამოიყო 4870 217 ლარი.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება, ასევე სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სკოლამდელი განათლების დაწესებულებებსა და ღონისძიებებზე გამოიყო 1 292 900 ლარი.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან კულტურის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების და განათლების დაწესებულებებსა და ღონისძიებებზე გამოიყო 1 414 800 ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას; ბიუჯეტიტ გათვალისწინებულია ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 309 510 ლარი.

როგორც ვხედავთ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გათვალისწინებულია მხოლოდ იმისკენ რათა დასახლებებმა და მაცხოვრებლებმა ელემენტარულად იარსებონ. ამ სახით ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას, გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას და მოსახლეობის ღირსეულ ცხოვრებას.

1-9 სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის“ მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება, შესაბამისად სოფლის მეურნეობა და მისი განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. იგი წარმოადგენს ფერმერთა შემოსავლების უმთავრეს წყაროს, როგორც ფულადი, ასევე ნატურალური ფორმით. აგროსასურსათო სექტორის ძირითადი ფუნქცია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. აქედან გამომდინარე რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა დამოკიდებულია ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებასა და აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის გაფართოებაზე.

ქვემო აჭარის უმნიშვნელოვანესი, თუმცა საკმაოდ მცირემიწიანი სასოფლო-სამეურნეო მუნიციპალიტეტია. სადაც კონცენტრირებულია აჭარის სასოფლო სამეურნეო სავარგულების 6.9 %, სულ 5093 ჰექტარ. აქედან სახნავი

ფართობი 2466 ჰექტარია (48,4%), (აჭარის სახნავი მიწების თითქმის მეოთხედი მოდის ქედაზე). თითქმის ორჯერ ნაკლებია მრავალწლიანი ნარგავების მიწის ფართობი და ძალზე მცირე სათიბი (162.0 ჰა) მიწების ფართობი.

მუნიციპალიტეტის მიწათმოქმედება საკმაოდ რისკიან ზონაშია მოქცეული. მოსავლის მისაღებად აუცილებელია მორწყვა, რაც დღევანდელ პირობებში ძალიან რთულია. მაღალია ეროზიული პროცესები. შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენების წარეცხვა.

მემცენარეობა. მარცვლოვანი კულტურები. ერთწლიანი კულტურები.
ქედის მუნიციპალიტეტში მემცენარეობა სოფლის მეურნეობის დარგის ერთ-ერთი ძირითადი მაპროფილებელი მიმართულებაა. ზოგადი ტენდენციით პრაქტიკულად ყველა კულტურის მიხედვით სახეზე გვაქვს როგორც ნათესი ფართობების, ისე მოსავლიანობის შემცირების კლებადი ტენდენცია.

ქედის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში ერთწლიან კულტურებს (სიმინდი, ლობიო, პარკოსანი (ლობიო)) სახნავი ფართობის სიმცირის გამო მოკრძალებული ადგილი უჭირავს.

სიმინდი. სიმინდის მარცვალი სახნავი ფართობის 1986.1 ჰექტარზეა დათესილი. მოსავლიანობა მკვეთრად დაბალია - 11 ცენტნერი ჰექტარზე და კლებაც ცალსახა ტენდენციით ხასიათდება. სიმინდი მარცვლოვნებს შორის დომინანტი კულტურაა აჭრაში და ძალიან მნიშვნელოვანი პროდუქტია არამხოლოდ როგორც საკვებად მნიშვნელოვანი მარცვლეული, არამედ აქტიურად გამოიყენება მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნაშიც. არცერთი სხვა მარცვლეული კულტურა არ იძლევა ისეთი რაოდენობის ნარჩენს, როგორსაც სიმინდი. აგროტექნიკის დაბალი დონის გამო მოსავლიანობა ძალზედ დაბალია ჯიშობრივი და აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გატარებით მთის რაიონებში ერთ ჰექტარზე შესაძლებელია 30–35 ცენტნერის მარცვლეულის მიღება, ამით წელიწადში წარმოება მიაღწევს 1400- 18000 ტონამდე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პურითა და პურპროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს.

ლობიო. ლობიო პარკოსანი კულტურებიდან ქედაში მემინდვრეობის ერთერთი მთავარი კულტურაა. ლობიოს ნათესი ფართობი სუფთა სახით 29.1 ჰექტარია. მოყვანილი მარცვლეულის 30%-ზე მეტი შეთესვითაა მიღებული (სხვა ძირითად კულტურასთან ერთად საერთო ფართობზე ირგვება,

რაც ცალკე ერთი კულტურის ნათესი ფართობის გამოყოფის შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა ნიადაგის აზოტით გამდიდრების ერთერთი საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა). ლობიოს მოსავლიანობა ჰექტარზე 10 ცენტნერია ბოლო წლის მონაცემებით. საერთოდ აჭარის რეგიონში კი - ლობიოს მოსავლიანობა 11,7 ცენტნერია[9] (ცნობისთვის: საქართველოში ლობიოს საშუალო მოსავლიანობა 60 ც/ჰა აღწევს)[10]

კარტოფილი. კარტოფილს ერთწლიან კულტურებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ეკონომიკისა და სურსათის ერთერთ წამყვან წყაროს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტისათვის. კარტოფილი სახნავი ფართობის 140.0 ჰექტარზეა დათესილი. ქედაში წარმოების ზრდის მხოლოდ უმნიშვნელო მასშტაბი აქვს მეკარტოფილეობას. მცირედით იზრდება (ისიც არამდგრადი დინამიკით) მოსავლიანობა. ზრდის ინდექსი გრძელვადიან პერიოდში კლებადია.

ქედაში კარტოფილის ნათესების საერთო ფართობი განუხრელად იზრდებოდა და 2016 წლისათვის 140 ჰექტარს მიაღწია. მოსავლიანობა კი ჰექტარზე საშუალოდ 170 ცენტნერია. (კარტოფილის საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა მაღალმთიან აჭარაში 400 ცენტნერს აღწევს), რაც აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროგნოზირებულ მაჩვენებელს 26%-ით ჩამოუვარდება. კარტოფილს ქვეყნის სასურსათო ბალანსში წამყვანი ადგილი უკავია. ქედის კარტოფილი შიდარეგიონულ ბაზარზე ხარისხის მიხედვით საკმაოდ მაღალი დონის ნიშაშია განთავსებული. ბიოლოგიური სანდოობისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის იმიჯის გამო მასზე მოთხოვნა მაღალია. მოთხოვნის ზრდას ტურიზმის ხარჯზე ბაზრის (ბათუმი, ქობულეთი) გაფართოებაც განაპირობებს. ამ ფონზე კი ეცემა როგორც მწარმოებლურობა ასევე წარმოების მოცულობა, მიუხედავად დარგის გარკვეულწილად გაზრდილი ექსტენსიფიკაციისა. კარტოფილს სასურსათო და კვებითი ღირებულების გარდა აქვს დიდი ტექნიკური მნიშვნელობა. ის ერთერთი საუკეთესო საკვებია პირუტყვისათვის. თუმცა, დაბალი მწარმოებლურობა ნაკლებად იძლევა ტექნიკური მიზნით მისი გამოყენების საშუალებას.

[9] აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

[10] საქსტატი, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2010

ქედის მოსახლეობის ერთი ნაწილი (ისევე როგორც შუახევისა და ხულოს), პირუტყვის საკვები ბაზის უკმარისობის გამო, წელიწადში 3-4 თვეს ალპურ მდელოებზე ატარებს, სადაც თავიანთ საცხოვრებელ სახლთან ახლოს, მცირე ფართობებზე მოჰყავთ კარტოფილი. სასუქებიდან მხოლოდ ორგანულს იყენებენ, რომელიც ადგილზევე აქვთ საკმარისი რაოდენობით. ასეთ პირობებში კარტოფილზე დაავადება არ შეინიშნება. ფართობები ზღვის დონიდან 2000 მ-ზე ზემოთ მდებარეობს და მოჰყავთ ეკოლოგიურად სუფთა მოსავალი, რომლის საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა 300 ცენტნერს შეადგენს, რაც ალპური მდელოსათვის ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

მრავალწლიანი კულტურები. სახნავი ფართობის 27.0 ჰა უჭირავს თესლოვან კულტურებს, მას მოსდევს კურკოვანი კულტურები - 26,0 ჰა, შემდეგ კაკლოვანი კულტურები 19.0 ჰა. ხურმას უჭირავს 31,0 ჰა, ვენახს - 82,0 ჰა აქედან სოლიკაურს 70.0 ჰა, ხოლო ჩხავერს 12 ჰა. ბოსტნეულს უჭირავს 134.8 ჰა აქედან კიტრს - 51.8ჰა, ხოლო პომიდორს 83.0 ჰა. თამბაქოს უჭირავს 101.0 ჰა ხოლო სხვა დანარჩენ კულტურებს 75.0 ჰა.

მრავალწლიანი ნარგავები. მრავალწლიანი ნარგავები ქედაში ძირითადად ხეხილის ნარგავების სახითაა წარმოდგენილი. ხილის ნარგავები ბაღების სახით 103 ჰექტარზეა გაშენებული. ხილის ძირითადი რაოდენობა გაფანტული ნარგავების სახითაა წარმოდგენილი - 474 ჰექტარზე. თუმცა, დაკავებული ფართობის მხოლოდ 77%-ია მოსავლიანი. ოფიციალური მონაცემით, ეს მაჩვენებელი 2010-2017 წლებში საერთოდ არ შეცვლილა. ამ პერიოდში (და არც მანამდე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში), ხილის ნარგავების ინტენსიური განახლება არ მომხდარა. საკმაოდ საფუძვლიანია ვარაუდი, რომ მონაცემების აღრიცხვის ხარვეზს წარმოადგენს ხილის ფართობებისა და მათაგან მოსავლიანი ნაწილის მსგავსი სტაბილურობა. სასოფლო სამეურნეო აღწერა ჩატარდა 2004 წელს, რის შემდგომაც მონაცემთა (მ.შ. რაოდენობრივი მაჩვენებლების) განახლება უკეთეს შემთხვევაშიც კი - საკმაოდ ზედაპირული ანგარიშიანობით ხდება.

ხილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების არ არსებობამ კიდევ უფრო დააქვეითა გლეხების მოტივაცია ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობაზე. არ ხდება ნარგავებისათვის ორგანული და მინერალური სასუქის მიწოდება, ნიადაგის გაუმჯობესება არ ხორციელდება არც მექანიკური გაფხვიერების და მორწყვის მეშვეობით. დაქვეითებულია ნაყოფის როგორც სასაქონლო სახე, ასევე მოსავლიანობაც.

საშუალო მოსავლიანობა 34 ცენტნერს შეადგენს. ხილის მოსავლიანობა უკვე რამდენიმე წელია მკვეთრად ჩამორჩება პროგნოზირებულს. ამ მაჩვენებლით ქედა ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შედეგის მქონე მუნიციპალიტეტია, მითუფრო, რომ ერთ-ერთი ყველაზე მეტად აქცენტირებულია ამ მიმართულებით და მაღალმთიან ზონაში სხვებზე ბევრად დიდი ფართობია ხეხილის ბაღებით დაკავებული. მკვეთრადაა დაცემული ჯიშური თვისებები და აღრეულია ჯიშური სიწმინდეები. ხეხილის ნარგავების უმეტესობა უკვე დაბერებულია, ოფიციალური მონაცემების მიხედვით 23% აბსოლიტურად აღარაა მოსავლიანი. მაგრამ მოსავლიანი ნარგავების უმეტესობაც დაბალმსხმოიარეა. ნიადაგი გამოფიტულია და არც მისი გამდიდრებითი სამუშაოები ხორციელდება. არ არსებობს სანერგე მეურნეობა, რომელიც ნედლეულით მოამარაგებდა ფერმერს ბაღების განახლების სურვილის შემთხვევაში. ამასთან, პროფესიონალი აგრონომების დეფიციტიცია (პრაქტიკულად არ არსებობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე).

ქედაში მრავალი სახეობის ხილი იწარმოება, თუმცა ეს რეგიონი არ სპეციალიზდება მეხილეობაზე. ქედაში მოდის კურკოვანი, თესლოვანი, სუბტროპიკული, კაკლოვანი და კენკროვანი ხილი, თუმცა მათი მასიური ნარგავები არ გვხვდება. ხილის დამზადება მცირე, საოჯახო მეურნეობებში ხდება (ცხრილი 1-21).

ცხრილი 1-21. ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ

ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ																				
#	ადმინისტრაციული ერთეულების და სოფლების დასახელება	ტყის ფონდი ჰა	სას. სამ. სავარგულები ჰა	მათ შორის																
				სახნავი ჰა	სათიბი ჰა	საძოვარი ჰა.	ხეხილი			სუბტრ. ხურმა ჰა.	ვენახი		ბოსტნეული		სიმინდი	ლობიო	კარტოფილი	თამბაქო	სხა დანარჩენი	თუთის ნარგავები
							თესლოვანი ჰა	კაკლოვანი ჰა.	კურკოვანი ჰა.		ცოლოკაური ჰა.	ჩხავერი ჰა.	პომიდორი ჰა.	კიტრი ჰა						

1	**დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.შ. სოფლები	ჯალაბაშვილები	230	78.1	62.3	_	_	0.5	0.3	0.5	_	2.0	_	4.0	2.0	44.0	0.5	3.0	2.5	6.3	_
		ხარაულა	210	132.0	90.0	_	_	0.6	0.3	0.5	_	1.8	_	3.0	2.0	80.0	0.0	4.0	1.0	0.0	_
		დანდალო	225	95.0	57.6	_	_	0.5	0.2	0.4	_	2.2	_	4.0	3.0	43.0	0.5	3.0	_	4.1	_
		ტაკიძეები	180	44.2	28.8	_	_	0.4	0.2	0.4	_	1.5	_	1.5	1.5	20.0	0.3	4.0	_	1.5	_
		გოგიაშვილები	205	37.2	35.8	_	_	0.5	0.3	0.2	_	1.5	_	1.5	1.5	24.0	0.1	2.5	0.5	5.7	_
		გორგივლი მოსიაშვილები	215	36.0	34.0	_	_	0.2	0.3	0.3	_	1.0	_	2.0	1.0	23.0	0.3	2.5	2.2	3.0	_
		ბალაძეები	171	19.7	18.0	_	_	0.3	0.4	0.2	_	1.0	_	2.0	1.0	12.0	0.3	2.0	0.5	0.2	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1436**	**442.2**	**326.5**	**0.0**	**97.2**	**3.0**	**2.0**	**2.5**	**_**	**11.0**	**_**	**18.0**	**12.0**	**246.0**	**2.0**	**21.0**	**6.7**	**20.8**	**_**
2	**ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.შ. სოფლები	გეგელიძეები	352	92.8	57.5	_	_	0.5	0.3	0.5	_	2.0	0.5	1.5	1.5	35.0	1.5	6.5	11.5	0.0	_
		ახო-ჩეტკიძეები	525	173.2	103.5	_	_	0.8	0.5	0.8	_	2.0	_	2.5	3.5	73.3	3.5	9.5	12.5	0.0	_
		გობრონეთი	475	39.4	48.0	_	_	0.2	0.3	0.2	_	2.0	_	2.0	2.5	24.0	1.5	7.5	10.5	0.0	_
		ცხმორისი	501	139.8	80.8	_	_	1.5	0.5	1.5	0.3	3.0	0.5	2.5	4.0	57.0	2.0	5.5	8.5	0.0	_
		კოკოტაური	325	120.0	76.5	_	_	1.0	0.4	1.0	0.2	3.0	0.5	4.5	5.5	53.0	1.5	4.0	8.0	0.0	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**2178**	**565.2**	**366.3**	**0.0**	**174.9**	**4.0**	**2.0**	**4.0**	**0.5**	**12.0**	**1.5**	**13.0**	**17.0**	**242.3**	**10.0**	**33.0**	**51.0**	**0.0**	**_**
3	**წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.შ. სოფლები	ვარჯანისი	645	67.0	37.5	_	_	0.5	0.5	0.6	_	1.0	0.5	2.5	_	28.5	0.5	2.5	2.0	1.5	_
		წონიარისი	680	125.0	69.5	_	_	0.8	0.5	0.7	0.5	2.0	_	2.5	0.5	52.6	0.5	2.5	11.0	0.0	_
		ტიბეთა-კანტაური	280	64.0	36.0	_	_	0.8	0.5	0.7	0.5	2.6	0.5	3.0	0.5	20.0	0.5	3.0	9.0	0.0	_
		აბუქეთა	235	98.8	60.5	_	_	0.9	0.5	0.5	0.5	1.4	_	3.0	0.5	41.7	0.5	3.0	8.0	3.8	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1840**	**354.8**	**203.5**	**0.0**	**134.3**	**3.0**	**2.0**	**2.5**	**1.5**	**7.0**	**1.0**	**11.0**	**1.5**	**142.8**	**2.0**	**11.0**	**30.0**	**5.3**	**_**
4	**ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.შ. სოფლები	ზვარე	425	71.0	38.0	_	_	0.3	0.3	0.3	0.3	2.0	_	1.5	0.5	29.5	0.5	0.7	2.5	2.8	_
		ზესოფელი	475	68.0	36.3	_	_	0.7	0.7	0.4	0.4	1.0	_	1.5	_	26.0	1.0	0.8	7.0	0.0	_
		ვაიო	310	124.0	78.2	_	_	1.0	0.3	0.7	0.7	3.0	0.5	3.0	2.0	69.7	1.0	0.5	2.0	0.0	_
		კვაშტა	385	96.9	52.2	4.0	_	0.5	0.3	0.3	0.3	1.0	0.5	1.5	0.5	47.0	0.5	1.0	1.5	0.2	_
		სირაბიძეები	352	107.0	64.8	_	_	0.5	0.4	0.3	0.3	1.0	_	1.5	_	52.0	1.5	1.0	_	8.8	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1947**	**466.9**	**269.5**	**4.0**	**175.4**	**3.0**	**2.0**	**2.0**	**2.0**	**8.0**	**1.0**	**9.0**	**3.0**	**224.2**	**4.5**	**4.0**	**13.0**	**11.8**	**_**
5	**დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.შ. სოფლები	სოფ. ქედა	167	51.3	32.4	_	_	0.3	0.5	0.3	1.0	1.5	_	1.5	1.5	29.0	0.2	_	_	0.2	_
		ზენდიდი	187	87.4	55.8	_	_	0.4	0.5	0.4	1.5	3.0	_	2.5	1.5	50.3	0.5	1.0	_	0.0	_
		გულები	215	73.0	40.2	_	_	0.3	0.3	0.3	1.5	0.5	_	1.5	0.5	36.9	0.3	1.0	_	0.0	_
		ხუნკუდა	165	32.9	21.0	_	_	0.2	0.2	0.2	0.5	_	_	0.5	_	17.1	0.1	0.5	_	2.8	_
		ცხემნა	154	33.8	22.6	_	_	0.3	0.2	0.3	0.5	0.5	_	0.5	0.5	20.9	0.2	0.5	_	0.0	_
		კორომხეთი	195	52.0	30.0	_	_	0.5	0.5	0.5	0.5	0.3	_	1.5	1.0	24.3	0.7	2.5	_	0.0	_
		ძენწმანი	205	64.5	34.8	_	_	0.7	0.5	0.7	1.0	0.7	0.5	1.5	1.0	29.3	0.5	2.5	_	0.0	_
		ორცვა	275	85.2	65.6	_	_	0.8	0.4	0.8	1.5	1.5	1.0	1.5	1.0	52.0	0.5	3.0	_	7.6	_
		შევაბური	160	27.2	17.0	_	_	_	0.2	_	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	14.7	0.3	1.0	_	0.0	_

		აქუცა	155	86.8	63.9	_	_	0.5	0.2	0.5	0.5	1.5	0.5	0.5	0.5	54.0	0.3	2.0	_	6.6	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1878**	**594.1**	**383.3**	**0.0**	**177.8**	**4.0**	**3.5**	**4.0**	**9.0**	**10.0**	**2.5**	**12.0**	**8.0**	**328.5**	**3.6**	**14.0**	**_**	**17.2**	**_**
6	**მერისის ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.მ. სოფლები	სილიბაური-ნამონასტრევი	385	156.6	26.5	10.0	_	0.3	0.2	0.3	_	_	0.5	0.5	_	17.7	0.5	2.0	_	5.8	_
		ინაშარიძეები	288	176.4	19.8	8.0	_	0.2	0.3	0.2	0.5	1.5	0.5	0.5	0.5	17.0	0.3	1.5	_	0.0	_
		გუნდაური	342	179.8	30.2	5.0	_	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	1.5	1.5	22.2	0.5	2.5	_	2.0	_
		სიხალიძეები-გარეტყე	375	273.2	30.2	6.0	_	0.5	0.5	0.5	_	0.5	0.5	0.5	0.5	25.5	0.2	3.5	_	0.0	_
		მერისი	315	270.8	35.8	12.0	_	0.5	0.5	0.5	0.5	2.5	2.5	2.5	1.5	29.8	0.5	1.5		0.0	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1705**	**1056.8**	**142.5**	**41.0**	**750.3**	**2.0**	**2.0**	**2.0**	**1.5**	**5.0**	**2.5**	**5.5**	**4.0**	**112.2**	**2.0**	**11.0**	**_**	**7.8**	**_**
7	**ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.მ. სოფლები	კუჭულა	186	76.6	44.2	_	_	0.5	0.3	0.6	_	0.5	0.5	1.0	0.3	41.2	0.3	1.2	_	0.2	_
		ოქტომბერი	172	81.1	47.2	4.0	_	0.6	0.2	0.5	1.0	1.5	1.0	1.6	0.5	43.5	0.3	1.3	_		_
		გოგნიძეები	165	57.5	31.5	_	_	0.7	0.3	1.0	0.5	1.5	0.5	0.8	0.3	28.2	0.3	2.0	_		_
		აგოთა	161	54.2	29.2	3.0	_	1.0	0.5	0.7	_	0.5	0.3	0.8	0.5	26.0	0.4	1.5	_		_
		მეძიბნა	180	74.6	44.4	3.0	_	0.2	0.7	0.2	_	1.0	0.3	0.3	_	41.8	0.3	2.0	_	0.1	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**864**	**344.0**	**196.5**	**10.0**	**120.5**	**3.0**	**2.0**	**3.0**	**1.5**	**5.0**	**2.5**	**4.5**	**1.5**	**180.7**	**1.5**	**8.0**	**_**	**0.3**	**_**
8	**პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.მ. სოფლები	აგარა	715	106.6	42.5	_	_	0.3	0.3	0.7	1.5	0.5	_	1.5	0.3	37.4	0.3	3.0	_		_
		კოლოტაური	560	118.8	47.8	_	_	0.3	0.4	0.3	1.5	1.3	_	0.5	0.4	42.9	0.4	3.0	_	0.6	_
		ხოხნა	421	82.0	30.1	_	_	0.4	0.3	1.0	1.5	1.3	0.5	1.0	0.6	23.7	0.3	4.5	_		_
		პ/მაისი	575	181.6	89.5	_	_	1.0	0.5	1.0	2.5	4.0	0.5	1.0	0.5	78.0	0.5	5.5	_	4.0	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**2271**	**489.0**	**209.9**	**69.6**	**188.0**	**2.0**	**1.5**	**3.0**	**7.0**	**7.0**	**1.0**	**4.0**	**1.8**	**182.0**	**1.5**	**16.0**	_	4.6	_
9	**მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული**																				
	მ.მ. სოფლები	ზედა მახუნცეთი	215	81.6	36.6	_	_	0.3	0.2	0.3	1.0	1.5	_	0.5	0.3	32.6	0.2	2.0	_	1.0	_
		ქვ. ბზუბზუ	268	49.0	35.2	_	_	0.2	0.1	0.2	0.5	1.5	_	0.5	0.2	31.5	_	1.5	_	1.1	_
		ზედა ბზუბზუ	295	82.4	37.1	_	_	0.3	0.3	0.3	0.5	1.0	_	0.5	0.5	33.2	0.2	2.5	_	0.2	_
		ზუნდაგა	305	88.0	34.8	_	_	0.5	0.3	0.5	_	_	_	0.5	0.3	29.7	0.3	4.0	_		_
		უჩხითი	265	63.9	38.1	_	_	0.5	0.2	0.5	0.3	1.0	_	1.0	0.2	34.0	0.3	2.0	_	0.6	_
		ნამლისევი	278	41.6	18.8	_	_	0.3	0.2	0.3	0.3	_	_	1.0	0.3	15.2	0.5	1.5	_	0.3	_
		მილისი	380	42.4	19.2	_	_	0.2	0.1	0.2	_	_	_	_	0.3	16.9	0.5	1.5	_		_
		ქოსოფელი	225	39.7	11.7	_	_	0.2	0.1	0.2	_	_	_	_	_	9.7	_	2.0	_		_
		ქვ. მახუნცეთი	172	89.6	45.1	_	_	0.2	0.1	0.2	1.0	_		1.5	0.4	41.1	_	2.0	_	0.1	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**2403**	**578.2**	**276.6**	**_**	**_**	**2.7**	**1.6**	**2.7**	**3.6**	**5**	**_**	**5.5**	**2.5**	**243.9**	**2**	**19**	**_**	**3.3**	**_**
10	**დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული**																				
	სოფლები	დოლოგანი	375	104.4	45.4	_	_	0.3	0.2	0.3	2.5	_	_	0.5	0.5	42.4	_	2.0	_	_	_
		ჭალახმელა	262	53.2	19.7	_	_	_	_	_	0.5	_	_	_	_	17.6	_	0.5	_	1.6	_

	ჭინკაძეები	325	44.2	26.3	_	_	_	0.2	_	1.5	_	_	_	_	23.5	_	0.5	_	2.3	–
	სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**962**	**201.8**	**91.4**	**_**	**_**	**0.3**	**0.4**	**0.3**	**4.5**	**_**	**_**	**0.5**	**0.5**	**83.5**	**_**	**3**	**_**	**3.9**	**_**
სულ მუნიციპალიტეტში		**17484**	**5093.0**	**2466.0**	**162.0**	**2172.0**	**27.0**	**19.0**	**26.0**	**31.0**	**70.0**	**12.0**	**83.0**	**51.8**	**1986.1**	**29.1**	**140.0**	**101.0**	**75.0**	**_**

ბოსტნეული. ქედის მუნიციპალიტეტისათვის რამდენიმე ბოსტნეული კულტურა (ძირითადად კიტრი და პომიდორი) მაპროფილებელს წარმოადგენს და წამყვანი მნიშვნელობა უჭირავს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ აქტიურობაში. კიტრისა და პომიდვრის რეალიზაციისათვის მუნიციპალიტეტი ბაზარზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მოთხოვნად ნიშას ფლობს, რაც განპირობებულია როგორც გემობრივი და ტექნიკური მახასიათებლებით, ასევე ბიოლოგიური სანდოობისა და ეკოლოგიური სისუფთავის გამოც. კიტრისა და პომიდვრის მოსავლიანობა ქედაში, აჭარის მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, თუმცა ხასიათდება არამყარი დინამიკით.

ამ უკანასკნელით ბოლო წლებში განსაკუთრებით პომიდორი ხასიათდება. საერთოდ კი ბოსტნეული კულტურებით დაკავებული ფართობების წილი ქედის მუნიციპალიტეტში საკმაოდ შეზღუდულია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, რაც მაღალმთიანი ზონის კლიმატურ-რელიეფური პირობებითაა ნაკარნახევი. ქედაში ასევე მოჰყავთ ფხალეული, განსაკუთრებით შავი და წითელი ფხალი.

ყურძენი. ქედა მეღვინეობისა და მევენახეობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი მუნიციპალიტეტია საქართველოში. ის განსაკუთრებით ენდემური ჯიშების სიმრავლით და უნიკალურობითაა გამორჩეული. 40-ზე მეტი ენდემური ჯიშის ყურძენია ქედაში მიკვლეული, თუმცა მათგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ცოლიკაური და ჩხავერი, რომელიც ანალოგიური ხარისხობრივი მაჩვენებლებით სხვა ტერიტორიაზე არ გვხვდება. ვაზის ნარგავები სულ 177 ჰექტარზეა განფენილი. აქედან 82 ჰექტარი გაფანტული ნარგავების სახითაა წარმოდგენილი. საშუალო მოსავლიანობა 2002 წელს 366 ტონას უდრიდა ეს მაჩვენებელი, დღეს კი 32% გაიზარდა და საშუალო მოსავლიანობა გაიზარდა 485.4 ტონამდე.

ქედაში არ არსებობს მევენახეობის სანერგე მეურნეობა და გლეხურ შინა მეურნეობებში არსებული სანერგეები ცდილობენ ამ ბაზარზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ასეთ სანერგეებში პრაქტიკულად დარღვეულია ნერგის წარმოების სრული ტექნოლოგიური ციკლი.

ამდენად, მაღლხარისხოვანი ვაზის ნერგი მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად არ იწარმოება. ეს საკითხი ერთერთი ყველაზე მწვავე და კრიზისულია ქედის მევენახეობისათვის, მით უფრო სამომავლო პერსპექტივაზე გადათვლით. ქედაში საკმაოდ განვითარებულია ოჯახური ტიპის ღვინის წარმოების ტრადიცია, რომელიც რეალიზაციის ამ ეტაპზე ყველაზე ფართო ბაზრად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა აქ აღრიცხვიანობაა დაბალი და ძნელია მოხმარების და/ან წარმოების რეალურ მაჩვენებლებზე გასვლა.

ქედის მეღვინეობის ორიენტაციას შიდა ბაზარზე აფერხებს ერთი მხრივ ოჯახური ღვინის წარმოების ტრადიცია და მეორეს მხრივ ე.წ. „პიკეტი“ ანუ ხელოვნური „ღვინო“. ორივეს მოხმარების მასშტაბი მაღალია ქვეყნის შიგნით და ბაზრის საკმაოდ დიდ სეგმენტს შეადგენს (ცხრილი 1-22).

ცხრილი 1-22. ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა და სამომავლო პოტენციალი

ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა და სამომავლო პოტენციალი									
#	ლი ერთეულის	ხეხილი	ციტრუსი	ჩაი	ვენახი (ცოლიკოური, ჩხავერი)	ბოსტნეული (კიტრი, პომიდორი)	კარტოფილი	სიმინდი	ლობიო

		2002 წლის მოსავალი ტონა	გასული წლის მოსავალი ტონა	სამომავლო პოტენციალი ტონა	2002 წლის მოსავალი ტონა	გასული წლის მოსავალი ტონა	სამომავლო პოტენციალი ტონა	2002 წლის მოსავალი ტონა	გასული წლის მოსავალი ტონა	სამომავლო პოტენციალი ტონა	2002 წლის მოსავალი ტონა	გასული წლის მოსავალი ტონა	სამომავლო პოტენციალი ტონა	2002 წლის მოსავალი ტონა	გასული წლის მოსავალი ტონა	სამომავლო პოტენციალი ტონა	2002 წლის მოსავალი ტონა	გასული წლის მოსავალი ტონა	სამომავლო პოტენციალი ტონა	2002 წლის მოსავალი ტონა	გასული წლის მოსავალი ტონა	სამომავლო პოტენციალი ტონა	2002 წლის მოსავალი ტონა	გასული წლის მოსავალი ტონა	სამომავლო პოტენციალი ტონა
1	დანდალო	32.0	42.8	52	_	_	_	_	_	_	51.0	71.4	85.0	455	512.8	550	270	382.0	430	450	523	550	2.6	3.1	4.0
2	ცხმორისი	45.0	62.6	85	_	_	_	_	_	_	62.0	87.6	125.0	465	507.9	620	450	600.6	750	454	474.7	550	8.0	12.4	15.0
3	წონიარისი	32.0	42.8	60	_	_	_	_	_	_	45.0	51.9	70.0	180	217.0	260	170	200.2	250	225	292.6	320	2.0	2.4	5.0
4	ზვარე	25.0	38.7	50	_	_	_	_	_	_	46.0	57.1	75.0	165	208.7	270	56	72.7	90	420	463.2	490	4.5	5.4	7.0
5	დაბა ქედა	52.0	62.2	80	_	_	_	_	_	_	65.0	80.7	120.0	315	341.2	360	220	254.8	270	650	673.7	690	3.0	4.5	6.0
6	მერისი	21.0	31.1	40	_	_	_	_	_	_	24.0	35.3	50.0	120	161.8	190	160	200.2	250	195	230.1	250	2.5	3.1	7.0
7	ოქტომბერი	35.0	46.9	60	_	_	_	_	_	_	35.0	49.0	60.0	85.0	104.9	130	115	145.5	165	335	355.1	360	1.5	2.1	5.0
8	პირველი მაისი	31.0	39.4	50	_	_	_	_	_	_	38	52.4	62.0	80.0	102.8	120	260	291.2	320	345	363.3	380	1.0	1.9	4.0
9	მახუნცეთი	35.0	46.4	55	_	_	_	_	_	_	_	_	_	150	170.8	190	385	429.1	450	630	656.4	700	1.8	2.4	5.0
სულ მუნიციპალიტეტში		308.0	412.9	532	_	_	_	_	_	_	366	485.4	647.0	2015	2327.9	2690	2086	2576.3	2975	3704	4032.1	4290	26.9	37.3	58.0
გამგებლის თანაშემწე სოფლის მეურნეობის საკითხებში გიორგი ბერიძე																										

მეცხოველეობა. ქედის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობა ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგია. აქ საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა-შენახვის, ასევე მეცხოველეობის პროდუქტების რძე, ხორცი, კვერცხი, თაფლი წარმოების და მათგან გლეხური ყველის, კარაქის, ნაღების და სხვა ნატურალური ნაწარმის დამზადების მდიდარი კულტურა, რომლის უმეტესი წილი (60-70 პროცენტი) ოჯახების ძირითად საარსებო საკვებს, ხოლო 30 პროცენტამდე მათი ფინანსური შემოსავლების და ქალაქების მოსახლეობის მეცხოველეობის ახალ პროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

2016 წლის მდგომარეობით, ადმინისტარციულ ერთეულში დაახლოებით 12203 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია. მათი რაოდენობა უკანასკნელ წლებში არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს სათიბ-საძოვრების რაოდენობას, ამასთან ძოვების ნორმების მიხედვით, მუნიციპალიტეტში ერთ ჰექტარ საძოვარზე დასაშვებია ერთი სული მსხვილფეხა საქონლის ძოვება. მუნიციპალიტეტში საძოვრების შენარჩუნებისათვის პრაქტიკულად არანაირ ზომებს არ მიმართავენ. (ცხრილი 1-23)

ცხრილი 1-23. ქედის მუნიციპალიტეტის მეცხოველეობისა და მეფრინველეობის შესახებ სასოფლო დასახლებებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ჭრილში

ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის შესახებ																		
#	ადმინისტრაციული ერთეულებისა და სოფლების დასახელება	მსხ.რქ. პირუტყვი (სული)	მ.შ ძირითადი ჯიშები			მათ შორის		კამეჩი		მსხ.რქ. პირუტყვი (სული)	მათ შორის					ცხენი, სული	ფრინველი, ფრთა	ფუტკარი, ოჯახი
			კავკასიური წაბლა	ველისწითელი	სხვა დანარჩენი	ფური	ხარი	ფური	ხარი		თხა	ცხვარი	დედა ცხვარი	ღორი	დედა ღორი			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1	**დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული**																	
	მ.შ სოფლები ჯალაბაშვილები	243	243	_	_	96	7	_	_	12	12	_	_	_	_	2	1300	25
	მ.შ სოფლები ხარაულა	451	451	_	_	179	14	_	_	8	8	_	_	_	_	3	2460	_
	მ.შ სოფლები დანდალო	278	278	_	_	110	9	_	_	20	20	_	_	_	_	_	1500	30
	მ.შ სოფლები ტაკიძეები	154	154	_	_	61	6	_	_	3	3	_	_	_	_	_	790	10
	მ.შ სოფლები გოგიაშვილები	132	132	_	_	52	3	_	_	2	2	_	_	_	_	_	720	20
	მ.შ სოფლები გორგივლი მოსიაშვილები	130	130	_	_	51	3	_	_	_	_	_	_	_	_	_	700	10
	მ.შ სოფლები ბალაძეები	62	62	_	_	31	6	_	_	10	10	_	_	_	_	_	330	_
	მ.შ სოფლები სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	1450	1450	_	_	580	48	_	_	55	55					5	7800	95
2	**ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული**																	
	მ.შ სოფლები გეგელიძეები	243	243	_	_	91	8	_	_	_	_	_	_	_	_	_	1200	20
	მ.შ სოფლები ახო-ჩეტკიძეები	499	499	_	_	187	12	_	_	16	16	_	_	_	_	_	2400	30
	მ.შ სოფლები გობრონეთი	164	164	_	_	61	6	_	_	18	18	_	_	_	_	8	810	25
	მ.შ სოფლები ცხმორისი	403	403	_	_	151	16	_	_	15	15	_	_	_	_	_	2000	65
	მ.შ სოფლები კოკოტაური	351	351	_	_	130	10	_	_	_	_	_	_	_	_	_	1790	25
	მ.შ სოფლები სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	1660	1660	_	_	620	52	_	_	49	49					8	8200	165
3	წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული																	
	მ.შ სოფლები ვარჯანისი	267	267	_	_	107	12	_	_	8	8	_	_	_	_	_	1450	35
	მ.შ სოფლები წონიარისი	307	307	_	_	197	14	_	_	6	6	_	_	_	_	_	2600	70
	მ.შ სოფლები ტიბეთა-კანტაური	262	262	_	_	111	8	_	_	25	25	_	_	_	_	_	1370	40
	მ.შ სოფლები აბუქეთა	404	404	_	_	155	9	_	_	75	75	_	_	_	_	_	2080	30
	მ.შ სოფლები **სულ ადმინისტრაციულ ერთეულში**	**1240**	**1240**	_	_	**570**	**43**	_	_	**114**	**114**						7500	175
4	ზვარის ადმინისტრაციული ერთეული																	
	მ.შ სოფლები ზვარე	140	140	_	_	57	11	_	_	5	5	_	_	_	_	_	750	60
	მ.შ სოფლები ზესოფელი	154	154	_	_	63	12	_	_	10	10	_	_	_	_	_	640	40
	მ.შ სოფლები ვაიო	336	336	_	_	138	11	_	_	12	12	_	_	_	_	_	1400	20
	მ.შ სოფლები კვაშტა	227	227	_	_	95	11	_	_	35	35	_	_	_	_	_	940	20

		სირაბიძეები	243	243	_	_	97	_	_	_	40	40	_	_	_	_	_	950	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	1100	1100	_	_	450	45	_	_	102	102						4500	140
5	**დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული**																		
	მ.მ სოფლები	სოფ. ქედა	121	121	_	_	52	5	_	_	6	6	_	_	8	2	_	760	25
		ზენდიდი	205	205	_	_	95	8	_	_	12	8	_	_	4	_	_	1340	30
		გულები	172	172	_	_	69	6	_	_	10	4	_	_	6	4	_	940	20
		ხუნკუდა	77	77	_	_	32	7	_	_	6	6	_	_	_	_	4	490	_
		ცხემნა	79	79	_	_	37	4	_	_	4	4	_	_	_	2	_	520	30
		კორომხეთი	140	140	_	_	52	5	_	_	30	12	6	2	12	_	2	700	40
		ძენწმანი	189	189	_	_	56	6	_	_	12	8	_	_	4	_	_	800	20
		ორცვა	201	201	_	_	96	4	_	_	10	10	_	_	_	_	2	1280	30
		შევაბური	64	64	_	_	28	3	_	_	8	8	_	_	_	_	_	420	10
		აქუცა	302	302	_	_	93	4	_	_	5	5	_	_	_	_	_	1250	_
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1550**	**1550**	**_**	**_**	**610**	**52**		**_**	**111**	**71**	**6**	**2**	**34**	**8**	8	8500	205
6	**მერისის ადმინისტრაციული ერთეული**																		
	მ.მ სოფლები	სილიბაური-ნამონასტრევი	195	195	_	_	87	9	_	_	12	12	_	_	_	_	2	1200	60
		ინაშარიძეები	219	219	_	_	98	10	_	_	10	10	_	_	_	_	_	1300	25
		გუნდაური	224	224	_	_	99	10	_	_	8	8	_	_	_	_	_	1340	30
		სიხალიძეები-გარეტყე	295	295	_	_	130	11	_	_	10	10	_	_	_	_	_	1780	30
		მერისი	377	377	_	_	176	12	_	_	12	12	_	_	_	_	_	2180	40
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1310**	**1310**			**590**	**52**		**_**	**52**	**52**					2	7800	185
7	**ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული**																		
	მ.მ სოფლები	კუჭულა	195	195	_	_	132	12	_	_	8	8	_	_	_	_	_	1350	80
		ოქტომბერი	364	364	_	_	134	14	_	_	12	12	_	_	_	_	2	1470	70
		გოგნიძეები	238	238	_	_	95	8	_	_	14	14	_	_	_	_	_	880	30
		აგოთა	205	205	_	_	90	6	_	_	8	8	_	_	_	_	_	850	40
		მეძიბნა	298	298	_	_	119	8	_	_	6	6	_	_	_	_	2	2650	30
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1300**	**1300**			**570**	**48**		**_**	**48**	**48**					4	7200	250
8	**პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული**																		
	მ.მ სოფლები	აგარა	245	245	_	_	101	8	_	_	20	10	6	4	4	2	2	1580	150
		კოლოტაური	275	275	_	_	112	10	_	_	54	30	20	10	4	1	1	1890	100
		ხოხნა	174	174	_	_	72	12	_	_	16	10	6	4	_	_	_	1230	50
		პ/მაისი	496	496	_	_	203	17	_	_	20	8	8	4	4	1	1	3000	100
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1190**	**1190**			**488**	**47**			**110**	**58**	**40**	**22**	**12**	**4**	4	7700	400
9	**მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული**																		
	სოფლები	ზედა მახუნცეთი	138	138	_	_	67	8	_	_	16	6	10	5	_	_	_	800	30
		ქვ. ბზუბზუ	134	134	_	_	65	4	_	_	6	_	6	4	_	_	_	750	20

		ზედა ბზუბზუ	147	147	_	_	72	8	_	_	22	7	15	5	_	_	1	870	25
		ზუნდაგა	142	142	_	_	69	6	_	_	32	20	12	8	_	_	_	820	150
		უჩხითი	145	145	_	_	70	4	_	_	135	65	70	30	_	_	_	860	40
		ნამლისევი	79	79	_	_	37	4	_	_	35	15	20	10	_	_	_	370	30
		მილისი	76	76	_	_	38	4	_	_	28	8	20	10	_	_	_	350	15
		ქოსოფელი	48	48	_	_	23	2	_	_	25	_	25	15	_	_	_	290	15
		ქვ. მახუნცეთი	106	106	_	_	125	_	_	_	_	_	_	_	_	_	_	1090	15
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**1015**	**1015**	**_**	**_**	**566**	**40**	**_**	**_**	**299**	**121**	**178**	**87**	_	_	1	6200	340
10	**დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული**																		
	გ.მ სოფლები	დოლოგანი	205	205	_	_	101	8	_	_	88	68	20	10	_	_	2	1020	65
		ჭალახმელა	78	78	_	_	36	4	_	_	32	20	12	8	_	_	1	460	20
		ჭინკაძეები	105	105	_	_	51	6	_	_	40	25	15	5	_	_	1	620	40
		სულ ადმინისტრაციულ ერთეულში	**388**	**388**	**_**	**_**	**188**	**18**	**_**	**_**	**160**	**113**	**47**	**23**	_	_	4	2100	125
სულ მუნიციპალიტეტში			**12203**	**12203**	**_**	**_**	**5232**	**445**			**1100**	**783**	**271**	**134**	**46**	**12**	36	67500	2080

გამომდინარე აღნიშნულიდან მეცხოველეობის დარგის შენარჩუნება-განვითარებას, პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის მოცულობების ოპტიმალური დონის მიღწევას რეგიონისათვის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო, სახელმწიფო პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიკური ფუნქცია აკისრია. სტატისტიკური მონაცემებით ქედის მუნიციპალიტეტში, როგორც უკვე ავღნიშნეთ 12203 სულამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 5232 სულამდე ფური ირიცხება. 1054 სულამდე ცხვარი და თხა, 67 500 ფრთამდე ფრინველი, 2080 ერთეულზე მეტი ფუტკრის ოჯახი ირიცხება. ქედის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა რეგიონში არსებული და ასამოქმედებელი სასათბურე მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება/მშენებლობა. (ცხრილი 1-24, ცხრილი 1-25)

ცხრილი 1-24. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერული მეურნეობის რაოდენობა

№	ადმინისტრაციული ერთეული	ფერმერი, სახელი გვარი (ფიზ. პირი:ინდ. მეწ; შპს)	მეცხოველეობა სული			მეფუტკრეობა ოჯახი			მეთევზეობა ტონა			მეციტრუსეობა ტონა			მეკარტოფილეობა ტონა			მებოსტნეობა ტონა		
			მცირე	საშუალო	დიდი	მცირე	საშუალო	დიდი	მცირე	საშუალო	დიდი	მცირე	საშუალო	დიდი	მცირე	საშუალო	დიდი	მცირე	საშუალო	დიდი
1	დანდალო	თეიმურაზ ჯორთმენაძე	–	–	–	45	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	3.5	–	–
		ალექსანდრე ზაქარიაძე	–	–	–	50	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	4.5	–	–
		უშანგი ბერიძე	–	–	–	30	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ზვიადი ალიშანიძე	–	–	–	35	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	4.0	–	–
2	ცხმორისი	ალექსანდრე ვასაძე	–	–	–	30	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	3.5	–	–
		ნოდარი მამუჭაძე	–	–	–	35	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	3.0	–	–
		გურამი ბოლქვაძე	–	–	–	40	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		გურამ ანანიძე	–	–	–	45	–	–	8.0	–	–	–	–	–	–	–	–	4.0	–	–

		მურადი ბერიძე	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	7.5	–
		ნაზიმ ბერიძე	–	–	–	–	–	–	–	12	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ოთარი ბოლქვაძე	–	–	–	–	–	–	–	10	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
3	წინიარისა	აწზორი ბერიძე	–	–	–	30	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	4.0	–	–
		ავთო ბოლქვაძე	–	–	–	–	–	–	–	11	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ვაჟა გოგიტიძე	–	–	–	–	–	–	–	16	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ლევან მაკარაძე	–	–	–	–	–	–	–	12	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ზურაბ მაკარაძე	–	–	–	–	–	–	8	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		გოჩა პაპუნიძე	–	–	–	–	–	–	6	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		გოჩა ბერიძე	–	–	–	–	–	–	10	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ზაზა ბოლქვაძე	–	–	–	–	–	–	6	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ემზარი ბერიძე	–	–	–	–	–	–	10	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
4	ზვარე	ჯამბულ გოგიტიძე	–	–	–	50	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		სულიკო ქობულაძე	–	–	–	45	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		კობა ჯაბნიძე	–	–	–	30	–	–	6	–	–	–	–	–	–	–	–	4	–	–
		მერაბ ჯაბნიძე	–	–	–	–	–	–	8	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		შალვა ქობულაძე	–	–	–	–	–	–	10	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
5	დაბა [illegible]	ჯემალ დიასამიძე	–	–	–	50	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ნაზიმ ჩხეიძე	–	–	–	–	–	–	6	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
6	მერისა	ჯუმბერ წითელაძე	–	–	–	45	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ჯემალ შარაძე	–	–	–	–	–	–	8	–	–	–	–	–	–	–	–	3.5	–	–
		რევაზ თურმანიძე	–	–	–	35	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
7	ოქტომბერი	დავით გორგაძე	–	–	–	–	–	110	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		მერაბ ბასილაძე	–	–	–	40	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ჯემალ ნაკაშიძე	–	–	–	30	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ნუგზარ გოგიტიძე	–	–	–	–	–	–	–	–	45	–	–	–	–	–	–	–	8.0	–
		ნიაზ შერვაშიძე	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	6.0	–
		ნოდარი ჩხიკვაძე	–	–	–	35	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
8	პირველი მაისი	ბადრი გურგენიძე	–	–	–	30	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		გიორგი დუმბაძე	–	–	–	–	–	–	6	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ჰაიდარ დევაძე	–	–	–	30	–	–	–	10	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		მალხაზ დევაძე	–	–	–	45	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		თემური დევაძე	–	–	–	–	–	–	6	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
9	მახუნცეთი	გურამ შოთაძე	–	–	–	–	–	95	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		რემზი შოთაძე	–	–	–	–	60	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		იაშა ღოღობერიძე	–	–	–	–	55	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–

		ლევან თავდგირიძე	–	–	–	50	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
		ხუსეინ ვერძაძე	–	–	–	–	–	145	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–

ცხრილი 1-25. ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ

№	ადმინისტრაციული ერთეულებისა და სოფლების დასახელება	მექანიზაცია														
		საერთო მანქანები, ერთ.	მ/შორის (მარკა)				ტრაქტორები, ერთ.	მ/შორის			სატრაქტორო მისაბმელები, ცალი	მ/შორის სას.სამ. აგრეგატები				
			ურალი	ზილი	გაზიკი	კამაზი		მუხლუხა	თვლიან			გუთანი	კულტივატორი	მისაბმელი	სათესი მოტობლოკი	ფრეზი
1	დანდალო	20	-	9	9	2		-	-	-	-	-	–	–	-	-
2	ცხმორისი	24	4	5	13	2	2	2	-	-	-	-	–	–	-	-
3	წონიარისი	18	1	7	10	-	2	2	-	-	-	-	–	–	-	-
4	ზვარე	6	-	1	5	-	2	2	-	-	-	-	–	–	-	-
5	დაბა ქედა	17	4	6	6	1	1	1	-	-	-	-	-	-	-	-
6	მერისი	20	2	6	12	-	1	1	-	-	-	-	-	-	-	-
7	ოქტომბერი	15	-	4	10	1	1	1	-	-	-	-	-	-	-	-
8	პირველი მაისი	9	1	6	2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
9	მახუნცეთი	15	1	8	6	-	1	-	1	-	1	1	-	-	-	-
13	სსს ამხანაგობა "ქედა"	-	-	-	-		3	-	3	-	10	3	1	1	4	1
13	სულ მუნიციპალიტეტში	**144**	**13**	**52**	**73**	**6**	**13**	**9**	**4**	**-**	**11**	**4**	**1**	**1**	**4**	**1**

1-10 მუნიციპალიტეტის საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი და ტურიზმი

1-10.1 საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი

ქედის მუნიციპალიტეტის კლიმატი, საუკეთესო სამკურნალო თვისებების მქონე მთისა და ზღვის უნიკალური ურთიერთშეხამება ქმნის საუკეთესო პირობებს ამ რეგიონში დასვენებისათვის. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში კურორტებისა და საკურორტო ადგილების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის №655 ბრძანებულებაში "საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ". ნუსხაში ფიგურირებდა ქედის მუნიციპალიტეტის საკურორტო ადგილები. ქედის მუნიციპალიტეტში არ არის არცერთი მოქმედი კურორტი. მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტს გააჩნია სამი საკურორტო ადგილი, რომელთა ათვისებაც მნიშნელოვნად გაზრდის ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. (იხ. ცხრილი 1-26).

ცხრილი 1-26. ქედის მუნიციპალიტეტის საკურორტო ადგილების ნუსხა

#	დასახელება	მუნიციპალიტეტი	ტიპი	სიმაღლე ზ.დ., საკურორტო ზონა და რაიონი	მინერალური წყლების ტიპი	სავარაუდო სამედიცინო პროფილი
1	კოკოტაური	ქედა	ბ	680 მ II-1-ა	ნახშირმჟავა	გასტროენტეროლოგიური
2	ნამონასტრევი	ქედა	ბ/ბ	850 მ II-1-ა	ნახშირმჟავა	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური გასტროენტეროლოგიური
3	საბადური	ქედა	კ	1300 მ III-ბ	ნახშირმჟავა	პროფილაქტიკური,პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს)

შენიშვნა: ცხრილებში გამოყენებულია შემდეგი აბრევიატურა:

- კ/ბ – კლიმატო-ბალნეოლოგიური;
- ცნს – ცენტრალური ნერვული სისტემა;
- II-1-ა – აჭარის დაბალმთიანი საკურორტო რაიონი;

– III-ბ – აღმოსავლეთ საქართველოს კავკასიონის შუამთიანეთის საკურორტო ზონა;

კანონმდებლობის თანახმად, მოცემულ საკურორტო ზონებში იკრძალება ისეთი ობიექტების მშენებლობა და გამოყენება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის კურორტის განვითარებასთან. ამ ტერიტორიებს ჯერ არ აქვთ მინიჭებული კურორტების სტატუსი.

კოკოტაური მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტში ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე აჭარისწყლის მარცხენა მხარეს. სოფელში არის მინერალური წყალი. "კოკოტაური" ქედის მუნიციპალიტეტში სოფელ კოკოტაურში, მთის ფერდობზე მოედინება. იგი სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი, მაგნიუმიანი და კალციუმიანი სამკურნალო წყალია. მისი თვისებების შესახებ ჯერ კიდევ მე-16-17 საუკუნეებში წერდნენ. "კოკოტაური" საჭმლის მომნელებელი ორგანოების ფუნქციას აუმჯობესებს ქრონიკული გასტრიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ინფექციური ჰეპატიტის, ქრონიკული მიმდინარეობის პანკრიატიტების დროს. ,,კოკოტაურმა", რომელსაც უკვდავების წყალს უწოდებდნენ, თავისი სამკურნალო თვისებებით, პარიზში, ერთ-ერთ გამოფენაზე პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. მას შემდეგ მან კიდევ მრავალი პრიზი დაიმსახურა. კოკოტაურის სამკურნალო წყლის ჩამოსხმა 1972 წელს დაიწყო. მაშინ, საამქრო ბათუმ-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალიდან მოშორებით იყო. წყალი მინის ბოთლებში ჩამოისხმებოდა. ახლა საამქრო მაგისტრალის სიახლოვესაა. წყალი 1,7 კილომეტრიდან მილებითაა გადმოყვანილი და 5 რეზერვუარში იწმინდება. დამონტაჟდა ახალი ხაზი, რომლის წარმადობა დღე-ღამეში საკმაოდ დიდია. ,,კოკოტაურის" დებეტიც ნორმალურია. კლდეში დღე-ღამეში 10-12 ტონა წყალი მოედინება. ქვეყნის ბაზარზე მცირე მოთხოვნის, ძალიან დაბალი რეკლამის გამო, თვეში 15-20 ათასი ბოთლი ვერ საღდება. სამკურნალო წყალი 0,5 და 1 ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში ჩამოისხმება. ახალი დანადგარების საშუალებით ქარხანაში, დღეში, 7 ათასი ბოთლი ჩამოისხმევა. სამომავლოდ, "კოკოტაურის" წყალი ექსპორტზე გავა, რადგანაც უკრაინასა და ბელარუსიაში დიდი მოთხოვნა საქართველოს სამკურანლო წყალზე.

ნამონასტრევი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტში, მერისის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე მერისის ნაპირებზე, სოფელში არის მინერალური წყალი.

საკურორტო ადგილ ნამონასტრევს გააჩნია ეკოტურიზმის, სამკურნალო ტურიზმის, საცხენოსნო და სამონადირეო ტურიზმის განვითარების პოტენციალი.

სამკურნალო და ეკოტურიზმის განვითარების საკმარისი პოტენციალი გააჩნია საბადურს.

კოკოტაურის, ნამონასტრევისა და საბადურის საკურორტო ადგილებს, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში, გააჩნიათ სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის საკმაოდ დიდი პოტენციალი.

1-10.2 ტურიზმი

დღეისათვის საქართველოში ტურიზმის სფეროს განვითარება ერთ–ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიმართულებად არის აღიარებული. აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისათვის გააჩნია წინაპირობები ისტორიული ძეგლების, ტრადიციების, საკურორტო ადგილების და სხვა რესურსების სახით. აღსანიშნავია, რომ ქედაში განსაკუთრებით დიდი პოტენციალია აგრო და ეკოტურიზმის განვითარებისათვის.

ტურიზმი არის დარგი, რომელიც საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსები. მუნიციპალიტეტის არსებულ ტერიტორიაზე ტურიზმის დარგი ჩანასახოვან ფაზაშია, დღესდღეობით ქედის მუნიციპალიტეტში არ არსებობს არცერთი მოქმედი კურორტი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების პირობებს ქმნის:

- მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
- ბუნებრივ -კლიმატური პირობები;
- ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების სიმრავლე;
- დაცული ტერიტორიების არსებობა;
- ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების არსებობა

- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (სახალხო რეწვის ოსტატები და ანსამბლები) მრავალფეროვნება.

ტურისტული ინფრასტრუქტურა

ტურისტული ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთი ორგანიზაციული და მატერიალური ობიექტების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ გარემოს მუნიციპალიტეტში ტურისტების მოზიდვისათვის, დასვენებისა და გართობის კომფორტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის. ტურისტული ინფრასტრუქტურის შემადგენელი ელემენტებია:

- სასტუმროები და ტურისტების განთავსების სხვა ობიექტები;
- საზოგადოებრივი კვების ობიექტები;
- ტრანსპორტი;
- სანიშნებითა და ბანერებით უზრუნველყოფილი საგზაო ქსელი;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა;
- შემეცნებითი, საქმიანი, გასართობი, გამაჯანსაღებელი, სპორტული და სხვა ანალოგიური ობიექტები;
- ტურისტული სააგენტოები და ოპერატორები;
- გიდების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები.

უდავოა, რომ გარდა ტურისტული რესურსების არსებობისა, ტურიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობას. როგორც არსებული სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, ამ ეტაპზე ქედის მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურა საკმაოდ დაბალ დონეზეა წარმოდგენილი და მოითხოვს მნიშვნელოვან, ძირეულ თვისობრივ ცვლილებებს. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აუცილებელია როგორც ტურისტების მოზიდვის, ასევე კერძო სექტორის გააქტიურების მიზნითაც.

სასტუმროების სფერო:

ქედის მუნიციპალიტეში სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის (GUEST HOUSE) სახლების მხრივ მდგომარეობა შემდეგნაირია: ქედაში (მ.შ. დაბასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეც) პრაქტიკულად არ ასებობს გამართული სერვისის მქონე სასტუმროები და მათი თანმხლები ინფრასტრუქტურა (საკონფერენციო დარბაზის კვების ობიექტები, მოსაცდელ - დასავენებელი ადგილები, საყოფაცხოვრებო და მომსახურების, საკომუნიკაციო ქსელის ობიექტები). მეზობელ მუნიციპალიტეტში მდებარე ანალოგიური ობიექტები კი რელიეფის სირთულისა და მანძილის გათვალისწინებით მოუხერხებელია და ვერ ჩაანაცვლებს მუნიციპალიტეტის საკუთარი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის რეალურ მოთხოვნებს. ამგვარი ობიექტების არარსებობა მნიშვნელოვანი ბარიერია ტურიზმის განვითარებისა და ბიზნესგარემოს აქტიურობისათვის. აღნიშნული ინფრასტრუქტურის არ არსებობა გვევლინება ამ სფეროთა ერთ–ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად.

ქედის მუნიციპალიტეტის ქვემოთ მოცემული ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში სულ 34 საოჯახო ტიპის სასტუმროა:

დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული

3 საოჯახო სასტუმრო

შოთა არძენაძე - სოფელი გოგიაშვილები, 7 ოთახი - 14 ადგილი.

შალვა ბერიძე - სოფელი მოსიაშვილები, 4 ოთახი - 8 ადგილი.

ლევან ალიშანიძე - სოფელი ტაკიძეები, 1 ოთხი - 3 ადგილი.

ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული

3 საოჯახო სასტუმრო

ამირან ბოლქვაძე - სოფელი გობრონეთი, 4 ოთახი - 8 ადგილი.

ნაზიმ ბერიძე - სოფელი ახო, 4 ოთახი - 10 ადგილი.

ზებური ბოლქვაძე - სოფელი გობრონეთი, 4 ოთახი - 10 ადგილი.

წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული

4 საოჯახო სასტუმრო

ამირან ბერიძე - სოფელი წონიარისი, 2 ოთახი - 4 ადგილი.

გოდერძი ბერიძე - სოფელი წონიარისი, 2 ოთახი - 4 ადგილი.

ლადო შავიშვილი - სოფელი ვაიო, 2 ოთახი - 5 ადგილი.

ბადრი შავიშვილი - სოფელი ვაიო, 3 ოთახი - 6 ადგილი.

დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული

4 საოჯახო სასტუმრო

დავით ვაშაყმაძე - ვაჟა-ფშაველას ქ. 6, 2 ოთახი - 7 ადგილი.

ნაზი სურმანიძე - რუსთაველის ქ. 24, 5 ოთახი - 7 ადგილი.
ჟუჟუნა შარაბიძე - ვაჟა-ფშაველას ქ. 1 ჩიხი N1, 4 ოთახი - 6 ადგილი.
ვაჟა აბულაძე - რუსთაველის ქ. 24, 3 ოთახი - 6 ადგილი.
ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული
4 საოჯახო სასტუმრო
ნაკაშიძე აბესალომ - სოფელი გოგინიძეები, 3 ოთახი - 6 ადგილი.
ვალერიან გოგიტიძე - სოფელი გოგინიძეები, 4 ოთახი - 8 ადგილი.
ნუგზარ გოგიტიძე - სოფელი კუჭულა, 10 ოთახი - 10 ადგილი.
ბადრი დუმბაძე - სოფელი მეძიბნა, 2 ოთახი - 6 ადგილი.
მერისის ადმინისტრაციული ერთეული
8 საოჯახო სასტუმრო
მერაბ თურმანიძე - სოფელი გუნდაური, 4 ოთახი - 11 ადგილი.
მერაბ თურმანიძე - სოფელი გუნდაური, 2 ოთახი - 4-5 ადგილი.
ამირან დოლიძე - სოფელი ინაშარიძეები, 2 ოთახი - 5 ადგილი.
ნოდარ დიასამიძე - სოფელი გუნდაური, 1 ოთახი - 4 ადგილი.
ჯემალ თურმანიძე - სოფელი გარეტყე, 5 ოთახი - 14 ადგილი.
გიორგი ლამპარაძე - სოფელი გარეტყე, 4 ოთახი - 8 ადგილი.
აკაკი ხალვაში - სოფელი გუნდაური, 3 ოთახი - 7-8 ადგილი.
თემური დევაძე - სოფელი მერისი, 1 ოთახი - 4 ადგილი.
პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული
1 საოჯახო სასტუმრო
დავით შავლიძე - სოფელი პირველი მაისი, 2 ოთახი - 5 ადგილი.
მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული
5 საოჯახო სასტუმრო
ასლან ფარტენაძე - აწჰესი, 6 ოთახი - 15 ადგილი.
რუსუდან ბეჟანიძე - აწჰესი, 6 ოთახი - 15 ადგილი.
ამირან მახარაძე - აწჰესი, 2 ოთახი - 6 ადგილი.
ჯუმბერ ვერძაძე - სოფელი ზუნდაგა, 2 ოთახი - 6 ადგილი.
მალხაზ ვერძაძე - სოფელი ზუნდაგა, 4 ოთახი - 2 ადგილი.
დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული
2 საოჯახო სასტუმრო
ყედირ ჯინჭარაძე - სოფელი დოლოგანი, 2 ოთახი - 6 ადგილი.
ლევან ჯინჭარაძე - სოფელი დოლოგანი, 3 ოთახი - 6 ადგილი.
ჭადრები
რესტორანი და კოტეჯი - სოფ. ზუნდაგა, ქედის გზატკეცილი 22-ე კმ.

ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 37 კაფე-ბარი და რესტორანი, რომელთა უმეტესი ნაწილი საზაფხულო საპიკნიკე ადგილს მიეკუთვნება და მუშაობს სეზონურად, მხოლოდ ტურისტულად აქტიურ სეზონზე რაც გრძელვადიან პერიოდში მომსახურეობის განვითარების თვალსაზრისით შემაფეხებელ ფაქტორს წარმოადგენს. ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე სასტუმროებისა და კაფე-ბარების უმრავლესობას არ ჰყავთ მაღალკვალიფიცირებული პერსონალი.
ქვემოთ მოცემულია ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი კაფე-რესტორნების ჩამონათვალი:
რესტორანი ჭადრები
სოფ. მახუნცეთი;
რესტორანი ჩანჩქერი
სოფ. მახუნცეთი;
სახინკლე
სოფ. მახუნცეთი;
გვირაბი
სოფ. პირველი მაისი;
რესტორანი ჭალა
სოფ. პირველი მაისი;
რესტორანი აკავრეთა
სოფ. ოქტომბერი;
რესტორანი გივიკო
ვაჟა-ფშაველას ქ. 3, დაბა ქედა;

კაფე-ბარი ბზანა
სოფ. დოლოგანი;
კაფე-ბარი ''ბარი''
სოფ. კოკოტაური;
კაფე თემურ დევაძე
სოფ. მერისი;
ვალიკოს ბარი
სოფ. მერისი;
კაჭარავას ბარი
სოფ. მერისი;
საპიკნიკე თამარის ხიდი
სოფ. მახუნცეთი;
სარიტუალო დარბაზი ''ქედა''
ჭავჭავაძის ქ. 2, დაბა ქედა;
სწრაფი კვების ობიექტი ''ზაური''
აბესერიძის ქ. 12, დაბა ქედა;
სწრაფი კვების ობიექტი ''ხვიჩა''
აღმაშენებლის ქუჩა, დაბა ქედა.

მუნიციპალიტეტში არის ორი სარეკრეაციო სივრცე: 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე სკვერი და მდ. აჭარისწყლისა და მდ. აკავრეთას შესართავთან მდებარე პარკი.

ქედის მუნიციპალიტეტში 2011 წლიდან მოქმედებს ტურისტთა მომსახურების საინფორმაციო ცენტრი. აღსანიშნავია რომ საინფორმაციო ცენტრის სრულყოფილი დატვირთვით ამოქმედება ხელს შეუწყობს ტურისტთა მომსახურების ხარისხის ზრდას. **ქედის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მდებარეობს** დაბა ქედაში, აღმაშენებლის ქ. 1ა.

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს არცერთი ტურისტული კომპანია და არ არის ჩამოყალიბებული ტურისტული მომსახურების მიწოდების (ექსკურსიები და გიდებით მომსახურება) პრაქტიკა. მიუხედავად ამისა აჭარის ა/რ-ისა და ზოგადად საქართველოს ტერიტორიაზე არსებობენ ტურისტული სააგენტოები, რომლებიც ამუშავებენ ქედის ტურისტულ მარშრუტებს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის.

ტურისტული მარშრუტის მიმზიდველობის შეფასებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ზამთარში ნალექის დიდი რაოდენობა იწვევს გზების ჩაკეტვას და სატრანსპორტო მიმოსვლის პარალიზებას. მოუწესრიგებელია ასევე ტურისტულ ძეგლებთან მისასვლელი გზები და ბილიკები. არასტანდარტულია გზებზე არსებული საგზაო ნიშნები, მათი ხარისხი უმეტესწილად ცუდია, წარწერები ხშირად მხოლოდ ქართულ ენაზეა შესრულებული და ა.შ. ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების მიმანიშნებელი აბრები ან საერთოდ არ არის ან არასრულადაა.

ცენტრალური მაგისტრალების გასწვრივ თითქმის არ არის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ტურისტული და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები: ტურისტთა მოსაცდელი ადგილები და საზოგადოებრივი საპირფარეშოები. მსგავსი ინფრასტრუქტურა საერთოდ არ არსებობს ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების და სხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო.

დღეს უკვე ფიჭური კომუნიკაციის დაფარვის ზონაში მთელი მუნიციპალიტეტია მოქცეული. ასევე მუშაობს საკაბელო სატელეფონო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია ინტერნეტიც მაგთიფიქსისა და ჯეოსელის უკაბელო ინტერნეტის მოდემის გამოყენებით და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს WI-FI ზონები.

ქედის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისთვის გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი რამოდენიმე მიმართულებით:

- შემეცნებითი ტურიზმი;
- ეკოტურიზმი;
- საცხენოსნო ტურიზმი;
- სასოფლო და აგრარული ტურიზმი;
- სამთო ტურიზმი:

- სამკურნალო ტურიზმი;
- ღვინის ტურიზმი;
- სამონადირეო და სათევზაო ტურიზმი.

ტურისტული მარშრუტების შიგნით პოტენციური ადგილები ამ მომენტისათვის უფრო დეტალიზებულად იდენტიფიცირებულია შემდეგნაირად:

1. შემეცნებითი ტურიზმი:
ცივასულას ციხე – მახუნცეთის ჩანჩქერი – მახუნცეთის თაღოვანი ხიდი – აჭარისწყლის ჰიდროელექტრო სადგური – აკვედუკი – ქედის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – დაბა ქედა – 9 აპრილის სახ. პარკი – ზენდიდის ციხე – ჯინიშის 8000 წლოვანი ნამოსახლარი – გამოქვაბული – კორომხეთის საწნახელი – ზვარეს ეკლესია – დანდალოს თაღოვანი ხიდი.

2. ეკოტურიზმი:
ქედა – მერისი – განახლება – ლოდნარი – სასადილოს მთა – კოსლითავი – ნამონასტრევი;
ქედა – გობრონეთი – საბადური; (ქედა – მერისი – განახლება – ნამონასტრევის მისასვლელი გზის კეთილმოწყობა, ტურისტული მარშრუტების საგზაო პირობრბის შესწავლა, ტურისტული ბილიკების მარკირება, პასპორტიზაცია, სახიფათო უბნების სქემების შედგენა).

3. სამკურნალო ტურიზმი:
საკურორტო ადგილი კოკოტაური – საკურორტო ადგილი საბადური – საკურორტო ადგილი ნამონასტრევი.

4. საცხენოსნო ტურიზმი:
ლაკლაკეთი – ნამონასტრევი (მარშრუტის დამუშავება, კოსლისთავის საზაფხულო იალაღებზე საცხენოსნო ტურიზმის შუალედური ინფრასტრუქტურის მოწყობა – საჯინიბო, საწვრთნელი მინდორი, ღამისთევის კოტეჯები).

5. სამთო ტურიზმი:
აგარა – ჩაქვისთავი;
ზვარე – ზერაბოსელი – ხინო; (მისასვლელი გზების კეთილმოწყობა, მარშრუტების დამუშავება, ლაშქრობის ტრასის მარკირება, ინფარსტრუქტურის მოწყობა, სქემების შედგენა).

6. სასოფლო და აგრარული ტურიზმი:
კორომხეთი – ქედა – აქუცა – ვაიო.

7. სამონადირეო და სათევზაო ტურიზმი:
ლოდნარი – დიდვაკე – ნამონასტრევი – ახოს მთა;
მდ. აკავრეთა – მდ. ხინოსწყალი – მდ. აგარისწყალი – მდ. ოქტომბრის ღელე და მისი შენაკადი.

8. ღვინის ტური
ქედა ერთ-ერთი უძველესი და ცნობილი მუნიციპალიტეტია ღვინის დამზადების თვალსაზრისით. მოცემული ტურის ფარგლებში ტურისტებს ამ ადგილზე დამზადებული ღვინის ისეთი სახეობების დაგემოვნება შეუძლიათ, როგორიცაა „ცოლიკაური“, „ჩხავერი“ და „ოჯალეში“. გარდა ზემოხსენებულისა მოცემული ტურის ფარგფლებში ტურისტებს შეეძლებათ დაათვალიერონ წმ. მარიამ-ღვთისმშობლის ეკლესია, მახუნცეთის ჩანჩქერი, თამარის ხიდი, წმ. გიორგის ეკლესია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია და ქედის ეთნოლოგიური მუზეუმი.
ღვინის ტური ქედის რეგიონში ტურისტებს მისცემთ „აჭარის ღვინის სახლის“ და ოჯახური ღვინის მარანის დათვალიერების საშუალებას.

ტურისტული მარშუტები.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული და მომზადებულია ოთხი ტურის შესაბამისი ტურისტული რუკები და მარშრუტების აღწერილობა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს სხვა ტურისტულ სააგენტოებს.
დღეისათვის არსებული მარშრუტებია:
1. ბათუმი – ხელვაჩაური – მახუნცეთი – აწჰესი - აგარა – ქედა - ბათუმი;
2. ბათუმი – ხელვაჩაური – მახუნცეთი – აწჰესი - ზუნდაგა – ბათუმი;

3. ბათუმი – ხელვაჩაური – ქედა - მერისი – ოქტომბერი - ბათუმი;
4. ბათუმი – ხელვაჩაური – ქედა – წონიარისი - ახო –გობრონეთი - ბათუმი.
მოცემული ტურისტული მარშრუტებით ტურისტს შეუძლია ისარგებლოს წლის ნებისმიერ დროს. ყველა ზემოხსენებულ ტურს ჰყავს წინასწარ მომზადებული პროფესიონალი გიდები, რომლებსაც შეუძლიათ მოემსახურონ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ტურისტებს. გიდების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება აჭარის ა.რ.–ის ტურიზმის დეპარტამენტმა უზრუნველყო.

ქედის საფეხმავლო ტურისტული მარშუტი

მარშუტის აღწერა

მარშრუტი იწყება ბათუმი-ახალციხის სამანქანე გზაზე, დანდალოს ხიდთან. დანდალოს ხიდის უკან, ადის ტყიან ფერდზე და მიუყვება ბილიკს, დაახლოებით 300 მეტრის გავლის შემდეგ გადის სოფლის გზაზე. აღმოსავლეთის მიმართულებით, 1,5 კმ-იანი მონაკვეთის გავლის შემდეგ, მიდის ტყის პირას, საიდანაც იწყება ციცაბო ტყიანი მონაკვეთი, რომელიც კვეთს ნაკადულიან, ხევს და ვუახლოვდებით კავიანის ციხის ნანგრევებს. აქედან იშლება თვალწარმტაცი ხედი აჭარისწყლის ხეობაზე. კავიანის ციხიდან ვაგრძელებთ ბილიკზე მოძრაობას აღმოსავლეთით და 2 კმ.-ის გავლის შემდეგ ჩავდივართ სოფ. კლდისუბნისკენ მიმავალ გზაზე. თავდაღმართში ბილიკი მიუყვება აჭარისწყლის ხეობისკენ მიმავალ გზას. მარშრუტი სრულდება გაბმულ ხიდზე, რომლითაც გადავკვეთთ მდინარეს და გავდივართ ბათუმი-ახალციხის სამანქანო მაგისტრალზე.



- **მარშრუტის სტარტი/ფინიში:** დანდალოს ხიდი/გაბმული ხიდი
- **მარშრუტის სიგრძე:** 5,6 კმ
- **მარშრუტის ხანგრძლივობა:** ნახევარი დღე
- **მარშრუტის ტიპი:** საფეხმავლო
- **მარშრუტის სირთულე:** სამუალო
- **მარშრუტის სეზონურობა:** არ არის რეკომენდებული ღრმა თოვლის პირობებში
- **მინ./მაქს. სიმაღლე ზღ. დონიდან:** 312/514 მეტრი
- **მანძილი ბათუმამდე:** 55,5 კმ
- **ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა:** სრულად

სათავგადასავლო მარშრუტი სოფელ მერისში. I

მარშუტის აღწერა

მარშრუტი მოიცავს ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის - მერისის მიდამოებს და ვიზიტორებს სთავაზობს აქ არსებული ბუნებრივი და ეთნოგრაფიული ღირსშესანიშნაობების მონახულებას.

მარშრუტი იწყება სოფ. მერისის ცენტრიდან და მიემართება მერისის ჩანჩქერისაკენ. მარშრუტის დასაწყისშივე გვხვდება თემურ დევაძის საოჯახო სასტუმრო სახლი, აქ შეგიძლიათ დააგემოვნოთ ადგილობრივი წარმოების აგროპროდუქტები, დაისვენოთ და დატკბეთ შესანიშნავი ხედებით. ჩანჩქერამდე მისასვლელი გზის ბოლო მონაკვეთი საცალფეხო ბილიკს მიუყვება. ჩანჩქერი, რომელიც 30 მეტრის სიმაღლიდან ეშვება მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მერისის ჩანჩქერიდან მარშრუტი იმავე გზით უკან ბრუნდება და სოფელში

მდებარე "გვახას" საბანაოსკენ მიემართება. გზა გრუნტისაა და ველობილიკისათვის იდეალურ პირობებს ქმნის (მანძილი დაახლოებით 2,5 კმ). გვახას საბანაოსთან არის წყარო და საპიკნიკე ადგილი, სადაც შეძლებთ დაისვენოთ, ისადილოთ და დატკბეთ შესანიშნავი ხედებით.



- **სიგრძე:** 7,7 კმ
- **ხანგრძლივობა:** 3,5 სთ
- **მარშრუტის ტიპი:** საველოსიპედო
- **გზის სახეობა:** ასფალტირებული გზა, სასოფლო გრუნტის გზა, ბილიკი
- **სირთულე:** მარტივი
- **მინ./მაქს. სიმაღლე ზღ. დონიდან:** 505/693 მეტრი
- **მანძილი ბათუმამდე:** 50 კმ
- **ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა:** სრულად

ქედის კულტურული მარშრუტი
მარშუტის აღწერა

მარშრუტი იწყება ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გობრონეთიდან, ამჟამად სოფელში არსებულ ორ საოჯახო სასტუმროსთან ახლოს (ზებო, წყაროსთვალი) ჩამომავალი გზიდან, საიდანაც ჩავუხვევთ ჩრდილო აღმოსავლეთით და მივემართებით სოფელ ახოსა და გეგელიძეებისაკენ. აქ მარშრუტი სასოფლო გრუნტის გზის ოდნავ დახრილ დაღმართს მიუყვება. მარშრუტი უშუალოდ სოფლებზე გადის და ამიტომ შესაძლებლობას გაძლევთ დაათვალიეროთ აჭარული სოფლების ყოფა. სოფელ ახოში აჭარის რეგიონში არსებული ერთ-ერთი უძველესი მეჩეთია, საიდანაც მარშრუტი ვიწრო სასოფლო გრუნტის გზით სოფელ გეგელიძეებში გადადის. აქ ჯერ ცნობილი აჭარელი პოეტის, ფრიდონ ხალვაშის, სახლ-მუზეუმთან გაივლის, სადაც შესაძლებლობა გაქვთ დაათვალიეროთ პოეტის ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნივთები და უკეთ გაეცნოთ მის შემოქმედებას; შემდგომ კი მარშრუტი ამავე სოფელში მდებარე ნური სირაბიძის საოჯახო მარანთან სრულდება, სადაც სტუმარს საშუალება აქვს დააგემოვნოს ოჯახურ პირობებში დაყენებული ქვევრის ღვინო და ქართული სამზარეულო. მოცემული ტურისტული მარშრუტი თითქმის მთელ სიგრძეზე მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა ფერდობს მიუყვება, საიდანაც ულამაზესი ხედები იშლება, როგორც თავად ხეობაზე, ისე ხეობის ფერდობებზე შეფენილ მთიანი აჭარის სოფლებზე.

მარშრუტის სტარტი/ფინიში: სოფელი გობრონეთი - სოფელი გეგელიძეები
- **სიგრძე:** 8 კმ
- **ხანგრძლივობა:** 2 სთ
- **სირთულე:** მარტივი
- **მარშრუტის ტიპი:** სამანქანო
- **გზის სახეობა:** სასოფლო გრუნტის გზა
- **მინ./მაქს. სიმაღლე ზღ. დონიდან:** 390/800 მეტრი
- **მანძილი ბათუმამდე:** 55 კმ
- **ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა:** სრულად

მთიანი აჭარის ღვინის მარშრუტი

მარშუტის აღწერა

მარშრუტი იწყება აჭარული ღვინის სახლიდან, რომელიც ხელვაჩაური - ქედის მთავარი საავტომობილო გზის პირას მდებარეობს. აქ ვიზიტორებს საშუალება აქვთ დაათვალიერონ ვენახი, გაეცნონ ღვინის დაყენების პროცესს, დააგემოვნონ იშვიათი ქართული ჯიშის ჩხავერისაგან დაყენებული ღვინო და ადგილობრივი ქართული კერძები. აჭარული ღვინის სახლიდან მარშრუტი მიუყვება ბათუმი-ახალციხის მთავარ საავტომობილო გზას და მიემართება სოფ. მახუნცეთში, სადაც მდებარეობს მახუნცეთის თაღოვანი ხიდი და 60 მეტრამდე სიმაღლის მახუნცეთის ჩანჩქერი. აქვე შესაძლებელია ადგილობრივი წარმოების თაფლის შეძენა. ამასთან, ფუნქციონირებს კვების ობიექტი, სადაც ვიზიტორებს საშუალება აქვთ დააგემოვნონ ადგილობრივი ნატურალური პროდუქტები და გაეცნონ აჭარულ სამზარეულოს.

მახუნცეთიდან მარშრუტი ბათუმი-ახლაციხის ცენტრალური გზის გავლით მიემართება სოფ. პირველ მაისში (საღორეთი), სადაც მდებარეობს შერვაშიძეების საოჯახო მარანი. აქ შესაძლებელია მუხის კასრებში დაყენებული ღვინოების - ოჯალეშის, ჩხავერის და ცოლიკოურის დაგემოვნება.

შერვაშიძეების მარნიდან მარშრუტი სოფ. ვაიოში სრულდება, სადაც შესაძლებელია ე.წ. "მახოს მარნის" და ლადო შავიშვილის საოჯახო მარნების მონახულება. აქ დააგემოვნებთ ადგილობრივი წარმოების ჩხავერის, ცოლიკოურის, ოცხანური საფერავისა და ალადასტურის ჯიშებისგან დამზადებულ ღვინოებს და აჭარული სამზარეულოსთვის დამახასიათებელ კერძებს.

აღნიშნულ მარშრუტზე ვიზიტორებს ასევე საშუალება აქვთ გაეცნონ აჭარული სოფლების ყოფას.



- **მარშრუტის სტარტი/ფინიში:** სოფელი აჭარისწყალი - სოფელი ვაიო
- **სიგრძე:** 31 კმ
- **ხანგრძლივობა:** 5 სთ
- **სირთულე:** მარტივი
- **მარშრუტის ტიპი:** საავტომობილო
- **გზის სახეობა:** ასფალტირებული გზა, სასოფლო გრუნტის გზა
- **მინ./მაქს. სიმაღლე ზღ. დონიდან:** 43/345 მეტრი
- **მანძილი ბათუმამდე:** 18 კმ
- **ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა:** სრულად

სოფელ გობრონეთის სათავგადასავლო მარშრუტი

მარშუტის აღწერა

მარშრუტი მოიცავს სოფელ ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის - გობრონეთის შემოგარენში მდებარე ჩანჩქერს, კოლხური მცენარეულობით დაფარულ ტყეს და ლატევრას მთის მიდამოებს. მოგზაურობა იწყება სოფ. გობრონეთის ცენტრიდან, მიემართება ჩრდილოეთით და სოსოფლო გრუნტის გზის გაყოლებით გადადის გობრონეთის ჩანჩქერისკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკზე. მარშრუტზე მსვლელობის დროს

თქვენ შეხვდებით აჭარისწყლის ხეობაში გავრცელებულ კოლხური ტიპის მცენარეულობას, ფერდობებზე უხვადაა წაბლი, წიფელი, რცხილა, მუხა, უთხოვარი, გვხვდება წიწვოვნებიც. გზაზე შეიძლება წააწყდეთ გარეული ცხოველების კვალსაც, რაგდან ტყეში ბინადრობს დათვი, მგელი, ტურა და სხვ. მდიდარია ფრინველთა სამყაროც. ტურისტული ბილიკი ვაკე გზას მიუყვება, მცირე მონაკვეთებში გვხდება უმნიშვნოლო აღმართები, 6 კმ ის მგზავრობის შემდეგ მივადგებით ულამაზეს ჩანჩქერს რომელსაც გობრონეთის ჩანჩქერი ეწოდება. ჩანჩქერის ვარდნის სიმაღლე დაახლოებით 20 მ-ია.

ტურისტული მარშრუტის შემდეგი პუნქტი ლატევრას მთაა, რისთვისაც ჩანჩქერიდან ვბრუნდებით იმავე გზით უკან და 200 მეტრის გავლის შემდეგ შევუდგებით ლატევრის მთის მიმართულებით სვლას. გზა რთულია და 1 კმ-ის გავლა მთლიანად მთის ციცაბო ფერდობზე გვიწევს, რომლის გავლის შემდეგ აღმოჩნდებით ლატევრაში. აქ შეგიძლიათ გაეცნოთ ადგილობრივ სამეურნეო ტრადიციებს და დააგემოვნოთ ეკოლოგიურად სუფთა რძის ნაწარმი. აქვეა წყარო და სპიკნიკე ადგილიც. ლატევრიდან მივემართებით სოფ. გობრონეთისკენ, გზიდან შეგვიძლია დავტკბეთ წონიარისის ხეობის ულამაზესი ხედით. გზა გრუნტისაა და შესაძლებელია მაღალი გამავლობის ავტომობილით გადაადგილებაც, ხუთიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ წრიული მარშუტი მთავრდება და ვბრუნდებით უკან, სოფ. გობრონეთში. აქ ფუნქციონირებს საოჯახო სასტუმროები, სადაც შესაძლებლია ღამის გათევა და ადგილობრივი ნარტურალური პროდუქტისაგან დამზადებული კერძების დაგემოვნება.

- **სიგრძე:** 12,5 კმ
- **ხანგრძლივობა:** 8 სთ
- **სირთულე:** საშუალო
- **მარშრუტის ტიპი:** საფეხმავლო
- **გზის სახეობა:** სასოფლო გრუნტის გზა, საცალფეხო ბილიკი
- **მინ./მაქს. სიმაღლე ზღ. დონიდან:** 806/1305 მეტრი
- **მანძილი ბათუმამდე:** 55 კმ
- **ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა:** სრულად

სათავგადასავლო მარშრუტი სოფელ მერისში II

მარშუტის აღწერა

ტურისტული მარშრუტი მოიცავს ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის - მერისის მიდამოებს და ტყით დაფარული ფერდობების გავლით სუბალპურ მდელოებამდე ადის. მოგზაურობა იწყება სოფ. მერისის ცენტრიდან და ადგილ "მთივნარამდე" მიემართება. მალევე გზა თანდათან უფრო რთულდება და ჯიპ ტურის მოყვარულთათვის იდელურ პირობებს ქმნის, რაც განპირობებულია რელიეფის სირთულით. მარშრუტი მიუყვება მთის ფერდობს, მრავალწლოვან დიდრონ ხეებში გაკვალულ გზაზე. აღსანიშნავია, რომ მარშრუტის მსვლელობის დროს შეგიძლიათ დატკბეთ თქვენს თავლწინ გადაშლილი ულამაზესები პეიზაჟებით. დაახლოებით 10 კმ-ის გავლის შემდეგ მთავრდება შერეული ტყე და იწყება სუბალპური მდელო. ამ ადგილს ეწოდება "მთივნარი". აქ განლაგებულია მწყემსების სამყოფელი სახლები, აქვეა შესანიშნავი საპიკნიკე ადგილები. ეს ადგილი არის საბოლოო ლოკაცია ჯიპტურის მოყვარულებისთვის, თუმცა, ექსტრემალური შეგრძნებების მოყვარული მძღოლებისთვის შესაძლებელია, კარგი ამინდის შემთხვევაში, გზის გაგრძელება შუახევის მიმართულებითაც.



- **მარშრუტის სტარტი/ფინიში:** ბათუმი - სოფელი მერისი
- **სიგრძე:** 16,8 კმ
- **ხანგრძლივობა:** 4 სთ
- **სირთულე:** რთული
- **მარშრუტის ტიპი:** 4X4 (ჯიპტური)
- **გზის სახეობა:** ასფალტირებული გზა, სასოფლო გრუნტის გზა, სატყეო გრუნტის გზა
- **მინ./მაქს. სიმაღლე ზღ. დონიდან:** 505/1566 მეტრი
- **მანძილი ბათუმამდე:** 50 კმ
- **ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა:** სრულად

1-11 კულტურა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

დღევანდელი აჭარა საქართველოს იმ ვრცელ ისტორიულ-კულტურულ არეალს მიეკუთვნება, რომელიც XIV საუკუნიდან სამცხე-საათაბაგოს ფართო სახელწოდებითაა ცნობილი. სამცხე-საათაბაგოში, აჭარასთან ერთად, შედიოდა საკუთრივ სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, ტაო, კლარჯეთი, თორთომი, ჭანეთი. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, "ყოველთა ამათ ალაგებთა და ქვეყანათა კრებით სიმოკლისათვის" მესხეთი ეწოდებოდა. ჭანეთის გარდა, ყველა ეს კუთხე მდინარეების ჭოროხისა და მტკვრის აუზებს მიეკუთვნებოდა. მესხეთის მოსახლეობას ვახუშტი ასე ახასიათებს: "კაცნი და ქალნი არიან მსგავსნი ქართველთანი (ანუ ქართლელთა – ვ.ვ.), არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი".

მთელი ეს მხარე - მესხეთი, ანუ ზემო ქართლი, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში და ქართულ განათლება-ხელოვნებაში, რასაც დღემდე შემორჩენილ ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა მოწმობს.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453 წ.), ამ მხარეში გაძლიერდა თურქთა გავლენა, რასაც, მალევე, დაპყრობა და მოსახლეობის გამუსლიმანება მოჰყვა. ეკლესია-მონასტრები დაინგრა; მიწათსარგებლობის წესები და ყოფითი კულტურა თურქული გავლენის ქვეშ მოექცა. კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური კავშირები დანარჩენ საქართველოსთან პრაქტიკულად გაწყდა.

ქართველთა ეთნიკურ ჯგუფებს შორის აჭარლები საკმაოდ გამორჩეულნი არიან, რაც განპირობებულია ამ კუთხის დიდი ხნის მოწყვეტით ქრისტიანული საქართველოსგან. ამასთან ერთად, ისინი ინარჩუნებენ ზოგადკავკასიური კულტურის ძირითად თვისებებს, რასაც აღნიშნავდა XIX საუკუნის ცნობილი მოგზაური და მკვლევარი გიორგი ყაზბეგი: „აჭარელის საშინაო ყოფა ისეთივეა, როგორც კავკასიელი მთიელი ხალხებისა: პატრიარქალურობა, მოხუცთა პატივისცემა, დოგმად ქცეული სტუმარ-მასპინძლობა, თავშეკავებულობა, დიდი ცნობისმოყვარეობა და რაც ამიერკავკასიაში იშვიათად გვხვდება - შრომისმოყვარეობა“.

სტუმართმოყვარეობა აჭარაში მართლაც რომ განსაცვიფრებელი იყო. დ. ბაქრაძე ასე აღწერს აჭარლების ამ შესისხლხორცებულ თვისებას: „სტუმართმოყვარეობა აქ წმინდა საქმედ ითვლება, რა ეროვნებისა და რჯულისაც უნდა იყოს სტუმარი, საიდანაც უნდა მოდიოდეს და როდესაც უნდა მივიდეს, დღისით თუ ღამით, უფლება აქვს პირველსავე შეხვედრილ სახლში გაჩერდეს. ოჯახის უფროსიც რომ არ იყოს სახლში, თუნდაც სახლში მარტო ქალები იყვნენ, ვალდებული არიან მიიღონ, გაუმასპინძლდნენ და სუფთა ლოგინი გაუშალონ, რომელსაც საგანგებოდ ინახავენ ასეთი შემთხვევისათვის“.

XIX საუკუნეში მოგზაური აღნიშნავს: "აჭარლებს ჰქონდათ თავისი კულტურა, რომლის მსგავსს ვერ ვხედავთ ქართველი მთიულებით დასახლებულ მთებში. გარდა ამისა, აჭარელთა სტუმარ-მასპინძლობასა და ერთმანეთისა თუ უცხოელთადმი მოპყრობაში ნასახიც კი არ შეიმჩნევა იმ სიტლანქისა, რომელიც ასე თვალში საცემად ეტყობათ მთიელ ქართველებს. ამასთან აჭარლები გამგები და საზრიანები არიან, ადვილად, ძალდაუტანებლად ემორჩილებიან კეთილ გავლენას".
ქედის მუნიციპალიტეტი ერთ–ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია საქართველოში თავისი კულტურითა და ტრადიციებით. აქ მრავლადაა ისტორიული ძეგლები და კულტურული დანიშნულების ობიექტები. კულტურის სფერო, ისევე როგორც განათლების სფერო, მუნიციპალიტეტში გვევლინება მოსახლეობის ერთ–ერთ მთავარ დამსაქმებლად.

1-11.1 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

ქედის მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. აქ მდებარეობს 45-მდე მატრიალურ–კულტურული ძეგლი. გვხვდება, როგორც ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებული ასევე თანამედროვე XIX საუკუნის ისტორიული ძეგლები. აღრიცხულია, ასევე, როგორც ისტორიულ-არქიტექტურული, ასევე არქეოლოგიური ძეგლები.

შემორჩენილი 60 ისტორიული ობიექტიდან 45-ს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. ძეგლების უმეტესობა საჭიროებს რესტავრაციას და მიმდებარე ტერიტორიებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას (მისასვლელი გზები და ბილიკები, მოსაცდელები და საპირფარეშოები, ტურისტული რუკები, საინფორმაციო დაფები, საგზაო ნიშნები და ა.შ.). ძეგლების უმეტესობას დაკარგული აქვს სანახაობრივი მხარე. აუცილებელია სპეციალური პროგრამის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ისტორიული ძეგლების მოვლა–პატრონობას, რესტავრაციას და ვიზუალური მხარის შენარჩუნებას.

ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ეროვნული მნიშვნელობის ისტორიული ძეგლებისა (ხიდები და სხვა ძეგლები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის № 665 ბრძანების შესაბამისად) და ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაცია იხ. ცხრილი 1-30, ცხრილი 1-27.

ცხრილი 1-27. ქედის მუნიციპალიტეტის ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

№	სურათი	ძეგლის დასახელება	აგების თარიღი	ძეგლის მდებარეობა
1		ახოს ჯამე	გვიანი შუა საუკუნეები	ახო
2		დანდალოს ხიდი	XI–XII სს.	დანდალო
3		მახუნცეთის ხიდი	XI-XII სს.	ქვედა მახუნცეთი
4		ცხმორისის ხიდი	გვიანი შუა საუკუნეები	ცხმორისი
5		წოწიარისის ხიდი	გვიანი შუა საუკუნეები	წოწიარისი

ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად შექმნილია სპეციალური ტურ პაკეტები, რომელთა შესახებაც დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში.

ცხრილი 1-28. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

რიგითი #	ძეგლის დასახელება	აგების თარიღი	ძეგლის მდებარეობა
ქედის მუნიციპალიტეტი			
1.	ჯამე	XIX ს.	სოფ. აბუქედა
2.	ჯამე	გვიანი შუა საუკუნეები	სოფ. ახო
3.	კოშკის ნანგრევი	გვიანი შუა საუკუნეები	სოფ. გეგელიძეები
4.	ჯამე	XIX ს.	სოფ. გეგელიძეები
5.	ჯამე	XIX ს.	სოფ. გულები
6.	დანდალოს ხიდი	XI_XII სს.	სოფ. დანდალო, გარეუბანი
7.	ციხე "კავიანი"	XII-XIII სს.	სოფ. დანდალო, "ქალივაკე"
8.	ჯამე	XIX ს.	სოფ. დოლოგანი
9.	ჯამე	XIX ს.	სოფ. ვარჯანისი
10.	ჯამე	XIX ს.	სოფ. ზედა ბზუბზუ
11.	კოშკი	შუა საუკუნეები	სოფ. ზედა მახუნცეთი
12.	ციხე	გვიანი შუა საუკ.	სოფ. ზენდიდი
13.	ეკლესია	განვით. შუა საუკ.	სოფ. ზენდიდი
14.	კოშკი	შუა საუკუნეები	სოფ. ზესოფელი, სამხ.-დასავლეთით
15.	კოშკი	გვიანი შუა საუკუნეები	სოფ. ზვარე, ცენტრ. გზაზე
16.	ჯამე	1834 წ.	სოფ. ზვარე
17.	ჯამე	XIX ს.	სოფ. კვაშტა
18.	ჯამე	XIX ს.	სოფ. კოკოტაური
19.	საწნახელი	გვიანი შუა საუკუნ.	სოფ. კოკოტაური, მამულაძეების ეზო
20.	ჯამე	XIX ს.	სოფ. კოლოტაური
21.	მედრესე	XIX ს.	სოფ. მილისა
22.	წყარო	XX ს.	სოფ. მეძიბნა
23.	შარვაშიზეების ნასახლარი	XVII ს.	სოფ. ოქტომბერი
24.	ციხე "ცივასულა"	შუა საუკუნეები	სოფ. პირველი მაისი, მიდამოები
25.	"მიწის ხიდი"	შუა საუკუნეები	სოფ. პირველი მაისი, მიდამოები
26.	ჯამე	XIX ს.	სოფ. უჩხითი
27.	ხიდი	XI-XII სს.	სოფ. ქვედა მახუნცეთი
28.	ჯამე	XIX ს.	სოფ. ქვედა მახუნცეთი
29.	ხიდი	გვიანი შუა საუკუნ.	სოფ. ცხომორისი
30.	ჯამე	XIX ს.	სოფ. ცხომორისი
31.	ციხე	შუა საუკუნეები	სოფ. ძეწმანი
32.	ჯამე	XIX ს.	სოფ. ძეწმანი
33.	ხიდი	გვიანი შუა საუკ.	სოფ. წონიარისი
34.	ჯამე	XIX ს.	სოფ. წონიარისი
35.	ჯამე	XIX ს.	სოფ. ჭინკაძეები
36.	საცხოვრებელი სახლი		სოფ. ჭინკაძეები
37.	კოშკი		სოფელი კოლოტაური
38.	ნეოლითური ხანის გამოქვაბული		სოფელი კოლოტაური

39.	კოშკი	განვით. შუა საუკ.	სოფელი ძენწმანი
40.	საწნახელი		სოფელი კორომხეთი
41.	საწნახელი		სოფელი ოქტომბერი
42.	ციხე	განვით. შუა საუკუნ.	სოფელი გულები
43.	ციხე - საღორეთის (კილდისთავის) ციხე		სოფელი პირველი მაისი
44.	ხიდი		სოფელი აქუცა
45.	ხიდი - საღორეთის (აგარის) მიწის თაღოვანი ხიდი		სოფელი ზედა აგარა

დანდალოს ხიდი - შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდი მდინარე აჭარისწყალზე. მდებარეობს სოფელ დანდალოს მახლობლად, შავი ზღვის სანაპიროდან ახალციხეში მიმავალ ძველ დიდ მაგისტრალზე. რუსეთის ხელისუფლებამ აქ ბათუმი-ახალციხის მაგისტრალი გაიყვანა და ძველი ხიდის გვერდით ააშენა დიდი რკინის ხიდი (ამჟამად გაუქმებულია და მის ქვემოთ 300 მეტრში აგებულია ახალი ხიდი). დანდალოს ძველი ხიდი ქართული სახიდე-სამშენებლო ხელოვნების უნიკალური ძეგლია.

დანდალოს ხიდი ნაგებია ადგილობრივი კირქვითა და კირის დუღაბით. ორივე ბურჯი დადგმულია კლდეზე, რაც მას ძირის გამორეცხვისაგან იცავს.

ხიდის სიგრძეა 34,5 მ, სიგანე თავბანდთან 2,80 მ (ლავგარდნის გადმოწევიანად). მისასვლელებთან ხიდის სიგანე მარცხენა შესასვლელისა 4,70 მ, სიგრძე — 10 მ, მარჯვენასი 3,50 მ, სიგანე (ძველი ნაგებობის მიხედვით) — 2,40 მ, მალი 21 მ, ისარი — 4 მ. ბურჯის სიმაღლეა 4,6 მ, სიგანე — 4,55 მ. იმავე ბურჯზე დატანილია ფოსოები ორ რიგად. თითო რიგში სამი ფოსოა. ფოსოს ზომებია 50X60; 55X52. ფოსოების ნაპირიდან დაშორება 35 მ, ფოსოებს შორის მანძილი — 38 სმ, ლავგარდნის სისქე — 10-14 სმ.

ხიდი გეგმაში ლათინურ ასო S-ს გავს. სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით ასეთი ფორმის ხიდის აშენება გაცილებით რთულია, რადგანაც დატვირთვები ნაწილდება არათანაბრად.

ფოსოების ორი რიგი გვიჩვენებს, რომ აშენების დროს ხარაჩოები ორ რიგად ყოფილა დალაგებული. მარჯვენა ბურჯი პირდაპირ კლდეზეა დაშენებული, ხოლო მარცხენა წყალში შეჭრილი მალის შემცირების მიზნით.

მახუნცეთის ხიდი - ქვისთაღოვანი ხიდი მდებარეობს მდინარე აჭარისწყალზე სოფ. მახუნცეთის ტერიტორიაზე. ხიდის სიგრძე 24 მ. მარცხენა მისასვლელის სიგრძეა 1,75 მ, ხოლო მარჯვენასი 2 მ. შესაბამისად მისასვლელების სიგანეებია 3,24 მ და 3,70 მ. ხიდის სიგანე ცვალებადია. იგი მერყეობს 2 მ-დან 2,5 მ-მდე. ხიდი ყველაზე ვიწროა შუაწელში — 2 მ. მალი 20-25 მ. სიმაღლე თაღისა წყლის დონიდან 6 მეტრია. თაღის სიგანე თავბანდში 0,70 მ, ხოლო ქუსლში — 1,60 მ. ბურჯებად გამოყენებულია ბუნებრივი კლდე, რომელთა სიმაღლე სხვადასხვაა. კლდე ალაგალაგ ამოშენებულია ქვებით.

ხიდის ასაგებად გამოყენებულია თლილი ქვა.

ფოსოები მახუნცეთის ხიდს არა აქვს. მალის სიდიდის გამო ხარაჩოების აგება აქ აუცილებელი იქნებოდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს რომ, ხიდის მშენებლობის დროს მდინარეში ჩასობილი უნდა ყოფილიყო დროებითი ხიმინჯები, რომელზედაც ეწყობოდა ხარაჩოები.

მახუნცეთის ხიდს არ ეტყობა ის დახვეწილი ტექნიკა და სამუშაოს სიფაქიზე, რაც კარგად შეინიშნება დანდალოს ხიდზე. მახუნცეთის ხიდს არ ჰქონია არც ლავგარდანი და არც მოაჯირი.

ცხმორისის ხიდი — შუა საუკუნეების ქვისთაღოვანი ხიდი მდინარე აჭარისწყალზე, მდებარეობდა სოფელ ცხმორისთან. იგი ერთიანად დაანგრია 1895 წლის წყალდიდობამ.

წონიარისის (ჯაიმელა) ხიდი - საინჟინრო ნაგებობა, თაღოვანი ხიდი, აგებული IX-X საუკუნეებში სოფელი წონიარისი. ,ამ ტერიტორიაზე ისტორიული ხიდი იყო. მას ადგილობრივი მოსახლეობა ,,მიწის ხიდს" უწოდებდა. 2007 წლის აპრილში ხიდი ჩაიქცა და ახლა მხოლოდ ბურჯებია დარჩენილი", – ასეთ წარწერას ამოიკითხავთ წონიარისის (ჯაიმელა) ხიდზე გადასვლისას. აჭარის მთავრობამ, ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ

გაითვალისწინა ისტორიული ძეგლის მნიშვნელობა, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები (წონიარისის ხიდი 2007 წლის აპრილამდე საკომუნიკაციო საშუალებაც იყო) და ჩაქცეული ხიდი აღადგინა. რესტავრატორებს ისტორიული ძეგლი მყარად და თითქმის პირვანდელი სახით აღუდგენიათ. ახლა მოსახლეობას ამ ხიდზე ტვირთიც გადაგვაქვს. სარესტავრაციო სამუშაოები რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. ისტორიულმა ძეგლმა პირვანდელი სახე დაიბრუნა და ისევ საუკუნეებს გაუძლებს.

საღორეთის "მიწის" თაღოვანი ხიდი - მიწის ხიდი აგებულია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საღორეთში, აგარისწყლის მარჯვენა შენაკადზე, მდინარე ჭანჭახეთზე, ვიწრო და კლდოვან ადგილზე. ხიდის მისასვლელთან მალი შედარებით მცირეა და უდრის 7 მეტრს, მალის სიმაღლე 2,3 მეტრია. ხიდის საერთო სიგრძე 16 მეტრს უდრის, მისი სიგანე კი 2,6 მეტრია. ხიდის ბურჯი დაშენებულია ბუნებრივ კლდეზე და მისი სიმაღლე წყლის ზედაპირიდან 4,64 მეტრია, ბურჯის სიმაღლე 1,16 მეტრი, სიგანე – 2,62 მეტრი. ხიდის ბურჯებს ეყრდნობოდა თაღი, რომელსაც წრიული ფორმა აქვს და აშენებულია გათლილი, სუფთა ქვებით. ხიდის თაღი შედგება ორი ნაწილისაგან – თვით კონსტრუქციისაგან და გალავნისაგან. ხიდის მისასვლელები ნაგებია ფლეთილი ქვებით. სამშენებლო ტექნიკა სხვა ხიდებთან შედარებით დახვეწილია. ამ თვალსაზრისით მასთან ახლოს დგას მახოს ხიდი. სავარაუდოდ, მიწის ხიდი შუა ფეოდალური(XI-XIIIსს) ხანის ძეგლი უნდა იყოს. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2013 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ხიდს ჩაუტარდა რესტავრაცია.

საღორეთის ციხე — საფორტიფიკაციო ნაგებობა მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ქოხთვარის სერზე, სოფელ პირველი მაისის თავზე (ყოფილი სოფელი საღორეთი).

ციხე აგებულია მაღალ კლდოვან ბორცვზე. მისასვლელი აქვს მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან. ციხეს უკავია 200 მ² ფართობი ტერიტორია. შემორჩენილია კოშკი, გალავნის კედლის ერთი ნაწილი და კოშკზე მინაშენი (ჩრდ) კედლის ნანგრევი. სამსართულიანი კოშკის ფართობია დაახ. 6 მ², სიმაღლე 2,5 მ, კედლის სისქე 1,5-2 მ. დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია სამი ფოსო (40x36 სმ, 25x15 სმ, 28x15 სმ). ფოსო მოპირდაპირე კედელზეც იქნებოდა მაგრამ ჩამოქცევის გამო არ შეინიშნება. ფოსოების არსებობა აქ სართულების არსებობაზე მიუთითებს (ორი სართული აშკარად შეიმჩნევა, სავარაუდოდ ჰქონდა მესამე სართულიც. კოშკი შიგნიდან მთლიანად ამოვსებულია მიწითა და ნანგრევი ქვებით. სათოფურები არა აქვს. კოშკი გალავანშია ჩაქსოვილი. გალავანს ოვალისებური ფორმა აქვს. შედარებით უკეთ შემონახულა გალავნის ჩრდილოეთი მხარე რომელიც კოშკზეა მიშენებული. მოღწეული გალავნის სიმაღლე 2,10 მ. ციხეზე ამ მხრიდან მიისვლებოდა და სავარაუდოდ კარებიც აქედან უნდა ჰქონოდა, ამას გალავანში გჭრილი საფეხურებიც ადასტურებს.

ციხე ნაგებია თლილი ქვით კირის ხსნარზე, წყობა არეულია და უსწორმასწორო. აღსანიშნავია ის გარემოება რომ არც კოშკში და არც ციხეში სხვა რაიმე ხვრელი არ არსებობს. ამგვარი საბუთების გათვალისწინებით (უსწორმასწორო წყობა, სათოფურების არ არსებობა) საღორეთის ციხე XIV-XV საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

კავიანის ციხე მდებარეობს კავიანის სერზე მდინარე ჭვანისწყალისა და აჭარისწყლის შესართავის მარცხენა მხარეს. ციხე ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველი განყოფილება, ჩვენამდე მოღწეული ფოსოების მიხედვით, შეიძლება ყოფილიყო რაღაც დანიშნულების სათავსო, რომელიც სავარაუდოდ სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. კედელზე ორი საძირკველი და ორი სარკმელია დატანებული. ციხის ამ კოშკშია შემორჩენილი სწორი ფორმის ორმო, რომელიც შელესილია კირით. ციხის მეორე განყოფილებაში, რომლის ფართობი 112 კვმ-ს შეადგენს, კარგადაა შემონახული ჩრდილოეთის კოშკი, რომელიც არაწესიერი მართკუთხედის ფორმისაა და ასევე სამი სართულისაგან შედგებოდა. კოშკში ჩაყოლებულია სარკმლები. შედარებით კარგადაა შემონახული ციხის ეზოს დასავლეთი კედელი, რომლის სიგრძე 7,1 მეტრია, ხოლო სიმაღლე 5 მეტრი. ციხე აშენებულია ფლეთილი ქვებით, შიგადაშიგ რიყის ქვებიც გვხვდება.

ცივასულას ციხე მე-11-მე-12 საუკუნეებში საღორეთისა და აგარისწყლის შესართავთანაა აგებული. ცენტრალური გზიდან 0,5 კმ. მდებარეობს და მისი ფართობი 400 მ. შეადგენს. ციხის ძირითადი ფუნქცია აჭარისწყლის ხეობასა და აგარისწყალზე გამავალი გზების გაკონტროლება იყო. გადმოცემა ციხისა და სოფლის სახელწოდებას მისი მფლობელის – ცივაძეების გვარს უკავშირებს.

გულების ციხე ქედის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლის თავში მდებარე მთაზეა განლაგებული. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ფერადი კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. ციხის კედლების დიდი ნაწილი საძირკვლის დონემდეა დასული.

ზენდიდის ციხე ქედის მუნიციპალიტეტის ამავე დასახელების სოფელში მაღალ გორაზე მდებარეობს. მისი აშენების ზუსტი თარიღი უცნობია. მჭიდრო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობისათვის აჭარისწყლისა და ჭოროხის აუზს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. VII-IX საუკუნეებში ბათუმ-არტანუჯის სავაჭრო ეკონომიკური კავშირის მთავარი მარღვი ქედაში გადიოდა, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი ამბობს "მცირე ქალაქის მსგავსად დაბა ქედაში" ცხოვრობდა აჭარის ბეგი. გამომდინარე აქედან ქედას სათანადო დაცვა ესაჭიროებოდა. ეს დაცვა კი, წარმოდგენილი იყო ზენდიდის ციხის სახით. აჭარის ხეობაში სხვა საფორტიფიკაციული ნაგებობების, სახელდობრ კი ბეგოშვილების, ცივასულას, საღორეთის, მთის უბანის, ჩხუტუნეთის სხვა ციხეებთან ერთად, არამარტო ქედის დაცვა ევალებოდა არამედ ხეობაში გასავალ ცენტრალურ სავაჭრო სტრატეგიული გზებისაც. ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია ძლიერ დანგრეული სახით. მისი საერთო სიგრძე 50მ შეადგენს. კედლის სისქე 110-130 სმ-ია.

ქედის მუნიციპალიტეტში რამოდენიმე ღირშესანიშნავი ადგილია. მათ შორის გამოირჩევა:

ქვის უძველესი საწნახელები
ქედის ტერიტორიაზე ქვაში ნაკვეთი შვიდი უძველესი **საწნახელია** აღმოჩენილი. კერძოდ: ზუნდაგაში, ძენწმანში, სამი ორცვაში, ოქტომბერში, აქუცაში (ამჟამად ღვინის სახლშია გადატანილი) და კოკოტაურში. საწნახელების ამ რაოდენობით არსებობა ამ კუთხეში მეღვინეობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე მიანიშნებს. მასშტაბურია ძენწმანის ქვაში ნაკვეთი საწნახელი, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა სახის სარიტუალო ადგილი.

ქედის ისტორიული მუზეუმი;

ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმი;

ზვარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია;

წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია;

მახუნცეთის ჩანჩქერი სოფ. ზედა მახუნცეთი;

გარეკუნის ჩანჩქერი (სენტროპე)სოფ. სილიბაური

1-11.2 კულტურა

2007 წლიდან საქართველო "საერთაშორისო კონვენციის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" ხელშემკვრელი მხარეა. კონვენცია ასახავს იმ შედარებით ახალ ტენდენციას, რომელიც არსებითად აფართოებს კულტურული მემკვიდრეობის ცნებას. კონვენციის სულისკვეთებას სრულფასოვნად ასახავს მისი მეორე მუხლი:

"არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის" ნიშნავს ადათ-წესებს, წარმოსახვისა და გამოხატვის ფორმებს, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, - ასევე, მათთან დაკავშირებულ საშუალებებს, საგნებს, არტეფაკტებს და კულტურულ სივრცეებს, - აღიარებულს გაერთიანებების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად, თაობიდან თაობაში გადაცემული ასეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაერთიანებებისა და ჯგუფების მიერ მუდმივ განახლებას განიცდის მათი გარემო პირობების, ბუნებასთან მათი ურთიერთმოქმედებისა და ისტორიის შესაბამისად და აყალიბებს მათში თვითმყოფადობისა და მემკვიდრეობის გრძნობას, რითაც ხელს უწყობს კულტურათა მრავალფეროვნებისა და ადამიანის შემოქმედების პატივისცემას. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც შეესატყვისება ადამიანის უფლებების არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და გაერთიანებებს, ჯგუფებსა და ცალკეულ პირებს შორის ურთიერთპატივისცემის, ასევე განუხრელი განვითარების მოთხოვნებს".

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებს:

ა) ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები. ენის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით;

ბ) საშემსრულებლო ხელოვნება;

გ) ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები;

დ) ბუნებასა და სამყაროსთან დაკავშირებული ცოდნა და ადათ-წესები;

ე) ხელოსნობის ტრადიციულ დარგებთან დაკავშირებული ცოდნა და ჩვევები.

ხალხური რეწვის ოსტატები და ანსამბლები

ხალხური რეწვის ოსტატები, ინდივიდუალური, გუნდური, საოჯახო ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები მუნიციპალიტეტის განუმეორებელ კულტურულ სახეს ქმნიან, რომელიც ტურიზმის, მით უფრო კულტურული ტურების განვითარებისათვის ანგარიშგასაწევი უპირატესობაა (იხ. დანართი №9). თუმცა გასათვალისწინებელია, ისიც რომ ეს რესურსი, როგორც საბაზრო პროდუქტი, არ არის ჩამოყალიბებული და საამისოდ მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა საჭირო. ამ კუთხით აღნიშნულ პროდუქტს გამოცდა არ გაუვლია, რადგან არ ჩართულა საბაზრო პროცესებში. მაგალითად, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა–გაყიდვები პრაქტიკულად არ იმართება.

ქედის მუნიციპალიტეტში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ფუნქციონირებს „ქედის კულტურის ცენტრი“. ცენტრი უზრუნველყოფს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებების მომსახურების სრულყოფას, ტრადიციული დღესასწაულების, მასობრივი ღონისძიებების, საიუბილეო თარიღების, შეხვედრების, მხატვრული თვითშემოქმედების საღამოების, კონკურსების, კონცერტების ორგანიზებასა და რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მიღებას.

ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 6 ფოლკლორული, 11 ქორეოგრაფიული და 2 ვოკალური ანსამბლი, რომლებიც საკმაოდ წარმატებულად ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის ფოლკლორულ ღონისძიებებში. ზემოხსენებული ანსამბლები ემსახურებიან ძველი აჭარული და ლაზური ფოლკლორის აღდგენას და შენარჩუნებას.

ქედის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ხუთი სახალხო დღესასწაულის ორგანიზება ხდება, რომელთა ძირითადი ინიციატორი და ორგანიზატორი ადგილობრივი თვითმმართველობაა. (იხ. ცხრილი 1-29)

ცხრილი 1-29 ქედის მუნიციპალიტეტის სახალხო დღესასწაულები

№	დასახელება	აღწერა	ჩატარების ადგილი	ჩატარების თარიღი	ორგანიზატორი	მხარდამჭერი
1.	**ნამეფვარობა**	ეძღვნება თამარ მეფეს	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული, საზაფხულო იალაღი „ლატევრი“	3 ივნისი	ქედის მუნიციპალიტეტი	
2.	**შუამთობა**	უძველესი ტრადიციული დღესასწაული, აღნიშნავს მთის სამუშაოთა სეზონის შუა პერიოდს, იმართება საზაფხულო მთის საძოვრებზე	საზაფხულო საკურორტო ადგილები და მთის საძოვრები	1-2 აგვისტო	ქედის მუნიციპალიტეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
3.	**მერისლობა**	ტრადიციული დღესასწაული	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	სექტემბერი	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედის მუნიციპალიტეტი
4.	**შემოდგომა**	შემოდგომაზე,	დაბა ქედის	ოქტომბერი	ქედის	

	ქედაში (ქედელობა)	როცა მთავრდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. დღესასწაულზე ხდება შრომა-გარჯის, ნაჭირნახულევის შედეგების შეჯამება, ტარდება შეჯიბრებები სპორტულ სახეობებში, სიმღერებში, ცეკვებში, ლექსისა და შაირის თქმაში	ადმინისტრაციული ერთეული, აკავრეთას პარკი		მუნიციპალიტეტი	
5.	**გიორგობა**	ტრადიციული დღესასწაული	ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	23 ნოემბერი	ქედის მუნიციპალიტეტი	

გარდა ზემოაღნიშნული სახალხო დღესასწაულებისა, ქედის მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში საფუძველი ჩაეყარა სახალხო დღესასწაულს "ჭიბონის ფესტივალს", რომლის დამზადებისა და შესრულების ტექნოლოგიით ქედის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია.
ცეკვა ,,ხორუმს“ უკავშირდება დღესასწაული "ხორუმობა", რომელიც საფუძველს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში იღებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ქედისათვის დამახასიათებელია ე.წ. ,,გადახვეული ხორუმი“.

მოცემული სფეროსადმი მომავალი თაობების ინტერესი ნაკლებია, შესაბამისად დარგში არ შეინიშნება ბიზნეს ინტერესები. შესაბამისად, საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება (სპეციალური, სკოლებისა და კლუბების ჩამოყალიბება, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება), რათა მოხდეს მოსახლეობის ინტერესის ზრდა და მოცემული საქმიანობის მომავალი თაობისათვის გადაცემა.
პერიოდულად ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შემოქმედებითი კოლექტივებისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და სპეციალური ტანსაცმლის შეძენა. შეძენა ხორციელდება როგორც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ასევე აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში.

1-12 განათლება და მეცნიერება

1-12.1 სკოლამდელი აღზრდა

სკოლამდელი განათლება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.
მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი, ხოლო 2016 წელს ექსპლუატაციაში შევიდა და დაფინანსდა დამატებით 1 საბავშვო ბაღი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, კვებას, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.
ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა მაქსიმალურად ჩართვის მიზნით მიმდინარეობს ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის, კეთილმოწყობისა და ინვენტარის შეძენის პროცესი. 2016 წელს დასრულდა ოქტომბრის ბაგა-ბაღის მშენებლობა.
ბაღების ბიუჯეტის დაფინანსება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდება. 2016 წელს კეთილმოწყობის, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარდა 3 საბავშვო ბაღს.
2016 წლის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სულ 530 აღსაზრდელი ირიცხება. საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 175 თანამშრომელი.
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შედის შემდეგი ბაგა-ბაღები:
1. ქედის ბაგა ბაღი;

2. ზუნდაგის ბაგა-ბაღი;
3. მახუნცეთის ბაგა- ბაღი;
4. პირველი მაისის ბაგა-ბაღი;
5. წონიარისის ბაგა-ბაღი;
6. ცხმორისის ბაგა-ბაღი;
7. ხარაულის ბაგა-ბაღი;
8. მერისის ბაგა-ბაღი.

2016 წელს დაგეგმილი იყო ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის, კეთილმოწყობისა და ინვენტარის შეძენის ღონისძიებები მათ შორის:

- ოქტომბრის ბაგა-ბაღის მშენებლობა;
- მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნამლისევში ბაგა-ბაღის მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა;
- დოლოგნისა და ვაიოს ბაგა-ბაღების ეზოს კეთილმოწყობა;
- ცენტრი ცხმორისისა და წონიარისისა ბაგა-ბაღების რემონტი;
- დაბა ქედაში ბაგა-ბაღის მშენებლობა;
- დანდალოს ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია;
- ვაიოს ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაცია;
- სოფ.დოლოგანში ბაგა-ბაღის მოწყობა;
- დაბა ქედის ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა;
- სოფელ ცხმორისისა და მერისის ბაგა-ბაღების რემონტი;
- დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა.

1-12.2 სრული ზოგადი განათლება

განათლების სფეროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, მოსწავლეთა ვაუჩერიზაციის პრინციპით, უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტში საშუალო განათლების მიღების თანაბრად ხელმისაწვდომობას შესაბამისი ასაკის მქონე ყველა მოქალაქისათვის.
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საჯარო სკოლა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში და მათ მოვლა-პატრონობას თავად უზრუნველყოფს.
2014 წლის მონაცემებით ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 საჯარო სკოლა, მათგან 18 სკოლა საშუალოა, ხოლო 11 საბაზო. ასევე, ძირითად 29 სკოლასთან ერთად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საჯარო სკოლებზე მიერთებული 35 მიერთებული სკოლა.
პერმანენტულად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროცესი, რომელსაც ძირითადად აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს. ნაწილის დაფინანსებას კი უზრუნველყოფს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

2005-2011 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლები, განათლების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, აღჭურვილი იქნა სასკოლო ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და სასკოლო ფორმით.

მუნიციპალიტეტის ყველა ძირითადი სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერებითა და შესაბამისი ინტერნეტ კავშირით, რაც გაზრდის მომავალი თაობის ადაპტაციას თანამედროვე ტექნოლოგიურ და საინფორმაციო სამყაროსთან.

სკოლების ბაზაზე ფუნქციონირებს ინტეგრირებული სასკოლო ბიბლიოთეკები, რომელთა კატალოგი საერთო ჯამში მოიცავს 144 976 სახელმძღვანელოსა და 5094 დასახელების სხვადასხვა წიგნს.

გარდა სასკოლო ბიბლიოთეკებისა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი ცენტრალური და ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბიბლიოთეკებში შეიმჩნევა მკითხველთა რაოდენობის მზარდი დინამიკა.

მუნიციპალიტეტის სკოლების ბაზაზე მოქმედებს სხვადასხვა წრეები და სახელოსნოები კერძოდ: 14 ცეკვისა და სიმღერის, 9 ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის, 8 უცხო ენების შემსწავლელი წრე და 4 ხელგარჯილობის (ჭრა-კერვის) კლუბი. 2013-2014 წლების მონაცემებით მუნიციპალიტეტში სულ 2950 მოსწავლემდე და 450 მასწავლებელი ირიცხება.

დაწყებულია მასწავლებელთა სერთიფიცირების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამის დაფინანსებას ვაუჩერების სახით უზრუნველყოფს სახელმწიფო. პერიოდულად მიმდინარეობს პედაგოგთა გადამზადება სხვადასხვა სპეციალურ საგნებში და კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში.

უცხო ენებიდან სკოლებში მხოლოდ რუსული, ინგლისური და გერმანული ენები შეისწავლება, მუნიციპალიტეტის არცერთ სკოლაში არ ისწავლება ფრანგული ენა. ბოლო პერიოდში გაიზარდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც უცხო ენებიდან ინგლისურს ანიჭებენ უპირატესობას. აღნიშნულ ფაქტორს განაპირობებს ინგლისური ენის სავალდებულო სწავლება I-XII კლასებში.

ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სამინისტროს ტერიტორიული ორგანო სკოლების რესურსცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სკოლების გამართულ ფუნქციონირებას.

ქედის მუნიციპალიტეტის სკოლებია:

1. **ქედის საჯარო სკოლა**
- გულების დაწყებითი კლასები
- ხუნკუდის დაწყებითი კლასები
- ზენდიდის დაწყებითი კლასები
- შევაბურის დაწყებითი კლასები
2. **დოლოგნის საჯარო სკოლა**
- ჭინკაძეების დაწყებითი კლასები
3. **მახუნცეთის საჯარო სკოლა**
- ზუნდაგის დაწყებითი კლასები
- ქვედა ბზუბზუს დაწყებითი კლასები
4. **უჩხითის საჯარო სკოლა**
- მილისის დაწყებითი კლასები
- ქოსოფლის დაწყებითი კლასები
- ნამლისევის დაწყებითი კლასები
5. **აწჰესის საჯარო სკოლა**
- ზედა მახუნცეთის დაწყებითი კლასები
6. **პირველი მაისის საჯარო სკოლა**
- კოლოტაურის დაწყებითი კლასები
- პირველი მაისის დაწყებითი კლასები
7. **ოქტომბრის საჯარო სკოლა**
- კუჭულის დაწყებითი კლასები
- გოგინიძეების დაწყებითი კლასები
8. **ვაიოს საჯარო სკოლა**
9. **ზვარეს საჯარო სკოლა**
- ზესოფლის დაწყებითი კლასები
10. **წონიარისის საჯარო სკოლა**
- კანტაურის დაწყებითი კლასები
- ვარჯანისის დაწყებითი კლასები
- გელაურის დაწყებითი კლასები
- წონიარისის დაწყებითი კლასები
- აბუქეთის დაწყებითი კლასები
11. **ახოს #1 საჯარო სკოლა**
- გობრონეთის დაწყებითი კლასები
12. **ცხმორისის #2 საჯარო სკოლა**
- საბადურის დაწყებითი კლასები
13. **გეგელიძეების საჯარო სკოლა**
14. **ახოს საჯარო სკოლა**

15. **გოგიაშვილების საჯარო სკოლა**
- ბალაძეების დაწყებითი კლასები
- მოსიაშვილების დაწყებითი კლასები

16. **დანდალოს საჯარო სკოლა**
17. **ხარაულის საჯარო სკოლა**
18. **ჯალაბაშვილების საჯარო სკოლა**
19. **კოკოტაურის საჯარო სკოლა**
20. **კვაშტის საჯარო სკოლა**
- სირაბიძეების დაწყებითი კლასები

21. **მეძიბნის საჯარო სკოლა**
- აგოთის დაწყებითი კლასები

22. **ორცვის საჯარო სკოლა**
23. **ძენწმანის საჯარო სკოლა**
- ძენწმანის დაწყებითი კლასები
- კორომხეთის დაწყებითი კლასები
- ცხმემნის დაწყებითი კლასები

24. **აგარის საჯარო სკოლა**
25. **კოლოტაურის საჯარო სკოლა**
26. **აქუცის საჯარო სკოლა**
27. **ინაშარიძეების საჯარო სკოლა**
28. **ზემო ბზუბზუს საჯარო სკოლა**
29. **მერისის საჯარო სკოლა**
- მერისის დაწყებითი კლასები
- გუნდაურის დაწყებითი კლასები
- სილიბაურის დაწყებითი კლასები
- სიხალიძეების დაწყებითი კლასები
- გარეტყის დაწყებითი კლასები
- ნამონასტრევის დაწყებითი კლასები

ცხრილი 1-30. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მონაცემები

	A	B	C	D	E	F
1	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მონაცემები 2014 წელი					
2	№	სკოლის დასახელება	მისამართი	მიერთებული სკოლა	მიერთებული სკოლის მისამართი	საფეხური
3	1	სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლა	დაბა ქედა, წეროლის ქ. №5	გულების დ/კლასები	სოფელი გულები	I-II-III
4				ხუწკუდის დ/კლასები	სუფელი ხუწკუდა	
5				ზეწდიდის დ/კლასები	სოფელი ზეწდიდი	
6				შევაბურის დ/კლასები	სოფელი შევაბური	
7	2	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგწის საჯარო სკოლა	სოფელი დოლოგანი	ჭიწკაძეების დ/კლასები	სოფელი ჭიწკაძეები	I-II-III
8	3	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა	სოფელი მახუნცეთი	ზუწდაგის დ/კლასები	სოფელი ზუწდაგა	I-II-III
9				ქ/ ბზუბზუს დ/კლასები	სოფელი ბზუბზუ	
10	4	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხითის საჯარო სკოლა	სოფელი უჩხითი	მილისის დ/კლასები	სოფელი მილისი	I-II-III
11				ქოსოფლის დ/კლასები	სოფელი ქოსოფელი	
12				წამლისევის დ/კლასები	სოფელი წამლისევი	
13	5	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა	სოფელი ქვედა მახუნცეთი	ზ/მახუნცეთის დ/კლასები	სოფელი ზედა მახუნცეთი	I-II-III
14	6	სსიპ ქედი მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა	სოფელი პირველი მაისი	კოლოტაურის დ/კლასები	სოფელი კოლოტაური	I-II-III
15				პ/ მაისის დ/კლასები	სოფელი პირველი მაისი	
16	7	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა	სოფელი ოქტომბერი	კუჭულის დ/კლასები	სოფელი კუჭულა	I-II-III
17				გოგიწიძეების დ/კლასები	სოფელი გოგიწიძეები	
18	8	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს საჯარო სკოლა	სოფელი ვაიო			I-II-III
19	9	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა	სოფელი ზვარე	ზესოფელის დ/კლასები	სოფელი ზესოფელი	I-II-III
20	10	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წოწიარისის საჯარო სკოლა	სოფელი წოწიარისი	კანტაურის დ/კლასები	სოფელი კანტაური	I-II-III
21				ვარჯანისის დ/კლასები	სოფელი ვარჯანისი	
22				გელაურის დ/კლასები	სოფელი გელაური	
23				წოწიარისის დ/კლასები	სოფელი წოწიარისი	
24				აბუქეთის დ/კლასები	სოფელი აბუქეთა	
25	11	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლა	სოფელი ახო	გობრონეთის დ/კლასები	სოფელი გობრონეთი	I-II-III
26	12	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისის საჯარო სკოლა	სოფელი ცხმორისი	საბადურის დ/კლასები	სოფელი საბადური	I-II-III

27	13	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლა	სოფელი გეგელიძეები			I-II-III
28	14	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს საჯარო სკოლა	სოფელი ახო			I-II-III
29	15	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგიაშვილების საჯარო სკოლა	სოფელი გოგიაშვილები	ბალაძეების დ/კლასები	სოფელი ბალაძეები	I-II-III
30				მოსიაშვილების დ/კლასები	სოფელი მოსიაშვილები	
31	16	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დაწდალოს საჯარო სკოლა	სოფელი დაწდალო			I-II-III
32	17	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლა	სოფელი ხარაულა			I-II-III
33	18	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაბაშვილების საჯარო სკოლა	სოფელი ჯალაბაშვილები			I-II
34	19	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურის საჯარო სკოლა	სოფელი კოკოტაური			I-II
35	20	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაშტის საჯარო სკოლა	სოფელი კვაშტა	სირაბიძეების დ/კლასები	სოფელი სირაბიძეები	I-II
36	21	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მეძიბნის საჯარო სკოლა	სოფელი მეძიბნა	აგოთის დ/კლასები	სოფელი აგოთა	I-II
37	22	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ორცვის საჯარო სკოლა	სოფელი ორცვა			I-II
38	23	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მეწმაწის საჯარო სკოლა	სოფელი მეწმაწი	მეწმაწის დ/კლასები	სოფელი მეწმაწი	I-II
39				კორომხეთის დ/კლასები	სოფელი კორომხეთი	
40				ცხემწის დ/კლასები	სოფელი ცხემწა	
41	24	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა	სოფელი აგარა			I-II
42	25	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლოტაურის საჯარო სკოლა	სოფელი კოლოტაური			I-II
43	26	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ აქუცის საჯარო სკოლა	სოფელი აქუცა			I
44	27	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ იწაშარიძეების საჯარო სკოლა	სოფელი იწაშარიძეები			I
45	28	სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეცა ბზუბზუს საჯარო სკოლა	სოფელი ზეცა ბზუბზუ			I

46	29	ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა	სოფელი მერისი	მერისის დ/კლასები	სოფელი მერისი	I-II-III
47				გუნდაურის დ/კლასები	სოფელი გუნდაური	
48				სილიბაურის დ/კლასები	სოფელი სილიბაური	
49				სიხალიძეების დ/კლასები	სოფელი სიხალიძეები	
50				გარეტყეს დ/კლასები	სოფელი გარეტყე	
51				წამოწასტრევის დ/კლასები	სოფელი წამოწასტრევი	

2016 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილია სკოლების ნორმალური ფუნქციონირებისათვის შემდეგიხელშემწყობი და სარემონტო-სარეაბილიტაციო პროგრამები:

- სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშემწყობი პროგრამა;
- გობრონეთი ზესოფლის სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშემწყობი პროგრამა;
- კვაშტისა და სირაბიძეების დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშემწყობი პროგრამა;
- სოფელ ტაკიძეებში დაწყებითი სკოლის აშენება;
- ცხემნის დაწყებითი სკოლის რემონტი;
- კანტაურის დაწყებითი სკოლის რემონტი;
- სილიბაურის დაწყებითი სკოლის მშენებლობა;
- აბუქეთის დაწყებითი სკოლის რემონტი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

სპორტის განვითარება და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა და არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ქედის სასპორტო სკოლა

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის დაფინანსება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. სასპორტო სკოლაში მოქმედებს 8 სექცია (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და რაგბი), სადაც სწავლება უფასოა და 270 ბავშვია სხვადასხვა სპორტულ სახეობაში ჩაბმული.

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება

2016 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში 950-მდე მონაწილე 50 ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებეში მიიღებს მონაწილეობას. ღონისძიებების ჩატარების პერიოდში აუცილებელია გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით თასებით, მედლებით, დიპლომებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით, აგრეთვე ფულადი საჩუქრებით. დასაჩუქრდებიან წლის წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები, რაც ხელს შეუწყობს სპორტული შეჯიბრებების, თამაშების კულტურის ამაღლებას და საერთო ჯამში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდსთვის თანხის გამოყოფა, რომელიც მიმართული იქნება საფეხბურთო კლუბ ,,ბეთლემის“ მხარდაჭერისათვის, კერძოდ ფეხბურთელთა ხელფასები, ტრანსპორტირების დაფინანსება, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა, შეკრებების ორგანიზება.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სარაგბო კულბ ,,ფირალების“ მხარდაჭერა. კერძოდ, მორაგბეთა ხელფასები, ტრანსპორტირების დაფინანსება, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა, შეკრებების ორგანიზება.

სტადიონებისა და მინი საფეხბურთო მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მშენებლობა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროს ქსელის გაფართოება, არსებულის რეაბილიტაცია და თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში და დაბაში კულტურის ახალი კერების შექმნა. არსებული საშუალებების მაქსიმალურად ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ააიპ – ქედის კულტურის ცენტრი
ქედის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედ სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებს რეწვის და თექის წრეები, რომლებშიც 58 მოსწავლეა ჩართული. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები – ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებებში და გამოფენებში მონაწილეობა, თექისა და რეწვის წრეების შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

ააიპ – ქედის ხელოვნების სკოლა
ააიპ – ქედის სახელოვნებო სკოლა სამი სექციით შემოიფარგლება, კერძოდ: 1) საფორტეპიანო. 2) საორკესტრო და 3) ქორეოგრაფიული, რომლებშიც სწავლა-განათლებას 140 მოსწავლე იღებს. საფორტეპიანო სექციაში სწავლება ფასიანია და სწავლის წლიური ღირებულება ერთ მოსწავლეზე 30 ლარს შეადგენს, რომელიც მთლიანად სახელოვნებო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაახლებას ხმარდება. ყოველივე აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

ააიპ – ქედის მუზეუმი
ააიპ – ქედის მუზეუმი დაარსდა 1999 წელს, სადაც თავმოყრილია და გამოფენილია ათასამდე ქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატი. საგამოფენო დარბაზში გამოფენილია არქეოლოგიური ეთნოგრაფიული, ისტორიული, ხეზეკვეთილობის ნიმუშები და ფერწერული ტილოები. მუზეუმის არქეოლოგიურ მასალებში ინახება ათი ათასი წლის წინანდელი ქვის თოხი, ქვის ჩაქუჩები და შურდულის ქვები, ასევე მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები, რომლებიც ადგილობრივი რეწვის ოსტატობის ნიმუშებს წარმოადგენს. საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით 2004 წლიდან მოქმედებს და წელიწადში 1000-დან 1200-მდე მნახველს მასპინძლობს. მნახველებს შორის მრავლადაა უცხოელი დამთვალიერებელი. ყოველივე აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის მიმდინარე ხარჯებს, ექსპონატების შესყიდვისა და ექსპედიციის ხარჯებს.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება
ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შობა-ახალი წლის დღესასწაულის, სხვა ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნა, რაიონის და საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეყნის ენერგიული, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა; ქედელობისა და მერისლობის დღესასწაულების ღირსეულად აღნიშვნა; რაიონის წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და სტიმულირება შემდგომი მუშაობისათვის, საინტერესო პროექტების ხელშეწყობა; იმ ადამიანების წარმოჩენა, რომელთაც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დააჩინა ქედის ისტორიას; სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების პოპულარიზაცია; კონცერტების ორგანიზება ქართული ანსამბლების და ინდივიდუალური მომღერლების მონაწილეობით და სხვა კულტურული ღონისძიებები.

1-13 ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

01.01.2016 წლის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედებდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ქედის მუნიციპალური საავადმყოფო, ქედის მუნიციპალური პოლიკლინიკა, ქედის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 იანვრის №11 დადგენილების, „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოცალური დაცვის სამინისტროს მიერ 2008 წელს განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის ცენტრების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ჰოსპიტალური სექტორი კი 2011 წელს სამართავად გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს.

2011 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შევიდა სადაზღვევო კომპანიის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ მიერ აშენებული 25 საწოლიანი თანამედროვე სტანდარტების სტაციონარი. ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედებს მუნიციპალური საავადმყოფო, ამბულატორია, სასწრაფო სამედიცინო სამსახური, ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებში პირველადი დახმარების ცენტრები. ზოგადად მუნიციპალური საავადმყოფოს და პოლიკლინიკისათვის დამახასიათებელია კადრების მაღალი დენადობა. მიუხედავად ამისა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სხვადასხვა პროფესიის ექიმების არსებობა ავსებს აღნიშნულ ნაკლს. გარდა ამისა 2008 წლიდან დაემატა სოფლის პირველადი დახმარების პუნქტები, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ მოსახლეობა მინიმალური ღირებულების უფასო პრეპარატებითა და პირველადი სამედიცინო მომსახურებით.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებობიდან გამომდინარე სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების საკითხები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსების მოცულობაზე.

ქედის მუნიციპალიტეტში არსებობს ქედის სამედიცინო ცენტრი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქედის განყოფილება, ქედის 10 ადმინისტრაციული ერთეულის საექიმო ამბულატორიები და სამედიცინო პუნქტები:

1. დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (4 სამედიცინო პუნქტი);
2. დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (2 სამედიცინო პუნქტი);
3. მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (7 სამედიცინო პუნქტი);
4. პირველი მაისისადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (3 სამედიცინო პუნქტი);
5. მერისისადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (2 სამედიცინო პუნქტი);
6. ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (3 სამედიცინო პუნქტი);
7. ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (4 სამედიცინო პუნქტი);
8. წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (3 სამედიცინო პუნქტი);
9. ცხომრისის ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (6 სამედიცინო პუნქტი);
10.დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტები (4 სამედიცინო პუნქტი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პერმანენტულად ხორციელდება სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამები. კერძოდ 2014 წელს განახორციელა შემდეგი მიზნობრივი პროგრამები:

- 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი;
- ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა;
- დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- ადმინისტრაციული ერთეულის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი დახმარების განვითარების პროგრამა;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების პროგრამა;
- მუნიციპალიტეტის ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურება;
- რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო (გულის ქირურგიის) მომსახურების კომპონენტი;
- სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამა და სხვ.

თავის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამები. 2014 წლის მიზნობრივი პროგრამებია:

- უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;

- მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- მრავალშვილიანი და დედ-მამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- 0-დან 70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- ეპილეფსიით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამანტებით უზრუნველყოფა;
- დიალეზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა;
- პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

1. ეპილეფსიით დაავადებულთა სფეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. ეპილეფსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილეფსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში, რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტიეპილეფსიური მედიკამენტების სისტემატური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით. ამ ასპექტის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტი მე-4 წელია ახორციელებს ეპილეფსიით დაავადებულთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტების უზრუნველყოფის პროგრამას, რომლითაც 79 ბენეფიციარი სარგებლობს;
2.
3. ამბულატორიების მომსახურების პროგრამა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საქიმო ამბულატორიასთან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების დროული აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საქიმო ამბულატორიის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 8 ამბულატორიის ტრანსპორტითა და ამბულატორიების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებით უზრუნველყოფა;
4. ადმინისტრაციული ერთეულების სამედიცინო ცენტრებისა და ამბულატორიების კეთილმოწყობა და ინვენტარის შეძენა. აღნიშნული ღონისძიებით მოხდება 2 ავტომანქანის შეძენა, რითაც სრულად მოხდება მუნიციპალიტეტში ამბულატორიების ტრანსპორტით აღჭურვა და ასევე ადმინისტრაციული ერთეულების სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა.

სოციალური დაცვის ღონისძიებების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ქედის მუნიციპალიტეტში უმწეოთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა

ქედაში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტინგენტის 26 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. პროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. ამ კატეგორიის მოქალაქეებს მონაწილეობა აქვთ მიღებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მიენიჭათ 70 000-მდე სარეიტინგო ქულა. მიმდინარე პროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად, ყოველდღიურად, წელიდადში 364 დღის განმავლობაში.

ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა. ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ ადამიანებს, კერძოდ, ომში დაღუპულებსა და ვეტერანებს, ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ადგილობრივმა თვითმმართველობამ ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უკვდავყოფის, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას და გარკვეულ ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევას.პროგრამას არეგულირებს 1995 წლის ,,ომისა და შეარაღებლი ძალების ვეტერანების შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლის ,,ა ბ” პუნქტები, 21-ე მუხლის ,,1,2,3” პუნქტები და 2000 წლის საქართველოს კანონი ,,სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ”.

1. ხუთ და მეტშვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული დემოგრაფიული პრობლემების პირობებში აღნიშნული კატეგორიის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებია, აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება, რომელიც ერთ ბენეფიციარზე ერთჯერადად 1000 ლარით დახმარებას გულისხმობს;
2. გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ მიზნით ქვეყანაში შემუშავდა და ხორციელდება სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაში მონაწილე თითეული პირისათვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას და უფასო სამედიცინო მომსახურეობის დახმარების პაკეტს. 0-დან 70 000 ქულის მქონე ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტში დამატებით შეიმუშავებულია ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში 250 ლარით ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
3. ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციალთა მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. ტრანსპორტირების ხარჯი ერთ ბენეფიციარზე გათვლილია ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ მოწოდებული მგზავრობის ღირებულების მიხედვით (პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13-მდე დიალიზის სეანს), ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი სახის ტრანსპორტის შეცვლა. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. ქედის მუნიციპალიტიდან 9 ბენეფიციარი მკურნალობს, პროგრამა შედგენილი იქნა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მომართვის საფუძველზე;
4. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ოჯახებზე აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის მგზავრობის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშთა კურსებზე მიმოსვლისათვის ხდება ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება, რომლის მიზანია ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;
5. საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა. პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა 0-დან 70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომელთა მდგომარეობას შეისწავლის მუნიციპალიტეტში შექმნილი დროებითი კომისია დეტალურად. თუნუქის ფურცლის გაცემის უპირატესობა მიენიჭება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს. პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება ქედის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სახურავით უზრუნველყოფა, სოციალური მდგომარეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტიდან ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის გაიხარჯა 382,776 ლარი, პროგრამებით ისაგებლა 427-მა ბენეფიციარმა. მიმდინარე წელს სამინისტრომ ცალკე პროგრამად გამოყო ონკოლოგიურ პაციენტთა ძვირადღირებული

სამედიცინო მომსახურება. დაიწყო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული მკვეთრად გამოხატული შშ სტატუსის მქონე პირების, შშ სტატუსის მქონე ბავშვების, ასაკით პენსიონრებისა და 0-დან 6 წლამდე ბავშვებისათვის (რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 200000-ს). სამინისტრო წელს პირველად 10000 ლარის ოდენობით აფინანსებს ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციას. ამოქმედდა ბავშვთა ადრეული განვითარების ახალი სამედიცინო პროგრამა. ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამას ბანეფიციარებად დაემატა ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი ქალები და მარტოხელა მშობლები. 30000000 მილიონი ლარი გამოიყო ეკომიგრანტების ოჯახებისათვის საცხოვრებალი ფართის შესაძენად. დაგეგმილია 115 საცხოვრებალი სახლის შეძენა.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება.
ქედის მუნიციპალიტეტში 2014 წელს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო სულ 3205 საარსებო შემწეობის მიმღები, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 15.6%-ია. აჭარაში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა რეგიონულ ჭრილში 2014 წლის მონაცემების მიხედვით იხ. ცხრილი 1-31

ცხრილი 1-31. აჭარაში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა რეგიონულ ჭრილში 2014 წლის მონაცემების მიხედვით

რეგიონი/ რაიონი	რეგისტრირებულთა რაოდენობა		საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა		საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულებთან		საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობასთან	
	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა
ბათუმი	12069	40403	1698	4991	14.1	12.4	5.2	4.0
ქედა	3303	15072	699	3205	21.2	21.3	13.1	15.6
ქობულეთი	11531	47987	1858	7871	16.1	16.4	7.7	8.5
შუახევი	3186	14204	714	3460	22.4	24.4	12.0	15.1
ხელვაჩაური	8734	39618	1205	5486	13.8	13.8	4.9	5.7
ხულო	4967	23007	1698	8106	34.2	35.2	18.2	22.6
აჭარა	**43790**	**180291**	**7872**	**33119**	**18.0**	**18.4**	**7.7**	**8.4**

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

1-14 ინფორმაციული უზრუნველყოფა და SWOT ანალიზი

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის“ შემუშავება მოითხოვს დიდი მოცულობის დარგობრივი და სივრცით-ტერიტორიული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, სისტემატიზაციას, ინფორმაციის კომპლექსურ დამუშავებას, ანალიზსა და მართვას. შეფასება, ჩვეულებრივ, გამოიხატება ფორმულების, გრაფიკების, ჰისტოგრამების, დიაგრამების ან ცხრილების სახით.

თანამედროვე პირობებში გის (GIS) - გეოსაინფორმაციო სისტემა – დიდი მოცულობის სივრცითი ინფორმაციის შეგროვების, კომპლექსური დამუშავებისა და მართვის ერთადერთი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიაა, რომელიც მომხმარებლისათვის მოსახერხებელ ინტერფეისში აერთიანებს გრაფიკულ ობიექტებს, მათზე არსებულ ატრიბუტულ ინფორმაციასა და ანალიზის მძლავრ ინსტრუმენტებს, რაც სივრცითი ურთიერთკავშირების ასპექტებისა და მოდელების გამოვლენის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესის სანდოობა და საიმედოობა იზრდება.

გეომონაცემთა ბაზაში, დეტალურად აისახება როგორც ყველა ტიპის ობიექტი (ნაკვეთები, ქუჩები, შენობები და სხვა ვექტორული ფენები), ასევე მიწათსარგებლობის იურიდიული დოკუმენტაცია, ძველი შენობების ფოტოები და ა. შ.

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის პაკეტის თანმიმდევრული დამუშავებისას ხორციელდება ქალაქმშენებლობითი ინფორმაციული სისტემის რესურსების ფორმირება, რომლებიც მოიცავენ შემდეგ მონაცემებს:

- ტერიტორიის მდგომარეობას, მათი გამოყენების ფორმებსა და გარე პირობებს;
- ქალაქმშენებლობით რეგლამენტებს;
- ტერიტორიების საკადასტრო მონაცემებს;
- საერთო ქალაქმშენებლობით სამართლებლივ და ნორმატიულ დოკუმენტაციას მოცემული ტერიტორიისათვის;
- მიწის ნაკვეთებისა და შენობების განაწილებას საკუთრებისა და გამოყენების ტიპის მიხედვით;
- საცხოვრებელი ზონების ნაკვეთების ათვისების ტიპებს;
- მოსახლეობის სიმჭიდროვეს მოცემული ტერიტორიისათვის;
- განაშენიანების სიმჭიდროვეს მოცემული ტერიტორიისათვის;
- სოციალური ინფრასტრუქტურისა და საინჟინრო-ტექნიკური ქსელის ობიექტების ადგილმდებარეობას და სხვა.

ქვემოთ მოცემულია ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური (დარგობრივი) და სოციალური საკითხების SWOT ანალიზი.

ქედის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობის, ცხოვრების დონის, განათლების დონისა და მუშახელის ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. ბუნებრივი მატების ხარჯზე მოსახლეობის ზრდის ტემპი; 2. შრომისუნარიანი და შრომის-უნარიანზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი; 3. სოფლად მოსახლეობის სტაბილურობა; 4. სამუშაო ძალის სიაფე; 5. შრომისმოყვარე მოსახლეობა; 6. ზრდასრული მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მიღებული აქვს საშუალო განათლება; 7. მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით მზარდი დინამიკა. 8. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა იღებს ფინანსურ დახმარებას ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს მეშვეობით; 9. თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი (არსებული მკვეთრად გამოიკვეთება სოფლად). 10. უმუშევრობის დონე შემცირებულია ძირითადად სამშენებლო სექტორში ქალაქის მიმართულებით მიგრაციისა და ქვეყნის გარეთ შრომითი მიგრაციის ხარჯზე.	1. მოსახლეობის მიგრაცია მუნიციპალიტეტიდან და ქვეყნიდან; 2. დემოგრაფიული პროცესების მართვის დაბალი დონე; 3. სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი; 4. უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის არასაკმარისი ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე; 5. სუსტად განვითარებული დასაქმების ინფრასტრუქტურა. 6. შემოსავლების ზრდის ტემპი ჩამორჩება ინფლიაციისა და ფასთა ზრდის მაჩვენებელს; 7. მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე; 8. მაღალი უმუშევრობის დონე, დასაქმების ძირითად წყაროს საჯარო სექტორი წარმოადგენს.
შესაძლებლობები	საფრთხეები

1. შრომის ბაზრის ძლიერი ინფრასტრუქტურის შექმნა; 2. განათლების სისტემის სრულყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; 3. კვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, განათლების სისტემის და კერძო სექტორის მიერ; 4. უმუშევრობის დაძლევა კერძო ინვესტიციების ზრდის ხარჯზე; 5. უმუშევრობის დაძლევა მთავრობის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯზე.	1. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და არახელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება; 2. გარე და შიგა მიგრაციის ფართო მასშტაბები; სოფლების დეპოპულაცია.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სვოთ ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება; 2. ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ნოტიო ჰავა; 3. ნაყოფიერი ნიადაგები; 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესის ზრდა გარემოსდაცვითი პრობლემატიკით; 5. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის ზრდა გარემოსდაცვითი საკითხებით; 6. აჭარაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის რეგიონული მმართველობის ორგანოს არსებობა და საქმიანობის ეფექტურობის ზრდა; 7. დაცული ტერიტორიები; 8. მიზნობრივი პროგრამების არსებობა; 9. მუნიციპალიტეტის მტკნარი მიწისქვეშა წყლების მარაგი;	1. მწირი ფინანსური რესურსები; 2. ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაგავსაყრელების არ არსებობა. უნებართვო ნაგავსაყრელების სიმრავლე; 3. მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე; 4. სოფლებში წყალსადენის ქსელის და სათავე ნაგებობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; 5. მცირე მდინარეებში საკანალიზაციო წყლების ჩაშვება; 6. დაბინძურების კერების სიმრავლე; 7. გარემოსდაცვითი ნორმატივების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა და ნორმების არასათანადოდ დაცვა; 8. ტყის უნებართვო ჭრის ფაქტები; 9. დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობა, რიგ ადგილებში სოციო-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინტერესების კონფლიქტი; 10. ბიომრავალფეროვნების არა სრულყოფილი მონიტორინგი;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
1. ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. ნაგავსაყრელების მოწყობა; 3. გადამამუშავებელი ეკოლოგიურად სუფთა საწარმოების განვითარება; 4. საინვესტიციო პროექტები.	1. ეკონომიკური მდგომარეობის შესაძლო გაუარესება; 2. დაფინანსების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები; 3. გლობალური დათბობის გავლენით ქედის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილება;

ტურიზმის სვოთ ანალიზი:

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. უნიკალური ტურისტული რესურსების	1. მოკლე ტურისტული სეზონი; 2. ტურისტული საწარმოების (სასტუ-მროები,

მრავლაფეროვნება; 2. უვიზო შემოსვლა მიზნობრივი ტურისტული ბაზრებიდან (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, ევროპის ქვეყნები); 3. ლიბერალური სავიზო პოლიტიკა სხვა ქვეყნების მიმართ; 4. საერთაშორისო აეროპორტის არსებობა; 5. ინვესტიციების დიდი ნაკადი ტურიზმის სფეროში; 6. უსაფრთხო გარემო. 7. ტრადიციული სტუმართმოყვარეობა; 8. ტრადიციული ღონისძიებები; 9. დამუშავებული მრავალფეროვანი ტურისტული მარშრუტების არსებობა; 10. დაცული ტერიტორიების არსებობა.	კვების, გართობის ობიექტების და სხვა) ნაკლები დატვირთვა; 3. ტურისტული პროდუქტის ფასისა და ხარისხის შეუსაბამობა; 4. ადგილობრივი ტურისტული სააგ-ენტოების გამოუცდელობა და ნაკლები ინტერესი შემომყვანი ტურიზმის მიმართ; 5. მომსახურების დაბალი დონე; 6. უცხოელ ტურისტებთან კომუნიკაციის დროს ენობრივი ბარიერი; 7. საზოგადოების დაბალი ცნობიერება ტურიზმის, როგორც დარგის მიმართ; 8. საგზაო ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარება საექსკურსიო ობიექტებთან; 9. ტურისტული ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა; 10. მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის სიმცირე (პიარი და რეკლამა); 11. ისტორიული ძეგლების ძირითადი ნაწილი შემონახულია მხოლოდ ნანგრევების სახით და არ აქვს სანახაობრივი მხარე.
შესაძლებლობები 1. ახალი ბაზრების ათვისება; 2. ბაზრის მოთხოვნებიდან 3. გამომდინარე დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების შემოყვანა, ჩარტერული რეისების დანიშვნა, პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა აზერბაიჯანთან, სომხეთთან, სამომავლოდ თურქეთთან; 4. საავტომობილო სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება; 5. ტურისტული სეზონის გახანგრძლივება მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების ფორმირების გზით; 6. უცხოური ინვესტიციების ზრდა; 7. საგადასახადო შეღავათების დაწესება.	**საფრთხეები** 1. კონკურენციის ზრდა სხვა ქვეყნების მხრიდან; 2. ეკოლოგიური პრობლემები; 3. ქვეყანაში არსებული კონფლიქტური რეგიონების გამო საქართველოს არასახარბიელო იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე.

სოფლის მეურნეობის სვოთ ანალიზი

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
1. მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. უნიკალური სუბტროპიკული ბუნებრივ-კლიმატური პირობები; 2. ორგანული პროდუქციის წარმოებისათვის ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები; 3. ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნილება; 4. შრომითი რესურსების არსებობა; 5. მუნიციპალიტეტის აგრარული სექტორის მრავალდარ-	1. დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების სიმცირე; 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების დაბალი დონე; 3. მსხვილ და საშუალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიმცირე; 4. ახალი ტექნოლოგიების დეფიციტი და აგროტექნიკის დაბალი დონე; 5. მექანიზაციის დაბალი დონე, სოფლად

გობრიობა; 6. საბანკო/საკრედიტო/სალიზინგო ორგანიზაციების დაინტერესება აგროსასურსათო სექტორით და მომსახურების ხელსაყრელი პირობები (დაბალი საპროცენტო განაკვეთი) და სხვა;	ხელით შრომის მაღალი ხვედრითი წილი; 6. სანაშენე, სანერგე, მეთესლეობის, ჯიშთა გამოცდისა და მცენარეთა დაცვის, სამელიორაციო, ვეტერინარული, აგროსაინჟინრო და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე; 7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემგროვებელი, სასაწყობო და სარეალიზაციო მომსახურების ინფრასტრუქტურის დაბალი დონე; 8. მაღალი დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე 9. აგრომეწარმეთა აგროტექნიკური და მარკეტინგული ცოდნის დაბალი დონე, კონსერვატიული დამოკიდებულება სიახლეებისადმი; 10. აგრომეწარმეთა საინფორმაციო-საკონსულტაციო უზრუნველყოფის დაბალი დონე; 11. აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულთა შორის კოოპერაციისა და კონსოლიდაციის დაბალი დონე; 12. პროდუქციის ტრანსპორტირების სიძვირე და სირთულე.
შესაძლებლობები 1. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა; 3. ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება; 4. აგრომეწარმეთა შემოსავლების ზრდა; 5. საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ორიენტირება მუნიციპალიტეტის აგროსასურსათო სექტორზე; 6. აგრო-ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები.	**საფრთხეები** 1. გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა; 2. ინფლაცია; 3. გლობალური დათბობა, ბუნებრივი კატაკლიზმები, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და ა. შ ; 4. იმპორტული პროდუქციის დემპინგური ფასები, შიდა ბაზრის დაუცველობა.

ურბანული განვითარებისა და მშენებლობის სვოთ ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა; 2. ეკონომიკური ზრდის მაღალი პოტენციალი; ნებართვების გაცემის გამარტივებული წესი: ერთი ფანჯრის პრინციპი, ნებართვებზე მოსაკრებლების ოდენობის სიმცირე; 3. პრივატიზაციის ფართო არიალი; 4. იაფი მუშახელი; 5. მშენებლობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები; 6. საზოგადოების მზადყოფნა ცვლილებებისა და რეფორმებისადმი	1. მუნიციპალიტეტების, დასახლებების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის არ არსებობა; 2. სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში (მათ შორის დაგეგმარების კუთხით) საზოგადოების დაბალი ჩართულობა და საჯაროობის არასრულყოფილება; 3. საზოგადოების შედარებით დაბალი სამართლებრივი კულტურა და არასათანადო დამოკიდებულება ურბანული მემკვიდრეობისადმი; 4. კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების დეფიციტი; 5. მშენებლობის მენეჯმენტის არასათანადო დონე; 6. სოციალურად დაუცველი ფენებისთვის საბინაო ფონდის არ არსებობა;
შესაძლებლობები:	**საფრთხეები:**
1. საბანკო სექტორის გააქტიურება, იპოთეკურ და მშენებლობაზე გაცემული კრედიტების პროცენტის შემცირება; 2. ინფრასტრუქტურული პროექტებით საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება; 3. მშენებლობის პროდუქციაზე მოთხოვნის არსებობა და მოსახლეობის ნდობის ზრდა; 4. სამშენებლო სფეროში პროგრესული საწარმოო სტრუქტურების განვითარება, დასაქმებისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება; 5. ქალაქთმშენებლობითი დისციპლინის დამყარება.	1. ინვესტიციების სიმცირე; 2. გლობალური ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია; 3. მშენებლობაში გამოყენებულ მასალებზე ფასების ზრდა; 4. კვალიფიციური კადრების გადინება; 5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების გაჭიანურებით ტერიტორიების არარაციონალური გამოყენება, ქაოსური მშენებლობები;

მრეწველობის სვოთ ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
1. ხელსაყრელი პირობები გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის; 2. ახლოს არსებული იაფი ნედლეულის წყარო (პირველადი სოფლის მეურნეობა); 3. იაფი სამუშაო ძალა;	1. კაპიტალისა და ინვესტიციების სიმცირე; 2. მდარე ხარისხის ფალსიფიცირებული და არასტანდარტული პროდუქციით გაჯერებული ბაზარი; 3. მენეჯმენტის დაბალი დონე; 4. ადგილობრივი წარმოების ნედლეულისა და მასალების სამრეწველო ათვისების დაბალი დონე; 5. სამრეწველო წარმოებაზე ორიენტირებული ბიზნეს ინტელექტის ნაკლებობა და აქტიურობის დაბალი დონე; 6. კადრების დაბალი კვალიფიკაცია და შრომის დაბალი ანაზღაურება; 7. მარკეტინგის დაბალი დონე; 8. სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის არ ქონა; 9. პროდუქციისა და ბაზრების

	მრავალფეროვნების სიმცირე; 10. მსხვილ და საშუალო საწარმოთა ნაკლებობა, გარე და შიდა ბაზრების მარკეტინგული კვლებისათვის რესურსების სიმცირე; 11. ბიზნეს ასოციაციების ნაკლებობა.
შესაძლებლობები: 1. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები; 2. საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა და ახალი ბაზრების ათვისება; 3. შემოსავლების ზრდა; 4. იაფი და გრძელვადიანი საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის გადიდება; 5. კერძო სამეწარმეო ინტერესის ზრდა; 6. პრივატიზაცია; 7. შიდა მოთხოვნის არსებობა; 8. ინდუსტრიული საწარმოებისათვის აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვა 9. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; 10. ხელისუფლების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ მრეწველობის სექტორის მხარდაჭერა; 11. საგადასახადო სისტემის გამარტივება; 12. მდარე და არასტანდარტული სამრეწველო პროდუქციის იმპორტის შეზღუდვა.	**საფრთხეები:** 1. მსოფლიო ფინანსური კრიზისი; 2. იმპორტული პროდუქციის დემპინგური ფასები; 3. არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა; 4. საწარმოების დახურვა.

ინფრასტრუქტურის სვოთ ანალიზი:

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. ქედის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა: 2. რეგიონში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: • ბათუმის აეროპორტის საერთაშორისო მნიშვნელობა; • თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და საერთაშორისო სტანდარტების აეროპორტი; • აჭარის სარკინიგზო კვანძისა და მისი ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა; • თბილისი-ბათუმი-სტამბოლის ავტომაგისტარილით საერთაშორისო გადაზიდვების წარმოება; • ბათუმი-ხელვაჩაური-სამცხე-ჯავახეთი საავტომობილო სავშირის არსებობა; 3. ქედის მუნიციპალიტეტის როლი ქვეყნის სატრანზიტო დერეფნისა და ლოგისტიკის შემდგომი განვითარების კუთხით; 4. ინფრასტრუქტურულ პროექტებში	1. მოძველებული სატრანსპორტო საშუალებები და მათი შეუსაბამობა საერთაშორისო ეკოლოგიურ და ტექნიკურ ნორმებთან; 2. ტრანსპორტის დარგში დამხმარე სატრანსპორტო მეურნეობების განვითარების დაბალი დონე; 3. თანამედროვე სტანდარტების ავტოსადგურების არ არსებობა; 4. საავტომობილო გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა; 5. სოფლის გზების ცუდი მდგომარეობა და რეაბილიტაციის დაბალი ტემპი; 6. მუნიციპალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა; 7. მუნიციპალური ტრანსპორტის არ არსებობა; 8. ტურისტულ ზონებში ინფრასტრუქტურის არარსებობა ხელს უშლის ტურიზმის შემდგომ განვითარებას; 9. რეგიონის არასრული გაზიფიცირება, განსაკუთრებით მთიან ზონებში; 10. წყლისა და საკანალიზაციო სისტემის

სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა; 5. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების თანამონაწილეობა ინფრასტრუქტურულ პროექტებში; 6. მუნიციპალიტეტში მიმდინარე ჰიდროელექტო სადგურების მშენებლობა.	ამორტიზირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 11. გამწმენდი ნაგებობების არარსებობა. წყვეტილი წყალმომარაგება და მიწოდებული წყლის დაბალი დონე; 12. სოფლები და ადმინისტრაციული ერთეულები სარგებლობენ საკუთარი ავტონომიური სარწყავი არხებით; 13. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ფეკალური მასების ჩადინება ხდება მდინარეებში გაწმენდის გარეშე;
შესაძლებლობები 1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში განსახორციელებელი ინვესტიციების მოზიდვა; 2. უცხოური ინვესტიციების ზრდა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში; 3. გზების რეაბილიტაცია; 4. დამატებითი სატრანსპორტო სეზონური მარშრუტები; 5. ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის მდგრადი სისტემის შექმნა.	**საფრთხეები** 1. ეკოლოგიური პრობლემის ზრდა; 2. ეკონომიკური კრიზისი; 3. ინვესტიციების მოცულობის შემცირება; 4. საწვავზე ფასების ზრდა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სვოთ ანალიზი

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
1. ჯანმრთელობის დაცვის სექტორის სადაზღვევო მომსახურებაზე გადაყვანა: 2. კერძო ინვესტიციების ზრდა ჯანდაცვის სფეროში;	1. სამედიცინო მომსახურების ხარისხის და ეკონომიკური ეფექტიანობის დაბალი დონე (დაბალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება); 3. ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის არ არსებობა; 2. პროფილაქტიკური მედიცინის განუვითარებლობა; 3. დაბალი ნდობა ადგილობრივი პერსონალის მიმართ; 4. სამედიცინო მომსახურების მაღალი ღირებულება; 5. სუსტი მენეჯმენტი; 6. მარგინალური სოციალური ჯგუფების სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; 7. დაბალი საპენსიო უზრუნველყოფა; 8. მედიკამენტებზე დაბალი ხელმისაწვდომობა; 9. სოციალური დახმარებების შეზღუდული შესაძლებლობები; 10. კერძო სამედიცინო სექტორის არასაკმარისი განვითარება; 11. სოციალური შემწეობის მიმღები მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში;

შესაძლებლობები:	საფრთხეები:
1. კადრების გადამზადება; 2. დონორების და ინვესტორების მოზიდვის პერსპექტივები; 3. უმუშევრობის და სიღარიბის დონის შემცირება;	1. ჯანდაცვის ობიექტების სტატუსისა და საკუთრების ფორმის განსაზღვრის გაჭიანურება; 2. სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტებზე ფასების მატება.

განათლების, კულტურისა და სპორტის სვოთ ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
1. ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა; 2. რეფორმებისადმი საზოგადოების მხარდაჭერა;	1. სკოლების, კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფიზიკური და მორალური შეუსაბამობა თანამედროვე სტანდარტებთან; 2. საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ დაწესებულებათა არაეფექტიანი მართვა; 3. არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა კულტურისა და სპორტის სფეროში; 4. მომსახურების საბაზრო მოთხოვნებთან შეუსაბამობა; 5. დაბალკვალიფიციური და არასაკმარისი ადამიანური რესურსი; 6. განათლების დაბალი ხარისხი და მისი შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან; 7. სპორტული ბაზების არ არსებობა; 8. ახალგაზრდების არასაკმარისი დაინტერესება სპორტითა და კულტურით;
შესაძლებლობები:	**საფრთხეები:**
1. განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ინვესტიციების ზრდა; 2. საერთაშორისო კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობა;	1. ეკონომიკური მდგომარების შესაძლო გაუარესება და ინვესტიციების შემცირება; 2. კვალიფიციური კადრების გადინება.

1-15 დასკვნები

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების არსებული მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია შემდეგი დასკვნები სექტორების მიხედვით:

რეგიონული და გეოპოლიტიკური კონტექსტები

– ქედის მუნიციპალიტეტი მონაწილეობს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში;

– ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ახალი გეოსტრატეგიული ბალანსი რეგიონში – შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ტერიტორიებზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო დერეფანი და, ასევე, ქვეყნის განსახლების „სამხრეთი ღერძის“ ფორმირება მომავალში ძალზე მნიშვნელოვან და მრავალფუნქციურ დატვირთვას მიიღებს, რაც გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით მოწყობაზე.

მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები:

– ქედის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული პროცესების მართვის დაბალი დონე;
– შიდამიგრაციული ნაკადები და უკონტროლო გარე შრომითი მიგრაცია;
– დეპრესიული დასახლებების მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის არაეფექტურობა;
– სტიქიით დაზარალებული ოჯახების (ეკომიგრანტების) ჩასახლების ადგილების შერჩევის მეთოდებისა და მათი რეაბილიტაცია/ადაპტაციის ფორმების არარსებობა;

განსახლების სისტემა

– განსახლების სისტემის სოციალურ-ეკონომიკური, განვითარებისა და მმართველობითი უზრუნველყოფისათვის მუნიციპალური ცენტრის არსებობის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა;
– ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის საკითხების გაუცნობიერებლობა;
– სივრცით-ტერიტორიული განვითარებისათვის მძლავრი, ურბანული ცენტრის არ არსებობა, რომელიც მოახდენდა რესურსების აკუმულირებას, განვითარებას და მიმდებარე სოფლების სივრცით-ტერიტორიულ განვითარებას.

სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება

– ქედის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტულობის არაეფექტური გამოყენება;
– დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების სიმცირე და მათი არაეფექტიანი გამოყენება;
– მსხვილი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სიმცირე, აგროტექნიკის, მექანიზაციის, ახალი ტექნოლოგიების დეფიციტი და დაბალი დონე; სოფლად ხელით შრომის მაღალი ხვედრითი წილი;
– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემგროვებელი, სასაწყობო და სარეალიზაციო მომსახურების ინფრასტრუქტურის სიმცირე;
– პროდუქციის ტრანსპორტირების სიძვირე და სირთულე.
– აგროგანათლების დაბალი დონე;
– სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამელიორა-ციო, აგროსაინჟინრო და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე;
– სამონადირეო მეურნეობის არ არსებობა;
– ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური და ექსკლუზიური პროდუქციის წარმოება მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის და/ან ადგილობრივ ბაზარზე სარეალიზაციოდ;
– სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების გაუმართაობა;
– სამთო მიწათმოქმედების პრობლემების სიმწვავე;
– რეგიონში მწვავე ეროზიული ზონების არსებობა;
– მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა აგროტექნიკის თანამედროვე მეთოდების შესახებ.
– აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულთა შორის კოოპერაციისა და კონსოლიდაციის დაბალი დონე;

სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა

– მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულსა და სოფელში არსებობს სამანქანე გზა, მაგრამ დაბალია შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის ტემპი;
– მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილია სამგზავრო მიმოსვლით;
– მუნიციპალიტეტში არსებობს კავშირგაბმულობის საწარმო, ფუნქციონირებს საფოსტო კავშირი; მუნიციპალიტეტის ტერიტორია სრულადაა დაფარული ფიჭური კავშირგაბმულობით;
– მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთლიანადაა დაფარული სატელევიზიო სიგნალით, რითიც მათ მიეწოდებათ სამი ნაციონალური და ერთი რეგიონალური არხის მუწყებლობა;
– ლოგისტიკური მომსახურების განუვითარებლობა;
– ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესში გარემოსდაცვითისა კითვხების, წყლით დასაფარი ტერიტორიისა და ინფრასტრუქტურის დანაკარგის შეფასების არასრულყოფილი დონე;
– მუნიციპალიტეტი მთლიანად არის დაფარული ელექტროგამანაწილებელი ქსელებით;
– მოსახლეობა სარგებლობს თხევადი აირით;
– საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფილია მხოლოდ დაბა ქედის ტერიტორია;
– სოფლებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემების გაუმართაობა; მუნიციპალური და სამეწარმეო ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურება.

საცხოვრისი

– სოციალური (ხელმისაწვდომი) საცხოვრისის პრობლემატიკისადმი არასათანადო ყურადრება;

შრომის ბაზარი

– უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია, დასაქმების ძირითად წყაროს საჯარო სექტორი წარმოადგენს;
– სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი;
– სუსტად განვითარებული დასაქმების ინფრასტრუქტურა,
– უცხო ენისა და კომპიუტერის ცოდნის დაბალი დონე.

მრეწველობა

– მრეწველობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების არასათანადო დონე;
– მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის მექანიზმების არარსებობა;
– ადგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოების დაბალი მაჩვენებელი;
– გრძელვადიანი და იაფი საკრედიტო რესურსების ნაკლებობა;
– კაპიტალისა და ინვესტიციების სიმცირე;
– სამრეწველო წარმოებაზე ორიენტირებული ბიზნეს ინტელექტის ნაკლებობა და აქტიურობის დაბალი დონე;
– კადრების დაბალი კვალიფიკაცია და შრომის დაბალი ანაზღაურება;
– საგარეო ბაზრების მოძიების სისუსტე, უცხოურ ბაზრებზე დამკვიდრების დაბალი ხარისხი;
– სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის არ ქონა;
– ბიზნეს ასოციაციების ნაკლებობა.

ურბანული განვითარება და მშენებლობა

– ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის არარსებობა;
– მუნიციპალიტეტში სამშენებლო სექტორის არ არსებობა;
– საზოგადოების შედარებით დაბალი სამართლებრივი კულტურა და არასათანადო დამოკიდებულება ურბანული მემკვიდრეობისადმი;

ჯანდაცვა

– სამედიცინო მომსახურების ხარისხის დაბალი დონე (დაბალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება);
– პროფილაქტიკური მედიცინის განუვითარებლობა;
– დაბალი ნდობა ადგილობრივი პერსონალის მიმართ;
– სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის არარსებობა;
– მედიკამენტებზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
– სოციალური დახმარებების შეზღუდული შესაძლებლობები;
– კერძო სამედიცინო სექტორის არასაკმარისი განვითარება;
– სოციალური შემწეობის მიმღები მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში;

განათლება

– განათლების დაბალი ხარისხი და მისი შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან;
– განათლების სისტემაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა-განვითარების დაბალი ტემპი (დისტანციური განათლება, მცირეკონტიგენტიანი სკოლები და სხვა);
– საშუალო სკოლის პედაგოგების კვალიფიკაციის არადამაკმაყოფილებები დონე;
– რეგიონალურ და ნაციონალურ საგანმანათლებლო კონკურსებში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობა.

კულტურა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ხელოვნება

– კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვითშეგნების დაბალი დონე;
– კულტურული მემკვიდრეობის ყველა სახეობის უძრავი ობიექტის არასათანადო დაცვა;

ფიზიკური კულტურა და სპორტი

– სპორტული ცენტრების და სპორტული ნაგებობების ქსელის ნაკლებობა;
– საჯარო სკოლებში სპორტული დარბაზების და ღია მოედნების ინვენტარით აღჭურვის დაბალი დონე და ხარისხი;

- დაბალკვალიფიციური და არასაკმარისი ადამიანური რესურსი;
- მოსახლეობის დაბალი ფიზიკური კულტურა;
- პროფესიულ სპორტში ნაკლები მიღწევები;
- ახალგაზრდების არასაკმარისი დაინტერესება სპორტითა და კულტურით;
- ინვესტიციების სიმცირე სპორტისა და კულტურის სფეროში.

საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი და ტურიზმი

- ქედის მუნიციპალიტეტის მოკლე ტურისტული სეზონი;
- ტურისტული ობიექტების (სასტუმროები, კვების, გართობის ობიექტების და სხვა) სეზონური დატვირთვა;
- მომსახურების დაბალი დონე;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
- ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების გაუმართაობა;
- ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის სიმცირე (რეკლამა);
- საკურორტო პოტენციალის არასრულყოფილად გამოყენება;
- ტურისტული პროდუქციის სახეობების შეზღუდული გამოყენება;

დაცული ტერიტორიები, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

- დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობა, რიგ ადგილებში სოციო-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინტერესების კონფლიქტი;
- ბიომრავალფეროვნების არასრულყოფილი მონიტორინგი;
- ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლების, ნიადაგის ხარისხის დაბალი მაჩვენებლები, მავნე ანთროპოგენური ფაქტორების (მაიონებელი რადიაცია, ვიბრაცია, ხმაური, ელ.მაგნიტური გამოსხივება და სხვა ამგვარის) მოქმედება;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემების გადაუწყვეტელობა;
- წყალაღების ადგილებში სანიტარული დაცვის ზონების არარსებობა;
- ყველა კატეგორიის მყარი, აგრეთვე, თხევადი და გაზისებრი ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდების გამოუყენებლობა;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგისათვის არასაკმარისი აღჭურვილობა და შესაბამისად არასრული სურათი;
- მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე;
- ზღვის სანაპირო ზოლისა და აკვატორიის დაბინძურება;
- ჰაერის დაბინძურების მოძრავი წყაროების სიმრავლე;
- ტყის უნებართვო ჭრის ფაქტები და ჭრის ადგილებში დარჩენილი ძირნაყარი ხე-ტყე;;
- ტყის დამცავი ზოლების მნიშვნელოვანი შემცირება;

II



ქედის მუნიციპალიტეტის ხედვა

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის (შემდგომ - „გეგმა“) ნაწილი „ხედვა“, ეფუძნება „საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიას 2010-2017 წ.წ.“ და „გეგმის“ I ნაწილის -„ქედის მუნიციპალიტეტის ნარკვევის“ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე, მუნიციპალიტეტში ჩატარებული მიზნობრივი სოციოლოგიური კვლევისა და მოსახლეობის დაინტერესებულ ჯგუფებთან ჩატარებული „გეგმის“ განხილვის შედეგებს .

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის (შემდგომ - „გეგმა“) ნაწილი „ხედვა“, ძირითადად, უნდა პასუხობდეს კითხვას, თუ როგორი უნდა გახდეს „ქედის მუნიციპალიტეტი 2020 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო ინტერესების, მდგრადი განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის თვალსაზრისით. ქედის მუნიციპალიტეტში სექტორული მიზნების მისაღწევად, „გეგმა“, წარმოადგენს დარგობრივ გეგმათა ჰარმონიზების კონკრეტულ ფუნქციურ-ტერიტორიულ ფორმატს. „ხედვის“ გათვალისწინება მით უფრო საჭიროა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების შემუშავებულ სახელმწიფო დოკუმენტებში სივრცითი მოწყობის თემა და პრობლემატიკა სრულფასოვნად წარმოდგენილი არ არის. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სივრცითი მოწყობის გეგმა მისი ინტერაქტიური ფორმატის გამო, კორექტირების უწყვეტ პროცესს გულისხმობს.

*

* *

„ხედვა“

1. საქართველოს მდგრადი განვითარების კონტექსტში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა აძლიერებს წამყვანი, „ცენტრის“ გამაწონასწორებელი რეგიონის როლს;
2. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის კონტექსტში, აჭარა გამოდის ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების მონაწილედ და ინიციატორად.
3. ქედის მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემა აგებული განვითარების ცენტრების სისტემაზე შიდატერიტორიულ დასახლებათა ფუნქციურ-გეგმარებითი კოოპერირების მეშვეობით;
4. საქართველოს განსახლების სისტემაში მზარდ მნიშვნელობას იძენს გაძლიერებული, გოდერძის უღელტეხილზე გამავალი, აჭარისა და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელი „სამხრეთის ღერძი“;
5. ქედის მუნიციპალურ ცენტრის ფუნქციას და განვითარების ფოკუსად ყალიბდება დაბა ქედა, რომელიც ასრულებს სერვისების მუნიციპალური და რეგიონული დონეების ფუნქციას;
6. ქედის მუნიციპალიტეტის თანაბარი განვითარებისათვის მიმდინარეობს მის მთელს ტერიტორიაზე ზრდის ცენტრების ფორმირება/ განვითარების პროცესი;
7. ქედის მუნიციპალიტეტის ზრდის ცენტრები ვითარდება თვითოეული მათგანისთვის შემუშავებული სტრატეგიების შესაბამისად, მიწათსარგებლობის დოკუმენტაციით;
8. მაქსიმალურად ამოქმედებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკურორტო-სარეკრეაციული პოტენციალი. საკურორტო ადგილები გეგმაზომიერად აღიჭურვება სათანადო ინფრასტრუქტურით, რაც ქმნის კურორტებად მათი გადაქცევის წინაპირობას;
9. ქედის მუნიციპალიტეტის ჰიდროქსელი უზრუნველყოფილია საინჟინრო დაცვით; წყლის ობიექტებისათვის დადგენილია წყალდაცვითი ზოლები;
10. ნიადაგები, განსაკუთრებით მთიანი ზონის დამრეც ფერდობებზე, მელიორირებულია და მუშავდება პროგრესული აგროტექნიკური მეთოდებითა და ხერხებით;
11. მიწის ფონდის სტრუქტურა მაქსიმალურად პასუხობს ფერმერთა ინტერესებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნილებებს;
12. ტარდება სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენების პრევენციისა და შედეგების შერბილების ღონისძიებათა კომპლექსი;
13. მუნიციპალიტეტის ფლორა და ფაუნა ექვემდებარება კონტროლს; დაცულია იშვიათი, ენდემური და გადაშენების პირას მყოფი სახეობები.
14. შენარჩუნებულია დადებითი დემოგრაფიული ტენდენციები; ადგილზე დასაქმების მეშვეობით შემცირებულია ცენტრისკენული და გარე მიგრაცია; ეკომიგრანტების კომპლექსურად ჩასახლების კერებთან უზრუნველყოფილია სტაბილური კავშირი;
15. მხარდაჭერილია აჭარისთვის დამახასიათებელი ტრადიციული რელიგიების კეთილგანწყობილი თანაარსებობა;
16. გაზრდილია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება; წახალისებულია იმპორტის ჩამნაცვლებელი, ნატურალური და ექსკლუზიური პროდუქციის წარმოება;

17. სატყეო ფონდის ექსპლუატაცია პასუხობს ყველა მკაცრ გარემოსდაცვით პირობებს; მიმდინარეობს ტყის აღდგენთი სამუშაოები;
18. უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსახლეობის რეგიონთაშორისი და შიდარეგიონული სატრანსპორტო კავშირები სხვადასხვა ტაქსონომიური დონის დასახლებას შორის. დიდი ყურადღება ექცევა მოძრაობის უსაფრთხოებას, გადაადგილების საშუალებათა სანდოობას, საავტომობილო ქსელისა და მაგისტრალური ქუჩების ხარისხს;
19. მიუხედავად ტრანსპორტის მოძრაობის დინამიური ზრდისა დასახლებულ ტერიტორიებზე საცხოვრებელი გარემო პირობები არ უარესდება. ამასთან, მუდმივად ხორციელდება გარემოზე გარე ფაქტორების ზემოქმედების კონტროლი;
20. ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარების ფონზე, მიმდინარეობს ჰიდროენერგორესურსების რაციონალური და კონტროლირებადი ათვისება;
21. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სრულად უზრუნველყოფილია სასმელი წყლით; ინერგება სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის ადგილობრივ პირობებზე მორგებული სისტემები, გამწმენდი ნაგებობების ჩათვლით;
22. უზრუნველყოფილია ყველა შინამეურნეობისა და საწარმოს გაზ და ელექტრომომარაგება;
23. საბინაო ფონდი პასპორტიზირებულია; შემუშავებულია საცხოვრისის განვითარების რეგიონული პროგრამები; უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი (სოციალური) საცხოვრისის გეგმიური მშენებლობა;
24. მოსახლეობა სარგებლობს ჯანდაცვის თანამედროვე სისტემით;
25. კულტურა და ხელოვნება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მძლავრ ქალაქმაფორმირებელ ფაქტორს; მტკიცდება ფესტივალების, გამოფენების, სხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების ტრადიცია;
26. მიმდინარეობს ყველა სახის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაფარვითი ინვენტარიზაცია, ძეგლის სტატუსის მინიჭება, დამცავი ზონების დადგენა-დამტკიცება;
27. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვას;
28. ვითარდება მოსახლეობაში, უწინარესად, ახალგაზრდობაში, ფიზიკური კულტურისადმი სწრაფვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
29. ტურიზმი ქედის მუნიციპალიტეტისდივერსიფიცირებულია სახეობებისა და სეზონურობის თვალსაზრისით;
30. ვითარდება ქედის მუნიციპალიტეტის დაცული ტერიტორიების სისტემა;
31. აწყობილია გარემოს მონიტორინგისა და დაცვის სისტემები.
32. ნარჩენების მართვა პასუხობს ყვალა ეკოლოგიურ მოთხოვნასა და სტანდარტს.
33. სოციალური დაცვის სისტემა ორიენტირებულია მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების ღირსეულ ინტეგრაციაზე საზოგადოებაში.
34. უზრუნველყოფილია მოსახლეობისა და ტურისტების დაცულობა.
35. შემუშავებულია განვითარების ინდიკატორები.
36. გააქტიურებულია ადგილობრივი თვითმმართველობა.
37. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მაქსიმალურადაა ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ნებისმიერი გადაწყვეტილების პრაქტიკულ რეალიზაციას წინ უსწრებს მისი სამართლებრივად ორგანიზებული საჯარო განხილვა.

2-1 ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის (დოკუმენტის) რაობა და შემადგენლობა

სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ სტრუქტურას, მათ შორის:

- სივრცის კატეგორიებს: ურბანიზებული ტერიტორია, სასოფლო ტერიტორია, ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია, სპეციალური ტერიტორიები;
- დასახლებათა სტრუქტურას და განვითარების ცენტრების იერარქიას;
- ძირითად საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციებს;
- ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითად გეგმარებით ღერძებს;
- დასაქმებისა და საცხოვრებლის განვითარების ადგილებს, სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიებს;
- სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორიებს;
- ბუნებრივი ლანდშაფტის სტრუქტურის გაუმჯობესების წინაპირობებს;
- დაცული ტერიტორიების სისტემას;

- სოფლის მეურნეობის განვითარების ტერიტორიებს;
- სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიებს;
- წიაღისეულის მოპოვების ადგილებს;
- წყლის ობიექტებსა და წყალშემკრებ ტერიტორიებს;
- სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყენებულ ტერიტორიებს;
- თავდაცვის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერიტორიებს;
- მიწათსარგებლობის ძირითად პრინციპებს.

გეგმარებითი დავალების მოთხოვნის შესაბამისად, შემუშავებულ იქნა კონცეფტუალური მიდგომები ჩამოთვლილი საკითხების მიმართ. ისინი წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

1. სივრცის კატეგორიები;
2. განსახლების სტრუქტურა და განვითარების ცენტრების იერარქია;
3. ბუნებრივი რესურსები;
4. დაცული ტერიტორიები, ბიომრავალფეროვნება და ლანდშაფტები;
5. ბუნებრივი კატასტროფების მართვა, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
6. კულტურული მემკვიდრეობა;
7. საცხოვრისი და სოციალური ინფრასტრუქტურა;
8. ტრანსპორტი;
9. საინჟინრო ინფრასტრუქტურა (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, კავშირგაბმულობა, ნარჩენების მართვა);
10. სოფლის მეურნეობა;
11. ტურიზმი, კურორტები და რეკრეაცია.

2-2 ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები

ქედის მუნიციპალიტეტის, როგორც დინამიკურად განვითარებადი ორგანიზმის სივრცითი განვითარება, გულისხმობს როგორც მთელი მუნიციპალიტეტისა თუ მისი ზონების, ისე ცალკეული დასახლებების გეგმარებითი სტრუქტურის ცვლილებებს, მათ პასუხებს ახლებურ გამოწვევებზე. არსებითია, რომ ასეთი ცვლილების შედეგები მთლიანად მუნიციპალიტეტის და, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად რეგიონისა თუ ქვეყნის მდგომარეობაზე არსებით გავლენას ახდენს. სწორედ ამ კუთხითაა განსახილველი ის სავარაუდო თუ სასურველი ფუნქციურ-გეგმარებითი ტრანსფორმაცია, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტს და მისი განვითარების ცენტრებს ეხება.

ხაზგასასმელია, რომ სივრცითი განვითარების კონცეფციის პრინციპულ საკითხს წარმოადგენს განვითარების ცენტრების ფორმირება არა როგორც თვითმიზანი, არამედ, როგორც მუნიციპალიტეტის/რეგიონის/ქვეყნის სივრცითი მოდერნიზაციის საშუალება.

ამასთან, ცნობილია, რომ ადამიანური სტრუქტურების ეფექტიანობის ზრდა რესურსული პოტენციალის ურთიერთგაზიარებით არის განპირობებული. ამიტომ, ხედვაში განსაზღვრული განვითარების ცენტრები (დაბები, სოფლები) ეფექტურები იქნებიან მხოლოდ თავისივე მსგავს სტრუქტირებთან მჭიდრო კავშირში. ანუ, აქ უნდა მუშაობდეს ე.წ. კლასტერული მიდგომა.

ცხადია, კლასტერები გამოირჩევიან კულტურულ-ჩვევითი, ტრადიციული, ტერიტორიული და სოციალური თავისებურებებით და როგორც წესი გააჩნიათ მეტნაკლებად ერთიანი სახით წარმოდგენილი რესურსული პოტენციალი.

განვითარების სტრუქტურებს აქვთ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა დასახლებათან, რათა გამოყენებულ იქნას მისი რესურსები განვითარების იმპულსების სახით.

ამასთან, განვითარების ცენტრებს აქვთ კულტურულ-ეკონომიკური კავშირები როგორც რეგიონის დასახლებებთან, ასევე ქვეყნის მთელ ტერიტორიასთან.

მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური ცხოვრების აქტივიზაცია და თვითგანვითარება.

განვითარების ცენტრების სისტემის გააზრება მნიშვნელოვანია არსებულ დასახლებათა შორის ურთიერთხელშემწყობი და სათანამშრომლო გარემოს შექმნისათვის.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებისათვის დამახასიათებელია შიდარეგიონული განსხვავებულობა, რაც ვლინდება ზღვისპირა დასახლებების შედარებით მაღალი განვითარებულობისა და ურბანიზებულობის ხარისხით შიდა აჭარის დასახლებებთან შედარებით. ამ უკანასკნელში განსაკუთრებით იგრძნობა რესურსების დეფიციტი და სოციალური პრობლემების ზრდა. აქედან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ახალი პრიორიტეტების ძიება და რეალიზება, საკუთარი მომავალი ზრდის დაგეგმვა.

ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ეყრდნობა სივრცითი განვითარების დაგეგმვას, რომელიც დაფუძნებულია მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანი უპირატესობების შეფასებაზე, შრომის რაციონალურ განაწილებასა და ეკონომიკური ინტეგრაციის პრინციპებზე.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კომპლექსურმა ანალიზმა, რომელიც შესრულდა წინამდებარე კვლევის I ნაწილში, გამოავლინა მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ტერიტორიული ტრანსფორმაციის საკითხებში მდგრადი ტენდენციები:

– ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს დეპრესიულ, პერიფერიულ რეგიონს ისტორიულად ჩამოყალიბებული სუსტი განსახლების სისტემით და სამეურნეო დარგების სტაგნაციით. მასში გამძაფრებულია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მიმდინარეობს მოსახლეობის მიგრაცია უფრო მეტად განვითარებულ რეგიონებში და ა.შ.;
– აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტი ხასიათდება მოსახლეობის კლების ტენდენციით;
– დასახლებათა კონცენტრაციის თვალსაზრისით გამოკვეთილია აღმოსავლეთ-დასავლეთის განსახლების მიმართულება, თუმცა ეს ღერძი ფუნქციური დატვირთების მხრივ ძალზე სუსტია და ვერ უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობასა და განვითარებას;
– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებათა იერარქია წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ქალაქური ტიპის დასახლებით- დაბა ქედა და თითქმის თანაბარი ზომისა და მოსახლეობის რიცხოვნობის მქონე სოფლებით. ამასთან, დაბა ქედა უფრო სოფლის ტიპის დასახლებაა ვიდრე დაბა;
– ქედის მუნიციპალიტეტის 40 კმ-იან რადიუსში ერთადერთ მსხვილ დასახლებას წარმოადგენს ქალაქი ბათუმი, რომელთანაც ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია ძირითადი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები;
– არსებული მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტს მონოცენტრული, ერთბირთვიანი კონსტრუქცია გააჩნია, რომლის ძირითადი განვითარებითი მასაც კონცენტრირებულია დაბა ქედაში. ამგვარი მონოცენტრულობა განსაზღვრავს მოსახლეობის მობილობის მიმართელებებს, რომლებიც ხელს უწყობს სოფლების დაცლა-მიტოვებას. ამგვარი სტრუქტურები რეგიონის განვითარებისთვის რისკის შემცველია;
– თუმცა მუნიციპალიტეტის პერიფერიულ ზონებში გამოვლენილია ისეთი ტერიტორიები, რომლებსაც გააჩნიათ სივრცით-ტერიტორიული რესურსული პოტენციალი ნაკადების აკუმულირებისათვის. ტურისტულ-რეკრეაციული და ლანდშაფტურ-კულტურული მაგნიტუდა, რომელსაც აქვს უნარი პოლიცენტული არეალების ინიციირებისა და მოსახლეობის შენარჩუნებისა სტრატეგიულად მნიშვნელოვან არეალებში უსაფრთხოების, რეკრეაციის და კულტურული მიმზიდველობის შექმნის გზით.

ახლებური სივრცითი განვითარების პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელოვან წინაპირობებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე შემდეგი პროცესები და მოვლენები:

– მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, მიგრაცია და მათი კონცენტრაცია რეგიონულ ცენტრებში, საქართველოს მსხვილ ქალაქებში; სოფლის მოსახლეობის "დაბერება";
– მუნიციპალიტეტში არსებული დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარების საკითხებში მკაფიო იდეებისა და სტრატეგიების არ არსებობა;
– დასაქმების სტრუქტურის ტრანსფორმაცია - აგრარული და ინდუსტრიული სექტორიდან მომსახურების სექტორზე კონცენტრირება;
– მოსახლეობის შრომითი ქცევის ახლებური ტიპის ფორმირება - მაქოსებრი, ყოველკვირეული, ყოველთვიური სამუშაო და სეზონური შრომითი მიგრაციის ფორმების განვითარება.

ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების სივრცით-ტერიტორიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია:

– განსახლების ტერიტორიული კარკასის ფორმირება;
– პოლიცენტრული განსახლების სტრუქტურის გააზრება;

– სივრცითი განვითარების ზრდის ცენტრების გამოვლენა და მათი გამაგრება ადმინისტრაციული, ტურისტულ-რეკრეაციული და სხვა ფუნქციებითა და ურბანული სტრუქტურებით;
– არსებული სოციალური ინფრასტრუქტურის ქსელის (სამედიცინო და საგანმანათლებლოს ჩათვლით) მოდერნიზაცია და ახლის ფორმირება/მშენებლობა;
– სარეკრეაციო და ეკონომიკური ცენტრების მიზნობრივი განვითარება.

ამგვარად, სივრცითი განვითარების პოლიტიკის განხორციელებისას საკვანძო მიდგომას წაროადგენს ტერიტორიისადმი დიფერენცირებული მიდგომა და მისი შესაბამისი ტრანსფორმაცია.

ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ უნივერსალური პრინციპების გამოყენებას, რომლებიც აისახა კონცეფტუალურ მოსაზრებებში და რომლებიც აუცილებელია როგორც მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული გეგმის შემუშავებისათვის, ასევე ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადებისათვის. ესენია:

➢ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და დასახლებათა განვითარების საკითხების ჰარმონიზება;
➢ ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეშეცვლილი გარემოს, ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტურისტული, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის უსაფრთხო და ჰარმონიული განვითარება;
➢ ჯანსაღი, უსაფრთხო და მოხერხებული საცხოვრებელი, სამოღვაწეო, ტურისტულ-სარეკრეაციო გარემოსა და პირობების შექმნა;
➢ ინვესტიციების მოზიდვის, მოსახლეობის დასაქმებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი, თანამედროვე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის, გარემოსდაცვითი, სატრანსპორტო და საინჟინრო მიდგომებისა და გადაწყვეტების გამოყენება;
➢ მწვანე ეკონომიკისა და მწვანე ლანდშაფტური დიზაინის მიდგომები და მეთოდოლოგია;
➢ უპირატესად სივრცითი განვითარების ინტენსიური მოდელის (არსებული განაშენიანებული და მათი მომიჯნავე ტერიტორიების სივრცითი რესურსის ათვისება ოპტიმალურ პარამეტრებში) გამოყენება;
➢ ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების განვითარების პრიორიტეტების დადგენა;
➢ მიწათსარგებლობის ზონებისა და ქვეზონების დადგენა;
➢ ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების პარამეტრების განსაზღვრა.
➢ მდგრადი განვითარების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირების, ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთშეთანხმება ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების საკითხებში;
➢ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში საჯაროობის, ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა;

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული განვითარების პოლიტიკის პრინციპები და მიმართულებებია:
– მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მდგრადი განვითარება;
– სტრატეგიული დაგეგმვის სახეობების ერთიანობა და სისტემურობა, ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება;
– ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ღიაობა და საჯაროობა;
– ტერიტორიის ზონირება დანიშნულების სახეობების მიხედვით და მათი განვითრების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა;
– რესურსების კონცენტრაცია და ქალაქთმშენებლობითი აქტივობა განვითარების ცენტრებში.
ამასთან, შესაძლებელია განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების პოლიტიკის შემდეგი პრიორიტეტები:
– **განსახლების სისტემის ოპტიმიზაცია** ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევისა და მუნიციპალიტეტის მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მოსახლეობისთვის სრულფასოვანი სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით;
– **მდგრადი განვითარება** ამ ტერმინის კლასიკური გაგებით;
– **ქალაქის როლის გაძლიება,** ქალაქური ცხოვრების წესის ფართო გავრცელება, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება თანამედროვე ეკონომიკისა და ცივილიზაციის გამოწვევებს, რომელიც გულისხმობს დასაქმების, სოციალური მომსახურების არჩევის თავისუფლებასა და ფართო შესაძლებლობებს და მთლიანობაში თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს;

– **მიზნობრივი მართვა,** რომელიც გულისხმობს მიზნობრივი მმართველობითი ზემოქმედების გამოყენებას (ფინანსური თუ არაფინანსური) სტრატეგიით განსაზღვრულ ზრდის ცენტრებში;
– **ბალანსი** ბიზნეს ინიციატივებს, ინვესტორების მოთხოვნილებებსა და მუნიციპალიტეტის განვითარების სისტემურ ხედვას შორის;
– **დეპროვინციალიზაცია** - დაბა ქედის და „ხედვაში“ გამოვლენილ დასახლებებში ურბანულ სრუქტურების „სახის“ შეცვლა - პროვინციული დასახლებიდან დამოუკიდებელ პატარა ევროპულ დასახლებებად ტრანსფორმაცია. საჭიროა დინამიური ინოვაციური საქალაქო სტრუქტურული წარმონაქმნების ხელშეწყობა, რომელბიც შესატყვისი იქნება თანამედროვე ახალგაზრდობისთვის თვითრეალიზაციის განსახორციელებლად.

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების საკვანძო პრინციპია მისი ტერიტორიის დიფერენციაცია, ქალაქთმშენებლობითი აქტივობისა და რესურსების კონცენტრაცია ზრდის საკვანძო ცენტრებში; დასახლებათა ქსელის საფუძველზე განსახლების კარკასის ფორმირება და განვითარება. ამასთან ერთად, ცვლილებები გულისხმობს ბუნებრივი კარკასის განვითარებას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ბუნებრივი ტყის მასივებისა და ღია ლანდშაფტების უწყვეტი ქსელის ფორმირებას.

აღსანიშნავია, რომ საკვანძო ტერიტორიების განსაზღვრა და მათი განვითარების კონკრეტული გზების დასახვა საბიუჯეტო და საინვესტიციო რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა. ხოლო ტერიტორიების განვითარების მიზნობრივი პარამეტრების დადგენა საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ მონიტორინგი და ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილებებისას მოვახდინოთ შესაბამისი კორექტირება.

2-3 განვითარების შეზღუდვები

ქედის მუნიციპალიტეტზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი შეზღუდვები - როგორც გარემოსდაცვითი, ისე სანიტარული, ნაპირდაცვითი, ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით.

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს სპეციალური და განსაკუთრებული კატეგორიების დაცვის ტერიტორიებს. კერძოდ, საქართველოს კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ იძლევა „განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონის“ და „მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონის“ აქტუალურ დეფინიციებს (მ. 3):

„ფ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონა – საქართველოს კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერიტორიები, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიები, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, საკურორტო-სარეკრეაციო და სხვა ზონები, სადაც მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის დადგენილია დამატებითი პირობები;“
„ღ) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა – საქართველოს დედაქალაქის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების, საკურორტო და სარეკრეაციო ზონების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების ის ნაწილები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;“

თანამედროვე პირობებში, მდგრადი განვითარებისა და სივრცითი წესრიგის მიღწევა შეუძლებელია მკაფიოდ, ცალსახად განსაზღვრული განვითარების შეზღუდვების საყოველთაოდ გაცნობიერებისა და განუხრელად აღსრულების გარეშე. სწორედ ასეთი შეზღუდვები აყალიბებს სივრცეს, სადაც ქალაქგანვითარების სუბიექტებს შორის შესაძლებელი საკონფლიქტო სიტუაციები გამორიცხული თუ არა, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. მეტიც, სწორედ განვითარების შეზღუდვების კონკრეტულ ტერიტორიაზე პროეცირება წარმოადგენს რეგიონის სივრცითი მოწყობის სქემის უმთავრეს მიზანსა და არსს. ამ მიმართულებით ხორციელდება სივრცითი მოწყობის, ურბანისტიკის სექტორული, დარგობრივი ინტერესების მაინტეგრირებელი როლი. ცხადია, ამ თვალსაზრისით არც „ქედის მუნიციპალიტეტისსივრცითი მოწყობის გეგმაა“ გამონაკლისი, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს განვითარების შეზღუდვის სისტემა წარმოადგენს.

განვითარების შეზღუდვის სისტემა რამდენიმე სფეროს მოიცავს. აქ განვიხილავთ სისტემის იმ კომპონენტებს, რომლებიც აქტუალურია დასახლებების დონეზე და მათი უმრავლესობა მათ განვითარებაზე ახდენს გავლენას. ამ თვალსაზრისით, „გეგმაში“ გასათვალისწინებელია შეზღუდვების შემდეგი კომპონენტები:

- სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული;
- ბუნებრივ-გეოგრაფიული;
- გარემოსდაცვითი;
- საკურორტო-სანიტარიული;
- ძეგლთადაცვითი;
- ინფრასტრუქტურული;
- სპეციალური.

ამგავარი შეზღუდვების ფუნქციურ-ტერიტორიული წინაპირობები, ბუნებრივია, ერთმანეთისგან განსხვავდება და, ამიტომაც ისინი ცალ-ცალკეა განსახილველი.

2-3.1 სახელმწიფო საზღვარი

განვითარების შეზღუდვის სისტემის ჩარჩო პირობები იმთავითვეა განსაზღვრული. უწინარესად ეს არის „გეგმის“ შემუშავების ტერიტორიული საზღვრები, რომლებიც სახელმწიფო საზღვრისა და საქართველოს რეგიონთაშორისი ადმინისტრაციული საზღვრის მონაკვეთებისაგან შედგება. ამათგან განსაკუთრებული შეზღუდვების უზრუნველყოფას სახელმწიფო საზღვარი მოითხოვს.

განვითარების შემზღუდავ პირობებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ადგენს საქართველოს კანონები „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1999 წელის 20 დეკემბრის №676 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“. ეს ნორმატიული აქტები ადგენს ძირითად ცნებებს:

- საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს – გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან;
- სახელმწიფო საზღვრის დაცვა – სამართლებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-ოპერატიული, ოპერატიულ-სამძებრო, საინჟინრო-ტექნიკური, სარეჟიმო, ორგანიზაციული, ეკოლოგიური, სანიტარიული და სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობას, სასაზღვრო ზონაში, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო გამტარ პუნქტებში დადგენილი წესების შესრულებასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას;
- სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი – სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესი; საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო და არასამხედრო გემების საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში ყოფნისა და ცურვის წესები, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების წესები;
- სასაზღვრო ზონა – „სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან სანაპირო ზოლიდან საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემავალი არა უმეტეს 5 კილომეტრის სიგანის სახმელეთო ზოლი, აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომის), რკინიგზის სადგურის, საერთაშორისო სამდინარო და საზღვაო პორტის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი;
- სასაზღვრო ზოლი – „არა უმეტეს 500 მეტრის სიგანის სასაზღვრო ზონის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს;

ამასთან, კანონის თავი III, მუხლი 25 განმარტავს, რომ:

- „4. სასაზღვრო ზოლის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა. ამ მონაკვეთზე ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლებს, ფლორასა და ფაუნას იცავს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების უშუალო მონაწილეობით.“;
- 5. სასაზღვრო ზოლში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული მის მოვლასთან, სასაზღვრო ნიშნების შემოწმებასთან და სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს სასაზღვრო ზოლში დაუშვას გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა;
- 6. სასაზღვრო ზოლის რეჟიმი არ ვრცელდება დასახლებულ პუნქტებზე. მოსახლეობის დასვენების ადგილებში სასაზღვრო ზოლის რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სპეციალურად დადგენილ ტერიტორიაზე“.

კანონი, ასევე, განსაზღვრავს სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შესაძლებლობას. „პირმა, რომელიც აპირებს ასეთ საქმიანობას, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხასიათი, ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ადგილი, დრო და ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირი. (მ. 28, პ. 1).

2-3.2 ბუნებრივ-გეოგრაფიული

განვითარების შეზღუდვის ბუნებრივ-გეოგრაფიული კომპონენტი ითვალისწინებს ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებულ და მოსალოდნელ, ბუნებრივი მდგომარეობით, მოვლენებითა თუ პროცესებით გამოწვეულ საფრთხეებსა და რისკებს - ისეთებს, როგორიცაა:

- მიწისძვრა;
- მეწყერი;
- ღვარცოფი;
- ქვათაცვენა;
- წყლის ობიექტების ნაპირების ეროზია და აბრაზია;
- წყალდიდობა;
- შეტბორვა;
- შტორმი;
- ქარიშხალი, ქარბორბალა;
- ზვავი;
- კარსტული მოვლენები;
- მძიმე საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები და ა.შ.

ამ საფრთხეებისა და რისკების თვალსაზრისით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია საკმარისადაა შესწავლილი; შესაბამისი მასალები მოყვანილია „გეგმაში“, ტექსტური და გრაფიკული ფორმით.

2-3.3 გარემოსდაცვითი შეზღუდვები

წარმოადგენს განვითარების რეგულირების ყველაზე უფრო დამუშავებულ, ცნობად და აღიარებულ შეზღუდვებს. მათ შორის თავისი დეტალიზაციით გამოირჩევა შეზღუდვების ის წყება, რომელიც ეხება დაცულ ტერიტორიებს. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ განსაზღვრავს როგორც დაცული ტერიტორიების კატეგორიებს, ისე ყოველი კატეგორიისათვის განვითარების განსაკუთრებულ პირობებს. კანონის მე-20 მუხლის თანახმად, „ 1. დაცულ ტერიტორიაზე საქმიანობა განისაზღვრება დაცული ტერიტორიების კატეგორიების მიხედვით, საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების შესაბამისად“; „3. საქმიანობის რეგულირების წესი დეტალურად განისაზღვრება დაცული ტერიტორიის ინდივიდუალური დებულებით და მენეჯმენტის გეგმით.“

გარემოსდაცვითი პოზიციებიდან განვითარების შეზღუდვისა და რეგულირების ზოგად პრინციპებს ადგენს საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ეს პრინციპებია:

- რისკის შემცირების პრინციპი;
- მდგრადობის პრინციპი;
- პრიორიტეტულობის პრინციპი;
- ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი;
- პრინციპი, „დამაბინძურებელი იხდის“;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების შევნარჩუნების პრინციპი;
- ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი;
- რეციკლირების პრინციპი;
- რესტიტუციის პრინციპი;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის პრინციპი;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი.

გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, წესდება გარემოს დაცვის ნორმები:

- გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები;
- დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები;
- ეკოლოგიური მოთხოვნები პროდუქციისადმი;
- გარემოზე დატვირთვის ნორმები.

კანონი „წყლის შესახებ“ და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ადგენს ტერიტორიულ და ფუნქციურ შეზღუდვებს წყლის ობიექტებთან მიმართებაში. კანონი საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს მიაკუთვნებს წყლის შემდეგ ობიექტებს:

- მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა წყალსატევები, არხებისა და ტბორების წყლები;
- მიწისქვეშა წყლები, მათ შორის წყაროები და კონტინენტური შელფის წყლები;
- მყინვარები და თოვლის მუდმივი საფარი;
- ჭაობები;
- საქართველოს ტერიტორიული წყლები;
- განსაკუთრებული ეკოლოგიური ზონის წყლები.

წყლის სახელმწიფო ფონდის მიწად მიიჩნევა ის მიწა, რომელის დაკავებულია ზემოხსენებული წყლის ობიექტებით (მიწისქვეშა წყლების გარდა), ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით; აგრეთვე მიწა, რომელიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზოლად, სანიტარიული დაცვის ზონად და ა. შ.

წყალდაცვით ზოლში მიწათსარგებლობისა და განვითარების პირობებს განსაზღვრავს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ დებულება“. დებულების პირველი მუხლის თანახმად, „წყალდაცვით ზოლებს მიეკუთვნება მდინარეების, ტბების, წყალსაცავების სანაპირო ზოლები, მაგისტრალური და სხვა არხების გასხვისების ზოლი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზოლები“. მუხლი 2 ადგენს, რომ „ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვით ზოლად მიჩნეულია მათი მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად“. ამასთან, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს წესით, ამა თუ იმ მდინარის სიგრძის გათვალისწინებით:

- 25 კმ-მდე სიგრძის - 10 მეტრი;
- 25-50-მდე კმ სიგრძის - 20 მეტრი;
- 50-75-მდე კმ სიგრძის - 30 მეტრი;
- 75 კმ და მეტი სიგრძის - 50 მეტრი.

2008 წლიდან მოქმედებს „დებულების“ მე-6 მუხლის შემდეგი რედაქცია:

„იმ ტბებისა და წყალსაცავებისათვის, რომლებიც არ გამოიყენება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის, წყალდაცვითი ზოლის სიგანე განისაზღვრება:
ა) წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან 300 მეტრით, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
ბ) სარეკრეაციო-გამაჯანსაღებელი ობიექტებისათვის, წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან არა-ნაკლებ 30 მეტრით“.

არსებითია, რომ „დებულების„ მუხლი 8-ს თანახმად, წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში აკრძალულია :

„1. მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა;
2. საჰაერო დაფრქვევის გზით მრავალწლოვანი ნარგავების, ნათესი კულტურებისა და ტყის სავარგულების შეწამვლა შხამქიმიკატებით;
3. შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების, აგრეთვე სხვადასხვაგვარი საყოფაც-ხოვრებო, სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენების შენახვა-დაგროვება, დასაწყობება ან დამარხვა;
4. ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენება;
5. მესაქონლეობის, მეფრინველეობის, მეღორეობისა და სხვა დროებითი ფერმების განლაგება, საქონლის ძოვება და დაწყურება, ასევე სასაფლაოების და ცხოველთა სამარხების მოწყობა“.

ურბანული განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მუხლი 17, რომლის თანახმად, „ქალაქებში, დაბებსა და სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებში ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზოლის დადგენა ხორციელდება გენერალური გეგმის შესაბამისად, რომლებშიც გადაწყვეტილია გარემოს დაცვის ყველა საინჟინრო, სანიტარეული და ჰიგიენური საკითხი“.

წყლის ობიექტების ნაპირების ზონაში განვითარების შეზღუდვის თემას ანვითარებს საქართველოს კანონი „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“. ტერიტორიის სტრუქტურის თვალსაზრისით, კანონს შემოაქვს ცნებები:

მდინარის სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონა - სივრცე, რომლის მოიცავს მდინარის კალაპოტსა და ჭალას. იგი შედგება მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ზოლებისაგან;
წყალსატევის სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონა - სივრცე, რომელიც მოიცავს წყალსატევის აკვატორიას და ხმელეთის არა უმეტეს 100 მ სიგანის სანაპირო ზოლს. იგი შედგება მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ზონისაგან.

კანონი, აგრეთვე, იძლევა მკაცრი ზედამხედველობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ზონის განმარტებებს:

მკაცრი ზედამხედველობის ზოლი – სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის ის ნაწილი, რომელიც განიცდის ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა წყლების აქტიურ ზემოქმედებას და რომლის საზღვრებშიც მიმდინარეობს ტალღების ტრანსფორმაცია, მათი ენერგიის სრული დახარჯვა, სანაპიროს მორფოლოგიის სისტემატური სახეცვლილება და ნაშალი მასალის გადაადგილება. მკაცრი ზედამხედველობის ზოლი მოიცავს: ზღვის სანაპიროსათვის – ზღვის აკვატორიის 20 მ-იან იზობათსა და ხმელეთზე მაქსიმალური ზვირთცემის გავრცელების არეს შორის არსებულ ზოლს; წყალსატევის სანაპიროსათვის – წყალსატევის მთლიან აკვატორიას და ხმელეთის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მაქსიმალური ზვირთცემისას იფარება წყლით; მდინარის სანაპიროსათვის – მდინარის კალაპოტს;

მუდმივი მეთვალყურეობის ზოლი – სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის ის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია მკაცრი ზედამხედველობის ზოლისა და სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის სახმელეთო საზღვრებს შორის.

კანონის მუხლი 9 არეგულირებს სამეურნეო საქმიანობის წესებს და განვითარების შეზღუდვებს:

„1. სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოს სახით ჩართოს სამინისტრო ნებართვის გაცემის პროცესში და გადაუგზავნოს სათანადო დოკუმენტაცია სავალდებულო დასკვნისათვის.
2. სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში მშენებარე შენობა-ნაგებობის პროექტში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ნაპირის მოსალოდნელი დაზიანების საკომპენსაციო ხარჯები.
3. პლაჟის გამოყენება სამკურნალო და რეკრეაციული მიზნით არ იზღუდება. დაუშვებელია პლაჟის გამიჯვნა (შეღობვა) კაპიტალური და გაუვალი ნაგებობებით.
4. მკაცრი ზედამხედველობის ზოლში ნებადართულია ტერიტორიით სარგებლობა დროებითი ნაგებობების განსათავსებლად.
5. აკრძალულია ზღვის, წყალსატევისა და მდინარის მკაცრი ზედამხედველობის ზოლებში ინერტული მასალის მოპოვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ხორციელდება ნაპირფორმირების პროცესების მართვისა და მდინარეთა რეგულირების მიზნით.“

ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობა სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში იწვევს უარყოფითი ეფექტის მქონე ეროზიულ და აკუმულაციურ პროცესებს, ვალდებულნი არიან აანაზღაურონ მიყენებული ზარალი.

2-3.4 საკურორტო-სანიტარიული შეზღუდვები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული საკურორტო სტატუსი განაპირობებს ყურადღების გამახვილებას სანიტარიული პირობების მიმართ და, შესაბამისად, სანიტარიეული დაცვის ზონების რეჟიმით დადგენილი განვითარების შეზღუდვებისადმი.

საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ (მ.2, პ.9) განსაზღვრავს სანიტარიული დაცვის ზონის ცნებას:
„სანიტარიული დაცვის ზონა - საქართველოს კანონმდებლობით განსაკუთრებით დაცული ტერიტორიაა, რომელიც საჭიროებს დაცვას ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ნაადრევი გამოლევის, გაფუჭებისა და დაბინძურებისაგან.“
კანონი , აგრეთვე, ადგენს, რომ:

„საქართველოს საკურორტო რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით თითოეული კურორტისა და საკურორტო ადგილისათვის იქმნება სანიტარიული დაცვის ზონები. რომელთა პროექტს ადგენს დარგის მართვის სახელმწიფო ორგანო და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი“ (მ. 3, პ. 7).
ამგვარი ზონების სამართლებრივ რეგლამენტირებას ახდენს საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების დაცვის ზონების შესახებ.“ კანონი, ფაქტობრივად, ინსტრუქციის ხასიათს ატარებს; აქ მოგვყავს კანონის მხოლოდ ერთი პუნქტი (მ.14, პ.4): „ სანიტარიული დაცვის ზონები და მათი რეჟიმი საფუძვლად უნდა დაედოს ტერიტორიული კომპლექსური სქემების, ფუნქციური ზონების, მიწათმოწყობის, რაიონული დაგეგმარებისა და გენერალური გეგმების ამ კანონთან შესაბამისობას.“

2-3.5 ძეგლთადაცვითი

პოზიციებიდან განვითარების შეზღუდვისა და რეგლამენტირების ფუნქციურ-სივრცით პირობებს ადგენს საქართველოს კანონი “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ”. კანონი განმარტავს:

- “უძრავი ძეგლის ტერიტორია – უძრავ ძეგლზე საქართველოს კანონმდებლობიდით დადგენილი წესით დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – უძრავი ძეგლის მიერ უშუალოდ დაკავებული ტერიტორია”;
- “კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში ამ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაა მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა დაიცვას არასასურველი ზეგავლენისგან.”

კანონის თავი VIII ეძღვნება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებს და მათ რეჟიმებს. დამცავი ზომების სტრუქტურა მოყვანილია სქემაში 2–1

სქემა 2–1 დამცავი ზონების სტრუქტურა



კანონი ადგენს დამცავი ზონის დადგენის პროცედურებსაც (მ. 34)

„4. ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონა დგინდება ავტომატურად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების მომენტიდან. დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონა ან მისი შემადგენელი არეალი შეიძლება გაფართოვდეს მინისტრის ბრძანებით. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით“ განსაზღვრული ნაგებობების შემთხვევაში მინისტრის ბრძანება ძეგლის

ინდივიდუალური დამცავი ზონის ან მისი შემადგენელი არეალის გაფართოების შესახებ უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

5. ზოგადი დამცავი ზონები დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, მინისტრის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით <... >.“
დამცავი ზონებისა და შესაბამისი რეჟიმების დადგენა განსაზღვრულია კანონის მუხლებში 36-40, ხოლო ქალაქთმშენებლობითი კვლევის, დაპროექტების, დოკუმენტაციის შეთანხმებისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელების წესი – მუხლებში 41-46.

2-3.6 ინფრასტრუქტურული

განვითარების შეზღუდვების სპეციფიკურ ფაქტორს წარმოადგენს საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის დაპროექტება-მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2000 წლის 28 იანვრის №5 ბრძანებით დამტკიცდა სამშენებლო ნორმა – „მიწის ზოლისა და მიწის ნაკვეთთა მიჩენის ნორმები მაგისტრალური ხაზობრივი ნაგებობისათვის.“ ნორმები აწესებს მიწის ზოლის მიჩენის პარამეტრებს:

- საავტომობილო გზებისათვის;
- რკინიგზისათვის;
- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისათვის;
- ძაბვის დამწევი ქვესადგურებისათვის;
- მაგისტრალური მილსადენებისათვის;
- წყალსადენისა და კანალიზაციის მაგისტრალური ხაზებისათვის.

2-3.7 სპეციალური

სპეციალური ზონა

სპეციალური ზონებსა და მათ რეგლამენტს ადგენს ქ. ბათუმის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები.
ამ წესების თანახმად, სპეციალური ზონა (სპეცზ) წარმოადგენს სასაფლაოებისთვის განკუთვნილ ტერიტორიებს, სადაც სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე მხოლოდ საკულტო შენობა-ნაგებობების განთავსებაა დასაშვები.

თავდაცვის

თავდაცვის მიზნით გამოყენებულ ტერიტორიებზე განვითარების პირობებს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

დეპრესიული ზონა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსახლების სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით, უკიდურესი კონტრასტულობით ხასიათდება. სწორედ მთიანი აჭარის ზონა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო შავიზღვისპირეთის ქალაქურ დასახლებებს, არამედ სოფლებსაც. ამის გამოა, რომ მთის აჭარა სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის პოზიციებიდან ისეთ სუბრეგიონად მოიაზრება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მიზანდასახულ ხელშეწყობას საჭიროებს საგანგებო საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნისა და ამოქმედების თვალსაზრისით.

მეორე მხრივ, სადღეისოდ 2010 წლის გამოცემული ფუძემდებელი ოფიციალური დოკუმენტი - „საქართველოს რეგიონული განვითარება. დიაგნოსტიკური მოხსენება“, აჭარას, ქვემო ქართლთან, მცხეთა-მთიანეთთან და კახეთთან ერთად, 2008 წლის მონაცემებით, ასახელებს საქართველოს ყველაზე ღარიბ რეგიონად, სიღარის დონის 50 პროცენტზე მეტი მაჩვენებლით - შესაბამისად 52,5%, 52,5%, 52,2%, 50,2%. აჭარის რეგიონის ფარგლებში, უთუოდ, ეს დონე ყველა მუნიციპალიტეტში თანაბარი არ არის - მოსახლეობის სოციალურ-ეკონონმიკური მდგომარელბა უფრო მძიმეა აჭარის მთიანეთში.

რეგიონული პოლიტიკის მთიანეთის მიმართულებას საფუძველი დაუდო „საქართველოს კონსტიტუციამ“, რომლის მუხლი 31 იმპერატიულად აცხადებს: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს“.

„საქართველოს კონსტიტუციის“ ამ დებულების უზრუნველსაყოფად, 1999 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“. კანონი, მისი მიზნისა და ამოცანებიდან გამომდინარე, იძლევა „მაღალმთიანი რეგიონის“ ოპერაციულ განმარტებას, რომელიც ყოველმხრივ არ ემთხვევა ამგვარი რეიონოის (ზონის) აკადემიურ გეოგრაფიულ დეფინიციას (მ. 4, პ. 2):

„ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრების (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განლაგებულ რაიონებში და აჭარა-გურიის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში _ 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი“.

კანონის სოციალურ-ეკონომიკური, და არა გეოგრაფიული, საფუძველი დასტურდება იმითაც, რომ მასში მოხსენიებულია საქართველოს რამდენიმე სუბრეგიონი, განურჩევლად მათი ჰიფსომეტრიული სიმაღლისა; ეს რეგიონები „დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებად ითვლება“. რაც შეეხება აჭარის ავტონომიურ რესუბლიკას და კერძოდ ქედის მუნიციპალიტეტს, კანონი იძლევა იმ სოფლების ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება; ამ შემთხვევაში ჰიფსომეტრიულ ზღვრად მიღებულია 1000 მ ზღვის დონიდან.

კანონი ადგენს იმ სფეროებს, რომლებიც პრიორიტეტული უნდა იყოს მაღალმთიანი სუბრეგიონებისთვის და წარმოადგენს მათი განვითარების საფუძველს. ეს სფეროებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოება, პირველ რიგში, მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, თევზის მოშენება, სამონადირეო და სატყეო მეურნეობა, აგრეთვე ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მეურნეობის სხვა დარგები;
ბ) სამრეწველო წარმოება, პირველ რიგში, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება ”ალპური კონვენციის" წესდებით გათვალისწინებული ბუნების მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით, გადამამუშავებელი მრეწველობა, შინარეწვა, განახლებადი ენერგეტიკა, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა;
გ) ტურიზმი, საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობა.
კანონის არსებით ღერძს წარმოადგენს მუხლი 3, რომელიც დეტალურად აღწერს მთიანეთის დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლისა და განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს; კანონი შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას ავალებს საქართველოს ხელისუფლებას:

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით საქართველოს ხელისუფლება შეიმუშავებს შეღავათიან საკრედიტო-საინვესტიციო ღონისძიებების სახელმწიფო პროგრამას, რომლის პარამეტრები ყოველწლიურად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში. ეს პროგრამა ხელს უწყობს:

ა) ტურიზმის, საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას;
ბ)ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლების დაცვას, რესტავრაციას და ტურიზმის სამსახურში ჩართვას;
გ) სამთო-სათხილამურო და სპორტის სხვა სახეობების განვითარებას;
დ) არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმატებით წარმართვას;
ე)სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ტრადიციების აღორძინება-განვითარებას და შესაბამისი სამეცნიერო ცენტრების შექმნას;
ვ) მაღალმთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შინა-რეწვის სხვადასხვა დარგების (მეურნეობა, ჭედურობა, ხეზე კვეთა, მეჭურჭლეობა, ქსოვა, ქარგვა, ნაბდის თელვა, ხალხური საკრავების წარმოება და სხვა) განვითარებას, სახალხო ოსტატებთან შეგირდულ სწავლებას;
ზ) მცირე და საშუალო ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებას ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით;

თ) მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქმიანობის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობის და ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების პროექტების დაფინანსებას;
ი) კადრების მომზადებას მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების მიზნით;
კ) მაღალმთიან რეგიონებში დაცული ტერიტორიების კატეგორიების განვითარებას".
უნდა ითქვას, რომ კანონის ძირითადი დებულებები სადღეისოდ ამოქმედებული არ არის.
დეპრესიული რეგიონების სახელმწიფო მხრიდან ხელშეწყობის საკითხს უბრუნდება სახელმძღვანელო დოკუმენტი - „საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები 2010-2017 წლებისათვის". ეს დოკუმენტი ხაზს უსვამს „რეგიონული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მიღების აუცილებლობას, რომელშიც „უნდა განისაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი და მათი დადგენის კრიტერიუმები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ სახელმწიფო მხადაჭერას".

2-4 განსახლების სტრუქტურა და განვითარების ცენტრების იერარქია

2-4.1 განსახლების სტრუქტურა

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქედის მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემის თავისებურებებს და ურბანული განვითარების ძირითად განმსაზღვრელს მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოებები წარმოადგენს. ამასთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანი დასახლებათა მორფოლოგიის დადგენა, რომლის საშუალებითაც დგინდება ერთის მხრივ, განსახლების მდგრადი და ინტეგრირებული კარკასის შექმნის შესაძლებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ირკვევა თუ რის საფუძველზეა შესაძლებელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული კონსტრუქციის შენება.

აღსანიშნაია, რომ ქედის მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემა სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით ვითარდება ზღვისპირა ურბანული დასახლებების აღმოსავლეთის მიმართულებით, მუნიციპალიტეტის სიღრმეში მდინარეთა ხეობებისა და მათავარი საკომუნიკაციო ქსელის გასწვრივ. არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში ის წარმოადგენს დასახლებათა ფუნქციურ-გეგმარებით ერთობას, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა ზომის სასოფლო დასახლებები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ერთი დაბის სტატუსის მქონე დასახლება - ქედა, რომელიც ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ა.რ. განსახლების სისტემის მდგრადი, გაწონასწორებული კარკასის ფორმირება მხოლოდ ჩამოყალიბებული ქალაქ-ცენტრების ხარჯზე შეუძლებელი იქნება. შესაბამისად, აუცილებელია ახალი ზრდის ცენტრების გამოვლენა და მათი განვითარება.

დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტი დეპრესიული მუნიციპალიტეტის რიცხვს მიეკუთნება, სადაც მოშლილია ძველი სოციალურ-ეკონომიკური ბაზა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამოდენიმე წელია მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაცია, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, გარემოს ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და ურბანული სტრუქტურების ჩამოყალიბების გარეშე ვერ მოხერხდება დასახლებათა ერთიანი ინტეგრირებული სივრცის ფორმირება და სოფლის მოსახლეობის შენარჩუნება.

2-4-2. განსახლების "სამხრეთის ღერძის" ფორმირება

როგორც ცნობილია, ქვეყნის მართვის პრაქტიკასა და ურბანისტიკის თეორიაში განსახლების სისტემად მოიაზრება ქვეყანაში, რეგიონსა თუ ცალკეულ დასახლებაში მოსახლეობის ტერიტორიული განაწილება, რაც უშუალოდ უკავშირდება როგორც სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ინტერესებს, ისე ცალკეული შინამეურნეობებისა და მათი ჯგუფების მოთხოვნილებებს საცხოვრისის, სოციალურ-კულტურული და საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მიმართ. ამდენად, განსახლების სისტემის ქვეყნის მასშტაბში ოპტიმიზაცია მოითხოვს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას - ბუნებრივ-კლიმატურიდან ვიდრე სამეურნეო-ეკონომიკურამდე. ამ ფაქტორებს შორის, ბოლოდროინდელი პროცესების ფონზე, წინა პლანზე წამოიწია განსახლების სისტემის მდგრადობამ, მისმა მოქნილობამ და სხვადასხვა მოვლენათა მიმართ ადაპტაციის უნარმა.

უდავოა, რომ საქართველოს განსახლების არსებული სისტემის ერთ-ერთ მოწყვლად თვისებად გვევლინება ის გარემოება, რომ ქვეყნის მასშტაბით განსახლების ძირითადი ღერძი, ფუნქციური დატვირთვების თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ერთადერთიცაა. ეს გარემოება განსაკუთრებით აისახება საქართველოს სამხრეთი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მათ სივრცით-ტერიტორიულ განვითარებაზე. მემკვიდრეობა, რომელიც ამ მხარეს ერგო (მათ შორის აჭარის მთიანი რეგიონები) - გეოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალური გათიშულობა - სერიოზულად აფერხებს ქვეყანაში ტერიტორიული ერთიანობის, სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და ეროვნული ინტეგრაციის პროცესებს.

ამ კონტექსტში, „სქემაში“ განხილულია საქართველოს განსახლების ძირითადი ღერძის დამხმარე ღერძის ფორმირების ფუნქციურ-გეგმარებითი პირობები. განსახლების „სამხრეთის ღერძად“ მოაზრებული ეს ფუნქციურ-გეგმარებითი კორიდორი ერთმანეთს აკავშირებს შემდეგ დასახლებებს: თბილისი - მარნეული - ბოლნისი - წალკა - ნინოწმინდა - ახალქალაქი - ასპინძა - ახალციხე - ადიგენი - ქედა - შუახევი - ქედა - ხელვაჩაური - ბათუმი.



განსახლების „სამხრეთი ღერძის“ ფორმირება/განვითარების განხილვა „სქემის“ ფორმატში მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი ამოქმედება ბუნებრივად გამოიწვევს მთიანი აჭარის დეპრესიული ტერიტორიების ურბანიზებას, მათ ჩართულობას ერთიან ნაციონალურ სამეურნეო სივრცეში, აამოქმედებს ამ რეგიონების პოტენციურ დემოგრაფიულ რესურსებს, ხელს შეუწყობს ღირსეულ განსახლებას. ეს ყოველივე კი, საბოლოოდ, უზრუნველყოფს რეგიონის დასახლებათა ესოდენ საჭირო სრულფასოვან ინტეგრაციას ერთიან ქართულ სახელმწიფოში. ცხადია, ამგვარი ინტეგრაცია თავისთავად არ მოხდება; ის საჭიროებს სახელმწიფო ინსტიტუტების სათანადო ძალისხმევას განსახლების კომპლექსური სტრატეგიის რეალიზების ფარგლებში.
განსახლების „სამხრეთი ღერძის“ ფორმირება/განვითარებას ძლიერ იმპულს აძლევს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ალტერნატიული გზით შავ ზღვაზე გასვლის უზრუნველყოფა და ბაქო – თბილისი – ყარსის სარკინიგზო ხაზის განვითარების იდეა. ამ მიმართულებით სატრანსპორტო კავშირების ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელია მგზავრთნაკადებისა და სატრანზიტო ტვირთნაკადების გადანაწილება საქართველოდან თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის მიმართულებით. ხოლო, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების სარკინიგზო ქსელის ინტეგრაცია გამოიწვევს პროექტში ჩართული რეგიონების ძირეულ ფუნქციურ-გეგმარებით და სტრუქტურულ ცვლილებებს.

განსახლების „სამხრეთ ღერძზე“ გამავალი გზის ფუნქციურ-გეგმარებითი კავშირების აქტუალობა სამეცნიერო ლიტერატურაშიც დასტურდება: „თავრიზამდე გზები საქართველოს ნავსადგურებიდანაც მიდიოდა. ამ გზებს ევროპელები თავდაპირველად ნაკლებად იყენებდნენ. მომდევნო საუკუნეებში საქართველოს მნიშვნელობა დასავლეთ ევროპასა და ირანის ურთიერთობაში ძალიან გაიზარდა, განსაკუთრებით 1461 წლიდან, როდესაც თურქებმა დაიპყრეს ტრაპიზონის იმპერია. 1475 წლამდე ეს იყო მთავარი გზა, რომელიც დასავლეთ ევროპას

ირანთან აკავშირებდა. ელჩები თუ ვაჭრები სახმელეთო გზებით ყირიმამდე, ქალაქ კაფამდე მიდიოდნენ, შემდეგ ზღვით საქართველოს ნავსადგურებში გადმოდიოდნენ, საიდანაც ხმელეთით აგრძელებდნენ გზას ირანამდე.“

„ფეოდალურ ხანაში საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხუფათს და ბათუმს, საიდანაც იწყებოდა აღმოსავლეთ საქართველოსკენ მიმავალი გზები. ეს გზები ახალციხეში ერთიანდებოდა და შემდეგ თბილისისაკენ გრძელდებოდა. თბილისიდან და ახალციხიდან მგზავრს შეეძლო წასულიყო კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ ან ჩრდილოეთ ირანისაკენ, აქედან კი უფრო შორს, ინდოეთისა და ჩინეთისაკენ.“

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ისტორიული ცნობები კიდევ უფრო ამაგრებს და ასაბუთებს საქართველოს სამხრეთ რეგიონებზე გამავალი გზების სტრატეგიულ მნიშვნელობასა და მათ ქმედითუნარიანობას. ამასთან, გზების რეკონსტრუქცია აუცილებელი წინაპირობაა აღნიშნული რეგიონების სტაგნაციის შესაჩერებლად და წარმოადგენს მათი შემდგომი განვითარების საფუძველს. მაგრამ, მხოლოდ გზის რეაბილიტაცია არ არის საკმარისი პირობა მიმდინარე რთული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის დასაძლევად.

ფაქტობრივად, განსახლების „სამხრეთი ღერძის“ სივრცით-ფუნქციური ფორმირება დაწყებულია. ჯერ კიდევ 2006-2007 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ახალქალაქი-ახალციხე საავტომობილო გზას. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ათასწლეულის კორპორაციის (MCC) ხელშეწყობით 2007 წელს დაწყებული ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 223.9 კმ. საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი, რომელმაც უმოკლესი გზით ერთმანეთთან დააკავშირა თბილისი, წალკა, ნინოწმინდა და ახალქალაქი. თბილისიდან ახალქალაქამდე მანძილი 110 კმ-ით შემცირდა, ხოლო მგზავრობის ხანგძლივობა თითქმის განახევრდა.

მთიანი აჭარის განსახლების სისტემის განვითარების კონტექსტში მნიშვნელოვანია ახალციხე-ბათუმის მიმართულებით, ადიგენი - ქედის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომელიც უახლოვეს მომავალში უნდა დაიწყოს. აღნიშნული საავტომობილო გზა გაივლის ქედა–შუახევი–ქედა–ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებზე, და ალტერნატიული გზით ერთმანეთთან დააკავშირებს შავ ზღვასა და საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებს, რაც ტრანზიტული მოძრაობის გარკვეულ წილს აარიდებს აჭარას, გურიას, იმერეთსა და შიდა ქართლს. იმის გამო, რომ ზემოთხსენებულ გზას საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს (ის უმოკლესი გზით დაკავშირებულია მეზობელ ქვეყნებთან - სომხეთსა და თურქეთთან), მოსალოდნელია მგზავრთნაკადებისა და სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვების გადანაწილება საქართველოდან თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის მიმართულებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთიანი აჭარის საავტომობილო ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს მის ინტეგრაციას საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო ქსელში, გაზრდის მის სატრანზიტო ფუნქციას და, გახდება როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე, საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო მარშრუტი. ეს გარემოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა რეგიონის დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური და სივრცით-ტერიტორიული განვითარებისათვის და, ამასთანავე, მთიანი აჭარის განსახლების ღერძის რეალური ფუნქციებით გამაგრების შესაძლებლობა.

მთიანი აჭარის გზებზე საავტომობილო მოძრაობის ინტენსიურობის გაზრდის საფუძველს იძლევა ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტის მშენებლობა-რეაბილიტაცია საქართველო-სომხეთის საზღვარზე, რომლის ამოქმედება მნიშვნელოვნად შეამცირებს მანძილს სომხეთიდან შავი ზაღვის მიმართულებით გადაადგილებისას იხ ცხრილი 2-1).

ცხრილი 2-1 საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის მანძილები და გადაადგილების დრო.

მარშრუტი	მანძილი	საშუალო დრო
სადახლო სარფის საზღვრიდან	480 კმ	7.5 სთ
კარწახის საზღვრიდან - გოდერძის უღელტეხილი - სარფი	285 კმ	4.5-5 სთ
ერევანი-სადახლო-სარფი	705 კმ	11-11.5 სთ
ერევანი- კარწახი (საზღვარი)-სარფი	463 კმ	7-7.5 სთ
გიუმრიდან -კარწახის საზღვრამდე	48 კმ	45 წთ(მაქსიმუმი)
გიუმრიდან სადახლოს საზღვრამდე	171 კმ	3.30 სთ

ცხრილში მოცემული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ერევანი-სადახლო-სარფისა და ერევანი-კარწახი (საზღვარი) - სარფის დრო-მანძილზე დამოკიდებულების შედარება, სადაც სხვაობა მანძილებს შორის 242 კმ-ია, ხოლო მგზავრობის ხანგრძლივობას შორის 4 სთ.

ანალიზის და საქართველოს დღეს მოქმედ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე მოძრაობის ინტენსიურობის გათვალისწინებით, საქართველოს „სამხრეთ ღერძზე“ სატრანსპორტო მოძრაობის გადამისამართება გარდაუვალია. თუმცა, ის ვერ ჩაანაცვლებს ძირითად ტრანზიტულ გზას თბილისის გავლით ფოთის პორტის დანიშნულებით, რადგან თავისი პარამეტრებით, ეს გზა, უფრო მოხერხებული საშუალებაა ევროპულ ბაზრებზე გასასვლელად. ასევე, აქ დიდი როლი შეიძლება ითამაშოს საავტომობილო გზათა სეზონურობამ და, რაც ყველაზე მთავარია, რთულმა რელიეფმა. ამდენად, ტრანზიტული სატვირთო გადაზიდვების გადამისამართება ამ მიმართულებით შესაძლოა უმნიშვნელო იყოს. სავარაუდოა, რომ სამხრეთი მარშრუტი, ძირითადად, მოემსახურება შიდასახელმწიფოებრივ გადაზიდვებს, ისარგებლებს ასევე მეზობელი ქვეყნების (განსაკუთრებით სომხეთის) მოსახლეობა, ტურისტები, რომლებიც გადაადგილდებიან მსუბუქი ავტომობილებით. ეს გარემოება მნიშვნელოვნად განტვირთავს საბაჟო–გამშვებ პუნქტებს სადახლოსა და სარფში.

საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობების ცვლილებები „სამხრეთის ღერძის“ გასწვრივ მოცემულია სქემზე (იხ.
სქემა 2-2, სქემა 2-3).

სქემა 2-2. საგზაო ინფრასტრუქტურის ინტენსივობა გზების რეაბილიტაციამდე 2006 წელი



სქემა 2-3 საგზაო ინფრასტრუქტურის ინტენსივობა გზების რეაბილიტაციის შემდეგ 2010 წელი



წყარო: kocks Consult GmbH, შპს საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბიზი-სთან ერთად

აღსანიშნავია, რომ განსახლების „სამხრეთი ღერძის“ გამჭოლი საკომუნიკაციო ხაზოვანი და კვანძური სტრუქტურები, და, ამასთანავე, სამხრეთი რეგიონების მუნიციპალური დონის ქალაქგეგმარებითი ერთეულების ერთობლიობა (რომელთა უმეტესობა სამხრეთი ღერძის გასწვრივ მდებარეობს) ქმნის უწყვეტ, სივრცობრივად ერთიან სისტემას - გეგმარებით კარკასს. „სამხრეთი ღერძის“ გააქტიურების კვალდაკვალ მათ მუნიციპალურ სივრცეში ჩამოყალიბდება შესაბამისი ურბანული ხარისხი, რომელიც შესაძლოა წარმოვადგინოთ, როგორც პერსპექტიული ქალაქგეგმარებითი წარმონაქმნის – განსახლების სისტემის „ურბანიზებული დერეფნის“[11] სახით. „ურბანიზებული დერეფანი“, თავის მხრივ, აერთიანებს სხადასვა სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც უშუალო კავშირში არიან განსახლების სისტემის განვითარების სამხრეთ ღერძთან.

საქართველოს განსახლების „სამხრეთი ღერძის“ სრულფასოვანი ფუნქციონირების მიზნით გასააზრებელია მისი ფუნქციურ-გეგმარებითი უზრუნველყოფის კონცეფცია. ამ მიმართულებით წარმოდგენილია შემდეგი წინადადებები:

- განსახლების სამხრეთი ღერძის საკვანძო ქალაქებისა და დაბების (ბოლნისი მადნეულის კონურბაცია - თეთრი წყარო - წალკა - ნინოწმინდა - ახალქალაქი - ასპინძა - ახალციხე - ადიგენი - **ქედა -შუახევი - ქედა - ხელვაჩური**) გააზრება „ურბანული ზრდის ფოკუსების“ სახით, შესაბამისი ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზისა და საინვესტიციო კლიმატის შექმნით;
- საქართველოს განსახლების სამხრეთი ღერძის გასწვრივ „ურბანული დერეფნის“ ჩამოყალიბება განვითარებული ცენტრალური ფუნქციების მატარებელი მრავალფეროვანი ობიექტების ჯაჭვით, რომლის ფუნქციონირების ეფექტურობა მნიშვნელოვნად იქნება დაკავშირებული შემადგენელი ნაწილების უწყვეტ მონაცვლეობაზე;
- განსახლების სივრცეში არსებული ტერიტორიების „ხორცშესხმა“ და თვით დასახლებათა გაძლიერება წარმოდგენილი დამატებითი ფუნქციებით (სერვისული ფუნქციები, ტურიზმის სხვადასხვა სახეობები, რეკრეაცია და სხვა);
- განსახლების გამჭოლ სატრანსპორტო არტერიებზე, ტრანსსასაზღვრო ტერიტორიებზე, საერთაშორისო მნიშვნელობის, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მაღალი დონის ლოჯისტიკური, სასაწყობო, დამახარისხებელი (შესაძლოა საბაჟო) ტერმინალების, სადისტრიბუციო ცენტრების შექმნა;

განსახლების „სამხრეთი ღერძის“ ფორმირების კონცეფციის კონტექსტში, სტრუქტურული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური ანალიზისა და ტერიტორიის რესურსული შეფასების საფუძველზე გამოვლენილია თითოეული ტერიტორიული ერთეულის კონკურენტული უპირატესობები, ის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს რეგიონების სწრაფ განვითარებას და მათ მდგრად ფუნქციონირებას.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, განსახლების „სამხრეთი ღერძის“, მთიანი აჭარის არეალის სივრცით-გეგმარებითი უზრუნველყოფა წარმოგვიდგება შემდეგი საკვანძო ფუნქციების განვითარების სახით:

I. ზემო აჭარა -ტრანსნაციონალური სატრანსპორტო ფუნქციის რეალიზება; აგრომრეწველობის განვითარება; უნიკალური კულტურული ლანდშაფტის დაცული ტერიტორიების სისტემაში ჩართვა, ტურიზმის განვითარება, ბეშუმი- სამთოსათხილამურო კურორტის მშენებლობა;
II. ბათუმი-ხელვაჩაურის ზონა - დაბა ხელვაჩაურის ურბანული პოლიფუნქციური კვანძი - „კარიბჭე“, განსახლების სამხრეთ ღერძის დასავლეთის პორტალი, სადაც იქმნება მძლავრი ლოჯისტიკური ცენტრი.

ამრიგად, განხილული ერთ-ერთი მაკრორეგიონული დონის - განსახლების „სამხრეთი ღერძის“ - სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის შემუშავება, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს საქართველოში განსახლების ერთიანი ნაციონალური სისტემის ჩამოყალიბებასა და მის საფუძველზე დასახლებათა განვითარების რეგულირებას.

2-4.3 საცხოვრისი და სოციალური ინფრასტრუქტურა

ქედის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია შერეული საცხოვრებელი ფონდი. ისტორიულ სამოსახლო ფონდთან ერთად გვხვდება თანამედროვე ნაგებობებიც. მთლიანობაში განაშენიანება ხასიათდება დაბალი სართულიანობით (1-2 სართული), ბუნებასთან და ლანდშაფტთან შერწყმით, მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ორქანობა სახურავებით, ნაგებობების სტრუქტურაში ხშირია ხის ელემენტები. ხშირია სამოსახლო ობიექტების განთავსება მეწყრულ, ღვარცოფულ, თუ სხვა მაღალი რისკის არეალებში. განაშენიანების შემდეგი ტიპები:
ა) ორგანულად ჩამოყალიბებული სასოფლო განაშენიანება, ერთბინიანი ინდივიდუალური საკარმიდამო საცხოვრებელი სახლებით, წერტილოვანი სივრცით-გეგმარებითი წყობით. განაშენიანების სტრუქტურა სასოფლო-სამეურნეო, ინფრასტრუქტურა შედარებით განვითარებულია;
ბ) სტიქიურად განვითარებული ერთბინიანი ინდივიდუალური საკარმიდამო საცხოვრებელი განაშენიანება. სივრცით-გეგმარებითი წყობა წერტილოვანი. განაშენიანების სტრუქტურა ჩამოუყალიბებელი, ინფრასტრუქტურა განუვითარებელი.
გ) დაბა ქედაში განაშენიანება წარმოდგენილია 3-4 და ზოგ შემთხვევაში 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლებით. განაშენიანება ხასიათდება ფრაგმენტულობით, ტერიტორიის შედარებით მცირე ზომებით გეგმარებითი პრინციპების გარეშე. განაშენიანება ღია ტიპისაა, თავისუფალი გეგმარებით. უმეტეს შემთხვევაში განაშენიანებული ტერიტორია არ გამოირჩევა რელიეფის სირთულით. კაპიტალური ფონდი ძირითადად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.
ტერიტორიულ-სტრუქტურული პარამეტრები, სივრცით-მოცულობითი და არქიტექტურული მახასიათებლები, შენობების კაპიტალური ფონდის და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ნაირგვარია და მიმდებარე ტერიტორიის იდენტურია.

დ) რელიეფის სირთულის გამო განაშენიანების სტრუქტურა და ქუჩათა ქსელი უმეტესად სტიქიურადაა ჩამოყალიბებული (არარეგულირებულია). ქუჩების სიგანე არ აღემატება 3 მეტრს.

მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საცხოვრისისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ურთიერთშემავსებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება. სოციალური ობიექტების განთავსებამ ხელი უნდა შეუწყოს საცხოვრებელი უბნებისა და ობიექტების ფუნქციონირებას. ამისათვის ასეთი ობიექტები გეგმის ფორმატში განთავსდება იმ ადგილებში, სადაც ის ხელს შეუწყობს მოშორებით განთავსებული საცხოვრებელი ერთეულების მიმართულებით მუდმივი სატრანსპორტო ნაკადების წარმოქნას და საცხოვრებელი არეალების ინტეგრირებას ერთიან სისტემაში.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება

დემოგრაფიული კუთხით აჭარის ა.რ. მუნიციპაიტეტებში არსებული ვითარება გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის განსაკუთრებული ზრდა რეალურად აღსაქმელ საპროგნოზო პერიოდში არ არის მოსალოდნელი. მოსახლეობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი იქნება რეგიონის თუ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების მოსალოდნელი ტენდენციები (რეგიონების მზარდი პოტენციალის გამოყენება, ადგილობრივი ინტერესები, კერძო ინიციატივა და საკუთრება, ურბანიზაციის მეორე ეტაპი თანმხლები მოვლენებით და სხვა), ეს ტენდენციები საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ - მოთხოვნა-მიწოდების პრინციპებთან ერთობლიობაში აზრს უკარგავს მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზზე ორიენტირებულ დასახლებების სამშენებლო განვითარების გრძელვადიან დაგეგმვას. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით აქტუალურია მხოლოდ საცხოვრებელი ტერიტორიის სამოსახლო რესურსის პოტენციური

შესაძლებლობების გამოვლენა და განაშენიანების რიგითობა. თავად მშენებლობის მოცულობა და ხანგრძლივობა მხოლოდ საინვესტიციო შესაძლებლობებზე და მოთხოვნა-დაკმაყოფილების პროცესზე იქნება დამოკიდებული.
აქედან გამომდინარე განაშენიანების სავარაუდო ტიპების და შესაბამისი სიმჭიდროვის მიხედვით მუნიციპალიტეტის სამოსახლო ტერიტორიების რესურსი რეკონსტრუქციის, სიმჭიდროვის გაზრდის და აუთვისებელი ტერიტორიების გამოყენების ხარჯზე დასახლებებს უზრუნველყოფს რამოდენიმე ათეული ათასი მოსახლის განთავსებით.

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის მიხედვით სოციალური სფეროს განვითარება ორიენტირებულია ეკონომიკის სამ ძირითად სექტორზე (სასოფლო-საწარმოო, სოციალური, კომერციულ-საქმიანი), სადაც დასაქმებისა და ძირითადი ფონდების უპირატესი ზრდა სოფლის მეურნეობის, სოციალურ და კომერციულ-საქმიან სექტორში იქნება მიმართული. კერძოდ:

სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალიტეტის ინტერესები უკავშირდება დაწესებულებათა პერსპექტიულ ტიპებს - პენსიონერთათვის, ინვალიდთათვის, სტუდენტური ოჯახებისათვის, უსახლკაროთათვის, უპატრონოთათვის და ობოლი ბავშვებისათვის;
ამ ტიპის დაწესებულებათა რიგში გათვალისწინებული იქნება სოციალური დაცვის ტერიტორიული ცენტრები, დროებითი და მუდმივი სტაციონარები, სანატორიუმები, საზაფხულო გამაჯანსაღებელი ბანაკები, პროფესიული სწავლებისა და სოციალურ-პროფესიული რეაბილიტაციის ცენტრები, სანიტარულ-ჰიგიენური ორგანიზაციები, ღამის გასათევები;

განათლების სფეროში პერსპექტიული განვითარება ორიენტირებული იქნება სასწავლებლების მრავალფეროვანი ტიპებით;

კულტურისა და გართობა-დასვენების სფეროში ყურადღება გამახვილდება უბნებში მინიმალურ გარანტირებულ მომსახურებაზე, მათ შორის მხატვრული და ტექნიკური შემოქმედების, კლუბების, საგამოფენო დარბაზების, საბავშვო პარკებისა და დასვენების ცენტრების, საინფორმაციო ცენტრების, მათ შორის ინტერნეტურთიერთობის განვითარების მიზნით;

ე) სამომხმარებლო ბაზარზე ძირითადი ყურადღება დაეთმობა მომსახურების ორსაფეხურიან სისტემას: საზოგადოებრივ-საქმიანი სივრცე - საცხოვრისი, სადაც განსხვავებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განხორციელდება: ერთის მხრივ - შერჩევითი (ეპიზოდური) მომსახურებით, მეორეს მხრივ - სტანდარტული (ყოველდღიური) მომსახურებით;

ორსაფეხურიან მომსახურების სისტემას დაექვემდებარება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარება: ერთის მხრივ, მინიმალურად გარანტირებული მოცულობის უფასო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით და საცხოვრებელ ადგილს მიახლოებული პირველადი მომსახურების გაძლიერებით (აფთიაქები, ამბულატორიები, მედდის ინსტიტუტი, საოჯახო და საერთო პრაქტიკის ექიმები) და მეორეს მხრივ, ფასიანი მომსახურების მაღალი და მრავალფეროვანი სამედიცინო უზრუნველყოფის ფართო არჩევანით (კაბინეტები ვიწრო სპეციალისტთათვის, სპეციალიზირებული და მრავალპროფილიანი საავადმყოფოები, დიაგნოსტიკურ-საკონსულტაციო ცენტრები,
გეგმის მიხედვით ქედის ეკონომიკური პოტენციალის პოლიფუნქციური - ადმინისტრაციული, საქმიანი, საგანმანათლებლო, კულტურული და ტურისტული ხასიათი განაპირობებს მის გარდაუვალ რეორიენტაციას ძირითადად მესამეულ სექტორებზე; თუმცა, სამეურნეო და სპეცდანიშნულების ფუნქციები მუნიციპალიტეტის ეკონომიკის მნიშვნელოვან შემადგენლად დარჩება.

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის ფარგლებში ქედის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალი, მეორადი სექტორის დარგების რეორიენტაციის პირობებში, მიმართულია შემდეგ ტენდენციებზე:

წარმოების განვითარების დროს უპირატესობა ენიჭება იმ საწარმოებს რომლებიც გამოირჩევიან ტექნოლოგიურობით, ენერგომომჭირნეობით და მასალის დანახარჯის სიმცირით. ასეთი ტიპის საწარმოები უმეტესად ეკოლოგიური სისუფთავით გამოირჩევიან და სავსებით შესაძლებელია მათი განთავსება საზოგადოებრივ-საქმიანი სივრცის ფარგლებში.

2-4.4 დასახლებათა ტიპოლოგია

ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებები ერთიანდება რთულ მრავალკომპონენტურ სისტემაში. თავის მხრივ, ეს სისტემა წარმოადგენს მონოცენტრისტულს, ფორმირებულს მუნიციპალიტეტის სოფლების მიმართ ასიმეტრიულად განლაგებული ქალაქის ტიპის დასახლებით - დაბა ქედის გარშემო.

და მაინც, აჭარისა და საქართველოს ურბანულ დასახლებებათა სიშორე, ბუნებრივ-გეოგრაფიული იზოლაცია აშკარად აისახება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სივრცით განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ 1. ქალაქები, ურბანიზირებული ტერიტორიები. ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ განსახლების საყრდენ კარკასს, არამედ მთავარ მამოძრავებელ ძალას ურბანიზაციის გავრცელებისა პერიფერიაზე. ამასთან, აუცილებელია 2. ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური დაშორების შემცირებას და ადამიანური კაპიტალისა და ინსტიტუტების მოდერნიზაცია. 3. ადამიანური კაპიტალი, თავის მხრივ, ფორმირდება განვითარებული საზოგადოებრივი მომსახურების დახმარებით. ამიტომ აუცილებელია მუნიციპალიტეტის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური უთანაბრობის შერბილებაც. ამასთან, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ინსტიტუტები, სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ტერიტორიების განვითარებას.

სივრცითი განვითარების თეორიების მიხედვით განვითარების (ზრდის) ცენტრების ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია. ისინი ფაქტობრივად ვერ ვითარდებიან იმ ადგილებში რომლებსაც არ გააჩნიათ რეალური კონკურენტული უპირატესობები. ამდენად, მანძილის ფაქტორს, ურბანული დასახლებების ზომებს, გასაღების ბაზრებთან და ნედლეულის მოპოვების ადგილებთან სიახლოვეს გადამწყვეტი ადგილი უჭირავს სივრცით განვითარებაში.

ამ პირობებში მუნიციპალიტეტის სივრცითი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დასახლებებიდან შესაძლო ფუნქციების მატარებელ ტერიტორიების გამოვლენა/ფორმირებაზე და შემდგომ მათ ფუნქციურ გამაგრებაზე. მუნიციპალიტეტის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ბუნებრივი რესურსების ჩათვლით გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც კონკურენტული უპირატესობები; ამასთან, საჭიროა ზრდის ბუნებრივი ფაქტორების ხელშეწყობა ინვესტიციების, ინოვაციური სოციალური პროგრამების სახით, რომლებიც მიმართული იქნება ადამიანური კაპიტალის გაზრდაზე.

ეს ფაქტორები გამოიწვევს დასახლებათა დამოუკიდებელი განვითარების სტიმულირებას და მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემის გაძლიერებას. ამ კონტექსტში ახალი ცენტრები/ქვეცენტრები, შეიძენენ ურბანული განვითარების ახალ იმპულსებს, რაც მთლიანად რეგიონის განსახლების სისტემის გაწონასწორებას განაპირობებს. არსებულ დასახლებებში ურბანული სტრუქტურების ჩამოყალიბება შეარბილებს უმუშევრობას, სოციალურ დაძაბულობას, ხელს შეუწყობს ადგილებზე მოსახლეობის დასაქმებას.

ეს ამოცანა ძალზე კომპლექსურია და დარგობრივი პოლიტიკების ჰარმონიული მიდგომის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

2-4.5 განვითარების ცენტრებ

როგორც ურბანისტიკის თეორიაშია ცნობილი, სივრცითი მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა განვითარების ცენტრების არსებობა, რომლებიც წარმოადგენენ როგორც განსახლების საყრდენ კარკასს, ასევე ურბანული განვითარების მთავარ განმსაზღვრელს. ამავე დროს, სუსტად განვითარებული და რესურსულად შეზღუდული დასახლებები გარდაუვალად ხდებიან განვითარების შემაფერხებლები. აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოდერნიზაცია უნდა დაეყრდნოს დასახლებათა ზრდის ცენტრების ფორმირებასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარების სტიმულირებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სასოფლო დასახლებათა ტრანსფორმაციას ურბანული ტიპის დასახლებებად, ტერიტორიულ ინტეგრაციას და გარკვეულ პირობებს შექმნის სისტემის მდგრადობაზე. ამასთან ერთად, დეცენტრალიზაციის პროცესის სრულფასოვნად წარმართვის პირობებში, ქედის მუნიციპალიტეტს, როგორც საჯარო ხელისუფლების ყველაზე ფუნქციონალურ რგოლს, წარმატებული განვითარების შემთხვევაში აქვს დიდი შანსი და პოტენციალი გახდეს ქვეყნის სივრცით-ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი.

წინამდებარე „ხედვაში“ წარმოდგენილია ახლებურ ხედვებზე ორიენტირებული განსახლების სისტემის განვითარებისა და რესტრუქტურიზაციის კონცეფცია, აგებული "განვთარების ცენტრების“ კარკასზე და მათ დამაკავშირებელ საკომუნიკაციო ქსელზე.

"განვთარების ცენტრების“ სისტემაში ვგულისხმობთ სივრცის განვითარების ძირითად ფორმას; ამასთან, ცენტრს აქვს უპირატესობები - იზიდავს რა რესურსებს მას ეძლევა საშუალება განავითაროს ახალი, შექმნას ინოვაციები. ნორმალურ სისტემებში ეს ინოვაციები ბრუნდება უკან პერიფერიაზე. ამაგვარად ვითარდება მთელი სივრცე. ნებისმიერ რეგიონალურ პოლიტიკაში უნდა მოხდეს ძალისხმევა რათა ინოვაციური პროცესები მივმართოდ რაც შეიძლება რეგიონების სიღრმეში. მაშინ სისტემა ფუნქციონირებს ასე თუ ისე ნორმალურად, მაგრამ ცენტრებში მათი კონცენტრაციის გარეშე ეს ვერ მოხერხდება. წინამდებარე „ხედვის“ ფორმატში მოხდა "პერიფერიული ცენტრების“ იდენტიფიცირება, მათთვის განვითარების გარკვეული სტიმულების მიცემა. მიზანმიმართული რესტრუქტურიზაციისა და სივრცითი რეორგანიზაციის საშუალებით შესაძლებელი გახდება არა მარტო პერიფერიული ცენტრების ფუნქციურ-გეგმარებითი განვითარება, არამედ მისი გავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებისა და ტერიტორიების სივრცითი განვითარებაც.

აღსანიშნავია, რომ განსახლების სტრუქტურა წარმოშობს იმ ძირითად ქალაქთმშენებლობით მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც წარიმართება გეგმარებითი მოთხოვნები. ის ასევე განსაზღვრავს საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს და მათ მოცულობას.

წარმოდგენილ "ხედვაში" დასახლებები ქმნიან კომპლექსური სახის სოციალური თანაწყობის სისტემას, როლებიც ცხოვრების წესისა და ჩვევების მიხედვით განისაზღვრება, როგორც ქალაქი თუ სოფელი. თუმცა რადგან ადამიანური სტრუქტურების ეფექტიანობის ზრდა რესურსული პოტენციალის ურთიერთგაზიარებით არის განპირობებული, მოცემული სტრუქტურები სოფლები, ქალაქები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ და წარმოქმნიან განსახლების ერთობას.

ამგვარი ერთობა გამოირჩევა კულტურულ-ჩვევითი, ტრადიციული, ტერიტორიული და სოციალური თავისებურებებით და როგორც წესი გააჩნია მეტნაკლებად ერთიანი სახით წარმოდგენილი რესურსული პოტენციალი. მის შიგნით აქტიობათა სიმრავლის მიხედვით განისაზღვრება ცენტრალური სივრცეები, რომელთა გააზრებული ურთიერთდაკავშირებული სისტემაც წარმოქმნის პოლიცენტრულ სტრუქტურას. პოლიცენტრული სისტემების გააზრება, მნიშვნელოვანია არსებულ დასახლებათა შორის ურთიერთხელშემწყობი და ურთიერთთანამშრომლური გარემოს შექმნისათვის.

როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, არსებული მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტს მონოცენტრული, ერთბირთვიანი კონსტრუქცია გააჩნია, რომლის ძირითადი განვითარებითი მასაც კონცენტრირებულია დაბა ქედაში. ამგვარი მონოცენტრულობა განსაზღვრავს მოსახლეობის მობილობის მიმართელებებს, რომლებიც ხელს უწყობს სოფლების დაცლა-მიტოვებას. ამგვარი სტრუქტურები რეგიონის განვითარებისთვის რისკის შემცველია. ეფექტური ტურისტული და სამოსახლო სტრუქტურების შექმნისათვის მნიშვნელოვანი გახდა მცირე პოლიცენტრული არეალების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის შენარჩუნებას სტრატეგიულ არეალებში, ზრდის უსაფრთხოებასა და კულტურულ მიმზიდველობას ტურისტისათვის.

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმაში“ შემუშავებულ იქნა ცალკეული დასახლებების, პერსპექტიული ცვლილებების სქემები. მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვის საფუძველზე, განისაზღვრა აუცილებელი, გადაუდებელი ხასიათის მქონე გეგმარებითი ღონისძიებების ნუსხა, რომელთა რუკაზე დატანით აისახა დასახლებათა განვითარების უახლოეს პერიოდზე გასათვალისწინებელი გეგმარებითი ცვლილებები (აღინიშნება როგორც “გეგმარებითი პროექტების ზონები”). ეს ცვლილებები არ უნდა ატარებდეს რადიკალურ ხასიათს, არამედ უნდა ითვალისწინებდენ დასახლებათა განვითარების ჩამოყალიბებულ სტრუქტურულ-სივრცით ტენდენციებს, რათა მომავალში, მიწათსაგებლობის გეგმების ან სხვა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის დროს ეს ცვლილებები არ შევიდეს წინააღმდეგობაში ამ დოკუმენტებში მისაღებ გადაწყვეტილებებთან.

ქვემოთ მოცემულია განვითარების ცენტრების მოკლე აღწერილობა თანდართული პერსპექტიული ცვლილებების სქემებითა და ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკებით.

დაბა ქედის განვითარების არეალი

"ხედვაში" წინასაპროექტო კვლევის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის დონის ურბანული ზრდის ცენტრად განხილულ იქნა დაბა ქედა - ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. განსახლების სისტემის იერარქიაში ის წარმოადგენს ქალაქის ტიპის მცირე დასახლებას - დაბას, რომელიც მდებარეობს მდინარე აჭარისწყალის ნაპირზე, დიდი ქალაქის - ბათუმის - და საკომუნიკაციო სატრანსპორტო

(საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე) დერეფნების გავლენის ზონაში, ზღვის დონიდან 256 მ-ზე, ბათუმიდან 41კმ. მანძილზე.

ისტორიულად ქედა იყო მცირე ქალაქის მსგავსი დაბა, სადაც სახლობდნენ ვაჭრები. 1874წელს ქედა სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა და შედგებოდა ოთხი უბნისგან: ქედა, ასანური, ორცვა და გულები. ორცვა აჭარისწყლის მარცხენა, ხოლო გულები მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. დაბის სტატუსი მიენიჭა 1966 წელს. 2014 წლის აღწერის მონაცემებით დაბაში ცხოვრობს 1510 კაცი, რაც დაახლოებით 20%-ით მეტია 2002 (1200 კაცი) წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო არჩევნების მონაცემებზე.

ქედის მოსახლეობის ამგვარი ზრდა, ბუნებრივ მატებასთან ერთად, დაკავშირებულია მსხვილი ქალაქის - ბათუმის - გავლენის ზონაში არსებობითა და მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ღერძზე მდებარეობის ფაქტორით.

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით დაბა ქედა უფრო აგროინდუსტრიული დასახლებაა, სადაც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება. ამასთან, ის წარმოადგენს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი დასახლებებისთვის ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-სამეურნეო, სოციო-კულტურულ ცენტს, სადაც ლოკალიზებულია მუნიციპალიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო, კულტურისა და ჯანდაცვის დაწესებულებები, მცირე საწარმოები.

დაბა ქედა ასევე გამოირჩევა მაღალი ისტორიულ-კულტურული და რეკრეაციული პოტენციალით, რაც ქმნის ქალაქის ახალი ტიპის ფორმირების წინაპირობებს -ტურიზმისა და დასვენების ცენტრების ფუნქციით - რაც მისცემს დაბას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახლებურ სტიმულს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაბის ტერიტორიაზე გადის ბათუმი-ახალციხის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა (შ1), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს აჭარის ზღვისპირა ნაწილს მთიან აჭარასთან და საქართველოს სამხრეთის რეგიონებთან. შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზის გააქტიურება შექმნის დაბის განვითარების დამატებით პირობებს, რაც გათვალისწინებული და ასახული უნდა იქნეს დაბის მიწათსარგებლობის გეგმებში.

დღევანდელი მდგომარეობით დაბა ქედაზე არ ხორციელდება კომპლექსური ქალაქთმშენებლობითი რეკონსტრუქციის ღონისძიებები თუ არ ჩავთვლით ცალკეული ნაგებობების სარეკონსტრუქციო ღონისძიებებს. ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმაში დაბა ქედის პოტენციალისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა დაბა ქედის განვითარების მიზნები, რომლებიც ასახულია სივრცითი მოწყობის დოკუმენტაციაში, კერძოდ, ზოგად ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონირების რუკაზე ასახულია დაბის გეგმარებითი კარკასი, რომელშიც შედის გამჭოლი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალი, ამ კარკასზე განლაგებული ქალაქის ცენტრალური ზონა, ურბანული ტერიტორიები და სოფლის მეურნეობის ზონები და ა.შ.

ცენტრალური ზონა საცხოვრებელ განაშენიანებასთან ერთად მოიცავს ისეთ ობიექტებს როგორიცაა საგანმანათლებლო ობიექტები, პოლიციის/სახანძრო სამსახურები, სამედიცინო დაწესებულებები, ასევე ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრი, არაკომერციული ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი ფართობები, ფოსტა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქგეგმარებითი წინადადებებისა და მიწათსარგებლობის გეგმების შემუშავება/განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მაღალი ხარისხის გარემოს ფორმირება, რომელსაც განაპირობებს ლამაზი ლანდშაფტი, მოხერხებული საგზაო ინფრასტრუქტურა, კარგი სამედიცინო მომსახურება და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, არქიტექტურულად მომხიბვლელი შენობა-ნაგებობები და ა.შ.

დაბა ქედას განვითარების მიზანია:

1. ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა და დასახლების ქალაქმაფორმირებელი ბაზის სტრუქტურის სრულყოფა, მოსახლეობის დასაქმებისა და სამუშაო ადგილების არჩევის შესაძლებლობა;
2. დაბა ქედის განვითარების მნიშვნელობის წარმოჩენა, როგორც განსახლების სისტემის მდგრადობის მიღწევის შესაძლებლობა. მისი, როგორც სოციო-კულტურული, საგანმანათლებლო, ორგანიზაციული, ეკონომიკური და ტურისტულ-რეკრეაციული ცენტრის როლის ამაღლება;

3. უზრუნველყოფილ იქნას კომფორტული საცხოვრებელი გარემო, რომელიც აკმაყოფილებს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ სტანდარტებს და საჭიროებებს, ამაღლდეს მომსახურების ობიექტებისა და საცხოვრისის დონე და ხარისხი, დაკავშირებული მოსახლეობის აღზრდასთან, განათლებასა და ჯანდაცვასთან;
4. უზრუნველყოფილ იქნას დასახლების არქიტექტურულ-მხატვრული და ესტეტიკური იერსახის ჩამოყალიბება, ურბანული გარემოს სათანადო ხარისხი. ამაღლდეს დასახლებული ტერიტორიების კეთილმოეწყობის ხარისხი;
5. უზრუნველყოფილ იქნას ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და რეაბილიტაცია;
6. უზრუნველყოფილ იქნას ურბანული რესურსების ეფექტური და რაციონალური გამოყენება (ბუნებრივი, ტერიტორიული, ენერგეტიკული);
7. უზრუნველყოფილ იქნას ნორმალური ეკოლოგიური გარემო. შემუშავდეს ტექნოგენური თუ ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული შესაძლო საგანგებო სიტუაციების ნეგატიური შედეგების მინიმიზაციისა და ნეიტრალიზაციის ზომები.

ამ ზოგად მიზნებთან ერთად მიწათსარგებლობის გეგმებში გასათვალისწინებელია შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პრინციპები:

ქვეითად გადაადგილების კომფორტულობა - მეგობრული ქვეითად მოსიარულეთათვის (pedestrian friendly- ხშირად ასე უწოდებენ) ქუჩათა ქსელის დიზაინი და ავტომობილებისაგან თავისუფალი საფეხმავლო ქუჩები;
მიწის შერეული გამოყენება და მრავალფეროვნება - ნაზავი მაღაზიების, ოფისების, მრავალფეროვნება ბინებისა და სახლების; სამოსახლო ტერიტორიებზეც, უბნებში, შენობებში შერეული ფუნქციების გამოყენება;
შერეული სახლები - შერეული სახლის ტიპების გამოყენება ზომისა და ფასის მიხედვით;
არქიტექტურისა და ურბანული დიზაინის ხარისხი - აქცენტის გადატანა ნაგებობებისა და შენობების მხატვრულ - ესთეტიკურ მხარეზე, ადამიანის კომფორტზე და „ადგილის“ გრძნობის შექმნაზე (sense of place); სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენობების განთავსებაზე სწორად არჩეულ ტერიტორიებზე, ადამიანური მასშტაბის არქიტექტურისა და მიმზიდველი გარემოს შექმნაზე;

„გეგმის“ შედგენის მთავარი საკვანძო ელემენტებია:
- ინტეგრირებული ადმინისტრაციული ერთეულის ფორმირება;
- ეკონომიკური განვითარება;

უდაოა, რომ საერთაშორისო ტრანზიტული მოძრაობა და, შესაბამისად, საავტომობილო ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს ამ ტერიტორიების ინტეგრაციას რეგიონის დანარჩენ დასახლებებთან. საერთაშორისო სატრანზიტო მოძრაობისა და მასთან თანხმლები ინფრასტრუქტურის მშენებლობა ძლიერ იმპულსს მისცემს განვითარების ცენტრების სტრუქტურულ ჩამოყალიბებას, მათ ურბანიზებას, მიმდებარე სოფლების დემოგრაფიული რესურსების ამოქმედებას და მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემის რეალური ფუნქციებით გამაგრებას. ეს ფაქტორები კი პირდაპირ იმოქმედებენ დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკურ და სივრცით-ტერიტორიულ განვითარებაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმაში გამოვლენილია და მოცემულია განვითარების არეალების სისტემები, რომლებიც შექმნილია მოსახლეობის მაქსიმალური კონცენტრაციისა და მეტ-ნაკლებად მაღალი სიმჭიდროვის ადგილებში, გააჩნიათ სივრცით-ტერიტორიული, რესურსული პოტენციალი, ლანდშაფტურ-კულტურული გარემო მდგრადი მართვისა და განვითარებისათვის.

ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ის დამატებითი მექანიზმები და მოცულობები, რომლებსაც გააჩნიათ უნარი მოიზიდონ სამოსახლო და ტურისტული ნაკადები და უზრუნველყონ არეალის ზოგადი მიმზიდველობა.
გეგმის ფორმატში მონიშნულია ის ტერიტორიული რესურსები, რომლებიც გამოყენებული უდნა იქნას წარმოქმნილი ნაკადების აკუმულირებისა და უზრუნველყოფისათვის. გეგმაში წარმოდგენილი განვითარების შემდეგი ცენტრები:

- **წონიარისის განვითარების არეალი;**

წონიარისი - ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი (წონიარისი, ტიბეთა, კანტაური, ვარჯანისი, აბუქეთა).
მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 275 მ სიმაღლეზე, დაბა ქედიდან დაშორებულია 8 კილომეტრით. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 499 კაცი.

- **ცხომრისის განვითარების არეალი;**

დასახლებები: სოფელი ცხმორისი, სოფელი ახო, სოფელი ჩეტკიძეები, სოფელი გობრონეთი, სოფელი კოკოტაური, სოფელი გეგელიძეები.

- **მახუნცეთის განვითარების არეალი;**

მახუნცეთი — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ზედა მახუნცეთისა და ქვედა მახუნცეთის ძველი სახელწოდებაა. მახუნცეთი მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის ნაპირებზე, ზღვის დონიდან 220 მ სიმაღლეზე. დაბა ქედიდან დაშორებულია 12 კილომეტრით. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 439 კაცი. ზედა და ქვეთა მახუნცეთის დასახლება მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის განსახლების ძირითად ღერძზე, საკომუნიკაციო სატრანსპორტო დერეფნის მიმდებარედ.

სოფლის ღირშესანიშნაობას წარმოადგენს შუა საუკუნეების ქვის ხიდი, რომლის აგებაც თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. ამ ხიდით მოსახლეობა დღესაც სარგებლობს.

სოფლის ჩრდილო ნაწილში, ზღვის დონიდან 335 მეტრის სიმაღლეზე, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს პატარა შენაკადზე გამოედინება 50 მეტრის სიმაღლის მახუნცეთის ჩანჩქერი, რომელიც საკმაოდ მოზრდილ მორევს აჩენს. პორფირიტული ტუფებისა და ტუფბრექჩიების წყებით აგებული ჩანჩქერი ძალზე შთამბეჭდავია და ბევრ მნახველს იზიდავს. აქვეა განლაგებული რესტორნის ტიპის კვების ობიექტები და ასევე საპიკნიკე ადგილები.

- **პირველი მაისის განვითარების არეალი;**

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი პირველი მაისი (საღორეთი) მდებარეობს ბათუმიდან 30 კმ. მანძილზე, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 340 მ სიმაღლეზე, დაბა ქედიდან დაშორებულია 6 კილომეტრით, 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 525 კაცი.
აქ მდებარეობს "აჭარული ღვინის სახლი", ცივასულას ციხე-კოშკი, მიწის ხიდი, შერვაშიძეების მარანი;

- **მერისის განვითარების არეალი;**

მერისი წარმოადგენს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრს (სოფლები გარეტყე, გუნდაური, ინაშარიძეები, ნამონასტრევი, სილიბაური, სიხალიძეები). მდებარეობს მდინარე მერისის მარჯვენა ნაპირზე. ზღვის დონიდან 700მ სიმაღლეზე. დაბა ქედიდან დაშორებულია 9 კილომეტრით. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 300 კაცი.
საბჭოთა პერიოდში მერისი აჭარის მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი იყო. საკოლმეურნეო ზვრებში გამოიყენებოდა სამი ძირითადი ჯიში: ჩხავერი, ცოლიკოური და ალიგოტე. მოსახლეობაში შემორჩენილია აგრეთვე ჩხავერი და ცოლიკოური.
სოფელი მერისი ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ადგილია. შესაძლებელია ნამონასტრევის, ჩანჩქერის, სათევზიას, მინდია ჩხიკვაძის მარნისა და ნამციხვარის ციხის დათვალიერება, მინერალური წყლის გუნდაურის გასინჯვა.

- **ოქტომბერის განვითარების არეალი;**

ოქტომბერი (ყოფ. ალიქოღლები) - ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი. მდებარეობს შავშეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე მერისის (აჭარისწყლის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 560 მ სიმაღლეზე, დაბა ქედიდან დაშორებულია 4 კილომეტრით. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 247 კაცი.

- **ზვარეს განვითარების არეალი;**

ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი (სოფლები ზვარე, ვაიო.). მდებარეობს მესხეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 480 მ სიმაღლეზე, დაბა ქედიდან დაშორებულია 6 კილომეტრით. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 201 კაცი.

- **დანდალოს განვითარების არეალი;**

დანდალო - ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი (სოფლები: დანდალო, ბალაძეები, ტაკიძეები). 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 347 კაცი. მდებარეობს აჭარის ქვაბულში, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა მხარეს ტაფობში, რომელიც საკმაოდ ვრცელ ველს წარმოადგენს. დანდალო ერთმანეთისგან ჰყოფს ზემო აჭარასა და ქვემო აჭარას.
სოფელში არის შუა საუკუნეების დანდალოს ხიდი. სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით დგას გვიან ფეოდალური ხანის კავიანის ციხე.

2-5 ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითად გეგმარებითი ღერძები

აჭარის ა.რ. შიდარეგიონალური, სიღრმისეული მიმართულებით განსახლების ღერძის ფორმირება/განვითარების შესაძლებლობას იძლევა რეგიონის ქალაქების შემოვლითი ავტომაგისტრალის მშენებლობა, ასევე ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის სათანადო რეაბილიტაცია, მასზე მოძრაობის გააქტიურება და სრულფასოვანი ინტეგრაცია ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაში.

გზების რეკონსტრუქცია აუცილებელი წინაპირობაა აჭარის ა.რ. შიდა რეგიონების დეპოპულაციის, ფუნქციურ-სივრცითი იზოლაციისა და სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის შესარბილებლად. ამასთანავე, მხოლოდ გზის რეაბილიტაცია არ არის საკმარისი მიმდინარე რთული სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროცესის დასაწყებად. აუცილებელია მიმდინარე მსხვილმაშტაბური პროექტების თანმდევი ხელშემწყობი რეგიონული პროგრამებისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სქემების აქტუალიზაცია, რომლებიც, უზრუნველყოფს საქართველოსა და მისი რეგიონების განსახლების მდგრადი სისტემის ფორმირებას.

2-5.1 სივრცის კატეგორიები

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ტრანსფორმაციის საკვანძო პრინციპს წარმოადგენს ტერიტორიის დიფერენციაცია და სეგმენტაცია გარკვეული რაოდენობის მაკრო ზონებად (მაკრო ზონირება). ყოველივე მათგანზე დგინდება ტრანსფორმაციის, შეზღუდვების, მართვის მეთოდების ზემოქმედების და ქალაქთმშენებლობითი საქმიანობის პირობები.

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ტერიტორიების კომპლექსური შესწავლის საფუძველზე, გამოვლინდა ისეთი ზონები და ტერიტორიები, სივრცითი სტრუქტურები, რომელთაგან ზოგიერთზე უნდა დადგინდეს სივრცით-ტერიტორიული რეგულირების სტატუსი. თავის მხრივ, ამგვარი სტატუსის მქონე ტერიტორიებზე უნდა ვრცელდებოდეს განვითარების განსაკუთრებული რეჟიმი. "ხედვის" ფორმატში განისაზღვრა ისეთი სივრცით-ტერიტორიულ სტრუქტურები, რომლებიც ძალზე არსებითია მუნიციპალიტეტის განვითარების თვალსაზრისით.

მათ შორისაა: სივრცის კატეგორიები: ურბანიზებული ტერიტორია, სასოფლო ტერიტორია, ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია, სპეციალური ტერიტორიები;

ასევე სამრეწველო ზონები, შერეული ზონის საზღვრები, დაცული ტერიტორიის საზღვრები, პერსპექტიული ტურისტულ სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივები, სატყეო მასივების დაცვისა და განვითარების ტერიტორიები, ტბები და წყლის ობიექტები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტერიტორიები.

ურბანული ტერიტორიები

ურბანულ ტერიტორიებს წარმოადგენს ტერიტორიის ნაწილი, რომელიც მოცულია ქალაქური დასახლებითა და მისი დამხმარე სტრუქტურებით. ურბანულ სტრუქტურებს, ყველა სხვა სტრუქტურებთან შედარებით მძლავრი ზეგავლენა გააჩნიათ ეკოლოგიურ გარემოზე, შესაბამისად აუცილებელია მათი განვითარების პარამეტრების განსაზღვრისას კომპაქტურობის პრინციპის გათვალისწინება. ამასთან, მნიშვნელოვანია დემოგრაფიული, სამოსახლო სტრუქტურებისა და ეკონომიკის ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდეს შესაბამისი პროგნოზები, რომლებიც საფუძვლად დაედება ურბანული ტერიტორიებზე მოთხოვნის შეფასებას. ასეთი შეფასების საფუძველზე შესაძლებელია ძირითად ურბანულ ტერიტორიებთან დაკავშირებული აპროქსიმაციების შესრულება, რომლებიც აუცილებელია საქალაქო სტრუქტურების განვითარებისათვის.

გასათვალისწინებელი გარემოებაა რომ ქედის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ურბანული არეალის - დაბა ქედა წარმოადგენს ეკონომიკურად ძალზე სუსტად განვითარებულ ურბანულ ცენტრს, რომელიც ვერ ახდენს განვითარების იმპულსების ტრანსლირებას მის არეალში არსებულ დასახლებებზე. ამასთან ერთად, მისი ადმინისტრაციული ფუნქცია, არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ინფრასტრუქტურასთან ერთად მაინც განასხვავებს მას მუნიციპალიტეტში არსებული სოფლებისაგან. გარშემო სოფლებთან არათანასწორმა განვითარებამ შესაძლოა მოცემული სოფლების სამოსახლო გამოფიტვა გამოიწვიოს, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებს კულტურულ-ისტორიულ და ტურისტულ გარემოს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ხარისხობრივი განვითარებაა საჭირო, რომ მან შეძლოს რესურსების მოზიდვა, (როგორც ადამიანური ასევე ეკონომიკური და ფინანსური) განვითარება და შემდგომ განვითარების იმპულსების სიღრმისეული გადაცემა პერიფერიულ ტერიტორიებზე.

ამასთან ერთად, კვლევის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული სოციალური თუ სხვა მომსახურების ობიექტების ურბანული სტრუქტურისგან მოშორებით, სასოფლო ან სხვა დასახლებებისათვის ხელსაყრელად განთავსების აუცილებლობა. ამგვარი ტერიტორიებია ის საკურორტო ადგილები თუ განვითარების პერსპექტიული არეალები, რომლებიც სამომავლოდ გააქტიურებს ურბანული სტრუქტურიდან მომავალ სატრანსპორტო ნაკადებს და ხელს შეუწყობს არეალის გამოცოცხლებასა და სამოსახლო რესურსის გამტკიცებას.

ურბანულ სტრუქტურებს, როგორც წესი, ახასიათებთ სოციალური უზრუნველყოფის მაღალი ხარისხი. ასევე მოცემული სივრცე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მიმდებარე სასოფლო და სხვა სამოსახლო დასახლებებისათვის და უნდა უზრუნველყოფდეს მათ როგორც პირველადი, ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში მეორადი მომსახურების სახეობებით. შესაბამისად ურბანული სტრუქტურების განვითარების დასახვისას მნიშვნელოვანია იმ ძირითადი პარამეტრული მაჩვენებლების გათვალისწინება რომლებიც განისაზღვრება მიმდებარე და მომიჯნავე სამოსახლო არეალებით.
მუნიციპალიტეტის თანაბარი სივრცით-ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით გეგმის ფორმატში გამოვლინდა განვითარების ცენტრების ტერიტორიები, რომლებიც დეტალურად ქვემოთაა აღწერილი.

სასოფლო ტერიტორიები

სასოფლო ტერიტორიები მოიცავს სასოფლო დასახლებებსა და მათთან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ისინი განსახლების დაბალი სიმჭიდროვითა და ტრადიციული კულტურული თავისებურებების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. მათი თანმიმდევრული, შეწონილი განვითარება რეგიონის კულტურულ-სოციალური გარემოს შენარჩუნების აუცილებელი წინაპირობაა. ქედის მუნიციპალიტეტის ფორმატში სასოფლო ტერიტორიები უარყოფითი დემოგრაფიული მაჩვენებლებით ხასიათდება, რაც მნიშვნელოვანი კულტურული და ტრადიციული ერთეულების გაქრობის საფრთხეს წარმოშობს. ამგვარი გარემოება განპირობებულია, ერთის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო დარგში მსოფლიოში არსებული ტერიტორიული გამსხვილების ტენდენციებით, რაც მოგების მაქსიმიზაციისკენ არის მიმართული და ხშირად წვრილი მიწათმფლობელების მიერ სოფლის დატოვების მიზეზი ხდება. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს წვრილი მიწათმფლობელები არიან იმ კულტურულ-ტრადიციული ღირებულებების მატარებლები რომლებიც სოფელს განსაზღვრავს. შესაბამისად კულტურული ღირებულებებისაგან გამოფიტული სასოფლო ტერიტორიები დგებიან აგრალური ფერმების ტერიტორიებად გარდაქმნის საშიშროების წინაშე. მოცემული ტენდენციების საპასუხოდ საერთაშორისო საზოგადოებამ შეიმუშავა არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი თუ სამოქმედო გეგმა რომელიც წვრილი მიწათმესაკუთრეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოფლად დარჩენას უწყობს ხელს. ამ დოკუმენტების დებულებები გაზიარებულია საქართველოს მიერაც.

მეორეს მხრივ, დეპოპულაციის მიზეზი ხდება ურბანული სივრცეების მუდმივად ზრდადი კომფორტის დონე, რომელიც სოფლის მკვიდრ მოსახლეობას აიძულებს გააკეთოს არჩევანი დაბალ კომფორტულ ტრადიციულ გარემოსა და მაღალკომფორტულ ურბანულ-უნიფიცრებულ გარემოს შორის. ამის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია სოციალური და სხვა სტრუქტურებისა და აქტიობების ოპტიმალური გადანაწილების სისტემის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ტრადიციული სამოსახლო სტრუქტურის შენარჩუნებას.

ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიები

ლანდშაფტი სივრცის განმსაზღვრელი უპირობო მონაცემია. ეს არის ის განზომილება რომელიც განასხვავებს ერთ არეალს მეორესაგან და წარმოქმნის ადგილობრივ კულტურასა და იერსახეს. აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების გეგმის კონტექსტში გეგმარებითი სამუშაოების სწორად წარმართისათვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ლანდშაფტების სწორი შეფასება და მისი პოტენციალის შესაბამისი გააზრება, რათა გამოიკვეთეს მუნიციპალიტეტის უნიკალური ხასიათი და მოხდეს განვითარების სწორი მიმართულებით წარმართვა. ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიები მოიცავს ლანდშაფტური და სარეკრეაციო ფუნქციის ტერიტორიებს რომლებიც განკუთვნილია ბუნებრივი სახით მოვლა /შენარჩუნება /განვითარება /რეგენერირებისათვის. შესაბამისად ის და მისი ძეგლები დაცვის, შენარჩუნებისა და სივრცული ხაზგასმის პირველად სამიზნეს წარმაოდგენენ. ყურადსაღებია, რომ ნებისმიერი ტერიტორია ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიებში ჩარევით წარმოიშობა და საჭიროებს მყარ დასაბუთებას განვითარების აუცილებლობის კუთხით.

სპეციალური ტერიტორიები

სპეციალური ტერიტორიები მოიცავს იმ ტერიტორიებს, რომელთა გამოყენება განსაზღვრულია სამთავრობო დადგენილების საფუძველზე. მოცემულ ტერიტორიებს მიეკუთვნება, მაგალითად სასაფლაოების, საავადმყოფოების, ნაგავსაყრელების, უნივერსიტეტების, სამხედრო და მსხვილი სამეწარმეო სტრატეგიული ობიექტებსი განთავსებისათვის განკუთვნილი ტერიტორიები. მოცემული ტერიტორიების დადგენა ხდება სპეციალური გადაწყვეტილების თანახმად და ხშირად მათი განვითარების პარამეტრების განსაზღვრა მხოლოდ ნორმატიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია. მოცემული ობიექტების დაგეგმარება განისაზღვრება შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე. მათი განთავსების აუცილებლობასთან დაკავშირებული პარამეტრების შეფასების მოთხოვნა და შესაბამისი ტერიტორიული რესურსის მონიშვნისათვის საპროექტო დავალება გაიცემა მთავრობის მიერ.

სამრეწველო ზონები

რაც შეეხება ქედის მუნიციპალიტეტის სამრეწველო ზონებს, მათ მუნიციპალიტეტის ძალზე მწირი ადგილი უჭირავთ და ძირითადად მდებარეობენ მუნიციპალიტეტის დასავლეთ ნაწილში, აჭარის ა.რ. ურბანული ცენტრების სიახლოვეს. მუნიციპალიტეტში უკვე მიმდინარეობს სამრეწველო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ტენდენცია;

მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების რაციონლური გამოყენება/ათვისება შესაძლებელს გახდის ადგილზე გაიზარდოს არსებული სამრეწველო რესურსის ლიკვიდურობა და განვითარების სტიმულს მისცემს მსუბუქ მრეწველობას. რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად მუნიციპალიტეტის ქვეყნის საერთო ეკონომიკურ სივრცეში და შრომის გადანაწილების პროცესში ჩართვისათვის.

2-5.2 ინფრასტრუქტურა

2-5.2.1 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პრინციპები და მიმართულებები

ქედის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული კარკასის განვითარების პრინციპები ყალიბდება ტერიტორიული პოლიტიკის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, განვითარების საკვანძო ცენტრებში დაგეგმილი ქალაქთმშენებლობითი აქტივობების და რესურსების კონცენტრაციის საფუძველზე, ასევე, დასახლებათა ქსელზე აგებული განსახლების კარკასის გათვალისწინებით. ტრანსპორტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სივრცითი ერთეულების ფიზიკური კავშირი. ეს გულისხმობს, როგორც დასახლებული ობიექტების (ქალაქი, სოფელი, ადმინისტრაციული ერთეული) ასევე ტურისტული, სარეკრეაციო, სამეურნეო თუ სხვა შესაძლო მიზიდულობის წერტილებს შორის ისეთი კავშირების შექმნას, რომლებიც გარანტირებულ დროში უზრუნველყოფენ ტვირთებისა და მგზავრების ოპტიმალური ოდენობის გადაადგილებას.

აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო ინფრასტურქტურა გარემოზე ზემოქმედების მაღალი დონით გამოირჩევა რაც, შესაძლოა, ეკოლოგიურ რისკებთან იყოს დაკავშირებული. სატრანსპორტო პროექტები ასევე დიდ ფინანსურ დანახარჯებთან ასოცირდება, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც, ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო ინფრასტრუქტურაზე დაწოლა საკმაოდ დიდია, რის შედეგადაც ის განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას და პერიოდულ განახლებას საჭიროებს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყოს მინიმალური ტერიტორიული და ეკონომიკური დანახარჯებით, ეკოლოგიური რისკების გათვალისწინებით, სამიზნე ობიექტებს შორის დასაბუთებული აუცილებლობის მაქსიმალურად ეფექტიანი კავშირების უზრუნველსაყოფად.

აქვე აღსანიშნავია, რომ სივრცითი მოწყობა გულისხმობს განვითარების შესაბამისი მიწის რესურსის მინიშნებას და გათვალისწინება, ხოლო ადმინისტრირება და სატრანსპორტო მენეჯმენტი სცდება მოცემული პროექტის ფარგლებს. სატრანსპორტო მიმართულებისათვის საბოლოო გეგმარებით დოკუმენტს წარმოადგენს ძირითადი სატრანსპორტო კომუნიკაციების სქემა (სივრცითი მოწყობის დოკუმენტი) და შესაბამის ზონირებითი სქემა (გრგ).

მუნიციპალიტეტის ლოკალურ დონეზე გეგმის ფორმატში არ არის გათვალისწინებული მსხვილი სატრანპოსრტო პროექტები, შესაბამისად მოცემული პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო კომპონენტისათვის განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

– მუნიციპალური ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში დასახლებებსა და ცალკეულ ტერიტორიებს შორის საკომუნიკაციო კავშირების გაუმჯობესება, საავტომობილო გზების ქსელური სტრუქტურის გრძივი მიმართულებების განვითარება;

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დასახლებების ქუჩებისა და გზების ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორც განაშენიანებულ, ისე მათ ლანდშაფტურ ტერიტორიებზე;
– მოსახლეობის მობილურობის ამაღლება;
– საავტომობილო ქსელის დაბალანსებული განვითარება და მოდერნიზაცია განსახლების კარკასის არსებული მდგომარეობისა და მისი პერსპექტიული განვითარების გათვალისწინებით;
– საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმალური ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე;
ტრანსპორტის, კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულებებია განვითარების ცენტრებში და დასახლებულ პუნქტებში მათი რეაბილიტაციის/მშენებლობის დაჩქარება, ურბანული დერეფნის ფორმირება/განვითარება მუნიციპალიტეტის რურალური დასახლებების ტერიტორიაზე.

ქედის მუნიციპალიტეტისთვის ძალზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ბათუმი-ახალციხის მიმართულებით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გააქტიურება. ამის შესახებ უფრო დეტალურად **განსახლების სამხრეთის ღერძის ფორმირების** თავშია მოცემული.

2-5.2.2 საინჟინრო ინფრასტრუქტურა

ზოგადად, მაღალმთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი რთული რელიეფი იწვევს ქედის მუნიციპალიტეტში არსებული საინჟინრო ქსელების მოწყობასა და ოპერირებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ამას ემატება ტემპერატურის მაღალი ცვალებადობა, ბუნებრივი კატაკლიზმები, ეროზიული და ღვარცოფული ხასიათის არეალები, რომლებიც ართულებს კომუნალური უზრუნველყოფის ქსელების მოწყობა-შენარჩუნებას. დღევანდელი მდგომარეობით მოცემული დასახლებების საინჟინრო უზრუნველყოფა ძალზე ფრაგმენტულ, ლოკალურ ხასიათს ატარებს და გარკვეული სოციალური პროექტების ჭრილში განიხილება.

ძალზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გეგმის ფორმატში გამოვლენილი და ასახული სამომავლო ეკონომიკურ აქტივობათა არეალები, რომელთა ინფრასტრუქტურულმა უზრუნველყოფამ შესაძლოა გაზარდოს არეალის ეფექტიანობა.

გეგმაში ასახული ტურისტულ აქტიობათა ცენტრების ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების შემდგომ ზრდას. რაც მომგებიანს გახდის ინფრასტრუქტურულ პროექტებში განხორციელებულ ინვესტირებას. ასევე ტურისტული ნაკადების ზრდა ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის გარეშე მძიმე ეფექტს იქონიებს გარემოზე, რაც საბოლოოდ ისევ ტურისტული ნაკადების შემცირებაზე აისახება.
ცალკე პრობლემას წარმოადგენს საკანალიზაციო და ნარჩენების გატანის სისტემები. მათი გაუმართაობა მძიმე ზეგავლენას ახდენს გარემოზე და, შესაბამისად, არეალის ტურისტულ და ეკონომიკურ პოტენციალზეც. ერთის მხრივ, რთული კლიმატური, ბუნებრივ-გეოგრაფიული და გეომორფოლოგიური პირობები ზრდის ხაზოვანი საკანალიზაციო ქსელის საექსპლუატაციო რისკებსა და ხარჯებს, რომლებიც ესოდენ საჭიროა განსახლების არსებული სტრუქტურისათვის, მეორეს მხრივ საჭირო ხდება ეკონომიკურად გაუმართლებელი მრავალი გამწმენდი ნაგებობების გათვალისწინებაც. ამდენად სამომავლოდ საჭიროა შედარებით ნორმალურ არეალების ერთიანი საკანალიზაციო ქსელით უზრუნველყოფა.

მთიანი რეგიონისთვის პრობლემური მიმართულებაა ნარჩენების მართვაც. სასურველია ლპობადი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ადგილზე უტილიზირება. ხოლო სხვა სახიფათო თუ არალპობადი ნარჩენების შეგროვებისათვის გადასატვირთი სადგურების შექმნა.

2-5.2.3 ენერგეტიკა

ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება და ჰიდრორესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება. ელექტროენერგიის გადამცემი ახალი ხაზებისა და ელექტროსადგურების მშენებლობა, ძველი ჰესების რეაბილიტაცია უზრუნველყოფს საკუთარი ჰიდრორესურსების ათვისების გზით იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირებასა და ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ამაღლებას. საქართველოს მიზანია, გახდეს ელექტროენერგიის მსხვილი რეგიონული ექსპორტიორი, რისთვისაც ენერგიის გამომუშავების ზრდის გარდა აუცილებელია ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობაც. სტრატეგიული ენერგორესურსების რეზერვების შექმნა ახალი ჰესებისა და ბუნებრივი აირის საცავების მშენებლობისა და განახლებადი ენერგიის გამომუშავების გზით ხელს შეუწყობს ენერგოკრიზისების პრევენციასა და მართვას და ენერგეტიკული უსაფრთხოების შემდგომ ამაღლებას.

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის თანახმად, აჭარისათვის პრიორიტეტულია განახლებადი ენერგიისა და ალტერნატიული წყაროების უპირატესი გამოყენება და ენერგეტიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებულია „განახლებადი ენერგიის პოლიტიკა". ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი მიზანია მდიდარი ჰიდრორესურსების მაქსიმალური გამოყენება და თერმული თაობის სრული ჩანაცვლება. ჰიდროელექტროსადგურების იდენტიფიცირება და სათანადო რანჟირება, გადაცემათა ახალი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობა; არსებულ და ახალ ელექტროსადგურებში გამომუშავებული მოჭარბებული ენერგიის ექსპორტი.

2-6 სოფლის მეურნეობა

ქედის მუნიციპალიტეტისსივრცითი გადაწყვეტებისა თუ ცალკეული დასახლებების განაშენიანების რეგულირების პროცესში ხელი უნდა შეეწყოს ისტორიულად დამკვიდრებული ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგების შენარჩუნებასა და განვითარებას საქართველოს მიერ სოფლის მეურნეობის დარგში აღიარებული სტრატეგიული მიდგომებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, სივრცითი დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია დაცულ ტერიტორიებსა და სოფლის მეურნეობის განვითარების შორის ბალანსის უნზრუნველყოფა. სოფლის მეურნეობის ანთროპოგენული ზემოქმედებიდან აღსანიშნავია არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, ტყის უკონტროლო გაჩეხვა, გადაჭარბებული ძოვება, ხელოვნური ხანძრები, მნიშვნელოვნად აზიანებს ლანდშაფტს, იწვევს ბიომრავალფეროვნების კარგვას და ზრდის ბუნებრივი კატასტროფების რისკს.
მეორეს მხრივ, ტრადიციული სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს. შესაბამისად, სივრცითი მოწყობის გეგმის ერთ-ერთი ამოცანაა ამ ორი მიმართულების სივრცითი განზომილებების ერთმანეთის სასიკეთოდ მიმართვა.

სივრცითი მონაცემები სასოფლო/სამეურნეო სავარგულების განაწილებასთან და სახეობასთან დაკავშირებით საჭიროებს დეტალურ სისტემატიზაციას და რისკების გაანალიზებას, მათი შემდგომში პრევენციის მიზნით.
აღნიშნული მონაცემების ზედდება სხვა სივრცით მონაცემებთან, მათ შორის, ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის არეალებთან ან მოწყვლადი ეკოსისტემებისა თუ ბუნებრივი რესურსების დაცვის არეალებთან, მოგვცემს საშუალებას, განვსაზღვროთ ძირითადი საფრთხეები, გამოვავლინოთ კონფლიქტები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, დავსახოთ განვითარების პერსპექტიული მიმართულებები.

პერსპექტიული მიმართულებები

სასათბურე მეურნეობები
ქედის მუნიციპალიტეტში აგრო სექტორში არსებული პრობლემების აღმოფხვრის, მისი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მიზნით საჭიროა და აუცილებელია მუნიციპალიტეტში სასათბურე მეურნეობის განვითარება.

წინა წლებში ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ნაკლებ ყურადღებას იჩენდა სასათბურე მეურნეობის განვითარების საქმეში, რომლის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივამ მიზნობრივი პროგრამებით შეღავათიან ფასებში მოსახლეობაზე სასათბურე კონსტრუქციების გადაცემამ.

დღეისათვის, მუნიციპალიტეტში უკვე 100-მდე მცირე სასათბურე მეურნეობაა მოწყობილი, სადაც ძირითადად გამოჰყავთ კიტრი და პომიდორი, მაგრამ გათბობის სისტემის სირთულის გამო ზამთრის პერიოდში ვერ ახდენენ წარმოებას. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მოგვაჩნია გათვალისწინებული იქნეს არასეზონურ ბოსტნეულზე ბაზრის მაღალი მოთხოვნილება და განხორციელდეს ისეთი საპილოტე პროექტები,როგორიცაა მცირე ზომის ენერგოეფექტური (მზის ენერგია) სასათბურე მეურნეობების გათვალისწინება მიზნობრივ პროგრამებში.

სამაცივრე-სასაწყობო მეურნეობა
საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, აგრარული პროდუქციამოსავლის აღების შემდგომ მოითხოვს პირველად გადამუშავებას, რაც გულისხმობს მინარევებისგან გაწმენდას, დახარისხებას, დაფასოებას, შეფუთვასა და ეტიკეტირებას. ინდივიდუალური მწარმოებლების, კერძოდ, ფერმერების შესაძლებლობები ამ

შემთხვევაში შეზღუდულია. მაშინ, როცა თანამედროვე საბითუმო ბაზრებს აქვთ სრული მარკეტინგული ქსელი პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისათვის.

ქედის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე პირველადი და გადამუშავებული პროდუქტების შესანახი სასაწყობე და სამაცივრე ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის (საბითუმო) ცენტრის არსებობა ხელს შეუწყობს ქედაში წარმოებული პროდუქციის ხანგრძლივი პერიოდით შენახვას, ხარისხისა და სასაქონლო სახის შენარჩუნებასა და პროდუქციის რეალიზაციას.

ღვინის წარმოება

დღეისათვის ქედის მუნიციპალიტეტს გააჩნია ახალი ღვინის ქარხანა, რომელიც შეუფერხებლად მიიღებს 1500 ტონაზე მეტ ყურძნის მოსავალს, რამაც მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია და დღეისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში დარაიონებული ცოლიკაურისა და ჩხავერის ჯიშის ნერგებზე შეიქმნა დიდი მოთხოვნილება. არსებული ფართობებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე შესაძლებელია 100 ჰექტარზე ცოლიკაურის და 50 ჰექტარზე ჩხავერის ახალი პლანტაციების გაშენება, მაგრამ ქედაში არ არსებობს მევენახეობის სანერგე მეურნეობა და გლეხურ შინა მეურნეობებში არსებული სანერგეები ვერ აკმაყოფილებენ ნერგით უზრუნველყოფას. ასეთ სანერგეებში პრაქტიკულად დარღვეულია ნერგის წარმოების სრული ტექნოლოგიური ციკლი. ამდენად, მაღალხარისხოვანი ვაზის ნერგი მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად არიწარმოება, ამიტომ ეს საკითხი არის გადასაწყვეტი ქედაში მევენახეობის სწრაფი ტემპით აღმავლობისათვის.

თხილის წარმოება

ქედის მუნიციპალიტეტი თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებებიდან გამომდინარე ოდითგანვე მეხილეობის ზონად ითვლებოდა,

რადგან მეხილეობა სხვა დადებით თვისებებთან ერთად ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო პრიორიტეტს წარმოადგენს, ამიტომ შემთხვევითი არ არის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა მისწრაფება აღნიშნული დარგის განვითარების, გაფართოებისა და სიახლეების დანერგვის საქმეში. აქედან გამომდინარე ბუნებრივია მოსახლეობაში თანდათანობით იზრდება მოთხოვნილება მრავალწლიანი კულტურების კერძოდ თხილის გაშენებაზე. ქედის მუნიციპალიტეტს გააჩნია რესურსი რომ თხილის პლანტაციები გაშენდეს დაახლოებით 800ჰა. დღეისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაფანტული ნარგავების ჩათვლით თხილი გაშენებულია 60 ჰა. სხვა ხეხილოვანი კულტურებისათვის გამოუსადეგი ფართობები თხილის გაშენების დიდ საშუალებას იძლევა მაგრამ აღნიშნულ საკითხს აფერხებს შემდეგი გარემოებები:

1. მუნიციპალიტეტში 90-იან წლეებში სახნავ-სათესად გამოყენებული ფართობების დიდი ნაწილი ტყე ბუჩქით დაიფარა და დღეისათვის ამ ტერიტორიების გაკულტურება უნდა მოხდეს სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების მოსახლეობაზე ხელშეწყობით, რათა მოსახლეობას გადაეცეს ზემოთ აღნიშნული ფართობები თხილის გაშენებისათვის.

2. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2015 წლისათვის მიზნობრივი პროგრამით განახორციელებს 32000 ძირი თხილის ნერგის მოსახლეობაზე მიწოდებას, მაგრამ მუნიციპალიტეტში არსებული ფართობები საშუალებას იძლევა გაშენდეს 1000000 (მილიონი) ცალი თხილი ნერგი და მოსახლეობა ხელისუფლებისგან მოითხოვს დაბალპროცენტიან აგროსესხების გამოყოფას ნერგის შესაძენად. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია პერსპექტივაში ქედაში აშენდეს თხილის პირველადი გადასამუშავებელი საწარმოო, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკის აღმავლობას.

მარწყვის წარმოება

მარწყვი რაიონში წარმოებულ ხილს შორის ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანი კულტურაა. რაიონის ნიადაგი და აგროკლიმატური პირობები ხელსაყრელ გარემოს ქმნის მარწყვის მოსაყვანად. დღეის მდგომარეობით მარწყვი გაშენებულია დაახლოებით 10 ჰექტარზე, სადაც გაშენებულია სხვადასხვა მოკლე დღის ჯიშები, რომლებიც ერთ მოსავალს იძლევა. სასურველია მოსახლეობის სერთიფიცირებული ელიტური ჯიშებით უზრუნველყოფა და აგრეთვე რეკომენდაციის გაწევა მარწყვის რემონტატული ჯიშების სათბურში მოყვანის შესახებ (სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა), რითაც ფერმერებს თითქმის 9 თვის მანძილზე ექნებათ შემოსავლის წყარო.

თევზის წარმოება

თევზის წარმოების ხელშეწყობის მიზნით ქედის მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მეთევზეობის დარგის განვითარებისათვის მიგვაჩნია ფერმერებს გაეწიოს დახმარება საკალმახე ფართობების დაკანონებაში რათა შემდგომში მათ შეძლონ დაბალპროცენტიანი აგრო სესხის აღება, რათა გამოიყენონ უმოქმედო საკალმახეების აღდგენასა და ფუნქციონერებისათვის.
2. თევზის მწარმოებელთა კოპერატივის შექმა;
3. დარგის კარგი მენეჯმენტის აუცილებლობა;
4. ტრენინგების მოწყობა თევზის მწარმოებელ ფერმერებისათვის;
5. თეზის კომბინირებული საკვების დამამზადებელი მცირე საწარმოს შექმნა;
6. ქედის რაიონში, რომელიც ლიდერია საკალმახე მეურნეობების რაოდენობით საპილოტო პროექტის „ერთი რაიონი - სრული პროდუქტი“ განხორციელება. პროექტის მიხედვით რაიონში მცირე გადამამუშავებელი საწარმოს ორგანიზება, რომელიც რაიონის საკალმახე მეურნეობებისაგან შეიძენს თევზს, შესძენს მას დამატებით ღირებულებას და მოახდენს მის რეალიზაციას.

სადემონსტრაციო ნაკვეთები

ქედის მუნიციპალიტეტში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამით 1.5 ჰა-ზე 3 კოოპერატივში მიმდინარეობს სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა („პირველები“-სოფ. პ/მაისი, „დოვლათი“-სოფ. ზენდიდი. „აგროწალკოტი“-სოფ. წონიარისი“), სადაც გაშენდება ჩხავერისა და ცოლიკაურის ვაზის ჯიშები. აგრეთვე, აგროსერვის ცენტრის მიერ გაშენდა მოცვისა (სოფ. ზენდიდი) და კაკლის (სოფ. გობრონეთი) სადემონსტრაციო ნაკვეთები. ისინი ყველაზე ეფექტური საშუალებაა ფერმერთა ცოდნის ამაღლებისა და სტიმულირების.

თამბაქოს წარმოება

ქედის მუნიციპალიტეტში 80-იან წლებში მოსახლეობის შემოსავალის ძირითად წყაროს თამბაქო წარმოადგენდა, მაგრამ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო აღნიშნული დარგი მივიწყებას მიეცა და შესაბამისად დაეცა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ქალაქისაკენ მიგრაციის სწრაფ ტემპს, რომლის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვა დარგებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს თამბაქოს წარმოების აღდგენის მხრივ. დღეისათვის რამდენიმე სოფელი აწარმოებს თამბაქოს და რეალიზაციას უკეთებს ადგილობრივ ბაზარზე. მოსახლეობის სოფლად დამაგრებისათვის ერთ-ერთ აუცილებლობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს გადამამუშავებელი მცირე საწარმოს აშენება, რადგან აღნიშნული დარგის კვლავ აღორძინებით ფერმერები მატერიალურად გაძლიერდებიან და ადგილი არ ექნება მიგრაციას.

ბიო მეურნეობა

მუნიციპალიტეტის კლიმატი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბიო მეურნეობის გამვითარებისათვის. ზოგადად ბიომეურნეობები მაშინ შეიძლება განვითარდეს, თუ შემდეგი საკითხები იქნება სისტემურ დონეზე მოგვარებული:
1. კვალიფიკაცია: ფერმერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, თუ რას ნიშნავს ბიომეურნეობა, ბიოპროდუქტი, რა პერსპექტივები აქვს ამ დარგს, როგორ უნდა მოხდეს მეურნეობის ორგანულზე გადაყვანა და ა.შ.

2. მხარდაჭერა: მსურველმა ფერმერებმა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ უნდა შეძლონ კონვენციური (ტრადიციული) მეურნეობიდან ორგანულზე გადასვლა, რომელსაც გარკვეული დრო და ფინანსური რესურსები ესაჭიროება.

3. სერთიფიცირება: ბიომეურნეს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მის მიერ ყველა წესის დაცვით მოყვანილ ბიოპროდუქციას არ შეექმნება პრობლემები და ზოგადად არ დადგება ეჭვქვეშ მისი ორგანულობა.

4. რეალიზაცია: ჩვეულებრივი ფერმერი ვერ დაუკავშირდება უცხოეთში სავარაუდო მყიდველს, ვერ დადებს კონტრაქტს და ვერ მოაგვარებს ექსპორტთან დაკავშირებულ რთულ პროცედურებს. ყველაფერ ამაში მას სერიოზული დახმარება ესაჭიროება.

თუ ზემოაღნიშნულ საკითხებში სახელმწიფო და სახელდობრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინახავს მის სავარაუდო წვლილს და კონკრეტულ ქმედებებსაც განახორციელებს, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების განვითარებას შეუწყობს ხელს.

2-7 გარემოს დაცვა და კულტურული მემკვიდრეობა

2-7.1 ბუნებრივი რესურსები

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება განიხილება მუნიციპალიტეტის განვითარების საფუძვლად. ეს მიდგომა გულისხმობს ერთის მხრივ, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, ხოლო მეორეს მხრივ, ამ გარემოს დადებითი ეფექტის მაქსიმალურ გამოყენებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა ბუნებრივი რესურსებისადმი სისტემურ სივრცით მიდგომას გულისხმობს. ეს ნიშნავს რომ მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობითი პოტენციალის ათვისება უნდა განიხილებოდეს სხვა სისტემებზე - მაგ., დაცული ტერიტორიების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ტურიზმის - შესაძლო ზემოქმედების ჭრილში.

ამდენად, სივრცითი მოწყობის გეგმა ქმნის ქედის მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პირობებს ისე, რომ ხელი შეეწყოს განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე საქმიანობებს და აღნიშნულმა უარყოფითად არ იმოქმედოს ბუნებრივი გარემოს მდგრადობაზე, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცულობაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითითი მოწყობის გეგმაში ასახულია I ნაწილში ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემები. შესაბამისად აღრიცხულია, აღწერილი და კარტირებული ეკოლოგიურად მოწყვლადი, დეგრადირებული არეალები. ასეთი არეალები მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენენ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობისათვის, ასევე შეიცავენ ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანების რისკს. გამოვლენილია და შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებებია დანიშნული მეწყრულ-ეროზიული არეალების მიმართ.

გეგმის ფორმატში გამოვლენილია მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტერიტორიები (მნიშვნელოვანი ეკოსისტემური სერვისებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების უზრუნველმყოფი ტერიტორიები). ასეთ არეალებზე უარყოფითი ზემოქმედება შეუქცევად რისკებთანაა დაკავშირებული. (მაგ., არაგონივრულმა ხე-ტყის წარმოებამ შეიძლება მეწყრულ-ეროზიულ პროცესები გამოიწვიოს). ამიტომ, საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილია ასეთი ტერიტორიების დამცავი ზონები, რაც უზრუნველყოფს მაღალი ბუნებრივი ღირებულების მქონე არეალების დაცვას ფუნქციათა გარდაქმნასა და დეგრადაციისაგან. ასევე, ამ ზონებისათვის დადგენილია აღდგენა-რეგენერაციის რეჟიმები.

ცალკე ყურადღების საგანია ძლიერი ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ მყოფი მაღალი ღირებულების არეალები და კრიტიკული ეკოსისტემური სერვისებით უზრუმველმყოფი ტერიტორიები (მდინარეთა კალაპოტები და სხვა). ასეთი არეალები შესაბამისად ინტეგრირებულია სივრცითი მართვის დოკუმენტაციაში.

ამდენად, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია "კონფლიქტური" საკითხის გამოვლენა და მათი ჰარმონიზება სხვა დარგობრივ დოკუმენტებთან მიმართებაში.

2-7.2 დაცული ტერიტორიები, ბიომრავალფეროვნება და ლანდშაფტები

დაცული ტერიტორიების სისტემა წამყვანი ელემენტია ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეებზე მუნიციპალიტეტის როლის განსაზღვრისას.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მიზნით, სივრცით-ტერიტორიული გეგმარების პროცესში გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებებითა და ადგილობრივი გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვითი რეჟიმები და ნორმები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაცული ტერიტორიების სისტემების, ასევე, ბუნებრივი რესურსების (მაგალითად სატყეო რესურსების, ჰიდრორესურსების) მდგრად გამოყენებას, ეკოსისტემების დაცვის მიზნით.

ამდენად, ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების პროცესში ხელი უნდა შეეწყოს ბუნებრივი გარემოსა და მოსახლეობის ჰარმონიულ განვითარებას ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე ეკოსისტემების მთლიანობას და

აუცილებელ მინიმუმამდე დავიდეს ბუნებრივი გარემოსა და აქ გავრცელებული სახეობების მიმართ მიყენებული შესაძლო ზიანი.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების მიმართ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ეკოსისტემების დეგრადაცია ადამიანის მავნე ზემოქმედების შედეგად. დეგრადაციის ნათელი მაგალითებია ტყეების ჩეხვა, რაც ამცირებს სატყეო მასივების ფართობს, იწვევს ერთის მხრივ ჰაბიტატების იზოლირებას ხოლო მეორეს მხრივ მეწყრულ-ეროზიული პროცესების განვითარებას, რაც დამატებით ახალი მასივების დეგრადაციის საფრთხეს ქმნის; ტყის არამერქნული რესურსის ჭარბი მოპოვება, გარკვეულ საფრთხეს უქმნის ტყის აღდგენის-განახლების პროცესს; მდინარის კალაპოტებისა და მისი ნაპირების წარეცხვა, ანთროპოგენური ზემოქმედება (საინჟინრო გადაწყვეტები - კაშხლების მშენებლობა, ინერტული მასალის მოპოვება და ა.შ) იწვევს მდინარისა და მდინარისპირა ეკოსისტემების რღვევა-დეგრადაციას; აგრობიომრავალფეროვნებას საფრთხეს უქმნის ადგილობრივი ენდემური ჯიშების გენეტიკური ეროზია; რისკ-ფაქტორია ცალკეული პროექტების, მათ შორის სივრცითი გეგმარებისა და განაშენიანების რეგულირების ტიპის - დაგეგმვა გარემოსდაცვითი ნორმების გაუთვალისწინებლად, გარემოზე ამ პროექტების შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე;

სივრიცითი მოწყობის გეგმაში ასახულია დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული სტრატეგიული მიზნები.
ზოგადი გეგმარებითი მიდგომები პასუხობენ შემდეგ გამოწვევებს:
- ლანდშაფტის დამახასიათებელი თავისებურების შენარჩუნება კონკრეტული ბუნებრივი, ლანდშაფტური და კულტურული მახასიათებლებით;
- იმ ტრადიციული საქმიანობის ხელშეწყობა, რომლებიც ხელს უწყობს დამახასიათებელი ლანდშაფტური თავისებურების შენარჩუნებას (მაგ., მეფუტკრეობა, მევენახეობა და ა.შ.);
- ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი საარსებო წყაროსა და მათი ადგილობრივი ტრადიციების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა;
- „ბუნებისადმი კეთილგანწყობილი“ სპეციალური ქმედებების მომცველი მდგრადი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობის შექმნა (ეკო-ტურიზმი).

2-7.3 ბუნებრივი კატასტროფების მართვა, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის I ნაწილში გამოვლენილია შემდეგი პრობლემატური საკითხები, რომლებიც სათანადოთაა ასახული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტეაციაში.
განაშენიანებული ტერიტორიების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნებრივ-სტიქიური პროცესების მაღალი რისკის არეალებში მდებარეობს, პირდაპირი რისკის შემცველია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის და, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისათვის, ასევე, ბიზნესისათვის;

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი კატასტროფების შესახებ სივრცითი მონაცემები არ არის ინტეგრირებული ქალაქგეგმარებით და სივრცით-გეგმარებით დოკუმენტაციაში, რაც ართულებს ზარალის პრევენციას. თუმცა, არსებობს ინფორმაცია დროთა განმავლობაში დაგროვებულ ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის შესახებ. ამ ინფორმაციის გამოყენება და რისკების მართვისას სათემო კავშირების გაძლიერება გეგმარებითი მექანიზმების მდგრადობის საწინდარია;

ანთროპოგენური ზემოქმედების პროცესში გარემო პირობებისა და საფრთხეების არასათანადო გათვალისწინება, კიდევ უფრო ზრდის კატასტროფის ისედაც მაღალ რისკებს. აღნიშნული ეხება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ საქმიანობას (მაგ., გადაძოვების პრობლემა), ასევე მსხვილ ბიზნესს (გადაჭარბებული მზიდუნარიანობის საქმიანობის წარმოება);

კლიმატის ცვლილების შესაძლო გავლენა გარემოზე, მათ შორის ბუნებრივ - სტიქიურ პროცესებზე, შემდგომში რისკების პრევენციის მიზნით, არ არის შეფასებული.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ბუნებრივი ღირებულების მქონე არეალებსა და ლანდშაფტებს ერთიან, ერთმანეთზე დამოკიდებულ, შეკავშირებულ სისტემად განიხილავს. ეს ნიშნავს იმას, რომ მუდმივი პრობლემები (მაგ., გადაძოვება, ნაპირების ჩამორეცხვა), რომლებიც ათწლეულების განვამლობაში "აწვებოდა" გარემოს, აუცილებლად გახდება კატასტროფის მიზეზი, რომლისთვისაც მზაობა განაპირობებს სწრაფ აღდგენადობას.

კატასტროფების მართვის ჭრილში გააზრება გაზრდის დაცული ტერიტორიების ეფექტიანობას და ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობას, ასევე გააჩენს ლანდშაფტების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციებით გონივრული დატვირთვის წინაპირობას. ამის მიღწევა შესაძლებელია ერთის მხრივ, გარემოზე ადამიანის მავნე ზემოქმედების შემცირებით და, მეორეს მხრივ, მოწყვლადი არეალების სათანადო სივრცითი მართვის მოდელის შემოღებით. შედეგად, ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა ხელს შეუწყობს საცხოვრებლად და საქმიანობების საწარმოებლად მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ამჟამად მოქმედი ბუნებრივი რისკ-ფაქტორებისა და არსებული სტიქიურ-ბუნებრივი პროცესების გათვალისწინებასთან ერთად, მნიშვნელოვანია გეგმარებაში აისახოს კლიმატის ცვლილების თანმდევი დამატებითი რისკ-ფაქტორების შესახებ არსებული ინფორმაცია. ასევე, მნიშვნელოვანია მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების გათალისწინება. ეს, მომავალში, მუნიციპალიტეტის მმართველობას გარემოსდაცვის ეფექტიანად განხორციელებასა და ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებაში მნიშვნელოვან უპირატესობას შეუქმნის.

2-7.4 კულტურული მემკვიდრეობა

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის ფორმატში კულტურული მემკვიდრეობის მიმართ მიდგომა ეხმიანება "საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფციას":

“კულტურულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინდივიდუალურ და საერთო იდენტობის ფორმირებაში, ხელს უწყობს სოციალურ და ტერიტორიულ ერთობას და აქვს ეკონომიკური ღირებულება. აუცილებელია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა, შენარჩუნება და გადაცემა მომავალი თაობებისათვის. კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების სრულად წარმოსაჩენად საჭიროა მისი გამოვლენა, დაცვა, განვითარება და მდგრადი გამოყენება”.
ხედვის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობა მოიაზრება კატალიზატორად, რომელიც განაპირობებს ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების განვითარებას, ტრადიციული ცხოვრების წესის და მეურნეობის დარგების შენარჩუნებას.
მუნიციპალიტეტის თვითმყოფადი იერსახის შენარჩუნების მიზნით პირველ რიგში ჩატარდა და გეგმებზე აისახა მუნიციპალიტეტში არსებული იტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ობიექტების გამოვლენა და მათთვის დამცავი ზონების დადგენა. ამისათვის ვიხელმძღვანელეთ „საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომლის VIII თავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათი რეჟიმების დადგენის საკითხებს ეძღვნება. კვლევის შედეგად გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ყველა ობიექტისთვის განისაზღვრება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის ზონები. ეს მონაცემები დატანილ იქნა რუკაზე.

2-8 ტურიზმი

2-8.1 ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

ტურიზმის სექტორი არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი საქართველოში. არსებობს მრავალი შესაძლებლობა ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად, დაწყებული საზღვაო კურორტებით გაგრძლებული მთის კურორტებით, მინერალური წყლებით, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვა სახის ტურიზმით.

ქედის მუნიციპალიტეტი თავისი მდებარეობით, ზამთარში დიდთოვლიანობით, მაღალ ზონაში ხშირი წიწვოვანი, დაბალ ზონაში შერეული და ფოთლოვანი ტყეები, ანკარა ცივი წყაროები, ღელეები და მდინარეები, მინერალური და სამკურნალო წყლები ხელსაყრელ პირობებს ქმნის ტურიზმის სხვადასხვა სახეობების (ეკო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, სოფლად ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის, ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოსაწყობად. ამიტომ მნიშვნელოვანია, აქ განხორციელდეს კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ასევე საჭიროა, შემუშავდეს შესაბამისი მექანიზმები ტურიზმის სექტორის დივერსიფიცირებისა და შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, მათ შორის:

– კულტურული ტურიზმი (ისტორია, ხუროთმოძღვრება, ხელოვნება, ხალხური რეწვა, რელიგიური ტურები);
– კურორტებზე დასვენება (საზღვაო, სამთო-სათხილამურო კურორტები და სხვ.);
– ეკოტურიზმი;
– სათავგადასავლო ტურიზმი;
– აგროტურიზმი, მათ შორის, ღვინის და ადგილობრივი სამზარეულოს ტურები;
– სამედიცინო ტურიზმი (ბალნეოლოგიური კურორტები მინერალური წყლებით, გოგირდის აბანოები, სამკურნალო ტალახი და ა.შ.);
– საქმიანი და პროფესიული ტურიზმი;
– სპორტული ტურიზმი (ალპინიზმი და სხვ.).
– საკონფერენციო (**MICE)** ტურიზმი.

ქედის მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადის ზრდის უზრუნველსაყოფად უნდა შემუშავდეს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობის შესაბამისი პირობები (საგზაო ტურისტული ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება; ტურისტულ ობიექტებზე დაშვების წესის საინფორმაციო დაფების განთავსება) და მოეწყოს ტურიზმის პრიორიტეტული სახეობების ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

ეთნო ტურიზმი

საქართველო, მათ შორის აჭარის რეგიონი ძალზედ საინტერესო და მიმზიდველია ბევრი უცხოელისათვის თავისი უნიკალური ანბანის, ენის, ფოლკლორის, მრავალსაუკუნოვანი ჩამოყალიბებული ისტორიულ–კულტურული ტრადიციების გამო. ეთნო ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია:

სათანადო მაღალკვალიფიციური ექსკურსიამძღოლების მნიშვნელოვანი კოჰორტის მომზადება/გადამზადება, ასევე ეთნო ტურიზმის პროცესში აქტიურად უნდა **ჩაერთოს ადგილობრივი (განსაკუთრებით სოფლის) მოსახლეობა,** რომელთა **სახლებშიც (წინასწარ შერჩეული და პროგრამაში ჩართული)** მოხდება სტუმრების მიყვანა/განთავსება ადგილობრივი ადათ–წესების და ცხოვრების გასაცნობად. გარდა ამისა, შესაძლებელია სტუმრებისათვის **ქართული ენის, სიმღერის, ცეკვის, ხალხური რეწვის შემსწავლელი კურსების შეთავაზება,** რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით. ყველა სახეობის ტურისტული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების ხელშეწყობა და, შესაბამისად ტურისტული სეზონის გახანგრძლივება, მათ შორის:

ეკოტურიზმი

ტურისტული ცენტრების, განთავსების ობიექტებში, დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული კლევების საფუძველზე დგინდება, რომ ქედაში ჩამოსული უცხოელი ტურისტების უმრავლესობა სარგებლობს ეკოტურისტული პროდუქტით (პოლონეთი, ისრაელი, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, უკრაინა, ბელურუსია, რუსეთის ფედერაცია).

ეკოტურიზმი -ეს არის ტურისტების ისეთი მოგზაურობა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გათვითცნობიერებული. ასეთი ტურების მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური და კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები, ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. ეკოტურისტები შეიძლება იყვნენ ტყის მოყვარულები და აკვალანგისტები, რომლებსაც წყალქვეშა სამყარო აინტერესებთ, ასევე ფრინველების მოყვარულნი და ა. შ. ტურიზმის ეს სახეობა პოპულარულია ტურისტთა იმ კატეგორიებს შორის, რომლებსაც სურთ მიიღონ მეტი ინფორმაცია ადგილობრივ ეკოსისტემაზე, ეკოკულტურაზე და აღელვებთ გარემოს დაცვის პრობლემები. ტურიზმის ეს სახეობა დიდ კაპიტალ-დაბანდებას არ საჭიროებს, მაგრამ კვალიფიციური გიდების ყოფნა აუცილებელია, რადგან იმ ადგილებში სადაც ტურისტები მოძრაობენ საჭიროა ბუნების დაცვის მკაცრი პრევენციული ზომების გატარება.
ქედაში ეკოტურისტებად ძირითადად გვევლინებიან ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან: მეცნიერები, მკლევარები, საგანმანათლებლო ტურების ორგანიზატორები, ასევე ადამიანები, რომლებსაც სურთ გაეცნონ ქედის ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, ისტორიას.

ეკო -ტურიზმის განვითარების საარსებო მინიმუმი:

- ისტორიულ - კულტურული ძეგლების და დაცულ ტერიტორიებზე მისასვლელი ბილიკების აღდგენა;

- ინვესტიციები - შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (არ არის აუცილებელი ძვირადღირებული ტურისტული ინფრასტრუქტურა. მაგ: სანაგვე ურნები, ტუალეტები);
- საინფორმაციო და მიმანიშნებელი დაფების დახვეწა და ყველა მისასვლელთან განთავსება;
- საკემპინგო ტერიტორიების მოწყობა;
- საგანმანათლებლო, კულტურული და შემეცნებითი პროგრამების შემუშავება;
- ადგილობრივი მოსახლეობის მჭიდრო ჩართულობის უზრუნველყოფა, მათი სწავლება ამ მიმართულებით და მცირე ბიზნესის განვითარებაში ხელშეწყობა;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.

ეკო ტურიზმისათვის დამახასიათებელი საკემპინგო ტურიზმის სახეობის განვითარება ქედაში შეიძლება აქტუალური გახდეს, რადგან საკემპინგე და საკარვე ადგილთა რაოდენობა მრავლადაა როგორც დაბლობში, ასევე ე. წ. ველურ ადგილებში. უნდა მოეწყოს და უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ეკო ტურიზმი ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას გაზრდის და იქ მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას შრომისუნარიანს გახდის.

მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ გარდა შემოსავლების მიღებისა, სხვა რა დადებითი თვისებები შეუძლიათ მიიღონ ეკო ტურიზმის განვითარებიდან.

- ეკო ტურიზმი არ აყენებს ზიანს ბუნებას, გამომდინარე აქედან, რომ ეკოტურისტებს აინტერესებთ ესა თუ ის ბუნებრივი გარემო იმ სახით, როგორც ის არსებობს და არ მოელიან მის ცვლილებას.
- გააცნობიერონ უნდა, რომ ეკო ტურიზმი ხელს დადებითი ეთიკისა და ქცევის ჩამოყალიბებას ბუნებასთან მიმართებაში.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკოტურისტული რესურსები (მდ. აჭარისწყალი, იძლევა საშუალებას ახალი ეკოტურისტული მარშრუტების შემუშავებისათვის, კერძოდ:

- ქედა – მერისი – განახლება – ლოდნარი – სასადილოს მთა – კოსლითავი – ნამონასტრევი;
- ქედა – გობრონეთი – საბადური;

(ქედა – მერისი – განახლება – ნამონასტრევის მისასვლელი გზის კეთილმოწყობა, ტურისტული მარშრუტების საგზაო პირობრბის შესწავლა, ტურისტული ბილიკების მარკიება, პასპორტიზაცია, სახიფათო უბნების სქემების შედგენა);

საზაფხულო ბანაკები

სხვადასხვა ინსტიტუტებთან, სკოლებთან აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელია ერთ-ერთი მიმართულება იყოს ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და საკურორტო ადგილებში.

აგროტურიზმი

სასოფლო ანუ აგრარული ტურიზმი ითვალისწინებს: ტურისტთა განთავსებას ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ სახლებში, კვებას - ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით და მონაწილეობას - სოფლის ცხოვრებაში. ადგილობრივი მკვიდრნი სოფლად აშენებენ, ფლობენ და განკარგავენ ტურისტულ ობიექტებს, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯებიდან იღებენ პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას. სასოფლო ტურიზმის წარმატებული განვითარება არ ითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, მაგრამ საჭიროებს სრულყოფილ დაგეგმვას და პროგრამირებას. ადგილობრივმა მოსახლეობამ ობიექტთა მომსახურებისათვის უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება. პირველ ეტაპზე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს მცირე სესხები და ტექნიკური კონსულტაციები. მთავარია, რომ თითოეულ სოფელში შენარჩუნებული იქნას განვითარების ოპტიმალური დონე, რომ არ შეიქმნას ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სოფლებში ახალი ტურისტული ობიექტები აშენდეს.

ფერმერული ტურიზმი თითქმის სასოფლო ტურიზმის ანალოგიურია, დიდი პოპულარობით სარგებლობს ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში და მსოფლიოს მრავალ რეგიონში ვითარდება. ტურიზმის ეს სახეობა ტურისტებს საშუალებას აძლევს განთავსდნენ ფერმებში, რანჩოებსა და პლანტაციებში (ტროპიკულ რეგიონებში), ან სტუმრებისათვის განკუთვნილ ცალკე სახლებში (კვებით). ამასთან ერთად, ტურისტებს საშუალება აქვთ გაეცნონ, ან მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. გარდა ამისა ზოგიერთი ფერმერი თავის ტერიტორიაზე აწყობს კემპინგებს და ტურისტებს თევზაობისა და ნადირობის საშუალებას აძლევს. ტურისტებს შეუძლიათ ფერმის ტერიტორიები გამოიყენონ ბაზებად, საიდანაც ლაშქრობები მოეწყობა. მეთევზეთა დასახლებებში ადგილობრივ მცხოვრებთ შეუძლიათ ტურისტებს მისცენ საცხოვრებელი და მონაწილეობა მიაღებინონ თევზაობაში.

როგორც წესი იმ სასოფლო რაიონებში, სადაც ტურიზმი ვითარდება, თავს იჩენს მომსახურების დაჯავშნის სისტემის შექმნის აუცილებლობა.
სასოფლო და აგრარული ტურიზმის საუკეთესო მარშრუტია:

- კორომხეთი – ქედა – აქუცა – ვაიო;

სამთო ტურიზმი:

- აგარა – ჩაქვისთავი;
- ზვარე – ზერაბოსელი – ხინო;

საჭიროა მისასვლელი გზების კეთილმოწყობა, მარშრუტების დამუშავება, ლაშქრობის ტრასის მარკირება, ინფარსტრუქტურის მოწყობა, სქემების შედგენა.

სამკურნალო - გამაჯანსაღებელი ტურიზმი

ქედის მუნიციპალიტეტს აქვს რეკრეაციულ-ბალნეოლოგიური ტურიზმის განვითარების პოტენციალიც, რომლის შესწავლა და ამ მხრივ ინფრასტრუქტურის განვითარება საინტერესო და სასრგებლო იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისათვისაც.

- კოკოტაურისა და გუნდაურის მინერალური წყლის ბაზაზე, საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- საკურორტო ადგილი კოკოტაური – საკურორტო ადგილი საბადური – საკურორტო ადგილი ნამონასტრევი.

კულტურულ - შემეცნებითი ტურიზმი

ქედაში არის კულტურული და რელიგიური ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი. ამ მხრივ აღსანიშნავია ის მდიდარი მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობა რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული ძეგლებისა თუ ნანგრევების სახით. თითოეული მათგანის როგორც სამეცნიერო-კულტურული ასევე ტურისტული ღირებულება დიდია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებელია მათ იგვლივ, კერძოდ კი - მისასვლელი გზების (ბილიკების) მოწესრიგება, ნიშნულების დადგმა (განახლება), ბილიკების მოწყობა, ასევე ამ ძეგლების შესახებ სრული ინფორმაციის თავმოყრა და უცხო ენაზე ხელმისაწვდომობა, ამ მხრივ გიდების ინფორმირებულობის გაზრდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების სიუხვე საშუალებას გვაძლევს შემუშავდეს კულტურული ტურიზმის პერსპექტიული მარშრუტები, კერძოდ:

- ცივასულას ციხე – მახუნცეთის ჩანჩქერი – მახუნცეთის თაღოვანი ხიდი – აჭარისწყლის ჰიდროელექტრო სადგური – აკვედუკი – ქედის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – დაბა ქედა – 9 აპრილის სახ. პარკი – ზენდიდის ციხე – ჯინიშის 8000 წლოვანი ნამოსახლარი – გამოქვაბული – კორომხეთის საწნახელი – ზვარეს ეკლესია – დანდალოს თაღოვანი ხიდი;

საცხენოსნო ტურიზმი:

- ლაკლაკეთი – ნამონასტრევი

(მარშრუტის დამუშავება, კოსლისათვის საზაფხულო იალაღებზე საცხენოსნო ტურიზმის შუალედური ინფრასტრუქტურის მოწყობა – საჯინიბო, საწვრთნელი მინდორი, ღამისთევის კოტეჯები.)

სამონადირეო და სათევზაო ტურიზმი:

- ლოდნარი – დიდვაკე – ნამონასტრევი – ახოს მთა;
- მდ. აკავრეთა – მდ. ხინოსწყალი – მდ. აგარისწყალი – მდ. ოქტომბრის ღელე და მისი შენაკადი;

ქედის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული მდინარეების სანაპირო ტერიტორიების ჩამონათვალი, სადაც სავარაუდოდ შესაძლებელია სამდინარო პლაჟისა და ინფრასტრუქტურის მოწყობა

1. სოფ. დოლოგანი (მდ. აჭარისწყალი) აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს ბათუმი – ახალციხის ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარედ, ქ. ბათუმიდან 25 კმ- ის დაშორებით. ტერიტორიის მიმდებარედ მოწყობილია საპიკნიკე ადგილი “ ჭადრები”.
2. სოფ. ქვედა აგარა (მდ. აგარისწყალი) აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს ბათუმი – ახალციხის ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარედ, ქ. ბათუმიდან 37 კმ-ის დაშორებით. ტერიტორიის მიმდებარედ მოწყობილია საპიკნიკე ადგილი “ ჭალა”, საკალმახე მეურნეობა. ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს მატერიალური კულტურის ძეგლი – ცივასულას ციხე.
3. სოფ. მერისი - გვახამორევა (მდ. აკავრეთა) აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს მერისის ხეობაში, ქედის ცენტრიდან 12 კმ- ის, ხოლო ბათუმიდან 54 კმ-ის დაშორებით ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს ჩანჩქერი.
4. სოფ. კუჭულა (მდ. აკავრეთა) აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს მერისის ხეობაში, ქედის ცენტრიდან 3 კმ-ის, ხოლო ბათუმიდან 45 კმ-ის დაშორებით. ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს ჩანჩქერი.

2-8.2 სტატუსის მინიჭება ან გაზრდა

პერსპექტიული კურორტები და საკურორტო ადგილები

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის N 655 ბრძანებულების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამტკიცებულია 6 კურორტი და 17 საკურორტო ადგილი. ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმის დარგი აღიარებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და აქედან გამომდინარე, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით ბევრი რამ გაკეთდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში, კერძოდ: აშენდა ახალი, თანამედროვე კომფორტაბელური განთავსების სასტუმროები, სასტუმრო სახლები, კოტეჯები, კემპინგები) და კვების ობიექტები (რესტორნები, კაფე – ბარები, ბუნგალოები, საპიკნიკე ადგილები), ტურისტულ ზონებში შეიცვალა წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები, საავტომობილო გზებზე დაიგო ასფალტის საფარი, ასევე, აღდგა და აშენდა მატერიალური კულტურის ძეგლებთან მისასვლელი გზები და ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტები (სუვენირების მაღაზია, კვების ობიექტები, საინფორმაციო დაფები და ა.შ) და სხვა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შევიდეს ცვლილებები საქართველოს პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნულ ბრძანებულებაში, კერძოდ:

როგორც უკვე ცნობილია, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის არცერთი მოქმედი კურორტი. მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტს გააჩნია სამი საკურორტო ადგილი, რომელთა ათვისებაც მნიშნელოვნად გაზრდის ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ქედაში ახალი საკურორტო და ბუნებრივ-რეკრეაციული, აგრეთვე ტურიზმის (მათ შორის ეკო, კულტურული, გამაჯანსაღებელი, სათავგადასავლო და ა.შ.) ახალი სახეობების და მათი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭიროა გამოვლინდეს ტურისტული და საკურორტო-რეკრეაციული რესურსებით მდიდარი ტერიტორიები.

პერსპექტიული საკურორტო ადგილებია

მახუნცეთი

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთი უძველესი სოფელია მახუნცეთი. მისი სახელის წარმოშობა სავარაუდოდ საკუთარ სახელთანაა დაკავშირებული.
იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 110 მეტრ სიმაღლეზე. აქ ჩამოედინება ულამაზესი ჩანჩქერი რომლის სიმაღლე 49 მეტრია, ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელია პიკნიკის მოწყობა. ასევე აქ არის ქვის თაღოვანი ხიდი, რომელიც მდინარე აჭარისწყლიდან 6 მეტრ სიმაღლეზეა აგებული.

მერისი

სოფელი მერისი ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. იგი გამოირჩევა თავისი ბუნებრივი პირობებით. სოფელი მერისის სახელწოდება წარმოდგება სიტყვა “მერე”-საგან რაც მდინარის სანაპიროს ნიშნავს. საერთოდ ქედის მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერალური წყლების რაოდენობით, ერთ-ერთი ასეთი არის მერისის ტერიტორიაზე, ასევე არის სულფატურ-ჰიდროკარბონატული აბანო რომელიც “მერისის აბანოს” სახელითაა ცნობილი.

გუნდაური

სოფელი გუნდაური სოფელ მერისიდან დაახლოებით 3 კმ მანძილზე მდებარეობს. მისი სახელის წარმოშობა, როგორც უმრავლესობა ძველი სოფლებისა, დაკავშირებულია საკუთარ სახელთან. გუნდაურში არის მინერალური წყალი “გუნდაური” რომელიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა, კერძოდ კუჭნაწლავის დაავადებებისათვის.

2-9 დეტალური გეგმარებითი ერთეულობი

ქედის სივრცითი მოწყობის სქემის ფარგებლებში განხორციელდა დაბისა და სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული ერთეულების ფუნქციური ზონირება. აღნიშნული ზონირება არ შეიძლება განხილოს, როგორც დასახლებული ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები, თუმცა ზონირება ფაქტობრივად წარმოდგენს სარეკომენდაციო ქალაქმშენებლობით რეგულაციას, განსაზღვრავს ცენტრალურ და პერიფერიულ ზონებს, სამრეწვლო და სპეციალურ ზონებს, ასევე ტყის ფონდს და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.

კერძოდ:

ცენტრალური ტერიტორიები

რეალურად წარმოადგენს სოფლის ან სოფალთა ერთობლიობის შედარებით მჭიდროდ განაშენიანებულ ცენტრალურ ნაწილს - სადაც ძირითადად განთავსებულია ან მიზანშეწონილია განთავსდეს ადმინისტრაციული, კულტურული და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები

საცხოვრებელი ტერიტორიები

წარმოადგენს ძირითადად კერძო მიწის ნაკვეთებზე განთავსებულ საცხოვრებელ ერთეულობს, საკარმიდამო ნაკვეთებს შესაბამისად ძირითად საცხოვრებელ ბირთვს.

სპეციალური ტერიტორიები

სპეციალური ზონა' – წარმოადგენს სასაფლაოებისთვის განკუთვნილ ტერიტორიებს.

სამრეწველო ტერიტორიები

ტერიტორიები რომლებიც გამოიყენება ან მიზანშეწონილია გამოყენებულ იყოს, როგორც მრეწვლობის ან ლოჯისტიკის განვითარების ტერიტორიები.

სოფლის მეურნეობის განვითარების ტერიტორიები

ტერიტორიები რომლებიც განკუთვნილია ძირითადად სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის და არ წარმოადგენს სატყეო ან სხვა ბუნებრივ ან დაცულ ტერიტორიას. აღნიშნულ ტერიტორიაზე სასოფლო სამეურნე საქმიანობისთვის საჭირო ნაგებობების მშენებლობა.

ლანდშაფტური ტერიტორიები

ბუნებრივი ლანშაფტის ტერიტორიები სადაც დაუშვებელია სამშენებლო საქმიანობა

განსაკუთრებული რეგულირების ან საზოგადოებრივი მიზნებისთვის გამოყენებული ტერიტორიები

კულტურული, ტურისტული ან სხვა განსაკუთრებული მიზნებისთვის განკუთვნილი ტერიტორიები რომლებიც წინასწარაა განსაზღვრული გარკვეული მიზნობრივი ფუნქციისთვის და როგორც წესი შემდგომში საჭიროებს დეტალურ დაგეგმარებას

დაბების ადმინისტრაციულ ერთეულებში მოხდა თავად დაბის და მის ირგვლივ მდებარე სასოფლო ტერიტორიების გამიჯვნა.

2-10 რეკომენდაციები

„ქედის მუნიციპალიტეტისსივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის“ დანერგვა-ამოქმედების მიზნით ჩამოყალიბებულია შემდეგი მიმართულებები სექტორების მიხედვით:

– ქედის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული პოტენციალის მიზანდასახული მართვა;
– შიდამიგრაციული ნაკადების ოპტიმიზაცია;
– გარე შრომით მიგრაციაზე ზედამხედველობა;
– მთის დეპოპულაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, დეპრესიული რეგიონების მხარდაჭერა;

განსახლების სისტემა

– განსახლების სისტემის მდგრადობის მისაღწევად სუბსიდიარობის პრინციპის განხორციელება;
– ადგილობრივი თვითმმართველობის არსის პროპაგანდა;
– მთიან ზონაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრების განვითარება და განვითარების ახალი ცენტრების ფორმირება;
– საქართველოს განსახლების "სამხრეთის ღერძის" აჭარის მონაკვეთის ურბანული და ინფრასტრუქტურული განვითარება;
– ქედის მუნიციპალიტეტში განსახლების ფრაგმენტული დისპერსული სქემიდან ერთიან სისტემაზე გადასვლის ძალისხმევა;
– ქედის მუნიციპალიტეტიდან გასული ეკომიგრანტების დასახლებებთან ფუნქციური კავშირების დამყარება შენარჩუნება;
– კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, მთიანი ზონის სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების ამოქმედება.

სოფლის მეურნეობა

– სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობის უზრუნველყოფა;
– სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა;
– აგროგანათლების დონის ამაღლება;
– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
– სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის გაუმჯობესება;
– მცენარეთა და ცხოველების ენდემური სახეობებისა და ჯიშების დაცვა და პოპულარიზაცია;
– ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური და ექსკლუზიური პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ხელშეწყობა;
– ექსკლუზიური აგრარული პროდუქციის ბრენდინგი;
– სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოების უზრუნველყოფა;
– სამთო მიწათმოქმედების პრობლემატიკის აქტუალიზება;
– საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, დამრეც სახნავ-სათეს ფართობებზე ჰუმუსის ფენის წარეცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გასაცნობად, უცხოელი ექსპერტის მოწვევა და ტრეინინგების ჩატარება;
– „პერმანენტული აგროკულტურის“ დანერგვა;
– ძნელად ხსნადი ბიოორგანომინერალური სასუქების წარმოების დაწყება და გამოყენება;
– მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება აგროტექნიკის თანამედროვე მეთოდების შესახებ.
–

სატრანსპრტო ინფრასტრუქტურა

– საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი, ადგილობრივი. მდგრადი რეგიონული, დასახლებათაშორისი და შიდასაქალაქო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;
– საზოგადოებრივი და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტისთვის პრიორიტეტული სივრცით-გეგმარებითი პირობების შექმნა;
– ვერტმფრენების ბაქნების მოწყობა, უწინარესად, მაღალმთიან დასახლებებში.

ჰიდროენერგეტიკა

- ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისას, წყლით დასაფარი ტერიტორიისა და ინფრასტრუქტურის დანაკარგის შეფასება და გასაჯაროება;
– კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია და განვითარება;
– ყველა დასახლების გაზიფიკაცია, ელექტრო და წყალმომარაგება;
– რესურსების მომხმარებელთა ეტაპობრივი გამრიცხველიანება;
– გარემოში, უწინარესად, საკურორტო ადგილებში, საზოგადოებრივი ტუალეტების ქსელის ჩამოყალიბება;
– დაბასა და სოფლებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ადგილობრივ პირობებზე მორგებული მართვის სისტემების შემუშავება, მოსახლეობისათვის გაცნობა და ამოქმედება.

საცხოვრისი

- საკუთრების ყველა ფორმის საცხოვრისის განვითარების ხელშეწყობა;
- სოციალური (ხელმისაწვდომი) საცხოვრისის პროგრამების გაფართოება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა;
- უსახლკაროთა თავშესაფრების შექმნა და გაძღოლა;
- დასაქმების ინფრასტრუქტურის განვითარება და ინფორმაციული ბაზის სრულყოფა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნილებებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, სეზონურების ჩათვლით;
- ადგილობრივი შრომითი რესურსების უფლებების დაცვა;
- სამშენებლო ტენდერების პირობებში ადგილობრივი მუშახელის დასაქმების პოზიციის გაძლიერება.

მრეწველობა

- სახელმწიფო საკუთრების სამრეწველო ობიექტების პრივატიზების უზრუნველყოფა;
- მრეწველობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განვითარება და ტექნოლოგიური ინოვაციების მხარდაჭერა;
- სამრეწველო ბიზნეს-ინკუბატორების ჩამოყალიბება;
- მცირე და საშაულო საწარმოების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, უწინარესად, ხე-ტყის, „ღრმა“ დამუშავების ხელშეწყობა;
- ხალხური რეწვის აღორძინების, განვითარებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების გატარება.
-

ურბანული განვითარება და მშენებლობა

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციურ-სივრცითი განვითარების შეზღუდვების დაცვა;
- სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა;
- საპროექტო-სამიებო და სამშენებლო სფეროში განათლების დონის და დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ნორმატიული ბაზის შექმნა;

ჯანდაცვა

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტულობის უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის სამედიცინო მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- სამედიცინო მომსახურების ხარისხზე კონტროლი;
- პრევენციური მედიცინის პრიორიტეტულობის მხარდაჭერა;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის განვითარება, ვერტმფრენის გამოყენების ჩათვლით;
- ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობა;
- სადაზღვევო სისტემის სრულყოფა;
- ხალხური მედიცინის წარმოჩენა, მეთოდებისა და საშუალებების აპრობაცია და პოპულარიზაცია;
- კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული სამედიცინო პროგრამების ჩამოყალიბება და წარმართვა;

განათლება

- განათლების სისტემაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა-განვითარება (ინკლუზიური განათლება, უწყვეტი განათლება, დისტანციური განათლება, მცირეკონტიგენტიანი სკოლები და სხვა);
- საშუალო სკოლის პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება;
- მოსწავლეთათვის თემატური საზაფხულო სკოლების ჩატარება და ადრეული პროფორიენტაცია;
- რეგიონალ და ნაციონალურ საგანმანათლებლო კონკურსებში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა.

კულტურა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ხელოვნება

- კულტურის არამატერიალური ფორმების მხარდაჭერა;
- ეთნოლოგიური (ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის) მუზეუმის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის ყველა სახეობის უძრავი ობიექტის აღრიცხვა-პასპორტიზაცია, ძეგლის სტატუსის მინიჭება და დაცვა;
- ძეგლთა დამცავი ზონების შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

ფიზიკური კულტურა და სპორტი

- სასპორტო ცენტრების და სასპორტო ნაგებობების ქსელის განვითარება;

– საჯარო სკოლებში სასპორტო დარბაზებისა და ღია მოედნების მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა;
– მასობრივი ფიზიკური კულტურის, ცხოვრების ჯანსაღი წესის გავრცელების ხელშეწყობა;
– პროფესიული სპორტის პრიორიტეტული სახეობების დადგენა და მათი ხელშეწყობა;
– რეგიონული სპორტული შეჯიბრებების მასპინძლობა;
– ტრადიციული ტურნირების პრაქტიკის დანერგვა/მხარდაჭერა.

საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი და ტურიზმი

– საკურორტო რესურსების (ფაქტორების) მაქსიმალური ამოქმედება;
– ქედის მუნიციპალიტეტისა და ცალკეული ტურისტულ-რეკრეაციული ზონებისა თუ დაცული ტერიტორიების ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით ცნობადობის გაზრდა, მათი „ბრენდინგი“;
– ყველა სახეობის ტურისტული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება და, შესაბამისად, ტურისტული სეზონის გახანგრძლივება;
– ტურისტების გარკვეული ნაწილის რეორიენტაცია მთის ტურიზმზე;
– მოსახლეობის ბუნებრივი სტუმართმოყვარეობის პროფესიული უნარ-ჩვევებით შევსება;
– სასტუმროების სტანდარტების ამაღლება და შეფასების საერთაშორისო სისტემასთან მისადაგება;
– საქვეითო, საცხენოსნო, საავტომობილო მარშრუტების/ტურების შემუშავება და პასპორტიზაცია;
– საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საკურორტო ადგილების კურორტების სტატუსში გადასვლის ღონისძიებების ხელშეწყობა;
– ტურიზმნის განვითარებისა და მხარდაჭერის ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება.

დაცული ტერიტორიები, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

– ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლების, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება, მავნე ანთროპოგენური ფაქტორების (მაიონებელი რადიაცია, ვიბრაცია, ხმაური, ელ.მაგნიტური გამოსხივება და სხვა ამგვარის) მოქმედების შესუსტება/აღმოფხვრა;
– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტა;
– დადგინდეს და სათანადოდ მოეწყოს წყალაღების ადგილებში სანიტარული დაცვის ზონები;
– ყველა კატეგორიის მყარი, აგრეთვე, თხევადი და გაზისებრი ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
– დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება;
– ბიომრავალფეროვნების დაცვა;
– ტყის რესურსებით სარგებლობის ოპტიმიზაცია;
– შავი ზღვის და მდინარეების სანაპიროების საინჟინრო დაცვა;
– სტიქიური მოვლენების პრევენცია;
– კანონით დადგენილ შემთხვევებში გარემოზე ზემოქმედების შეფასების აუცილებელი ჩატარება და შედეგების გასაჯაროება;
– ალტერნატიული ენერგიის გამოყენების წახალისება;
– სინანთროპი ცხოველების პოპულაციების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
– საერთაშორისო გარემოსდაცვით ღონისძიებებში ჩართვა.
– სოციალური დაცვა;
– მოსახლეობის მოწყვლად სოციალურ ჯგუფებზე (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები, სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფები, უსახლკაროები, ქუჩის ბავშვები და სხვა) ორიენტირებული პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და ამოქმედება;
– სოციალური სოლიდარობის გარემოს ხელშეწყობა;
– თვითორგანიზებადი ტერიტორიული სოციალური წარმონაქმნების (სათემო, სამეზობლო, ორგანიზაციები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები) მხარდაჭერა.

თავდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა, საგანგებო სიტუაციების მართვა და კრიმინოგენური ვითარება

– მუნიციპალიტეტის ცენტრებიდან სოფლებში სახანძრო სამაშველო რაზმის 20 წუთიანი მისაწვდომობის უზრუნველყოფა ან დამატებითი პუნქტ(ებ)ის შექმნა;
– საგანგაშო შემთხვევებში ასამოქმედებელი მოსახლეობის შეტყობინების სისტემის შექმნა;
– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანახმებით, სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, თავშესაფრების სისტემის გააზრება და ჩამოყალიბება.

ნფორმაციული უზრუნველყოფა

– დარგობრივი და ტერიტორიული სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაცია, დამუშავება და გასაჯაროება;

– დასახლებათა გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩები, მოედნები, შენობა-ნაგებობები და ა.შ.) სახელდებისა და დამისამართების მოწესრიგება;
– მიწისა და წყლის კადასტრების შედგენა;
– ქედის მუნიციპალიტეტისა და ცალკეული კურორტების ბრენდინგის ინფორმაციული უზრუნველყოფა თანამედროვე მეთოდებითა და ხერხებით;
– გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) საყოველთაო დანერგვა.

„სქემის“ მონიტორინგი, კორექტირება-განვითარება და ადმინისტრირება

– „გეგმის“ მონიტორინგის მიზნით, ურბანული ინდიკატორების სისტემის შემუშავება, ქედის მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ინდიკატორების ჩათვლით;
– ინდიკატორების სისტემის გასაძღოლად ადგილობრივი და რეგიონული ურბანული ლაბორატორიების ჩამოყალიბება;
– „გეგმის“ ინტერაქტიურ რეჟიმში კორექტირება-განვითარების მიზნით, მისი ადმინისტრირების სუბიექტის ჩამოყალიბება;
– „გეგმის“ სხვა, ტერიტორიული თუ დარგობრივი დაგეგმვის, დოკუმენტაციასთან ჰარმონიზების პრაქტიკის დანერგვა.

III



საზოგადოებრივი ჩართულობა

3-1 საზოგადოებრივი ჩართულობის სტრატეგია

3-1.1 სტრატეგია

სივრცითი მოწყობის გეგმა, რომელიც მუშავდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სივრცითი მოწყობის ჯგუფის ფარგლებში. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში შემუშვებული იქნა 12 საფეხურიანი სამოქმედო გეგმა (გაშლილი გეგმა ჩართულობის ეტაპებით წარმოდგენილია დოკუმენტის ბოლო ნაწილში). მუშა ჯგუფმა შეიმუშავა ჩართულობის დაბალანსებული ექვსაფეხურიანი ვარიანტი, რომლის დეტალური განხილვა და შეთანხმება მოხდება დაინტერესებულ მხარეებთან და ექსპერტებთან.

ჩართულობის გეგმა იყო ნათელი (პროცესის, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად), რეალისტური (არსებული პირობების შემთხვევაში ყველაზე განხორციელებადი მოდელი), ფხიზელი (გეგმაში წინასწარ გამოირიცხება შესაძლო რისკებისა და საფრთხეების შემცველი ნაწილები) და ლოგიკურად ფორმალური (პროცესი უნდა ითვალისწინებდეს ყველა აუცილებელი ელემენტის შესრულებას).

ჩართულობის ხარისხს განაპირობებდა შემდეგი ფაქტორები:

1. პროექტის თავისებურება – მუნიციპალიტეტის დონეზე დაგეგმილი პროექტი საჭიროებს საზოგადოებრივი ინტერესისა და ინფორმირებულობის უზრუნველყოფას. ამიტომ დაინტერესებული მხარეების ანალიზზე დაყრდნობით სივრცითი მოწყობის ჯგუფმა არსებული გამოცდილების გათვალისწინებით უზრუნველყო ძირითადი მხარეების (მოსახლეობა, მეცნიერები და ექსპერტები, არასამთავრობო სექტორი, სახელმწიფო სტრუქტურები, ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები) აქტიურ ჩართულობას;
2. დოკუმენტის შემუშავების მთელ პროცესში შესაძლებელი იყო ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებების გათვალისწინება, როგორც ჩართულობის სტრატეგიასთან (მათ შორის – დაინტერესებული მხარეების ანალიზი, ჩართულობის გეგმა, მოსახლეობის გამოკითხვა და ა.შ.), ისე სამუშაო დოკუმენტთან დაკავშირებით;
3. პროექტის შედეგად მომზადებული საბოლოო დოკუმენტი ადგილობრივ დონეზე საბაზისო ფორმატი ექნება. მის ერთ–ერთ მიზანს სივრცითი მოწყობის სტრატეგიის ციკლურად რეალიზაციის ფორმატის, მექანიზმებისა და საშუალებების მომზადება წარმოდგენდა. ამგვარად, მოცემული ჩართულობის სტრატეგია ორიენტირებული იქნება საბაზისო და ძირითადი ცვლილებებისა ან მოსაზრებების გათვალისწინებისაკენ;

სივრცითი მოწყობის გეგმის ჩართულობის გეგმის მიზანს განაპირობებდა – 1. დაინტერესებული მხარეების (იხ. დაინტერესებული მხარეების ანალიზი) ინფორმირებულობის აუცილებლობა ძირითადი საკითხების ირგვლივ; 2. პროექტის დასაწყისში გავლენის, ინტერესისა და ცოდნის მიხედვით დაჯგუფებული დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებისა და ინფორმირებულობის ცვლილება; 3. ქედისს მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის მრავალკომპონენტიანი, ალტერნატიული ხედვების შემცველი გეგმის მომზადების პროცესში სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირების ჩართვა; 4. მუშა ჯგუფი დაინტერესებულია ყველა მხარის ინტერესის გათვალისწინებით შეძლოს სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტებისა და წინააღმდეგობის გამოვლენა და ურთიერთშეთანხმებით შეიმუშაოს ოპტიმალური ვარიანტები.

სამუშაო ჯგუფმა აჭარის სივრცითი მოწყობის გეგმაზე მუშაობის პროცესში გამოავლინა, რომ საზოგადოება სივრცითი მოწყობის გეგმიდან ელოდებოდა მეტ ინფორმაციას, შესაძლებლობას ყოფილიყო ჩართული მის შემუშავებაში, გეგმის საჯაროობის უზრუნველყოფას, მის ხელმისაწვდომობას და სიმარტივეს. ამიტომ, ინფორმაცია პერიოდულად გავრცელდა როგორც მასმედიის საშუალებებით (შეხვედრების და პრეზენტაციების გაშუქება), ასევე დაინტერესებულ მხარეები მოწვეული იქნებიან სამუშაო შეხვედრებზე (ქედის მუნიციპალიტეტში საკრებულოს შენობაში, ასევე ადგილებზე).

პროექტის დამკვეთი (ქედისს მუნიციპალიტეტი და აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო) ჩართულობისაგან ელოდება იმ ყველა დადგენილი პირობების დაცვას და შესაბამის საინფორმაციო უზრუნველყოფას რაც პროექტის წარმატებისათვის არის საჭირო. ამით დამკვეთს იმედი აქვს, რომ ცალკეული პროექტის რეალიზების პროცესში ნაკლები პრობლემა ექნება დაინტერესებულ მხარეებთან მიზნის, შედეგის და პრიორიტეტების განმარტებისას; ასევე მიიღებს საქმიან რჩევებსა და კონსულტაციებს როგორც მოსახლეობისაგან, ისე ექსპერტებისა და საქმიანი წრეებისაგან.

სამუშაო ჯგუფი პროექტის წარმატებული რეალიზაციისათვის საჭიროებს შესაბამისი პირობებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას. საზოგადოების ჩართულობით დაგეგმილია შესაძლო ალტერნატიული იდეების მიღებას (ამ მიზნით ჩატარდება სამუშაო შეხვედრები, გამოკითხვა, შედეგების პრეზენტაციები) და საბოლოო დოკუმენტის შემუშავებაში მხარაჭერას.

შესაძლო რისკებს მიეკუთვნება – ჩართულობის სუსტი ხარისხი და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ზედაპირულობა; სირთულეები დოკუმენტის რეალიზების სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით; ცვლილებებისა და ალტერნატიული ხედვების ასახვის პრობლემა; პროექტის მუდმივი განახლების და ციკლურობის აუცილებლობა; პროექტის ამოქმედებისათვის საჭირო პოლიტიკური ნება. ამრიგად ჩართულობის სტრატეგიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს პროექტისა და მისი განხორციელებისადმი ნდობის მინიმალური ხარისხის მიღწევა და ფორმალური და მინიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.

3-1.2 ჩართულობის გეგმა ეტაპების მიხედვით:

მოსამზადებელი ეტაპი

მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდა სამოქმედო სტრატეგიის, გეგმისა და ჩართულობის სტრატეგიის ზოგადი მონახაზის მომზადება; ამოცანების განაწილება.

ინფორმაციის მოპოვება

სამთავრობო სექტორის ინტერესების გაცნობა, შეხვედრები ექსპერტებთან, დაინტერსებული მხარეების გამოვლენა ინტერესის, გავლენის, ინფორმირებულობის და ჩართულობის მიხედვით;
შედეგი – დაინტერესებული მხარეების ანალიზის სამუშაო ვერსიის მომზადება, ინტერესების გაცნობა, სამუშო და ჩართულობის გეგმის შემუშვება.

სამუშაო შეხვედრები, გამოკითხვა

პროცესში ჩაერთენ შესაბამისი სფეროების ექსპერტები, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, არასამთავრობო სექტორი და დაინტერესებული სახელმწიფო სტრუქტურები. სამუშაო შეხვედრები დამატებითი ინფორმაციის გამოსავლენად. განხორციელდა შეხვედრები ექსპერტებთნ და უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, არასამთვრობო სექტორთან, საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებთან, მოსახლეობასთან. დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდა ინფორმაცია მიმდინარე სამუშოების შესახებ.

შედეგი – სამუშაო შეხვედრებზე გამოიკვეთა ის დამატებითი ცნობები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლია გეგმაზე სამუშაოდ; გამოვლინდა პროექტის შემუშავებისა და განხორციელების შესაძლო რისკები; განხორციელდა სამუშაო საკითხების და სივრცითი მოწყობის გეგმის კითხვარის შემუშვება, პირველადი მასალების მოპოვება;
ჩართულობის პირველი ეტაპი – ინფორმაციის გავრცელება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

ფორმატი – მუშა ჯგუფი ახორციელებს ოფიციალურ მიმოწერას ყველა მხარესთან. სხვა ჯგუფებთან შეხვედრა განხორციელდა ერთობლივი სამუშაო შეხვედრის ფორმატში, რომელსაც დაესწრო თითოეულ ჯგუფის წარმომადგენელი (2–დან 3–მდე წარმოამდგენელი). საჭიროების შემთხვევაში განხორციელდა რამდენიმე შეხვედრა. შეხვედრა უშუალოდ განახორციელა მუშა ჯგუფის ხელმძღვანელმა და იმ წევრები, ვინც ამუშავებდნენ საზოგადოებისაგან მიღებულ ინფორმაციას.

ინფორმაციის ანალიზი და სისტემატიზაცია

განხორციელდა მიღებული მასალების ანალიზი და სისტემატიზაცია. დაიგეგმა დამატებითი მასალების მოპოვების მიმართულებები.

ჩართულობის მეორე ეტაპი – განხორციელდა მომზადებული კითხვარების გავრცელება შეგენილი გეგმის, მეთოდოლოგიისა და ფორმატის გათვალისწინებით.

არსებული მდგომარეობის ტექსტური და გრაფიკული ასახვა

ემუშავდა სივრცითი დაგეგმარების გეგმის სამუშაო ვერსია; გამოიკვეთა სხვადასხვა ჯგუფის პირორიტეტული ინტერესის სფეროების შესაბამისი დამატებითი ინფორმაციის მოპოვების გზები ალტერნატირული ხედვის დასამუშავებლად.

პროირიტეტებისა და ამბიციების განსაზღვრა

მიღებული შედეგებისა და სამუშაო მასალების გაცნობა პროცესში ჩართულ მხარეებზე (მოსახლეობა, ექსპერტები, სახელმწიფო სტრუქტურები და სხვა).

მიზანი – მიღებულ ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, ალტერნატიული ხედვების დაზუსტება, შედეგების გათვალისწინება, ინფორმირებულობა.

ჩათულობის მესამე ეტაპი – განხორციელდა ჯგუფური შეხვედრები მუნიციპალიტეტში იმ მოსახლეობასთან ვინც კითხვარების შევსების დროს დააფიქსირებს თავის ინტერესს შემდგომი თანამშრომლობისათვის. ასევე ყველა იმ მხარესთან ვინც მუშაობის პროცესში გამოთქვა სურვილს თანამშრომლობისაკენ.

ფორმატი – შეხვედრები განახორციელდა მიღებული მასალების, მოსაპოვებელი ცნობებისა და მიმდინარე შედეგების გათვალისწინებით.

შედეგი – სივრცითი მოწყობის გეგმის საბოლოო ვერსიისათვის საჭირო რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვე ალტერნატიული ხედვების გათვალისწინებით.

გამოკითხვის შედეგების ანალიზი

ჩართულობის მეოთხე ეტაპი – ალტერნატიული გეგმების მომზადებისათვის საჭირო კითხვარის მეშვეობის მოსახლეობის ინტერესების და შეხედულებების გამოვლენა. გამოკითხვის შედეგად დადგინდა ადგილობრივი მოსახლეობის, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულებისა და ერთიანი აზრი როგორც არსებული სიტუაციის, ისე განვითარების პრიორიტეტების შესახებ.

შედეგი – მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იყო სხვადასხვა ჯგუფის პირორიტეტული ინტერესის სფეროს გამოსაკვეთად ალტერნატირული ხედვაზე მუშაობის პროცესში.

ხედვა

მიღებული მასალების საფუძველზე და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით მუშა ჯგუფმა მოამზადა პირველადი ხედვა.

სქემის პირველადი მონახაზი

არსებული ხედვის, ტექსტური და ვიზუალური მასალების გაერთიანება. სქემის სამუშაო მომზადება.

კონსულტაციები და შენიშვნების გაზიარება

ჩართულობის მეხუთე ეტაპი – შემუშვებული სქემის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან. მიზანი – მიღებული ინფორმაციის ასახვის ხარისხის შემოწმება, ალტერნატიული ხედვების გათვალისწინებით მხარეების ხედვების შეჯერებისა და დაახლოებისათვის. შედეგების ამსახველი ვარიანტების გასაჯაროება, გამოფენებისა და შეხვედრების მოწყობა.

ფორმატი – სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრები განახორციელა მუშა ჯგუფის ხელმძღვანელი საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ნაწილთან ერთად.

შედეგი – დოკუმენტის საბოლოო ვერსიისათვის საჭირო დაზუსტებების მიღება. დოკუმენტთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება.

სქემის საბოლოო ვარიანტი

დოკუმენტის საბოლოო ვერსიის შემუშავება მუშა ჯგუფის მიერ.

სქემის დასამტკიცება

დოკუმენტის განხორციელებისათვის საჭირო რისკების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმის შეთანხმება რეგიონის ხელმძრვანელობასთან და მისი დამტკიცება.

ჩართულობის მეექვსე ეტაპი – დოკუმენტის საბოლოო ვერსიის გასაჯაროება.

3-1.3 დაინტერესებული სუბიექტების ანალიზი

გავლენიან მხარეთა განაწილება



დაინტერსებულ მხარეთა განაწილება

ინტერესი	ნაკლებად ეთანხმება შინაარსს/გეგმას		მეტად ეთანხმება შინაარსს/გეგმას	
მეტი	არასამთვრობო სექტორი: ადამიანის უფლებების დამცველები,სოციალური ორგანიზაციები გარემოს ექსპერტები	ქედის მუნიციპალიტეტი არასამთავრობო სექტორი კულტურის სფეროში	არასამთავრობის გარემოს დაცვის სფეროში	ცენტრალური და ადგილობრივი მთვრობა (ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და გარემოს მიმართულებები)
მაკლები	ქალაქგეგმარების ექსპერტები ამხანაგობები საერთო	არაორგანიზებული ჯგუფები		

მხარეთა განაწილება ცოდნისა და ინფორმირებულობის მიხედვით

მეტი

ცოდნა

ნაკლები

		ქედის მუნიციპალიტეტი	ცენტრალური მთვრობა უნივერსიტეტი ადგილობრივი მთავრობა
ექსპერტები არასამთავრობო სექტორი	არქიტექტურა უცხოელი ინვესტორები	ტურიზმი	გაერმოს დაცვა ქედის მუნიციპალიტეტი
ოპოზიციური პარტიები	კერძო მესაკუთრეები		კომუნიკაციის ქსელები
რიგითი მოქალაქე სპორტი	სოფლის მეურნეობა	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები	ადგილობრივი ინვესტორები

ნაკლებად **ეთანხმება შინაარსს/გეგმას** მეტად

დაინტერესებული მხარეების მდგომარეობა პროექტის დასაწყისისათვის



დაინტერესებული მხარეების სასურველი მდგომარეობა პროექტის დასასრულისათვის



ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები
არსებული მდგომარეობა

სივრცითი კატეგორიები

პირობითი აღნიშვნები

- საზღვარი
- შენობა
- ვენახი და სახნავი
- თამბაქო და ვენახი
- ვენახი
- ჩაი
- თამბაქო
- ციხესიმაგრე
- სპეციალური ზონა
- შერეული ზონა
- წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყე
- სასოფლო ტერიტორია
- საშრეწველო ზონა
- ბუნებრივ ლანდშაფტური ტერიტორია
- სოფლის მეურნეობისა განვითარების ტერიტორია
- ურბანული ტერიტორია
- გამოუყენებელი სასოფლო მიწის ნაკვეთები

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY
SPATIAL PLANNING GROUP
სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები
არსებული მდგომარეობა

განსახლება და მოსახლეობის სიმჭიდროვე

პირობითი აღნიშვნები

- საკრებულოები
- საზღვარი
- შენობა
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- მდინარე
- ურბანული ტერიტორია
- მოსახლეობა - 0 - 30 - მდე
- მოსახლეობა - 30 - 100 - მდე


ჩოხატაური
ნონიარისი
ნონიარისი
ბალოიანეთი
ბალოიანეთი
ბაიაიძეები



ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

არსებული მდგომარეობა

სარეკრეაციო, საკურორტო, ტურიზმისა და კულტურის ობიექტების და სანიტარული დაცვის ზონების რუკა

პირობითი აღნიშვნები

- საზღვარი
- შენობა
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- მდინარე
- კურორტის ადგილმდებარეობა
- საკურორტო ადგილები და მათი ადგილმდებარეობა
- სუბალპური ზონა
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლები
- საპიკნიკე ადგილი
- ჩანჩქერი
- თაღოვანი ხიდი
- მეჩეთი
- მუზეუმი
- ციხესიმაგრე
- ძეგლი
- სამთო სათხილამურო ტურიზმის მარშუტი
- ეკო ტურიზმის მარშუტი
- შემეცნებითი ტურიზმის მარშუტი

დაცული ტერიტორია

- დაცული ტერიტორია
- ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყე

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

SPATIAL PLANNING GROUP

სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

არსებული მდგომარეობა

საინჟინრო სატრანსპორტო კომუნიკაციები


ხიზო
ჭვანისი
ჭრებალო
ზედა ხალაწიანი
ქვედა ხალაწიანი
ზედა ბახვისი
ქვედა ბახვისი
ზედა ბახვისი
ბახვისი
ბახვისი

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები
არსებული მდგომარეობა

წყლის რესურსები და წყალშემკრები ტერიტორიები

პირობითი აღნიშვნები

- საზღვარი
- შენობა
- მდინარის ვერონა
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- ალუვიონის გამოვლინებები
- დაბა/სოფელი საბადოები
- ბაბალურ პოლიმეტალური საბადოები და მადნებამოვლინებები
- ბაბალურ პოლიფილური მადნებამოვლინებები
- მცირე სულფიდური ოქროშემცველი მადნებამოვლინებები
- თერმული წყაროების გამოსავლები
- მინერალური წყაროების გამოსავლები
- ფერადი და ხანადეთები ქვები
- ხიდიანი დეპონატი
- ნაგური და კარმიანული თიხები
- ქვიშა ხრეშ
- ტუფოგენული თიხები
- კირქვა
- ანდეზიტი ბაზალტი
- ტუფები
- გაბრო დიაბაზი
- დაბურები
- სხვადასხვა ჭები
- მინერალური წყაროების გამოსავლები
- თერმული წყაროების გამოსავლები
- ხანმული წყლის სასიცივ ობიექტები
- მდინარის ვერონა
- ეროზიული რისკის ტერიტორიების საზღვარი

მცირე ნატანი

- 63
- XARJI_KG_W

- ალპისწინეთი
- აკუმულაცია
- ალპისწინეთი ქედის მონაკვეთი

№	მინერალური წყაროს დებიტი/ტემპერატურა	წყლის ტიპის ქიმიური სტანდარტებით ბინადები	ხანმაი ლიტრი/ წამში	ტემპე ratura C	pH	ქიმიური ფორმულა
1	2	3	4	5	6	7
1	ეროვნული ცენტრის რაიონში	ჰიდროკარბონატული-ნატრიუმიანი კალციუმიან-მაგნიუმიანი	50000	10 C	6.6	$M_{0.5}\frac{HCO_3 80 SO_4 20}{Ca 50 Mg 30 Na 20}$
2	ბაბანეურეთი ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმის ნატრიუმიანი	16000	12 C	6.7	$M_{1.0}\frac{SO_4 60 HCO_3 40}{Ca 50 Na 50}$
3	ცენტრალი ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმის ნატრიუმიანი	60002	31 C	7.0	$M\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na}$
4	დეშლისების წყარო ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი	200010	14 C	6.0	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Na Ca Mg}$
5	საქეთი ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმის ნატრიუმიანი	3000	13 C	6.5	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
6	სარი ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმის ნატრიუმიანი	30000	13.5 C	3.8	$M\frac{SO_4}{Ca Na}$
7	საკეთი ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული ტუფოგენ კალციუმიანი	5000	14.5 C	4.6	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
8	ბოსტანის ხეული ცენტრის რაიონში		20000	13.5 C	4.6	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
9	ზეთიანის ბაბანი ცენტრის რაიონში		30000	12 C	4.6	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
10	დეშლისების ბაბანი ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული ტუფოგენ კალციუმიანი	70000	12 C	3.4	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
11	ზოგიერთ ნეფთ ცენტრის რაიონში	სულფატური ტუფოგენ კალციუმიანი	6000	13 C	4.4	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
12	სარეკეთი ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული ტუფოგენ კალციუმიანი	2000	12 C	4.4	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
13	ლეშტაურის წყარო ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული ტუფოგენ კალციუმიანი	6000	14 C	4.5	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
14	ახალშენაგანის წყარო ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმიანი	50000	13 C	4.6	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
15	ინტერნეტიკის წყარო ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმიანი	1200	13 C	4.4	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$
16	წყნეულეთი ცენტრის რაიონში	სულფატური ჰიდროკარბონატული კალციუმიანი ნატრიუმიანი	12000	11 C	4.6	$M_{0.5}\frac{SO_4 HCO_3}{Ca Na Mg}$

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY
SPATIAL PLANNING GROUP
სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსების და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები
არსებული მდგომარეობა

ნიადაგები, მოწყვლადი და დეპრესიული ტერიტორიები



პირობითი აღნიშვნები

- საზღვარი
- შენობა
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- მიმართულება
- მდინარეთა გვერდითი ეროზია
- ჩამონაყარი (ქვათაცვენა)
- ჩამოქცევა (კლდეთაცვენა)

ნიშნული

ჰუმუსიანობა

23

ჰუმუსიანობა

ნაყოფიერება

1,5

nay_fiereb

- II_2
- III_1
- III_2
- I_1
- I_2
- ღვარცოფი
- დამეწყრილი ტერიტორიები

ტალღები და დინებები

<all other values>

ID

- 1
- 2
- 3
- 4
- 5
- ეროზიული რისკის ტერიტორიების საზღვარი
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ტექტონიკური ზონა

ნიადაგები

<all other values>

- 1a
- 3
- 34
- 35
- 44
- 45
- 49
- 5
- 50
- 57
- 6
- 64
- 7

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

SPATIAL PLANNING GROUP

სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები
არსებული მდგომარეობა

სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიები

პირობითი აღნიშვნები
- საზღვარი
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- სატყეოს ტერიტორიები უბნების მიხედვით
- ქარსაფარი
- საჭრელი ტყის კვარტლები
- დაცული ტერიტორიის საზღვარი
- რკინიგზა
- მუნიციპალიტეტშორისი საზღვარი
- მაჭახლის ეროვნული პარკი

დაცული ტერიტორიები
- დაცული ტერიტორიები
- სატყეო მეურნეობის საზღვარი

სატყეო უბნები
zones
- 1
- 2
- 3
- 4
- 5
- 6
- 7
- 8
- 9
- 10
- 11
- 12
- 14
- 101
- 102
- 103
- 104
- 105
- 107
- 108
- სახოფლო მიწის ნაკვეთები

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY
SPATIAL PLANNING GROUP
სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები
არსებული მდგომარეობა

სოციალური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

პირობითი აღნიშვნები

- საზღვარი
- შენობა
- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საბებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- TM სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- საბავშვო ბაღების ნორმატიული მოქმედების არეალი
- საჯარო სკოლების ნორმატიული მოქმედების არეალი
- სასწრაფო სამსახურის მოქმედების არეალი
- სახანძრო სამსახურის მოქმედების არეალი

სიჩქარე კმ/სთ

- 10
- 20
- 60
- შენობა
- nakveTi
- სამომავლო შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყე
- რაიონები

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY
SPATIAL PLANNING GROUP
სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

ხედვა

გეგმარებითი შეზღუდვები, კონფლიქტები

პირობითი აღნიშვნები

- მინერალური წყლების დაცვის ზონა
- მდინარის დაცვის ზონა
- მინერალური წყაროების გამოსავლები
- დამეზღვრილი ტერიტორიების საზღვარი
- გეოლოგიურად დაშლილი ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- მაგისტრალური საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდინარე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი



0 1,500 3,000 6,000 9,000 12,000 Meters

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

SPATIAL PLANNING GROUP

სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები
ხედვა

სივრცითი კატეგორიები

პირობითი აღნიშვნები
- ცენტრალური ზონა
- მუნიცა
- 3
- ცხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ზონა
- მწვრთელი ზონა
- ლჩხ
- სჩხ
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ


ქედა
ხელვაჩაური
ჭოროხი
ბალათანები
ტაკოძეები
ზედაზენი
ნიგაზეული
ხიხანეთი
ზედა ხიხანეთი
ქვედა ხიხანეთი
ზედა ჭალადიდი
ქვედა ჭალადიდი
ზედა ზეკარი
ქვედა ზეკარი
ზედა ბახვი
ქვედა ბახვი
ზედა ნიგაზეული
ქვედა ნიგაზეული
ზედა ტაბახმელა
ქვედა ტაბახმელა
ზედა ჭანიეთი
ქვედა ჭანიეთი
ზედა ჭვანა
ქვედა ჭვანა
ზედა ჭვანისი
ქვედა ჭვანისი
ზედა ჭოროხანა
ქვედა ჭოროხანა
ზედა ჭყონდიდი
ქვედა ჭყონდიდი
ზედა ხუცუბანი
ქვედა ხუცუბანი
ზედა ხელოთი
ქვედა ხელოთი
ზედა ხორნაბუჯი
ქვედა ხორნაბუჯი
ზედა ხოხლები
ქვედა ხოხლები
ზედა ხოცა
ქვედა ხოცა
ზედა ხოჯორნი
ქვედა ხოჯორნი
ზედა ხუცუბანი
ქვედა ხუცუბანი
ზედა ჯაველი
ქვედა ჯაველი
ზედა ჯიხაიში
ქვედა ჯიხაიში
ზედა ჯიხაიშის ველი
ქვედა ჯიხაიშის ველ

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

ხედვა

საინჟინრო სატრანსპორტო კომუნიკაციები

პირობითი აღნიშვნები

- გზათმარაგება
- სატელეფონო ხაზი
- საჰაერო სატელეფონო ხაზი
- საზღვარი
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- ულ გადასვლის ხაზი
- ქვესადგური
- 110 კვ
- 35 კვ
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- რკინიგზა
- მაგისტრალური მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ქუჩა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ქობულეთის დასახლება და ქალაქის გზები
- წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყე
- ქალაქებისა და დასახლებ ტერიტორია

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

SPATIAL PLANNING GROUP

სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები
ხედვა

სარეკრეაციო, საკურორტო, ტურიზმისა და კულტურის ობიექტები და მათი დაცვის ზონები

პირობითი აღნიშვნები

- საკურორტო-საკურორტო ადგილები
- ქედა - ცაბოლეთი - ლიტვური - კალეს-ბია - დიდუკა - ხიხი
- ქედა - ირეკი - უკანტბოლი - ფარალის ბია - შუახევის ბია - ჯიჯილეთი
- ქედა - ზედაზენი - ჯგალთი - ცარეკვი - კობულეთი
- ქედა - ზედაზენი - ნამონასტრები - თოქარი - ზრნაულის ბია
- კურორტის ადგილმდებარეობა
- საკურორტო ადგილები და მათი ადგილმდებარეობა
- სამშენებლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლები
- საკონცერტო ადგილი
- ჩამკეტი
- სოსნოვკა
- ცარიელმიწა
- სამხედრო ობიექტი
- ისტორიული ნიშნები
- ეკოლოგიური ბილიკი
- ბერკეთი
- ბერძნული
- ციხე-სიმაგრე
- ტბები
- საზღვარი
- სანიტარული დაცვის ზონის საზღვარი
- ეკო-ტურიზმის ბილიკები
- ზედაპირული ტურიზმის ბილიკები
- ზედაპირული ტურიზმის საზღვარი
- ტბა
- 2380254.26897
- სერპანტინის ზონა
- ეროზიული და წყვეთილი ტყე
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- ზღვის
- ზეგანზე

ნინოწმინდა
ნინოწმინდა
ნინოწმინდა



ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

დაბა ქედა

პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საბებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- TM სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდიანრე
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ლანდშაფტური ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ
- მიწის ნაკვეთი

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

დანდალო



პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საზებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდიანრე
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ლანდშაფტური ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ
- მიწის ნაკვეთი



ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

ზვარე

პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საზებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდინარე
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ლანდშაფტური ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ
- მიწის ნაკვეთი

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY
SPATIAL PLANNING GROUP
სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

მახუნცეთი



პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საბებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდიანრე
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ლანდშაფტური ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ
- მიწის ნაკვეთი

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

SPATIAL PLANNING GROUP

სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

მერისი

პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საბებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდიანრე
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ლანდშაფტური ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ
- მიწის ნაკვეთი

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

SPATIAL PLANNING GROUP

სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

ოქტომბერი



პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საბებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდიანრე
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ლანდშაფტური ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ
- მიწის ნაკვეთი

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

SPATIAL PLANNING GROUP

სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

პირველი მაისი

პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საბებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდიანრე
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ლანდშაფტური ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ
- მიწის ნაკვეთი

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

SPATIAL PLANNING GROUP

სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

ცხმორისი

პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საბებიო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მეჩეთი
- ჰიდროელექტრო სადგური (მიკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- საავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- TM სავაჭრო ცენტრი
- საწარმო
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდიანრე
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისო საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ლანდშაფტური ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფზ
- მიწის ნაკვეთი

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY
SPATIAL PLANNING GROUP
სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა

თემატური რუკები

წონიარისი

პირობითი აღნიშვნები

- საბაგირო
- კულტურის სახლი
- სასწრაფო სამედიცინო სამსახური
- თსპ (თემის საბაზო პუნქტი)
- დაწყებითი სკოლა
- ადმინისტრაციული შენობა
- აფთიაქი
- ამბულატორია
- ავტოსერვისი
- ბანკი
- საბავშვო ბაღი
- ბენზინგასამართი სადგური
- ბიბლიოთეკა
- ეკლესია
- ფოსტა
- მჭედი
- ჰიდროელექტრო სადგური (მკრო)
- მუსიკალური სკოლა
- მუზეუმი
- პოლიცია
- ქარხანა
- რესტორანი
- სავადმყოფო
- საჯარო რეესტრი
- საჯარო სკოლა
- სამედიცინო პუნქტი
- სასამართლო
- სასტუმრო
- სასტუმრო სახლი
- სასულიერო სკოლა
- TM სავაჭრო ცენტრი
- სწარმი
- სახანძრო
- სპორტული მოედანი
- სტადიონი
- უნივერსიტეტი
- წყლის სათავე ნაგებობა
- ცენტრალური ტერიტორიები
- რაიონული ცენტრი (სოფელი)
- შენობა
- მიდამასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა
- საერთაშორისო მნიშვნელობის გზა
- მდინარე
- მიწის ნაკვეთი
- ციხესიმაგრე
- მუნიციპალიტეტშორისი საზღვარი
- ჭაობი
- სპეციალური ტერიტორიები
- შერეული ზონა
- ღია სივრცეების ტერიტორიები
- საცხოვრებელი ტერიტორიები
- ტბა
- ურბანული ტერიტორია
- სოფლები

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY
SPATIAL PLANNING GROUP
სივრცითი დაგეგმარების ჯგუფი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან შემოსული წერილი (შემოსული № 04/94220282-94 28.01.2022 წ), რომლითაც მოთხოვნილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის № 7 დადგენილებით დამტკიცებულ ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ვინაიდან საკრებულოს მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს მიღებული დოკუმენტი შემუშავებული იყო აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს ამოქმედებამდე, საჭირო გახდა დამტკიცებულ დოკუმენტში გარკვეული ცვლილებების შეტანა, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ერთერთ ტერიტორიულ ერთეულში, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვედა მახუნცეთში დამტკიცებულ დოკუმენტში აღრიცხული სასოფლო ზონა შესაცვლელი გახდა ცენტრალური ზონით.

აქედან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ხდება „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა (შემდგომ - „გეგმა“) შემუშავდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №86 განკარგულებით დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის“ გეგმარებითი დავალების საფუძველზე.

„გეგმარებითი დავალება“, თავის მხრივ, შედგენილია საქართველოს კანონის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ (შემდგომ - „კანონი“) მე-7, მე-9, მე-17 და 22-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებთან შეთანხმებისა და წინასწარ ჩატარებული კვლევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ რატიფიცირებული მრავალმხრივი თუ ორმხრივი საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს სხვა

საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და სივრცითი მოწყობის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის გათვალისწინებით.

ამრიგად, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების საფუძველია:

- საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ (2005 წ.):
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 ტექნიკური რეგლამენტის - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულეირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების საფუძველზე:
- კანონმდებლობით დადგენილი წესით დაბა ქედის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის გეგმარებითი დავალება;
- ქალაქთმშენებლობით სფეროსთვის აუცილებელი და გასათვალისწინებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები, კონცეფტუალური და კვლევითი ხასიათის დოკუმენტაცია, ანალოგიური გეგმარებითი სამუშაოების გამოცდილება.

ზემოხსენებულის კონტექსტში, ხაზგასასმელია, რომ „გეგმის“ შემუშავებას ხელს უწყობს „აჭარის ა.რ სივრცითი მოწყობის სქემისა“ და „ქალაქ ბათუმის ფუნქციურ-სივრცითი განვითარების სტრატეგიული ხედვის“ არსებობა.

„გეგმის“ ორგანული ნაწილი უნდა გახდეს, ასევე, ის მსხვილმასშტაბური ნაციონალური, რეგიონული თუ ტრანსრეგიონული პოლიტიკები, პროექტები და პროგრამები (PPP), რომლებიც განხორციელდა, ხორციელდება ან იგეგმება ქედის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში.

„გეგმარებითი დავალება“ აყალიბებს „გეგმის“ ძირითად მიზანსა და ამოცანებს; განსაზღვრავს მის ტერიტორიულ ფარგლებს; აგრეთვე - ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და სხვა სისტემამაფორმირებელ პირობებს.

საქართველოს კანონის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ თანახმად ტექსტურ ფორმასთან ერთად, დადგენილ კარტოგრაფიულ სტანდარტებში შესრულდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის გრაფიკული ნაწილიც. ამავდროულად, „გეგმის“ მთლიანი მოცულობა შესრულდა ელექტრონულ ვერსიის ფორმატში, რაც უზრუნველყოფს მისი განუწყვეტელი კორექტირების შესაძლებლობას დროის რეალურ რეჟიმში.

„ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა არის შუალედური დონე ქვეყნის დაგეგმვისა და დასახლებათა დაგეგმვის დონეებს შორის, რომელიც ერთი მხრივ, აკონკრეტებს ქვეყნის დაგეგმვის მთავარ მიზნებს, მეორე მხრივ კი, მისი ამოცანაა ცალკეული რაიონების მიერ დაგეგმვის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების კოორდინირება ქვეყნის დაგეგმვის მიზნებთან.

ამგვარად, „გეგმა“ მოიაზრება ინტეგრირებულ დოკუმენტად, რომელიც აყალიბებს ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების ხედვასა და პოლიტიკას, აგრეთვე თავს უყრის, აჯერებს დარგობრივ (სექტორულ) გეგმებს, პროექტებს და უზრუნველჰყოფს მათს ჰარმონიზებას „გეგმის“ ფორმატში.

აღსანიშნავია, რომ „გეგმა“ არ უნდა განვიხილოთ როგორც „განვითარების“ ან თუნდაც „საინვესტიციო“ გეგმა. „გეგმის“ საშუალებით განისაზღვრება ტერიტორიის

გამოყენების გარკვეული მიმართულებები (მაგალითად: ბუნების დაცვა, დასახლებათა, კომუნიკაციების ან ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა). ამასთანავე, აღნიშნული დოკუმენტი ვერ ჩაანაცვლებს კონკრეტულ დარგობრივ პოლიტიკას. ანუ, „გეგმა“ არის მდგრადი განვითარების ერთგვარი სტრატეგიული პლატფორმა, სადაც ხდება სივრცით განვითარებაზე ზემოქმედების უნარის მქონე სექტორების შეთანხმება.

ზემოთ აღინიშნა, რომ „გეგმა" წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დოკუმენტს. სივრცითი მოწყობის რეტროსპექტივის თვალსაზრისით, საბჭოთა პერიოდში საქართველოს სსრ უზრუნველყოფილი იყო სივრცითი მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციით, რომლის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური დოქტრინა, გეგმიური ეკონომიკა, მიწაზე სახელმწიფო საკუთრება.

1976-1978 წლებში, საპროექტო ინსტიტუტ “საქქალაქმშენსახპროექტში” შემუშავდა „1991-2001 წლების პერიოდამდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განსახლების რეგიონული გეგმა“. (პროექტის მთავარი არქიტექტორი - ბ. გაბუნია). რეგიონული გეგმა წარმოადგენდა „სსრკ ტერიტორიაზე განსახლების გენერალური სქემის" განვითარება-დეტალიზებას; იგი უკავშირდებოდა საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების ძირითად მიმართულებებს და ტერიტორიულ განაწილებას.

2004 წლის შემდეგ, აჭარის ა.რ. ქვეყნის განვითარების პოლიტიკის ცენტრში მოექცა. შესრულდა მთელი რიგი პროექტები და პროგრამები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა აჭარის რეგიონის თანამედროვე ხედვებზე ორიენტირებული მდგრადი განვითარება და ეფექტური მართვა. ჩატარდა მიწის კადასტრის სამუშაოები, გაუმჯობესდა საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, გაფართოვდა დაცული ტერიტორიების წრე და ნომენკლატურა, თვითმმართველი ქალაქი ბათუმი აღიჭურვა „ახალი თაობის“ ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით, ჩაისახა და ამოქმედდა უძრავი ქონების (მიწის ჩათვლით) ბაზარი, ახალ საფუძველზე ჩამოყალიბდა ტურისტული ინდუსტრია.

„გეგმის“ ძირითად მიზანს წამოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების სივრცით-ტერიტორიული და ფუნქცურ-გეგმარებითი წინაპირობების უზრუნველყოფა მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში; ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიისათვის სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტების დადგენა, მათ შორის:

– მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნა;

– მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური ზრდა;

– კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ტურიზმის განვითარება;

„გეგმის“ ძირითადი მიზნების თანხმლებ მიზნებს შეადგენს:

ძირითადი მიზნის მისაღწევად, „გეგმის“ შედგენისას სახელმძღვანელოდ იყო მიღებული სივრცითი წესრიგის საყოველთაოდ აღიარებული შემდეგი პრინციპები:

– ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული გააზრება განსახლების ერთიან ნაციონალურ სისტემაში;

– ქედის მუნიციპალიტეტის განხილვა რეგიონული ფუნქციურ-გეგმარებითი განვითარების კონტექსტში;
– ურბანიზაციის პროცესის მიზანდასახული მართვა;
– ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის, მისი დასახლებული და დაუსახლებელი ზონების ერთიან, გაწონასწორებულ სისტემად ჩამოყალიბება;
– ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული განვითარების ტერიტორიული გათანაბრების ტენდენციის ხელშეწყობა;
– ეკონომიკური განვითარების კერების (ზონების) სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით ჩამოყალიბების გეგმარებითი პირობების გათვალისწინება;
– საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების, ქედის მუნიციპალიტეტის კონკურენტ-უნარიანობის ხელშეწყობა;
– ადამიანთა მრავალმხრივი ცხოველქმედობისათვის ჯანსაღი, კომფორტული, ესთეტიკური, უსაფრთხო გარემოს შექმნა;
– საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატი;
– კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა;
– ნიადაგის, ჰიდროქსელის საჰაერო აუზის, ფლორისა და ფაუნის მდგომარეობის გაუმჯობესება, დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება;
– ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კომპლექსური ქალაქთმმშენებლობითი შეფასება და განვითარების შეზღუდვების დადგენა;
– საჯაროობა, სივრცით მოწყობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა და აპელაციის უფლება;
„გეგმის“ შედგენისას ასევე სახელმძღვანელოდ იყო მიღებული „გეგმარებითი დავალებით“ განსაზღვრული შემდეგი პრინციპები:
– დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს დასახლებათა ტერიტორიების განახლებასა და ინტენსიფიკაციას;
– უზრუნველყოფილ იქნეს ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების სტრუქტურასთან; მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დაცული იქნეს პარიტეტულობა კომუნიკაციების ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით;
– დასახლებათა განვითარება ორიენტირებულ იქნეს ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებაზე; სატრანსპორტო მომსახურების ეფექტიანობა გაიზარდოს ადეკვატური სატრანსპორტო არტერიებისა შექმნით; პრიორიტეტი მიენიჭოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას;
– უზრუნველყოფილ იქნეს დასახლებათა, მათ შორის საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრების გეგმარებითი სრულყოფა; მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს მუნიციპალიტეტის ფარგლებში ახალი აქტიურად განვითარებადი ბირთვის შესაძლო წარმოშობას, შემდგომში მნიშვნელოვან ცენტრად ჩამოყალიბების მიზნით;
– გაიზარდოს დაბა ქედის კონკურენტუნარიანობა ინვესტიციების მოზიდვისა და დასაქმების უზრუნველსაყოფად;
– სასოფლო დასახლებები განვითარდეს ინტენსიურად, ქალაქებთან და დაბებთან თანაბარუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე;

– შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემა; უზრუნველყოფილ იქნეს ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება და დაცვა;

– მაქსიმალურად შემსუბუქდეს ინფრასტრუქტურის გავლენა გარემოზე; ინფრასტრუქტურას ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი იმ ტერიტორიებისათვის, სადაც განთავსებულია;

– კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა განხილულ იქნეს, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი;

– შენარჩუნდეს და განვითარდეს სარეკრეაციო ტერიტორიები;

– უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა დარგობრივი გეგმების და დაგეგმვის სხვადასხვა იერარქიულ დონეებზე შესრულებული გეგმების თავსებადობა;

– სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს საჯაროობა;

– ტერიტორიის ჯეროვანი განვითარებისა და ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით, ხელი შეეწყოს სახელმწიფო და კერძო სუბიექტების ინტერესების ურთიერთშეთანხმებას.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივითვი თმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა დაამტკიცოს, ასევე მასში ცვლილებები შეიტანოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის დამტკიცებულ გეგმაში ცვლილებების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგნაირად კერძოდ:

დადგენილების პროექტის პირველი მუხლით ხდება „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 29/09/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016331) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით: დაწვრილებითი ინფორმაციის გაცნობის მიზნით თუ რას ეხება/მოიცავს სივრცითი მოწყობის გეგმის ცვლილება იხ. დადგენილების პროექტზე თანდართული დანართი.)

ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი კი აწესრიგებს დადგენილების ძალაში შესვლის საკითხს შემდეგი სახით:

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებშ იმიღების (გამოცემის) დასაბუთება:

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტზე თანდართულ სივრცითი მოწყობის გეგმა შემუშავებული იქნა სამუშაო გუნდის მიერ, სადაც მონაწილეობა მიიღეს დარგის სპეციალისტებმა, ექსპერტებმა, სამთავრობო და არასამთავრობო დარგის სპეციალისტებმა, ასევე სამეცნიერო და პრროფესიული წრის წარმომადგენლებმა, შემდეგი შემადგენლობით:

სამუშაო ჯგუფი:

ზვიად ბურჭულაძე ჯგუფის ხელმძღვანელი (არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი), **გრიგოლ გარუჩავა** (არქიტექტორი); **მალხაზ ქათამაძე** (არქიტექტორი), **ნინო გამხოშვილი** (არქიტექტორი), **სერგო ჭყონია** GIS გეოინფორმაციული სისტემის სპეციალისტი.

ექსპერტები :

დემოგრაფიისა და საზოგადოებრივი ჩართულობის დარგში **რუსლან ბარამიძე** (ისტორიის აკადემიური დოქტორი), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგში **ზურაბ მანველიძე** (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი), ტურიზმის დარგში **მალხაზ მალაყმაძე** ეკოლოგიის დარგში, **გიორგი სალუქვაძე** (არქიტექტორი, არქიტექტურის დოქტორი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი), სატრანსპორტო სისტემების დარგში **ნინო ჩხეიძე** (არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი).

პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

ზაალ ბაჯელიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

ლევან ბოლქვაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე ბახტაძე ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი. ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი

ტატო გოგიჩაიშვილი ენერგეტიკოსი

რეზო დიასამიძე ბიოლოგიის დოქტორი. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს შავი ზღვის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

ზებურ დევაძე მშენებელ-ინჟინერი

ნინო ინაიშვილი ისტორიის აკადემიური დოქტორი

ნოდარ კონცელიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ბიომრავალფეროვნების სამსახურის უფროსი

ნოდარ კახიძე ისტორიის დოქტორი

დავით მაკარაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

სულხან მამუჭაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის ნებართვების განყოფილების უფროსი

იზოლდა მაჭუტაძე ბათუმის შოთარუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორი

ნანული ნოღაიდელი დიალექტოლოგი

ციალა ნარაკიძე ფოლკლორისტი, დიალექტოლოგი

უჩა ოქროპირიძე ისტორიის აკადემიური დოქტორი

ტარიელ ტუსკია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიური სამსახურის უფროსი

მერაბ ფუტკარაძე გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი

გიზო ფარცხალაძე ბათუმისშოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

შუშანა ფუტკარაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ნუგზარ ძნელაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი (არქიტექტორი)

მერაბ ხიმშიაშვილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბათუმის სამმართველოს უფროსი

ოლეგ ჯიბაშვილი ისტორიის აკადემიური დოქტორი

საშა ხორავა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი - გენადი ანანიძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი.